

የኢትዮጵያ



პროლეტარების კვლა ქავუნისა, შეერთდით!

# კიბენი ისტორია

1340

საქართველოს საგვოთა მფრიდავის  
კავშირის ყოველთვიური ჟურნალი

3-4

1935 წ  
ოცილები

## შ ი ნ ა ს რ ს ი

1. ვაჟა-ფშაველა—ლექსები
2. „ „ —დათვი
3. ვაჟის წერილი მარიამ დემურიასადმი
4. ალ. აბაშელი—ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი  
ნაწერები
5. აკაკი თათარიშვილი—ვაჟა-ფშაველა
6. გერანტი ქიქაძე—ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და  
შემოქმედება

### ჩხატერიშვილი ლიტერატურა

7. გიორგი კალანჯაძე—კავკასი ქედმაღალს
8. მიხეილ ფოჭხაძე—გარდამავალი
9. ალექსანდრე ქუთათელი—რლვევა
10. კანსტანტინე ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდის  
რესპუბლიკა
11. გრიგოლ არონია—სოფლად
12. ვალერიან გაფრინჯაშვილი—ზლვაზე
13. ილია მოსაშვილი—არყის ტყეში
14. გრიგოლ აბაშიძე—ძველი იმერლები აზალ იმე-  
რეთში
15. მისე გვასალია—სურამი
16. ამირან გაბეკირია—ვაჟას
17. შალვა ამისულაშვილი—ჭაღარა ლარბი
18. გიორგი კაჭაშვიძე—მგზავრის სტრიქონები
19. მიხეილ ებრალიძე—დაბადების ბარათი
20. აკაკი ბერიაშვილი—ფალავნები

### კლასიკური მიმკვიდრეობა

21. ალიგიშირი დანტე—სალხინებელი
22. პრიფ. სერგი დანელია—ა. პ. ჩეხოვი

### სსრკ ჩალენჯ ლიტერატურა

23. სელიგანოვსკი—მ. ბაჟანის შემოქმედება
24. მიქოლა ბაჟანი—გზა
25. „ „ —აირწინალი

### გიგლიორგიაშვილი

26. მიქელ პატარიძე—„ვეფხისტყაოსნის“ რუსული  
თარგმნებისათვის
27. ქრონიკა და ინფორმაცია



819-ზუაველა

ნახ. ს. კეცხოველი.



\* \*

ზღვაშც აალელვა მძინარე,  
ტალღი ეგორა მთებურა,  
რომ გულს მფენიყო ნათელი,  
რა მისი ჩქეფა მეყურა.  
ნისლო, ასხელით ცის პირად,  
ელვავ, დანათდი ღრუბლებში;  
რა გეხარჯებათ, ტივლებო,  
თქვენ მაინც მეცით ნუგეში!

1891 წ.

### ს ი მ ღ ი რ ა

ოცნებავ, ჩანგი მომართე,  
ტირილის ნაცვლად მაცინე;  
არ კმარა, რაც რომ ვიტანჯე  
და რაც ცრემლები მაღინე?!  
მინდა ღღეს გული ლალობდეს,  
მოსვენებითა ვტკბებოდე,  
არ ვწყევდე თავის გაჩენას,  
ბეღნიერებით ვთვრებოდე.  
ვერ შესძლებ ამას, მეც გატყობ,  
ლხენას არა ხარ ჩვეული,  
არ გაძლევს მოსვენებასა  
ცხოვრების შხამი წყეული,—  
მაშ ნურც მე და შენ ვიქნებით  
სწორებში გამორჩეული.

1903 წ.

## გ უ ლ ს

გულო, ჩემს ხელთ ხარ ცოტახანს,  
შემდეგ იქცევი მიწადა,  
მანამა სცოცხლობ ჩემთანა,  
შენც უნდა იყო ბიჭადა.

რაც კი ჩამ სასიცოცხლოა,  
შესვი, დალიე ხარბადა:  
ზოგი გვირგვინად დაიღვი,  
ზოგი ჩაიცვი კაბადა.  
საწყევრად ისიცა ქმარა,  
როცა ვიქცევით ლაფადა;

როს მიწას ვიწვნეთ უგრძნობლად  
ჭია-ლუების საჭმელად,  
ალარ გვეცალოს სატირლად,  
ალარც სიმღერის სათქმელად;  
სამარის ქვასა ზედ ეკრას  
ნარი და შაშბი სანთელად;

ცა სჭექდეს, წვიმაც დიოდეს,  
დილის მზეც ამოდიოდეს;  
ურიცვი გუნდი ყვავილთა  
მიწიდამ გამოდიოდეს,  
სატრფო ჰკოცნიდეს სატრფოსა,  
ჩვენ ერთიც არ მოგვდიოდეს!

1892:

## ს ი მ ლ მ რ ა

ზოგი დრო მოვა, ნისლითა  
სულ-გული შამებურება,—  
არსად ელვაა, არც მეხი,  
ჩაბნედით ჩაიხურება.  
სულ სხვა გარ, როცა ლრუბელი.  
მდუღარედ დაიწურება.


გულისა მწარე ტკივილი  
თვალებს დაუწყებს წოვასა.  
ელამუნება სასმელად  
შავის ფიქრების გროვასა.

როგორც ცა, გამოვიდარებ,  
დამიუჩხდება ტკივილი...  
თითქოს არა მაქს საწყრომი,  
არა მჭირდება ჩივილი.

მაგრამ სადიდხნო როდია  
ეს ამისთანა წამალი...  
კვლავ ამეშლება ტკივილი,  
შანამ იყივლებს მამალი,  
და ისევ ცრემლი, ტირილი,  
ისევ ძველი გზა სავალი....

1896 წ.





ლეთისაგის ხაყურთხი წლის დროა ეს ზაფხული. აკი იმიტომ · ყველასაც უყვარს ეს დალოცვილი. რამდენი რამ დედამიწაში დამარხული ამ დროს გამოჩედება, — დასტკბეს ზაფხულის ცქერითა. ყველას, — სულიერს თუ უსულოს, ეადვილება ამ დროს ცხოვრება... საწყალი კაცი ხომ ზაფხულის ლოცვა-კურთხევაშია, მხალი ბევრია და პური ცოტა მიღის. კინ მოსთვლის რამდენი ლხინი, საღილები გაიმართება ზაფხულის გამოისობით ბალებში, მწვანეზედ საღმე ტყეში, ჩრდილების ქვეშ, რამდენი ბროჭეულივით გოგონა უფრო დაიბრაწება ამ ქეიფების დროს, რამდენს შეიკუნტრუშებს, რამდენს „შეფუნდრულება;“ რამდენი ჩეულებრივზე მეტი სტაქანი დაიცლება; „გადლეგძელოს“ ითქმის, რამდენი „მრავალუმიერი“. რამდენი რამ სხვა მოხდება, რითაც კაცის სიცოცხლეს, ცხოვრებას ფასი ედება და თვითონ ცხოვრებაც კაცისათვის სასიამოწნო ხდება... მაგრამ ეს სიამოწნება, ამგვარი ცხოვრება ისე ვერ შაედრება იმ ერთის ცხოვრებას, როგორც ჭინჭველის გორა იალბუნს. კინ არის ეს ყველა ცხოველებზე ბედნიერი? ეს გახლავსთ დათვი.

ტყუილია ვინმემ დათვისთანად დროება გაატაროს! ჯერ ერთი ისა, რომ ყველაფერი მუქთად მოსდის დათვა, არაფერზე შრომა არ წაუვა. ბედნიერების ნაწილი არა ვგონიათ ესა თუ? მეორე, — იმაზე მოსყენებით, დასყენებით არავინ დაიარება დედამიწის ზურგზე. ზაფხულში გარეთ არის, მაგრამ თოფს ვერავინ ესვრის, არ დამიჭიროს და არ დამბევოს, ზამთარში სოროში წევს არხეინად, გაუჭირებლად, უდარდელად და ტოტს ილოკავს, ათასში ერთხელ თუ დაიღმუ-თუნებს. იქაც ვერავინ მიუხტება, კაცს ეშინიან, უცებ არ გადმოვარდეს, არ დამუცეს და არ გამიტანოსო.

სწორედ თებერვლის დამლექს, მარტის პირველ რიცხვებში ადგა დათვი, ვამოვიდა სოროდან, ერთის ხევის პირას იცოდა, რომ ადრე უნდა მოსულიყო ჩადუნა, ჭინჭარი, შუპა და კენკეშა... ცოტა ხანს დაყუნტდა თავის სოროს ახლო, მიავლ-მოავლო გარშემო წითელი თვალები, დაამთქნარა, გაიზმორ-გამოიზმორა და გასწია „ფიხფახით“. მიღის ტყე-ტყე, ისმის ლაშუნი ხმელი ხეებისა, ჩავიდა-დანიშნულს ადგილას, მისვლიპ-მოსვლიპა თუ რამე ნახა, უამა და გაიღიმა. რაც რამე ტყეში, ყრუ ადგილას, უხვედრს ადგილას ამოვა, სადაც ფრთხილი თვალი და ფეხი მონადირისა არა პხვდება, ყველაფერი დათვმა უნდა შეფლანგოს უფასოდ, უშრომლად... ამაზედ ეს არაფერი. იმედი მომავალში უცინის. დათვი უიმედო ნუ გვინდით, იმას საკუთარი იმედი აქვს და როცა-კი წარმოიდგენს თავის სატრფი-ალო საგანს. და იფიქრებს, მე და ჩემი სატრფო ამა და ამ დროს უნდა შევი-

ყარნეთო, კბილებს გააკრაჭუნებს, ყბებს „დაადლლაფუნებს“, რაღაცნაირად ჩატ-რუბრუქებს, თითქოს გაიცინაო. რა არის იმისი სატროო, რომელიც მუდამ დათვეს რ გაუმტყუვნება და უგვეველად ჩაუვარ დება ხელში, რონელიც მუდამ სიმარ-შიაც-კი ეჩვენება? ცხვარი? არა. ჭინჭველის გორა? არა. თაფლი? არა. რატომ? იშიტომ, რომ ყველა ამათი შოვნა და პოვნა სათუოა. მაშ რა? სოფლის ბოლოს სიმინდი, რომელიც ჩვენებიანთ გოგიას ეკუთვნის, და სოფლის თავში ქერი და შერია, — ისიც ხომ ჩვენებიანთ სოსიასია... რაღა ამათ ჭირნახულს დაემტერა ეს ბანჯლველიანი? იცის რომ მშიშარებია ორივენი, იარალის ხმარება არ იცან... რამდენი იცინა ერთხელ იმათ საფრთხობელაზედ; გოგიამ სიმინდში აი როვორი საფრთხობელა გააკეთა... ერთი ძველი ფარავა ჰქონდა, დაახვია ხეზედ, გაუფა-რჩხა ხელები, ჩამოჰკიდა თოფი და დარბაისლურად, თავშომწონედ დაასკუპა შუა სიმინდში, თავად თავისი ძველი ქუდის „ჩაჩი“ გაუკეთა. სოსიაც ეგრევე მოიქცა, მანლოდ იმ განსხვავებით, რომ ტანხე ძველი ტომარა ჩააცვა. დათუნიამ შეუარ-ერთს ლამეს გოგიას სიმინდს და რომ დაინახა. ეს კაცად დაყენებული არა-კაცი, შეფიქრიანდა; ერთს ლამეს სულ გარშემო უარა, მაგრამ შიგ შესვლა ვერ გაბედა. მეორე ლამეს კი გაიგო საქმე რაშიც იყო, გადისროლა საფრთხობელა და დაუ-წყო ტაროებს „ხვრემა“, — ტარო ტაროზე წაცემუა; მერე ქანაობაც მოინდომა: გადაგორდა და გადმოგორდა, აგორდა და ჩაგორდა, ხან ზურვე დაწვა, ხან მა-ლაყი გადვიდა, ხან ყალხზე შედგა, და სიმღერა რომ იკოდეს, არტისტული რამ-ნიშან-წყალი მოსდგამდეს, იმ გუნებაზე იყო, ბაიათსაც დაიძახებდა. ღმერთმა ნუ თქვას, დათვმა ბაიათები ისწავლოს!.. დაემზადა, იფიქრა: მოდი ერთი ამ სიმინდის პატრონის სადღეგრძელოდ ერთს მრავალუამიერს მაინც ვიტყვიო, მაგრამ ბოლოს ისევ დაიშალა, ჯერ აღრეაო, ჯერ ვნახოთ, რა კაცია ამის პატრონი, ერთი თოხ-ჯერ-ხუთჯერ კიდევ ვესტუმროვო, და რაკი თოხჯერ-ხუთჯერ ესტუმრებოდა, რა თქმა უნდა, გოგისთვის „ოპერა“ შეიქმნებოდა დათვის ნაფიქრალი „მრავალ-უამიერი“.

ესტუმრა დათვი არა ერთხელ — ოცჯერაც, მუდამ წელს ესტუმრება ხოლმე ამ დასწავლულს ადგილს... გოგია, განა არა, ბევრჯელ დაემზადა, მოღი, ერთი წავალ, დაუჯდები იმ „დათვ-ტიალასა“, თოფის ჩახმახიცა წმინდა, მეზომბლის პიჭებიც დაიპირა, მაგრამ გაუმტყუვდენ: „კაცო, ა იქ დათვს არ დაგვაბეგვინო, შენ შენი ღმერთი, თავი დაგვანებეო“ — უთხრეს. მარტოკა გოგიამაც ვერ გაბედა... რა ქნას გოგიამ, არ დათესოს სიმინდი, არ იქნება, ცოტა მაინც გაღარჩებაო, ამბობს და ამით იგრილებს გულსა. დიახ, ბევრიდამ ცოტა მაინც დარჩებაო. კოგია ბევრს არ გამოეკიდება. ცოტაც ბევრად ეჩვენება... დათვისა კილევაც მადლობელია ხოლმე: „ესეც რომ არ გაეწირა, მე რა ძალა შემეძლოვო“... ბედ-ნიერია დათვი, იმოდენას არავინა სქამს, რამდენა ხორავს, მწვანილს, მცენა-რეულობას აოხრებს; სქამს და „სდღვლეფს“, ჰყლაბავს, ჰყლაბავს და „სდღვლეფს“ რასაც-კი გაეწევა... ხანდახან უელის „ჩატკბანურებაც“ უყვარს „ბიძასა“. შეი-სწავლის საღმე ფუტკარს და მიუხდება და დაუწყებს თაფლს, მოღვაწეთა ნაწოვ-ნადავს, მუქთად სვლებას. შემოეხუციან საცოდავი ფუტკრები, გაუდისთ „ბზუ“, „ზუ“, „წუ“, „ჰკოდენ“ დათვსა, მაგრამ ბანჯვლლიანი სტუმარი ყურსაც არ იბერტ-ყავს. რა უშავს? ცოტა ხან დაწვება და გაუვლის მცირე წყლულები\* მაგრამ

ეს დათვის „კოდა“-ქბენა ფუტკრებს თავის სიცოცხლედ უღირს: ომდენიც „ყურ-დაუჭრელს“ ისარს ჩაარჭობს, იმდენი სულს დალექს, დათვისათვის ნასროლი ისრები თვითონვე ხედებათ სასიკვდილოდ. დახედეთ ბუნების სამართალი! საკუთ-რების დამცველებსვე ჰუმურავს და ჰმუსრავს! დათვი-კი უნდა გაძლეს, გაატი-ალოს, გააქარწყლოს ამოდენა ღვაწლი, შრომა და წავიდეს შშვიდობით, უნდა შე-პრჩხს!...

გაჩნდება წიფელი, გაჩნდება კურკო, პანტა, უხარიან, უხარიან დათვა, შე-შოლამდება და გაუდის ლაწა-ლუწი, აშტერექს, პლეწავს, სჭმს. გადმოსდის პირი-ზამ ქაფი, დორბლი, — გაძლება, გაძლება ისე, რომ სუნთქვა უჭირდება. წავი სალაფავზე, დაპლევს წყალს, „პბლუქავს“, პსრუტავს და დაეგდება. გაგრილდება და კიდევ მიმართავს საჭმელს. ჭამა და სმა, სმა და ჭამა, მუქთი, უფასო, ლმერთ-მა ააშენოს ბუნება, რომელი ბედნიერი დაიკვეხებს დათვთან ბედნიერებას? იმდენს სვამს და სჭამს, რომ სამი თვე ზამთარს უსმელ-უჭმელად ატარებს, ჩაეგ-დება თავის ლოგინში, სოროში, ბუნაგში, რაკი თოვლს ჩამოჰყრის, და ფშეინავს... სძინავს და ფშეინავს, დათვის სუნით არის გარემოცული ის არემარე... ხანდახან დაიკვნესებს მეტისმეტი ბედნიერებისაგან... აბა სხვა რომელი ბედნიერი ეგდება სამი თვე უძრავად, უსმელ-უჭმელად! მაგრამ ამბობენ, დათვი ამ დროს „ტოტს ილოკავსო“. შეიძლება. სინყივრე ნასომ-ნაჭამისა ტოტში მოიყრის თავსა და განსვენების დროს ტკბილად ჟაექცევა. ოპ, ოპ, რა განსვენებაში და ბედნიერება-შია ამ დროს დათვი! ბედნიერება მეტი-ღა შეიძლება, ჭამაც-კი არ უნდება!.. თავისუფლება? დათვზე თავისუფალი ვინ იქნება დედამიწის ზურგზე? რაც უნდა; რაც მოთხოვნილება აქვს, ყველაფერს იქმაყოფილებს. თავი დავანებრო, იმას, დათვს რა მოთხოვნილება აქვს? სმა-ჭამა და ძილი. ყველა ამ მოთხოვნილებას აქმაყოფილებს, მაშ რაზედ-ღა შესწუხდება? არაფერზე. ვის შეუძლიან სთქვას, რომ დათვი თავისუფალი და ბედნიერი არ არის?.. ვინ არის ის ურწმუნო?!. რა-ტომ ეგრე აღვილად არ შეპბედავს მონაღირე და არ ესვრის თოფს? რატომ არ მიუხტებიან დათვა და შიგ სოროში არ ამოართმევენ სულსა? იმიტომ, რომ ეში-ნიანთ!!! ეს კი ბედნიერება არ არის დათვისათვის? რო არ ეშინოდეს კაცს იმისა. აქამდის დათვის ხსენება გაპქრებოდა, მაგრამ ეშინინ და იმიტომ ის კიდევ იხსე-ნიება. იქნება მითხრან: ხანდახან რომ ამოშხამდება დათვს და გვერდებს დაუცხა-ვებენ ხოლმეო? რა ვუყოთ! რა ვუყოთ, ხანდახან ესეთი საქმე კაცთა შორის ყვე-ლაპე ბედნიერსაც დაემართება ხოლმე.

(1889).



## ქვირვასო და მარიამ!

ერთ მოთხოვნას ვიგზავნით, თუ მოგეწონებათ, რა თქმა უნდა, დაპირის დავთ. ამაზე ლაპარაკი მეტია. სალაპარაკო და სათხოვარი ჩენი თქვენთან სულ სხვაა: მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან, უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომაშ გამტება წელში, თანაც ვბერდები, ერთი დღე რომ ვიმუშაო. ერთი კვირა უნდა ვიწვე. ეხლაც ავადა ვარ, უსათუოდ ექიმი და წამლობა შემოვის საჭირო. უნდა, თუ შევიძელი, ამ მოკლე ხანში ჩამოვიდე თბილისში და თავის თავს მოუარო. ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არცარა სოფელს არგო და მე ხომ დამაუდლურა ყოველ მხრივ: ნივთიერად, გონიერივ, ფიზიკურად და თითქმის ზერმაპრივაც-კი. ამიტომ გადავწყვიტე ვიშოვნო რამ ისეთი სამუშაო (დიდს ჯამაგირს არ დავეძებ), რომ იოლად გამოვიდე და ზაფხულობითაც ერთორი თვე თავისუფალი დრო მქონდეს. ვინაც სიყრმიდან აქაურ პირობებში აღზრდილა, შეჩვეულია აქაურ საქმეს, ჯერ ისინი ვეღარა სძლებენ აქ, მიეშურებიან ბარად—შირაქში. თუ სხვაგან და მე რის პატრიონს როგორ შემიძლია აქ ცხოვრება? გარდა ამისა, შეილებიც უსწავლელები მრჩება. მეყოფა ამდენი ძალლუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრიონოს. ამ საქმის შესახებ მე პეტრე სურგულაძესთან შეკრიცა ლაპარაკი, სხვასთან არავისთან შეკრიცა, იმან სათავად-აზნაურო გიმნაზიის ეკონომიკის თანამდებობა დამისახელა, მეც არ ვუთხარი უარი, თუ კი როგორმე მოხერხდება-მეთქი. გთხოვთ თქვენ თავადაც, ვისთანაც ჯერ არს, მოილაპარაკოთ, სურგულაძესაც მოაგონეთ ჩემთან საუბარი ამის შესახებ, რომ ისიც ეცადოს და როგორმე მოახერხოთ. ადგილი, ვვონებ, მომავალი წლის 1 იანვრიდან გაიხსნება. თქვენ როგორც ლიმობიერი ადამიანი საღმე კუთხეში არ მიავდებთ ამ ჩემს წერილს და არ დაივიწყებთ ჩემს თხოვნას. მე რომ ქალაქში ვიცხოვრებ, უმშეველია, ჩემი ლიტერატურული შრომა ერთი ათად იმატებს და არც თქვენ დაგჭირდებათ ჩემთვის შუდარისა და ხვეწის წერილების წერა—ლექსი ან მოთხოვნა გამომიგზავნეთო. რაორწმუნდით, ასე იქნება. პეტრე სურგულაძისთვისაც მინდოდა წერილი მომეწერა, მაგრამ ამჟამად ვერ მოვახერხე. თითქმის წერილი საჭირო არაა, რადგან თქვენ თუ მოინდომებთ, ყველაფერს მოახერხებთ.

სხვას მე წერილს არავის არა ვწერ, რაღან მაგრე-რიგად დაახლოებით არა ვარ არავისთან და თან ისიც ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს.

თქვენი მარალის პატივისმცემელი

ვაჟა-ფშაველა.

## 2018-2019 განმარტვილებელი ნაწილი

„ჩევენი თაობის“ წინამდებარე ნომერში ჩვენ ვათავსებთ ვაჟა-ფშაველას ოამდენიმე” ნაწარ-მოებს, ოომელთაგან ორი: მოთხრობა „დათვი“ და ვაჟას კერძო წერილი გამოუქვეყნებელი მასალაა.

„დათვი“-ს სათაურით ვაჟას აქვა დაბეჭდილი ორი მოთხრობა, ერთი 1889 წელს გაზ. -ივერია“-ში, № № 277, 279, და მეორე 1909 წელს ურნ. „ჩენი ერი“-ს პირველ ნომერში. ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „დათვი“ იბეჭდება ვაჟას ხელნაწერიდან, ოომელიც ინახება საქართველოს მუზეუმში (№ 5317-ბ), ხელნაწერი დათარილებული არ არის. ზოგიერთი სტილისტური ნიშნებით ეს ხელნაწერი უახლოვდება 1889 წელს გამოქვეყნებული „დათვი“-ს პირველ თავს.

ვაჟა-ფშაველას კერძო წერილი მე გადამომცე 1923 წელს სოფ. ჩარგალიდან ჩამოტანილ სხვა ხელნაწერებთან ერთად. წერილი, როგორც ეტყობა, არ არის გაგზავნილი დანიშნულებისამებრ, ავტორს ან დავიწყებია გაგზავნა, ან სხვა რაღაც მიზეს შეუშლია ხელი. შეიძლება გადაითიქრა გაგზავნა. ხელნაწერი არა ჰავას წერილის შავს, სუფთად და წაუშლელად არის დაწერილი და სრული ხელმოწერა აქვს. დათარილებული არ არის, არც მისამართია აღნიშნული, მაგრამ რამდენიმე ნიშნის მიხედვით აღვილად გასარკვევია როგორც მისამართი, ისე წერილის თარილიც.

მარიამ არის უეჭველად საყმაწვილო უურნალი „ნაკადული“-ს რედაქტორი მარიამ დემურია. იგი რედაქტორობდა ამ უურნალს 1910 წლამდე. როგორც წერილიდან სჩანს, ვაჟა-ფშაველას მიუმართავს იმავე თხოვნით პეტრე სურგულაძისთვისაც, რომელიც უურნალ „ერი“-ს რედაქტორად იყო 1909 წელს. ამ წლის განმავლობაში სურგულაძმ გამოსცა უურნალის ოთხი ნოტები. ოთხსავე ნომერში მოთავსებულია ვაჟა-ფშაველას ნაწერები: ორი ლექსი და ორი მოთხრობა: „მოგენდო, ისიც მაშინება,“ „რუსთველის ნეშტს,“ „დათვი,“ და „მელია სერეფენია.“ ამავე წელს ვაჟამ „ნაკადული“-ს სავაჭასხვა ნომრებში დაბეჭდა ხუთი ლექსი და ხუთი მოთხრობა: „საახალწლო სიმღერა,“ „საშეყალის კაცის ვეღრება,“ „ამაო მოი,“ „ობოლი“, „საშობაო ზღაპარი,“ „ახალი წელი ფშავლისა,“ „დიდებული საჩუქარი,“ „ძალლმა ციკანი მოიგო,“ „როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზე“ და „ბერდიხა.“ უნდა ვითქიროთ, რომ ვაჟა-ფშაველამ მიმართა ერთი და იმავე თხოვნით პეტრე სურგულაძესა და მარიამ ლემურიას იმ წელს, როცა ისინი რედაქტორობდენ უურნალებს, რომელთა უახლოესი თანამშრომელი იყო ვაჟა. ეს-იყო 1909 წელს.

ვაჟას ოთხი ლექსი, რომლებსაც ჩვენ აქ ვბეჭდავთ, ცალკე გამოცემებში არსად არის მოთავსებული და გადმოწერილია პირველნაბეჭდ წყაროებიდან: „ზღვმც აალელვა მინარე“ საქართველოს კალენდარი 1891 წლისა; „გულს—ივერია“ 1892 წ. № 204; „ზოგი დრო მოვა“— საქართველოს კალენდარი 1896 წლისა; „ოცნებავ, ჩანგი მომართე“— „ცნობის-უურცლის“ სურათებიანი დამატება 1903 წლისა, № 164.

ალ. აბაშელი



## ვაჟა-ფშაველა

ყველა ჩვენი ლონისძიებანი, დაკავშირებული კლასიკური მწერლობის ათვისებასა და შეფასებასაცან, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საკითხში ლენინური თეალსაზრისის განხორციელების მორიგ დემონსტრაციას. სოციალიზმის მშენებელმა კლასმა მტკუცედ შეითვისა თავისი უღიძესი მასწავლებლების მარქსის, ენგელსის; ლენინისა და სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის კლასობრივი კულტურა არამც თუ არ სპობს და არ უარყოფს კაცობრიობის მიერ წარსულში შექმნილ კულტურულ ლირებულებებს, არამედ ამ ლირებულებათა ღრმად შესწავლისა და კრიტიკულად გამოყენების საფუძველზე შენდება სოციალისტური კულტურა.

ბევრისათვის გაუკებარი აღმოჩნდა ეს მარქსისტულ-ლენინური კეშმარიტება, ზოგიერთებმა კლასიკოსებისადმი ჩვენი დამოკიდებულება გაიგეს როგორც უკრიიტიკოდ ილიარების პოზიცია, ისინი დაქანდებ წარსულისადმი ეპიკონურ დამორჩილების გზაზე და შესთხვეს ყოვლად ყალბი და მავნე „თეორიები“, რომელთა ნიადაგზედაც ყოველ კლასიკოსს სოციალისტად და პროლეტარიატის იდეოლოგად აცხადებდენ.

სამაგიეროდ აღმოჩდენ ისეთებიც, რომელთაც მუშათა კლასის რევოლუციური ამოცანები კულტურის სფეროში, გაიგეს, როგორც წარსულის ყველა ლირებულებათა ნილილისტური უარყოფა. ამით ისინი ობიექტურად მუშათა კლასს ხელიდან აცლიდენ კულტურული მშენებლობის ისეთ ძვირფას იარაღს. როგორსაც წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინურად შესწავლილი და კრიტიკულად დაძლეული კულტურული მემკვიდრეობა.

ვაჟას გარდაცვალებიდან 20 წლის თავის აღსანიშნავი ლონისძიებები, ისე როგორც ჩვენ მიერ ამას წინად ჩატარებული აქაის გარდაცვალების ოცი წლის აღსანიშნავი საღამოები, ისე, როგორც ჩვენს მიერ განზრახული რუსთაველისა და პუშკინის საიუბილეო ლონისძიებანი, მიმართულია იქთქენ, რომ საფუძველშივე აღმოვფხრათ ყოველგვარი დამახინჯებანი და ვულგარიზატორული თეორიები კლასიკოსების საკითხში, რომ სწორი, ისტორიულად ობიექტური შეფასება მიესცეთ ყოველ კლასიკოსის შემოქმედებას. გამოვარკვით მათი შემოქმედების ის დადგებითი ელემენტები, რომლებიც მისაღები და გამოსადევია მუშათა კლასისათვის და გაემახვილოთ პროლეტარული საზოგადოებრივობის ყურადღება მათი დაუფლებისა და ათვისების აუცილებლობაზე.

რატომ და რისთვის აფასებს ვაჟა-ფშაველას მუშათა კლასი, მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია და პროლეტარული ხელისუფლება, რატომ მიგვაჩნია ჩვენ საჭიროდ ასეთ მასიურ ფორმებში აღვნიშნოთ ვაჟას გარდაცვალების ოცი წლის თავი? ან რა არის ისეთი ვაჟას შემოქმედებაში, რაც ჩვენ

უნდა შევისწავლოთ, კრიტიკულად შევითვისოთ და გამოვიყენოთ საბჭოთა ლი-ტერატურის მშენებლობის საქმეში?

ვაუა გასულ საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

პოლიტიკურად ეს იყო სუსტიანი რეაქციის ხანა, როდესაც მეფის თვით-მშენებლობამ ქართველი ხალხის კულტურა, ისე როგორც სხვა ვანაპირია ერუ-ბისაც, უძლავრესი ეროვნული დევნის ობიექტად გაიხადა, ეკონომიკურად კი— კაპიტალიზმის ინტენსიური ზრდის პერიოდი.

ამ გარდავუალი ისტორიული პროცესის გავლენას არ ასცდა ვაუას სამშობ-ლოც—ფშავ-ხევსურეთი, სადაც თითქმის ხელუბლებლად იყო შენახული ძველი ვაროვნული ყოფა-ცხოვრება თავისი პატრიარქალური ურთიერთობით. „მთაში შობილი და ქართულ პოეზიის მთად ქცეული“ ვაუა თანაბარი სიძულვილით არის განწყობილი როგორც საქართველოს ეროვნულ თავისუფლების შემბოჭ-ველ რუსეთის თვითმშემცემულობისადმი, ისე ბურჯუაზიულ ეკონომიკის განვითა-რებისადმი, რამდენადაც მას თან სდევდა მის საყვარელ მთებში საუკუნოებიდ განმტკიცებულ თემურ წყობის საფუძვლების დანგრევა.

ცნობილია, რომ ვაუა-ფშაველა არ ყოფილ პროლეტ. მოაზროვნე, მიუხე-დავად იმისა, რომ მის თვალშინ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქაში ისახებოდა, იზრდებოდა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე კლასად ირაზმებოდა რევოლუციური პროლეტარიატი, ქმნიდა თავის რკინისებურ პარ-ტიას და იძლეოდა რევოლუციურ ბრძოლის გმირულ მაგალითებს, ვაუა-ფშაველი ვერ მიუახლოვდა ამ მოძრაობას, არ გაიზიარა მისი იდეები და არ დაუკავ-შირდა მას.

მიუხედავად ამისა ვაუას შემოქმედებაში ჩვენ მაინც ვხედავთ მთელ რიგ ისეთ მომენტებს, რომელთა მეოხებითაც მისი პოეზია და პროზა ასრულებდა ვარკვეულ დადებით როლს.

სამოციან წლების მოღვაწეთა იდეებზე აღზრდილი პოეტი თავის შემოქმე-დების შახვილს უმთავრესად მეფური ბიუროკრატიის წინააღმდეგ მიმართავდა. იგი მთელი სიმკაცრით ებრძოდა თვითმშემცემულობას კოლონიალური პოლიტი-კის წინააღმდეგ და ხალხის შეგნებაში აღვივებდა არსებული პოლიტიკური წყო-ბილებისადმი ზიზღლასა და პროტესტის გრძნობას.

ვაუას პოეზიის მებრძოლი პათოსი, მისი გამამხნევებელი მოტივები, ის გმირობისა და თავგამწირვის იდეა, რომლითაც ასულდგმულებულია ვაუას შე-მოქმედება, უეჭველად აცხოველებდა ხალხში ბრძოლის ენტუზიაზმს და წერგაფ-და თავისუფლებისათვის თავდადების რწმენას.

ვაუა ებრძოდა ამომავალ კაპიტალისტურ ურთიერთობას და თუმცა ამ შე-მხახვევაში იგი უფრო წარსულის პოზიციებზე იდგა, ვიდრე მომავლის, მაინც საგრძნობლად მძაფრი კრიტიკით ნიღაბი ახადა იმ დროინდელ სოფლის პარა-ზიტულ ელემენტებს, ჩარჩ-ვაჭრებს, მეფის მოხელეებს, და სხვ.

ვაუამ უეჭველად განიცადა ხალხოსანთა იდეური გავლენა, მის პოეზიასა და პროზაში უხვადაა მოცემული ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღ-მდეგ მიმართული მოტივები.

ვაუა უდიდესი სიყვარულით ხატავდა მთის ხალხის ცხოვრებას და განსა-  
კუთრებით მის გმირულ თვისებებს. მაგრამ ამავე დროს თავის შემოქმედებაში  
მკაფიოდ გამოხატა ის წინააღმდეგობანი, რომელმაც თავი იჩინა ახალი სოცია-  
ლური ვითარების მეობებით ამ ხალხის პრიმიტიულ-კარხაკეტილ ცხოვრებაში  
და ამით ერთგვარად ნათელი გახადა ნატურალურ-საგვარეულო წყობილების  
ვანწირულება.

ჩენონთვის ცხადია, რომ ვაუას შემოქმედების მთავარი იდეური შინაარსი  
არ შეესაბამება ჩვენი კლასის იდეებს და ჩვენს თანადროულობას — ჩვენ იგი  
უნდა შევაფასოთ მხოლოდ ისტორიული ლირებულების თვალსაზრისით.

სამაგიეროდ ვაუას შემოქმედებაში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც  
ფლესაც არ კარგავენ თავის ლირებულებას, რომლებიც ჩვენს მიერ აუცილებლად  
მესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნან.

ეს არის ვაუას შემოქმედების უდიდესი მხატვრული ლირებულება. იგი  
საუკეთესო სატატია ეპიური პოეზიის. მან მოგვცა ბუნების და კერძოდ მთების  
ბუნების აღწერის ნამდვილი პოეტური შედევრები. მისი პოეზია წარმოადგენს  
საუცხოვო ნიმუშს ხალხური სიტყვიერების მდიდარი საგანძურის გამოყენებისა.  
ეს შესანიშნავი მასალა მან გადაამუშავა თავისი ლრმა პოეტური ფანტაზიის.  
ასპექტში და ამით მკვეთრი კოლორიტი და ორიგინალური სილრმე მისცა თავის  
ლექსებს, პოემებს, პროზას.

ვაუა უაღრესი ცხოვერლყოფელობით ხატავდა ცოცხალ სინამდვილეს. მისი  
პოემები სიუჟეტის შესანიშნავი კომპოზიციით, ადამიანთა განცდების და სული-  
ერი დრამის ასახვით მხატვრობის უდიდესი სატატობით არიან აღნიშნული.

ხალხურ შემოქმედებაზე მჭიდროდ დაყრდნობამ ვაუას პოეზიას გზა გაუხსნა.  
ხალხის შეგნებისაკენ და გახადა იგი მშრომელი ხალხისათვის გასაგებ და საყვა-  
რელ პოეტად.

თუ თავის პოეზიაში ვაუა მთის თავისებურ დიალექტს დაემყარა, სამაგი-  
ეროთ მისი პროზა საუკეთესო ნიმუშია ქართული პროზაული მეტყველების.  
ვაუას პროზას საპატიო ადგილი უჭირავს სალიტერატურო ქართულ ენის დახ-  
ვეწისა და ჩამოყალიბების საქმეში.

„გველის-მჭამელის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „ალუდა ქეთელაურის“, „შვლის  
ნუკრის ნამბობის“ და მრავალ სხვა პოემების, ლექსების და მოთხრობების ავ-  
ტორი უკველად თავისი მხატვრული ნიჭისა და პოეტური პოტენციის მიხედ-  
ვით გვერდში უდგას ქართული კლასიკური მწერლობის ისეთ კორიფეებს, რო-  
ვორიც არიან გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი  
და სხვა.

სოციალიზმის მშენებელი კლასი და მისი პრეტერლობა ლრმად აითვისებს,  
კრიტიკულად დასძლევს და გამოიყენებს ამ ძეირიფას მემკვიდრეობას.

ჩვენი ვალია კიდევ შეტაც უფრო პოპულარული ვაცხადოთ ვაუას შემოქ-  
მედება და ობიექტურ-მეცნიერული შეფასება მივცეთ მას.

## ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება

ვაჟას თავ სუფლად შეეძლო თავისი ავტობიოგრაფიის ეპივრაფად გამო-  
ყენებინა ი'. ხალხური ლექსი, რომელიც მას ერთ თავის ეთნოგრაფიულ წე-  
რილში მოჰყავს ფშაველთა გმირობის იდეალების დასახასიათებლად:

კა ყმა ლაშქარს მოკვდება.  
სწორების მჯობინობასა,  
ცუდაი—ბოსლის ყურესა,  
ქალებთან ლოგინობასა.

ვაჟა ნამდვილი სპარტანელი იყო თავისი აღზრდით და თავისი ცხოვრების  
სტილით. მან ნამდვილი გმირული გზა განვლო ჩამორჩენილა მთიდან კულტუ-  
რულად დაწინაურებული ბარისაკენ, ხელაწლა მთას დაუბრუნდა ვაჟაცობის  
ასაკში. რათა ბოლოს სული პარში დაელია. ვაჟა რომ სამუდამოდ მთაში დარ-  
ჩენილიყო, ფშავის მიერადნილ ოქმში, შეიძლება მას თავისი წილი შეეტანა ხალ-  
ხური პოეზიის სალაროში, მაგრამ ჩვენთვის ის დღეს ისევე უცნობი იქნებოდა,  
როგორც უცნობია მრავალი ანონიმური პოეტი, რომელთაც ჩვენი მდიდარი  
ფოლკლორი შექმნეს. მეორე მხრით, ის რომ მთას მოწყვეტილიყო და საბო-  
ლოოდ ბარში დასახლებულიყო, შეიძლება მნიშვნელოვანი შეერალი გამბდა-  
რიყო, მაგრამ მის შემოქმედებას არ ექნებოდა იმ უშუალობისა და ორიგინალობის  
ელფერი, რომელიც მისი მომბილობის მთავარ ელემენტს შეადგენს.

თავის ავტობიოგრაფიულ ნაჩვევში „ჩემი წუთი ისოთელი“ რომელიც  
სამწუხაროდ დაუმთავრებელი დარჩა, ვაჟა ორიოდე დამახასიათებელი ხაზის  
მოსმით გვიხატავს თავის ბავშობას და თავის დედმამის სურათს. თუ ამ ავტო-  
ბიოგრაფიულ ესკიზს პოეტის ბიოგრაფების მიერ მოწოდებულ ცნობებს დაფუ-  
მატებთ, ნათლად თვალწინ წარმოგვიდგება ვაჟას მიერ ბედნიერად გატარებული  
პირებით წლები მდლავრი ბუნების წილში და-ძმებთან ერთად, რომელთაგანაც  
ორი — ბაჩანა და თედო — შემდევ აგრეთვე ცნობილი მწერლები გახდენ. რო-  
გორც თვით პოეტი, ისე მისი ბიოგრაფები განსაკუთრებული სიყვარულით იგო-  
ნებენ ვაჟას დედას, ძველებურად სტუმართმოყვარე და ხელგაშლილ ქაღას, რო-  
მელიც თვით სახალხო პოეტთა ოჯახიდან წარმოსდგებოდა და, თუმცა წერა-  
კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ ძრობიდან ან თევზაობიდან და ჭიდაობიდან  
დაბრუნებულ პატარა ვაჟას, თუ მას დალლილობის გამო საჩეჩლის წკრიალში  
არ ჩაეძინებოდა, ხალხურ ლექსებს ეუბნებოდა დაჭიურასა და სხვა ფშაველი  
გმირების შესახებ. წერა-კითხვა ვაჟამ თავისი მამისაგან ისწავლა, რომელიც  
ჩვეულებრივ ხანჯლით სახინკლე ხორცს ჰქებავდა იმ დროს, როცა ბაეშეს პირ-  
ველი ასოები გამოჰყავდა ფიქალზე; შემდევ მას ბიბლიურ მოთხოვნებს უამ-  
ბობდა დავითსა და გოლიათსა, სამსონ უძლეველსა და სხვებზე. მან თავის ვაჟს

“შეაყვარა ავეფხის-ტყაოსანისა“, „მხე-ჭაბუკისა და ჯიმშერის“ კითხვა და გაულ-  
ვიძა მოკრძალება თავისი საყვარელი გმირების—ძლიერი ნებისყოფისა და თვით-  
რწმენის აღმიანების—დავით აღმაშენებლისა, ნაპოლეონისა, ლეონ გამბეტასა,  
ვიქტორ ჰიუგოსადმი. ამ შინაურ მასწავლებელთა გალერეას ამთავრებს ვაჟას  
მესამე აღმზრდელი, მისი მამის უმცროსი ძმა, ბოიგარი, მძლავრი, ბრგვაური  
და სახელოვანი მონადირე, რომლის პორტრეტი ვაჟამ თავის „მოგონებაში“  
დაგვიხატა და რომელმაც მას ბუნებისა და ნადირობის სიყვარული ჩაუნერგა.

ამ ფიგურებიდან ცველაზე დამახასიათებელია ვაჟას მამა — პავლე მლვდელი.  
ესაა პატარა ტანის მთიელი, ამაყი და ენერგიული, მეტერტყველი და ცნობის-  
მოყვარე, ლირსეული შეილისშვილი პირუთვნელი იმედა გოგოჭურ ჩაზიკაშვილისა,  
რომელმაც, ხალხური ისტორიული გადმოცემის თანახმად, ერეკლე მეფეს შექ-  
კადრა:—ბატონო, ორი რომ შენი მიბრძანო, ერთი ჩემიც უნდა გაიგონვო.  
ვაჟას მამა ჯიცტი ავტოდიდაქტია, წერაჟითხევა მწყემსობაში აქვს შესწავლილი,  
ქურდულად, თავის მმის ფარულად, რომელიც სწავლას სჯულის და თემის ლა-  
ლატად სთვლილა და თავისი შეილი კინაღამ თოფით მოპქლა, როცა ხელში  
დაწერილი ფიქალი დაუნახა, მაგრამ პავლე რაზიკაშვილი ყოველ დაბრკოლებას  
სძლებს; სწავლა-ვანათლებას ამთავრებს მონასტერში, კარგად ეცნობა არა მარტო  
საღმრთო წერილს, არამედ საერთ ქართულ ლიტერატურასაც, მლვდელი ხდება  
იმის მაგივრად, რომ ხევისბერი ან დეკანოზი გამხდარიყო, ქრისტიანული წირვა-  
ლოცვის წესს ასრულებს ნახევრად წარმართულ ფშავებებურეთში და იმავე  
დროს ვაჭრობასაც მისდევს, დუქნებს ხსნის გზაჯვარედინებზე, სადაც თელაველი  
ნიქერები უყენია.

თელავის სასულიერო სასწავლებელი, სადაც ვაჟამ ექცი წელი დაბჭო  
შინაური აღზრდის დასრულების შემდეგ, მისი ავტობიოგრაფიული ნარკვევის  
მკვეთრი დახასიათებით, ნამდვილ ძველ რუსულ საპურობილეს წარმოადგენდა,  
სადაც სულისშემხუთავი სახაზინო სული იყო გამეფებული და სადაც მედილე-  
გების როლს გონებაჩუნუნგი მასწავლებლები ასრულებდენ.—პირველად ჩემთვის  
თავისუფალი აღგრძილი კი არ აღმოჩენდა სკოლის მეჩეთზე, ბუხარში ვიჯევი და  
იქიდან სასაკილოდ გამოვიჭიტებოდი, უამბობდა ხშირად ვეჯა თავის ძმებს.  
ქართული ენა განდევნილი იყო პროგრამიდან, მთელი სასკოლო სიბრძნე ამო-  
იწურებოდა გაუვეგბარი ბერძნულ-ლათინური ფრაზების და რუსული ბილინების  
გაზებირებით. გონებაგაბსნილი და ცნობისმოყვარე ვაჟა დაეწაფა წიგნების კი-  
თხვას, მაგრამ რადგან წიგნები აღვილი საშოგნელი არ იყო, უსისტემოდ კით-  
ხულობდა ცველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა, განსაკუთრებით ასტრო-  
ნომიული შინაარსის წიგნებს, რისაც, რასაკვირველია, ბევრი არაფერი ესმოდა.

თუ თელავის სასულიერო სასწავლებელმა ვაჟას გონებასა და ფანტაზიას  
ჯანსაღი საკები ვერ მიაწოდა, სამავიეროდ მან აქ განაგრძო ის სპარტანული  
თვითაღზრდა, რაც თავის სამშობლო სოფელში დაიწყო. მან გაითქვა კარგი  
მოჭიდავის და მობურთალის სახელა, კარგად ისწავლა ძველებური ქართული  
სპორტი—კრიკი, რომელიც იმ დროს თითქმის ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა  
თელავისა. და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში და ცველასათვის  
ფართო ასპარეზს წარმოაღვენდა ძალონისა და სიმარდის გამოსაჩენად.

თელავის პერიოდის ეკუთვნის ვაჟას პირველი სიყვარული: „ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით: მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი და მაღული, უსიტყვო, ისე რომ ვგონებ, ვინც მიყვარდა, იმანც არ იცოდა, მე კი თუ მუდამ დღე თვალით არ მენახა, მოვკვდებოდი. ამიტომ, როცა დროს ვიხელთებდი, იქ უნდა გავქცეულიყავი, საცა ჩემი სატრფო მეგულებოდა. ჩემი სიყვარულის მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და სატრფოს როგორ განეუცხადებდი“.

ასეთივე გაუბედავი იყო ვაჟას მეორე სიყვარულიც, რომელიც მან უკვე თბილისში განიცადა, როცა ის ჩემი მეტ-თვრამეტი წლის მომწიფებული ჭაბუკი საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში სწავლიოდა, „ეს სიყვარულიც პირველს ჰგავდა: შორით კვდომა, შორით დაგვა იყო ჩემი ნუგეში. ვიდრე არ დავვაეკაცი და საყვარელი ქალის ცოლად შერთვა არ განეიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე“.

თუ თელავსა და ტფილისში ყოფნიდან ვაჟამ ბევრი ვერაფერი გამოიტანა გარდა გაუგებარი ბერძნულ-ლათინური ფრაზეოლოგისა, კრიგსა და ჭიდაობა-ში დახელოვნებისა, ბუნდოვანი ასტრონომიული ცნებებისა და „ვეფხვის-ტყაო-სნის“ იდეებით ჩაგონებული პლატონური სიყვარულის მოგონებისა, სამაგიეროდ გორის საოსტატო სემინარიამ, სადაც მან სამი წელი დაჲყო, სახელდობრ, 1879-წლიდან 1882 წლამდე, დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ სულიერ ევოლუციაზე.

გორის საოსტატო სემინარია იმ დროს საუცხოვოდ დაყენებული სასწავლებელი იყო, მას ხელმძღვანელობდენ გამოჩენილი რუსი და ქართველი პედაგოგები. ამას გარდა, გორი წარმოადგენდა რადიკალურად და რევოლუციურად მოაზროვნე ინტელიგენციის ცენტრს, აქ არსებობდა საიდუმლო წრე, რომელიც დაკავშირებული იყო ტფილისის და რუსეთის ხალხოსნურ წრეებთან. გორის რევოლუციონური ინტელიგენციის მეთაური იყო ცნობილი მიხეილ ყოფიანი, რომელიც, სანამ მთავრობა ჩრდილოეთში გადაასახლებდა, ქართულ ენას ასწავლიდა გორის საოსტატო სემინარიაში, ამას გარდა, სამოცდაათიანი წლების დასასრულსა და ოთხმციციანი წლების დასაწყისში გორში დროგამოშვებით ან ხანგრძლივად ცხოვრობდენ: ჩათე კერძესელიძე, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომბური, შიო დავითაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, სიმონ სალარიძე და სხვ. რომელიც მეტად თუ ნაკლებად რუსეთის ხალხოსნური ან ევროპის სოციალისტური იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ.

აი ამ ინტელიგენციის იღეური ზემოქმედების წრეში მოხვდა ვაჟა-ფშაველაც ზოგიერთ თავის სკოლის ამხანავთან ერთად. სოფრომ მგალობლიშვილის და სიმონ სალარიძის მოწმობით ის ამ დროს გულმოდგინედ ეცნობა არა მარტო. არალეგალურ ლიტერატურას, არა მარტო ლავროვის „ისტორიულ წერილებს“ და უურნალ „გპერიოდს“, არამედ ძველი და ახალი ფილოსოფოსების ნაწარმოებსაც და კლასიკოს პოეტებსაც — პომიროსს, დანტეს, შექსპირს, მილტონს, გოეტეს: ამასთანავე რეფერატებს სწერს საქართველოს ისტორიიდან და ჯერ სკოლაში. ჰკითხულობს, შემდევ კერძო ოჯახებში.

შიო დავითაშვილის მემუარების თანახმად ვაჟას ამ დროს საპასუხისმგებლო კონსპირაციულ დავალებას აკისრებენ, როგორც ყველაზე საიმედო ახალგაზრდას,

სვ. სალარიძე გვარწმუნებს, ვაჟა მონაწილეობას იღებდა საიდუმლო კრებაზე, რომელიც 1882 წელს გაიმართა უფლისკინის კლდოვან დარბაზში ფერდალური. საკუთრების კონფისკაციის და პატარა ერების საკითხის გადასაკრელადო; მასა არ სწოდა პრაქტიკიზმი, „პატარა საქმეები“. მისი ლოზუნგი იყო „ან ყველაფერი ან არაფერი“, მისი ფრიერბასისული პუმანიზმი კოსმიურ საზღვრებამდე აღწევდათ. უფლისკინის დარჩაზში მან ფაფარაყრილ ლომივით შეარყია თავისი ფალავნური ბეჭები და გაშმაგებით წამოიძახა: ან თავისუფლება ან სიკვდილიო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გორის პერიოდში ვაჟა საერთოდ უფრო დიდი ეგოცენტრისტის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ხალხში სიარულით გატაცებული ნაროვნიკისა. — აი ადამიანი, რომელიც დადის როგორც მარტორქა, ამბობენ მის შესახებ მისი ამხანაგები. — მე კტრიალებ ჩემი ღერძის ირგვლივ, უპასუხებს ის თავის ამხანაგებს, როცა ისინ უსაყვედურებენ, რად არ დადიხარ კრებებზე. ის დროს ანაწილებს სხეულის კულტურასა და გონიეროვ შრომას შორის, მთელი თავისი პიროვნებით და ყოფაციკებით ის უფრო ძველ სტიკოსს პავს, რომელიც კლასიკური კულტურის ნგრევიდან ალალბედზე გადარჩენილა სადღაც საქართველოს მიუვალ მთებში. როგორც ეტყობა გორში ყოფნის დროს ყალიბდება საბოლოოდ ვაჟას მსოფლედველობა, რომელიც ძველ ბერძნულ პილოცოიზმს უახლოვდება, რამდენადაც მთელი მატერიალური სამყაროს გასულიერებას აღიარებს.



გორის საოსტატო სემინარიის დასრულებით მთავრდება ვაჟას „შეგირდობის წლები“ და იწყება მისი „ხეტიალის წლები“. იგი ერთს წელიწადს მასწავლებლად არის ერწოში, სოფელ ამტნის ხევში, შემდეგ ორ წელიწადს თავის უფროსს ძმასთან გიორგისთას, ერთად, როგორც თავისუფალი მსმენელი, ლექციებს ისმენს პეტერბურგის უნივერსიტეტში: ხელმოკლეობის გამო სამშობლოში ბრუნდება და შინამასწავლებლად მსახურობს ოთარშენში, დიდი ფეოდალის კოტე ამილაზებრის ოჯახში: ბოლოს ორ წელიწადს დიდ თიონეთში ატარებს ისევ სოფლის მასწავლებლად. ამ ხეტიალის წლებში აშკარავდება ვაჟას ხასიათის ძირითადი თვისებები, მისი უპრაქტიკობა და შეგუების ნიჭის უქონლობა, მისი სიფიცე და კეთილშობილი სიახავე, მის მიერ ქედის მოუხრელობა ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე.

ამტნის ხევიდან ვაჟა ადგილობრივი მღვდლის დაბეზღების გამო დაითხოვეს, მოწაფებს მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს უქადაგებსო. ამ დაბეზღებას მოჰყვა მოულოდნელი რევიზია, მაგრამ ვაჟამ რევიზორი სკოლაში არ შეუშვა. ამილახერის ოჯახში მან სილა გააწნა თავის ჯიუტ და გაუგონარ მოწაფეს, შემდეგში ცნობილ გულზევიად და ქედმაღალ ფეოდალს გიორგის, რომელსაც არასოდეს აღარ შერიგებია: ადგილის დაკარგვა იმით აინაზღაურა, რომ თან წაიყვანა და ცოლად შეირთო ამილაზერიანთ უკანონო ქალი, რომელიც ოთარშენის სასახლეში უფრო პირისფარების როლს ასრულებდა, ვიდრე ქალბატონისას. რომანტიული ხასიათი ჰქონდა ვაჟას მაყრიონის მოგზაურობას მცხეთიდან ჩარგლამდე. დამსწრეები მოგვითხრობენ, ვაჟა ცხენზე ისე ამაყად იჯდა, თითქო მთელი ქვეყნის მფლობელიაო. გზათ მაღაროსკარის დუქანში მოქეიფე ფშავლები შეხვდენ, ერთმა მათგანმა ვაჟას შაირი უთხრა, სადაც ცოტა არ იყოს უდიერად მოიხსენია პატა-

რძალი. ვაჟამ ხელი რევოლუციის იტაცა, მოშაირემ ხანჯალი დაახვედრა, მაშინ ვაჟამ რევოლუციის ხმარება ალარ იყადრა, ხანჯალი იშიშვლა და ფშველს ყური ჩამოათალა.

ასეთივე გულფიცხობას და ქედმალლობას იჩენს ვაჟა დიდ თიონეთში მასწავლებლობის დროს, სადაც იგი მთავრობის მიერ მეტად პატივცემულ და ჯვარ მენდლებით დაჯილდოვებულ მამასახლისს სცემს, ასეთივე გულფიცხობას და ქედმალლობას იჩენს იგი სულ ბოლო დროს, როცა უკვე ხანშიშესული და დაწერილშვილებული გამოცდას აბარებს მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე, მაგრამ როდესაც თანამდებობის, სადაც მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო სამსახური, მთავრობა მის მაგივრად ერთს თავადიშვილს ნიშნავს, ის სრულიად უარს ამბობს რაიმე ოფიციალურ თანამდებობაზე.

ვაჟას ბარიდან გაქცევას და საბოლოოდ ჩარგალში დასახლებას, რაიცა 1888 წელს მოხდა, რთული სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს. თავისთვად აღვილი გასაგებია, რომ თავის გენის შემცნობ პოეტს, აღზრდილს რესპუბლიკური ტრადიციებით გაუღენთილ მთის ატმოსფეროში, სადაც ყოველთვის სუსტად აღწევდა რუსეთის ბიუროკრატიისა. და კანონმდებლობის გავლენა, და სადაც თითქო უან უაკ რუსოს იდეალი იყო განხორციელებული, გაუჭირდა შეგუებოდა ბარს და მის საზოგადოებას, სადაც აღექსანდრე III ტახტზე ასვლის. შემდეგ სულის შემხუთავი რეაქციაგამეფდა, ერთ თავის პატარა მოთხრობაში, რომელიც შეუდარებელი ჰქონითა დაწერილი, ვაჟა ამჟღავნებს, როგორ ეზიზლებოდა მას კანცელარიის ვირთხები, ყველა ეს ბაგრატ ზახარიჩები, რომელიც თბილი ადგილის დაკარგვის შიშმა სიცილსაც კი გადააჩვია და რომელთა სიკვდილის შემდეგ მის მეგობართ და ჭირისუფალთ არაფერი რჩებათ, გარდა „ლრა-ატიკის“ ღრმა ცოლით და მშვენიერი „პოჩერკით“ დაწერილი შემჭვარტლული ქალალდებისა.

როგორ შეხვდა ვაჟას მთაში გაქცევას მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება? ვაჟამ თარგმნა და წერა ჯერ კიდევ მოწაფეობას დროს დაიწყო, მისი პირველი მოთხრობები და ნარკვევები „დროებაში“ დაიბეჭდა 1877-78 წ. მისი პირველი ლექსები უურნალ „იმედმი“ 1881 წელს, ამ დროს ის უკვე ცნობილი მწერალია და ლირიკულ ლექსებს გარდა გამოქვეყნებული აქვს ისეთი შედევრები, როგორიცაა „გიგლია“, „მონადირე“, „გოგოთურ“ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „შელის ნუკრის ნაამბობი“, „მოგონება“ და სხვა. ყოველი მისი ახალი თხუზულება აღტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილ და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს გაზეთ „ივერიას“, სადაც ამის ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოსდის ერთპიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილები; შესწყვიტეთ ვაჟა ფშაველას ნაწერების ბეჭდვა, თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო. ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასადმი შემდეგაც კარგა ხანს არ შეცვლილა: მან ჯერ თავი იჩინა თვით „ივერიის“ ერთერთი ხელმძღვანელის მეველის ყოველად უდიერ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ 1894 წელს, ხოლო უკანასკნელ დროს აკაკის ცნობილ ლექსში, სადაც ვაჟას ენა იყო დაწუნებული; ამ ლექსმაც ვაჟას მხრივ რაინდული და თავდაჭრილი პასუხი გამოიწვია. რაც

„შეეხება ვაჟას ბარილან მთაში გადასახლების ხანას, იმდროიდანდელი ოფიციალური და არაოფიციალური საზოგადოების დამოკიდებულება პოეტისაღმი კარგად გამოპატარა თვით გაზეთმა „ივერიაშ“, რომელმაც თავის 1889 წლის პირველ წლებში საახალწლო მილოცვა მიუძღვნა მას:

მთაში არ გედგომილება,  
ჰავაც არ გწყალობს ბარისა.  
ყოველგვარ სამსახურშია  
ზღურბლი გიჩვენებს კარისა;  
დაგითმეს გასართობადა  
სხივი მზისა და მთვარისა,  
ჰაერი წყალა, და ზეცა  
ყველა შენს წებას არისა.

მაგრამ ვაჟას განდევილობა არ აისწენება შარტოოდენ სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით: იგი გამოწვეული უნდა ყოფილიყო აგრეთვე იმ ღრმა სულიერი კრიზისით, იმ შინაგანი კონფლიქტით, რომელსაც ბოლოს თავი უნდა ეჩინა ლალი ბუნების წიალში აღზრდილი ადამიანის საღი ინსტინქტებსა და მის მიერ რუსულ სკოლაში შეძენილ მწიგონბრულ კულტურას შორის. ამ კრიზისის შედეგია, რომ ვაჟა-ფშაველამ უარპყო, რაც ავადმყოფური და უკულმართი იყო რევოლუციის წინადროონდელ საქართველოში: მთლიანი ძალოვანი კულტურული სტილის უქონლობა („ბაბილონს ენათ არევა ჩევნი დროება მგონია“), წვრილ-მანი ბურუუაზიული სულის („გამრავლდა ჩევნს ქვეყანაში მიკიტანი და ჭონია“), რაინდული იდეალების გაცვლა კაბინეტისა და კანცელარიის იდეალებზე („სისხლის დაღვრასთან სწორად გვაჩნის ქალალდს ნათითხნი მელანი“). ასევე უარპყოფს ვაჟა ბურუუაზიული ევროპის დეკადენტურ კულტურასაც, ათვალისწუნებით ლაპარაკობს მის უკანასკნელ სიტყვასა, ნიცშეს ზეკაცობაზე და ევროპიდან ახლადდაბრუნებულ სანდრო შანშიაშვილს ეუბნება: „ხერხემალ გამოფიტული ევროპიელი ფილოსოფოსია შენი ნიცშე, ჩევეულებრივი ნაცარქექიაა; აზვიადებს ყველაფერს, რაც თვითონ არ მოეპოვება“ (შიო მლვიმელის „მოგონებანი“).

უკანასკნელი ოცდაშეიდი წელი ვაჟამ ჩარგალში გაატარა, ამ ხნის განმავლობაში მის განუყრელ მეკობრებს მისი საჯდომი ცხენი, მისი შავქარქაშიანი ხანჯალი და გრძელებწვიანი გაცვეთილი ნაბადი წარმოადგენდენ. ის ცხოვრიბდა სოფელში, რომლის ორმოციოდე კომლი რამდენიმე კილომეტრის მანძილზეა კაფანტული, ისე რომ სანგრძლივი და სუსსიანი ზამთრის დღეებში მეზობელთან ჰისვლაც კი ძელია. მისი ორთახიანი ქვის სახლი მოკლებული იყო არა თუ ჩაიმე ელემენტარულ კომფორტს, არამედ სის იატაკსა და ფართო ჩარჩოიან ჟანჯრებსაც: ის ბაღჩაში, ყანაში და სათიბში მუშაობდა როგორც უბრალო ლეხიკაცი, ხშირად სდებოდა, რომ შეისა ან თიბვის დროს ორი-სამი კილოეტრის მანძილიდან შინ გაიქცეოდა, რათა ქალალდზე გადაეტანა სახეები და დეები, რომელიც მოულოდნელად ეწვეოდა. მაგრამ ჩევეულებრივ ზამთრის რძელ ღამეებში სწერდა, კვარის ან ბუხრის ცეცხლის შუქზე, იმიტომ რომ ავთის მარაგი ყოველთვის არ ჰყოფნიდა. თავისი პოეტური გენისა და თავისი

ადამიანური ლირსების შეგნება მას ხელს არ უშლიდა ძალდაუტანებლად უბრალო და თავდაბალი ყოფილიყო ფშაველების საზოგადოებაში, მათ დღეობებში ის ერთი დაწაფებით ორ-სამ ლიტრ საკარგუმაო ლუდს სვამდა ფშაველი გმირის ღაჭაურას მუზარადიდან, ხოლო მათ მიცვალებულთა სულის შესანდობლად გამარტულ თოფის სროლაში ხშირად ყაბას ღებულობდა, როგორც საუკეთესო მსროლელი. როგორც ნალდ ფშაველს შეეფერება მას წაწლები ჰყავდა ახალგაზრდობაში; მის უძლიერეს ვნებას, რაიცა სიკვდილამდე არ განელებია, ნადირობა შეადგენდა. თავდაჭერილი და ზომიერი იყო სმაჭიმაში, მაგრამ თავდავიწყებით და უზომოთ იცოდა სიყვარულიც და სიძულვილიც. მის ვნებიან სიძულვილს მისი ცხოვრების ფაქტები მოწმობენ, მისი დაუსრულებელი შეტაკებანი მეფის ხელისუფლების უდიერ წარმომადგენლებთან და ქართული პრესის უმცდურ მესვეურებთან, მისი ვნებიანი სიყვარული სხანს მის ლექსებში, რომელიც მისი მეგობრებისადმია მიძღვნილი და მისი ლირიკის შედევრში „სიყვარული“, რომელიც სანდრო რაზიკაშვილის მოწმობით მისი პირველი ცოლის სიკვდილის წინადლებშია დაწერილი და სამუდამო განშორების წინაგრძნობითაა გამსჭვალული.. რაინდულად ექცეოდა მეგობრებსა და ქალებს, თვით მაშინაც კი, როცა ეს უკანაკენელი სიყვარულით ვაჭრობდენ; მაგრამ ადამიანთა საზოგადოებაზე მეტად მაინც ბუნება უყვარდა, საიდუმლოებით მოცული ტყე, პირობზით მოქარული ველი, სალამოს გრილით დაჩრდილული ხევები და აყვირებული წყლები, ხოლო განსაკუთრებით რაღაცის მომლოდინე მაღალი მთები, რომელთაც გაოცებული ეკითხებოდა, რად არ მღერით მთებოვო. ვაჟუაცობის პასაკში მოკლებული არ იყო ძლიერ საზოგადოებრივ ინსტიქტს, მაგრამ სრულიად უმწეო იყო თავისი პირადი და ოჯახური კეთილდღეობის მოწყობაში: მისი თაოსნობისა და ენერგიის წყალობით დასახლდა ფშაველების ორი სოფელი შირაქში, რომელიც დღეს აყვავებულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ არც ამ ახალშენებს, არც თვით მას არ გახსენებიათ მისთვის ერთი ნაქერი მიწა მიეზომათ.

ბარში უფრო ხშირად ზამთრის პირას ჩამოდიოდა, რათა რედაქციისათვის ახალი ხელნაწერები გადაეცა და ის მცირე პონორარი მიელო, ათი თხუთმეტი მანეთიდან ოც-ოცდახუთ მანეთამდე, რაიცა მისი, ლარიბული არსებობის ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. უყვარდა დროსტარება და დარბაისლური საუბარი თავის უახლოეს მეგობრებთან. შიო მღვიმელსა, ივანე ბუქურაულსა, ილიკო აღლაძესა, ევდოშვილსა, ნიკო კურდღელაშვილსა და სხვ. ერთად, ტფილისის ზოგიერთ ბოჭემურ სარდაფს, მაგ. ქოსებისას მან სამუდამოთ გაუთქვა სახელი. უკანასკნელ წლებში დასძლია ქართველი საზოგადოების გულგრილობა და გაუგებრობა და დიდი პოეტის სახელი მოიხვეჭა, თუმცა უკიდურეს სიღარიბეს თავი მაინც ვერ დააღწია. 1913 წელს ქუთაისში სალამო გაუმართეს, ხოლო 1915 წელს გაზაფხულზე ტფილისში იუბილე გადაუხდეს. მაგრამ ამ დროს გაციცვების ნიადაგზე ის უკვე მომაკვდინებული სენი იყო დაავადებული და ამავე წლის 27 ივლისს გარდაიცვალა ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში, სადაც მაშინ სამხედრო ლაზარეთი იყო მოწყობილი მოკვდა ისევე სტოიკურად, როგორც თავისი სიცოცხლის 53 წელი გაატარა მხოლოდ სიკვდილის წინ მოითხოვა, რომ მის ოთახში იატაკზე ახლად მოჭრილ

ხის ტოტები, ბალახი და ყვავეილები დაეყარათ, რათა ზედ დაწოლილიყო და ერთხელ კიდევ ეყნოსა მთებისა და ველების სურნელება და საბძლის ბურდოში გატარებული ბეღნიერი ბავშობის ღამეები მოეგონებია.



ვაჟა ფშაველა როგორდაც განმარტოებული დგას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უცილობელია, რომ მასზე ერთგვარი გავლენა მოახდინეს ილია ჭავჭავაძემ თავისი „მგზავრის წერილებით“ და რაფიელ ერისთავმა თავისი „სამშობლო ხეესურისათი“. შემდეგ ვაჟას ლირიკაში, განსაკუთრებით მისი სი-ცოცხლის უკანასკნელ წლებში, გაისმის ღრმა ტრაგიკული მოტივები, რომელიც დ. გურამიშვილის ლირიკას მოგვავონებს. ბოლოს ის ალექსანდრე ყაზბეგს ენა-თესავება თავისი სენსუალიზმით და თავისი ტენდენციებით გმირობისა და რო-მანტიკისადმი. მაგრამ მეორე მხრივ ის ძალიან დაშორებულია ი. ჭავჭავაძის ოდნავ მშრალ ინტელექტუალიზმს, პატრიარქალური და იდილიური რაფიელ ერისთავის გულკეთილობას, დ. გურამიშვილის მძაფრ ქრისტიანულ შეგნებას, ა. ყაზბეგის ოდნავ დეკადენტურ გრძნობიარობას.

ვაჟას გრძნობიარობაში არაფერია ავადმყოფური ან დეკადენტური, მის რომანტიზმში არაფერია ნაძიები ან ძალდატანებული. მისი გმირები მტრებს ებრძებიან, სისხლიდან იცლებიან და იხოცებიან 'ისევე უბრალოდ, როგორც ამას მისი დაჭრილი მგლები, ველებვები ან ფრთამოტეხილი არწივები შვრებიან:

ხევის პირზედა, ლოდებზე  
გიგლია კვდება ხარია,  
არ უნდა გულს ხელს დაკრეფა,  
კლდეს მიუბჯინავ მხარია!  
კვდება გულს უწადინოდა,  
მტრისა მიპყვება ჯავრია.

ასევე გმირულია მისი პეიზაჟიც, ის წარმოადგენს არა ექზოტიურ სათეატ-რო დეკორაციას, არამედ მღელვარე შინაგანი ცხოვრებით გაუღენთილ არსებას, არგანიულად დაკავშირებულს მისი გმირების ცხოვრებასთან:

როცა გიგლია კვდებოდა,  
მთებ სატირელზე სხდებოდა:  
ერთი ბებერი არწივი  
ზეით ჭიუბში წყრებოდა...  
მაღლით მომფრენი მთის წყარო  
სიბრალულისან შჩებოდა...  
სამყარომ შაგი ჩაიცვა,  
მყვირალი რაღას შვრებოდა.

მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა. ჭჭონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნელად და მისი მშვენიერების ასათვისებლად. ის დაჯილდოვებულია არაჩემულებრივი მდიდარი ქვეშეცნობილი ცხოვრებით, მისი სული თითქო სრულიად ბუნებრივ დიალოგს მართავს არა მარტო ცხოველებსა და მცენარეებსა,

არამედ კლდეებსა და ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პეიზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე, განსაკუთრებით, როცა ეს უკანასკნელი მოწყვეტილია ბუნებას და თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ასტალტიანი ქუჩებისა და აგურის შენობების გარემოცვაში ატარებს.

ამ თავისებურ გრძნობიარობას თავისებური მსოფლგაგება უდევს საფუძვლად: ვაუა ფშაველა სამყაროს უცქერის, როგორც ნამდეილი წარმართი, მის შეგნებაში ქრისტიანულ სპირიტუალიზმს ჯერ კიდევ ორმო არ გაუთხრია ბუნებას. და ადამიანს შორის, მისთვის მთელი ბუნება ერთნაირად სულჩადგმულია, ერთოდა და იმავე ღვთაებრივი გონებითაა გამსჭვალული: ამიტომ ის ვერავითარ არსებითს განსხვავებას ვერ ჰქონდავს არა თუ ადამიანსა და ცხოველსა ან მცენარესა, არამედ ადამიანსა და ე.წ. არაორგანიულ სამყაროს შორისაც. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია თავისთავის შედარება ნაიაღალარ ხართან ან მთის არწივთან; ერთს თავის სიმღერაში ის ნანობს, რომ ადამიანად გაჩნდა:

რამ შემქმნა ადამიანად,  
რატომ არ მოვედ წვიმადა,  
რომ ვყოფილიყავ. მუდამა  
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა,  
მიწაზე გადმოსაგდებად  
ცვარად ან თოვლად ცივადა, —  
არ გამწირავდა პატრონი  
ასე ოხრად და ტივლადა...  
თოვლათ ქცეულსა გულშია  
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,  
რომ ისევ ჩემი სიკვდილი  
სიცოცხლედ გადიქცეოდა  
და განახლებულ ბუნებას  
ყელყურზე მოესვევოდა.

ამ ლექსში, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი და თითქო სიკვდილის წინათერძნობითაა ნაკარნახევი, ნათლად ვხედავთ, რას სთვლიდა ვაუა ადამიანის შეჩერებად, მისი ტრაგიზმის წყაროდ: ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ ხდება. მისი ინდივიდუალიზაცია, მისი გამოთიშვა უპიროვნო ბუნებისაგან: თუ ეს არ ყოფილიყო, მას არ ეცოდინებოდა რა არის სიკვდილი, ვინაიდან ბუნებაში არაფერი არ კვლება, იქ მხოლოდ მეტამორფოზი ხდება.

გავიხსნოთ ვაუას პოემების მთავარი გმირები. თუ მათ ან წარმართების სახელები აქვთ (მაგ., თოროლვაი, ზეზვაი, ზეიადაური, ლუხუმი, ალუდა, გოგოთურ, მინდია, სულა და სხვ.) ან ცხოველების (მაგ., დავთა, მგელიკა, ძალიკა, ფოცხვერა, ჯიხვაი, კურდლელა და სხვ.), ეს მიტომ რომ მათი შემქნელი პოეტის მსგავსად ისინი ახლო სდგანან წარმართულად გაგებულ ბუნებასთან. თავიანთ მხრივ ვაუას ლომები, არწივები, შვლის ნუქრები, ხმელი წიფლები, იები, მთის წყაროები, თვით მთები თითქო ადამიანურად გრძნობენ და აზროვნობენ, მხოლოდ მათი სულიერი ცხოვრება რაღაც სიზმარისებურ ბურუსშია გახვეული და ინდივიდუალური შეგნების სინათლით არაა განათებული. გავიხსნოთ რა წარმართული სენსუალიზმით აქვს გადმოცემული ვაუას სცენები ნადირობიდან,

როცა ადამიანი განსაკუთრებით უშუალოთ გრძნობს თავის სიახლოეს ბუნებას-თან. თორლენი ხარირებზე ნადირობს ყვირილობის დროს. ნადირის მოსატყუებლად იგი ბუჩქნარში ხმელ ხის ტოტს სტეხს და სამჯერ დაიბუხუნებს ფური-ირემიკით:

ფური ვეგონე, მოარდა,  
უნდოდე გულე ეჯერა,  
კინაღართ გამანადგურა,  
კინაღ ბირდაპირ მეძგერა.  
ვაჟაცის ილეთი ჭეონდა  
სქელი კასური ელერა („მონადირე“).

თვარელი მთელი დღე უშედეგოდ ნადირობს, სალამო ქამს კლდის პირზე დაჭრილ ვეფხვს წააწყდება მოულოდნელად:

— რას უცდი, მონადირეო,  
დაჭკარ, ხომ ვეფხვიც მხეცია!  
— არ დავკრავ, ძმაო, რომ მომკლა;  
როდი გახლავარ ბეცია,  
ეგეც ჩემსავით ნადირობს,  
კალთები აუკეცა,  
ნადირობაში მაგასაც  
მთაბარი დაუკეცა.

თვარელი ჩირქს ამოუფხექს და ჭრილობას შეუხვევს ვეფხვს. მადლობის ნიშნად ეს უკანასკნელი მარეკის როლს ასრულებს და მას ხარირებსა და ხარჯიხვს მოაკვლევინებს („დაჭრილი ვეფხვი“).

ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ წუთიდან, როცა ისინი სცდილობენ გადალახონ ბუნებრივი ან ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი საზღვრები. ტრაგიკულია მინდიას ბედი „გველის მჭამელში“, იმიტომ რომ რომ მან გადალახა ადამიანისთვის მიჩნილი საზღვრები და ქაჯური ნიჭი შეითვისა, ტრაგიკულია ოლუდა ქეთელაურის ბედი, მან თემის ჩეკულები დაარღვია და მარჯვენა ხელი არ მოსჭრა მოკლულ მტერს; ბოლოს ტრაგიკულია ჯოუოლას და აღაზას ბედი „სტუმარმასპინძლიდან“, მათ ულალატეს თავიანთ თემის და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა და ჭირისუფლობა გაუწიეს, თემი შეუბრალებლად ებრძევის თავის გამდგარ წევრს, აძევებს ან ჰკლავს მას. თემის ნებისყოფა უმაღლესი კანონია, მის დასაცავად ხშირად მიცვალებული წინაპრებიც კი გამოდიან. მაგრამ თუმცა ვაჟას ესმის რა ტრაგიკულია თემიდან გამოთიშული და გამდგარი პიროვნების ბედი, მისი სიმპატია მაინც ამ უკანასკნელის მხარეზეა. „ალუდა· ქეთელაურში“, „სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟა თავის ტრაგიკულ გმირებთან ერთად ლახავს ვიწრო ტომობრივ და ნაციონალურ განკერძოებულ გრძნობას და ზოგად ადამიანურ თვალსაზრისისამდე მალლდება. რასაცირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა მოკლებული იყოს მძაფრ პატრიოტულ გრძნობას. პირიქით, ვაჟას მთელი შემოქმედება სამშობლოს ღრმა სიყვარულითა გაელენთილი, ძნელია უფრო პატრიოტული ნაწარმოების წარმოდგენა, ვიდრე მაგ. მისი „ბახტრიონი“; „ხმლის ჩივილი“ და სხვ. მხოლოდ ეს პატრიოტიზმი ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს პოეტის სიტყვებით:

სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ნურც ნურვინ შეგვეცილება,  
თორებმ ისეთ დღეს დავაყრით,  
შეკვდასაც კი გაეცინება.

არამედ კლდეებსა და ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პეიზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე, განსაკუთრებით, როცა ეს უკანასკნელი მოწყვეტილია ბუნებას და თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ასტალტიანი ქუჩებისა და აგურის შენობების გარემოცვაში. ატარებს.

ამ თავისებურ გრძნობიარობას თავისებური მსოფლგაგება უდევს საფუძვლად: ვაუა ფშაველა სამყაროს უცქერის, როგორც ნამდეილი წარმართი, მის შეგნებაში ქრისტიანულ სპირიტუალიზმს ჯერ კიდევ ორმო არ გაუთხრია ბუნებას. და ადამიანს შორის, მისთვის მთელი ბუნება ერთნაირად სულჩადგმულია, ერთი და იმავე ღვთაებრივი გონებითაა გამსჭვალული: ამიტომ ის ვერავითარ არსებითს განსხვავებას ვერ ჰქედას არა თუ ადამიანსა და ცხოველსა ან მცენარესა, არამედ ადამიანსა და ე. წ. არაორგანიულ სამყაროს შორისაც. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია თავისთავის შედარება ნაიაღალარ ხართან ან მთის არწივთან; ერთს თავის სიმღერაში ის ნანობს, რომ ადამიანად გაჩნდა:

რამ შემქმნა ადამიანად,  
რატომ არ მოვედ წვიმადა,  
რომ კოფილიყავ მუდა  
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა,  
მიწაზე გადმოსაგდებად  
ცვარად ან თოვლად ცივადა,—  
არ გამწირავდა პატრონი  
ასე ოხრად და ტივლადა...  
თოვლათ ქცეულსა გულშია  
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,  
რომ ისევ ჩემი სიკვდილი  
სიცოცხლედ გადიქცეოდა  
და განახლებულ ბუნებას  
ყელყურზე მოეხვევოდა.

ამ ლექსში, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი და თითქო სიკვდილის: წინათვრძნობითაა ნაკარნახევი, ნათლად ვხედავთ, რას სთვლიდა ვაუა ადამიანის შეჩერებად, მისი ტრაგიზმის წყაროდ: ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ ხდება მისი ინდივიდუალიზაცია, მისი გამოთიშვა უპიროვნო ბუნებისაგან: თუ ეს არ ყოფილიყო, მას არ ეცოდინებოდა რა არის სიკვდილი, ვინაიდან ბუნებაში არაფერი არ კვლება, იქ მხოლოდ მეტამორფოზი ხდება.

გავიხსენოთ ვაუას პოემების მთავრი. გმირები. თუ მათ ან წარმართების სახელები აქვთ (მაგ., თორლევი, ზეზაი, ზეიადაური, ლუზუმი, ალუდა, გოგო-თურ, მინდია, სულა და სხვ.) ან ცხოველების (მაგ., დავთა, მგელიკა, ძალიკა, ფოცხვერა, ჯიხვაი, კურდლელა და სხვ.), ეს მიტომ რომ მათი შემქნელი პოეტის მსგავსად ისინი ახლო სდგანან წარმართულად გაგებულ ბუნებასთან. თავიანთ მხრივ ვაუას ლომები, არწივები, შვლის ნუქრები, ხმელი წიფლები, იები, მთის წყაროები, თვით მთები თითქო ადამიანურად გრძნობენ და აზროვნობენ, მხოლოდ მათი სულიერი ცხოვრება რაღაც სიზმარისებურ ბურუსშია გახვეული და ინდივიდუალური შეგნების სინათლით არაა განათებული. გავიხსენოთ რა წარმართული სენსუალიზმით აქვს გადმოცემული ვაუას სცენები ნადირობიდან,

როცა ადამიანი განსაკუთრებით უშეულოთ გრძნობს თავის სიახლოვეს ბუნებას-თან. თორტლები ხარირებზე ნადირობს ყვირილობის ღროს. ნადირის მოსატყუებლად იგი ბუჩქნარში ხმელ ხის ტოტს სტეხს და სამჯერ დაიბუზუნებს ფურირემიკით:

ფური ვეგონე, მოარდა,  
უნდოდა გული ეჯერა,  
კინალართ გამანადგურა,  
კინალ პირდაპირ მეძგერა.  
ვაჟაცის ილეთი ჰერნდა  
სქელი კისერი ედერა („მონადირე“).

თვარელი მთელი დღე უშედეგოდ ნადირობს, სალამო უამს კლდის პირზე დაჭრილ ვეფხეს წარწყდება მოულოდნელად:

— რას უცდი, მონადირეო,  
დაჟკარ, ხომ ვეფხეიც მხეცია!  
— არ დავკრავ, მათო, რომ მომკლა;  
რადი გახლავარ ბეცია,  
ეგიც ჩემსავით ნადირობს,  
კალთები აუკეცია,  
ნადირობაში მაგასაც  
მთაბარი დაუკეცია.

თვარელი ჩირქს ამოუფხექს და ჭრილობას შეუხვევს ვეფხეს. მადლობის ნიშნადეს უკანასკნელი მარეკის როლს ასრულებს და მას ხარირემსა და ხარჯიხეს მოაკვლევინებს („დაჭრილი ვეფხეცი“).

ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ შუთიდან, როცა ისინი სცდილობენ გადალახონ ბუნებრივი ან ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი საზღვრები. ტრაგიკულია მინდიას ბედი „გველის მჭამელში“, იმიტომ რომ მან გადალახა ადამიანისთვის მიჩენილი საზღვრები და ქაჯური ნიჭი შეითვისა, ტრაგიკულია ალუდა ქეთელაურის ბედი, მან თემის ჩვეულებზე დაარღვია და მარჯვენა ხელი არ მოსჭრა მოკლულ მტერს; ბოლოს ტრაგიკულია ჯოყოლას და აღაზას ბედი „სტუმარმასპინძლიდან“, მათ ულალატეს თავიანთ თემს და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა გაუწიეს, თემი შეუბრალებლად ებრძეის თავის გამდგარ წევრს, აძევებს ან ჰკლავს მას. თემის ნებისყოთა უმაღლესი კანონია, მის დასაცავად ხშირად მიცვალებული წინაპრებიც კი გამოდიან. მაგრამ თუმცა ვაჟას ესმის რა ტრაგიკულია თემიდან გამოთიშული და გამდგარი პიროვნების ბედი, მისი სიმპატია მაინც ამ უკანასკნელის მხარეზეა. „ალუდა ქეთელაურში“, „სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟა თავის ტრაგიკულ გმირებთან ერთად ლახავს ვიწრო ტომობრივ და ნაციონალურ განკერძოებულ გრძნობას და ზოგად ადამიანურ თვალსაზრისამდე მაღლდება. რასაცეირებელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა მოკლებული იყოს მძაფრ პატრიოტულ გრძნობას. პირიქით, ვაჟას მთელი შემოქმედება სამშობლოს ღრმა სიყვარულითა გაუღენთილი, ძნელია უფრო პატრიოტული ნაწარმოების წარმოდგენა, ვიდრე მაგ. მისი „ბახტრიონი“, „ხმლის ჩივილი“ და სხვ. მხოლოდ ეს პატრიოტიზმი ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს პოეტის სიტყვებით:

სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ნურც ნურვინ შეგვეცილება,  
თორებ ისეთ დღეს დავაყრით,  
შევდარსაც კი გაეცინება.

მაგრამ ვაუა კრიტიკულად ეპყრობა არა მარტო ხალხურ მსოფლმხედველობასა და ზნეჩვეულებებს; არამედ იმ მხატვრულ განძსაც, რთმელსაც იგი ხალხური ლეგენდისა და მითოსის სალაროდან სესხულობს. არც ერთი ქართველი პოეტი ისე უშუალოდ არ დასწავებია ნოყიერი ქართული ფოლკლორის პირველ წყაროებს, როგორც ვაუა დაეწაფა. ამ გარემოებამ მისი ისედაც საოცარი ლექსიკონი კიდევ უფრო გაამდიდრა კონკრეტული, ძარღვიანი სიტყვებით და გამოთქმებით, მის სახეებს ბიბლიური უბრალოება და მონუმენტალობა მისცა. მაგრამ, როგორც შემცდარია ის შეხედულება, თითქო ვაუა რაღაც გაუგებარ პროფინციულ უარგონზე სწერდეს, ისე შემცდარია ის შეხედულებაც, თითქოს მას თავის პოემებში უკრიკიტოდ, პასიურად გადაპქონდეს ხალხური პოეზიის სიუჟეტი, ტიპები და მხატვრული სახეები; ეს მან ამიმშურავად დაამტკიცა თავის პასუხში იპ. ერთაგავასადმი. ვაუას ამაოდ არ გაუვლია კლასიკური ლიტერატურის სკოლა: მას აქვს კომპოზიციის დიდი გრძნობა, მისი შედარებები მოულოდნელი და ორიგინალურია, მისი სტილი ენერგიული, და ლაპიდარული. ამას ზედ ერთვის არაჩვეულებრივი, თითქმის უბადლო ნიჭი მხატვრული სახეების შექმნაში, ამ მარივ მას ბევრი პოეტი ვერ შეედრება ვერც ქართულ, ვერც მსოფლიო ლიტერატურაში. მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ მან ვერ შეიმუშავა თავისი ინდივიდუალური ლექსწყობა და თავის ეპოსსა და ლირიკაში უმთავრესად ხალხური შაირი გამოიყენა, ცოტა არ იყოს ერთფეროვანი გახადა მისი პოეტური ენა.

ვაუას შემოქმედების ფორმალური ესთეტიური ანალიზი, კერძოთ მისი მხატვრული სახეების შესწავლა ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყენათ იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ინტენსიურია პოეტის ნათელმხედველობა და გრძნობიანობა და რა ძლიერია მისი ნიჭი შინაგანი ხილვის პლასტიურად გაღმოცემაში.

ავილოთ ერთი მომენტი, რომელსაც უდიდესი როლი უჭირავს ვაუას შემოქმედებაში, სახელდობრი, სქესობრივი სიყვარული. ახალგაზრდა ვაუას აზროვნებაზი ქალ-ვაუის სიყვარული მძაფრი სენსუალიზმის ატმოსფეროშია გახვეული; მისი მწყემსები ერთმანეთს ხდებიან არა როგორც სისხლნაკლები ეროტომანები, არა-მედ როგორც თხისჩლიქიანი სატირები:

თუ მომკლავ, ისევ შენ მომკალ,  
ქალავ, თავ დახრით ჩუინარო;  
დღეს ჩემის პირის მკოცენელო,  
ხვალ სხვისთვის ძუძუს მჩინარო... (.სიმღერ: „)  
ტყუილად ჰერთხები, ქალაო,  
კიდევ მოალის ზაფხული,  
მოგანდომებენ ჯალაფნი,  
ჩემთან იქონო სულ-გული...  
ნეც იქ დაგხვდები ფოცხვერა,  
გაკრული გორის პირადა.  
მალე გაგიწყვეტ საკინძსა,  
ჩაგეტოლები ძნელადა („მწყემსის მუქარა“)

შემდეგ ვაუას ასაკში შესვლასთან ერთად სიყვარულის ცნება თანდათან იწმინდება და მალლდება; სიყვარული მისი გაგებით იქცევა ძალად, რომელიც

ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო ცოცხალ არსებათ, არამედ ცოცხალსა და შიცვალებულსაც:


ქალს თვალ შალშავას უთხროდით,  
მალე მაიჭრას თმანია,  
შავეთში კელაპტრად მინდან,  
რო გავიკვლიო გზანია („მწყემსის ანდერძი“)  
ვინა სთქვა, ტრფობა ბერდება  
და სატრფიალო საგანი,  
ყინულის ეკალს დაისხაშს  
წამწები ცრემლით ნაბანი?..  
ცოცხალი პირქვე დაშმარხვეთ,  
დამხურეთ პიჭია საბანი,  
თუ ჩემს შენდამი სიყვარულს  
დაეკლოს ერთი ცვარია...  
საფლავშიც შეზედ ვიფიქრებ,  
შენით ვიცოცხლებ მკვდარია („სიყვარული“)

ბოლოს სიყვარული წმინდა იდეალური, ყოვლის დამძლევი ძალა ხდება:  
გამოღმით მე ვარ, გაღმა — შენ,  
შუაზე მოდის მდინარე,  
ხიდი არ გვიძე წყალწედა,  
ფიქრი გვალავს მოუთმინარე.  
მინდა გაკოცო, მაკოცო,  
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,  
მაგრამ ვერსაიდ გამოვედ  
ამ სატიალო მდინარეს..  
რა უნუგეშო ყოფნა,  
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში;  
რომ მოვკვდე, ბევრით სჯობია,  
მაინც გარგვარ ვერრაში...  
არა, ის მინდა, გხედავდე,  
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში („სიმღერა“).

ქართველ კლასიკოსებს შორის ბევრი არაა ისეთი მწერალი, რომელიც ჩვენი თანამედროვე თაობის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას შეედრებოდეს. ის მრავალმხრივ წასაბაძ ნიმუშს წარმოადგენს, როგორც მაღალი იდეალებისათვის თავ-განწირული ადამიანიც და როგორც ხელოვნების დადი ასტატიც. მან დაგვანახა, როგორ ნაყოფიერდება ინდივიდუალური შემოქმედება, როცა ის კოლექტიურ შემოქმედებას ეულლება, მან გაგვიღვიძა გმირობისა და საღი რომანტიკის შული. მართალია, დღეს ჩვენთვის მიუღებელია შურისძიებისა და სისხლის აღების ადათი, რომელსაც ხშირად მისი გმირები იცავენ, მაგრამ ყველასათვის, ვინც გულგრილად არ უცქერის იმ დიდ სოციალურ ბრძოლებს, რომელსაც თანამედროვე თაობები აწარმოებენ, გასაგები უნდა იყოს ვაჟას გმირების სიმამაცე და მოუღრეკლობა, რასაც ისინი იჩენენ მაშინაც კი, როცა მათ „სტუმარ მასპინძლის“ გმირ ზვიადაურივით ყელზე მტრის ხანჯალი აქვს დაბჯენილი.

# მეტენის გარემო დოკუმენტები

800680 კალანდარი



კავკასის ქედმაღალს ვინ შეჭბედავდა,  
ვინ შეაღგამდა ფეხს მყინვარს ზეიაღს?!  
ბარში დალუპულ გმირთა დედათა  
მოთქმა იქ ამბვად აჰეონდა ნიავს.

დაბლა კი ეგდო გუდამაყარი,  
თრუსო, ხევი და ხევებში ხერგი,  
ქაფმორეული, ჯანლანაყარი,  
ჩერქეზეთისკენ გარბოლა თერგი.

მყინვარის წვერზე ქარი. წიოდა,  
იდგნენ, სასწაულს ელოდენ მთები.  
თრუსოს არწივი ჩამოლიოდა  
და ლეგა ჯანლი მოჰქონდა ფრთებით.

იტვირთეს მთებმა გრეგორი და თქეში,  
საუკუნენი ვიდოდენ ზანტად.  
რამდენი ჯიხვი ჩაიმსხვრა კლდეში,  
რქებით რომ ხევდა ნისლების ფარდას.

დღეს საბჭოეთის ხალხი ამდგარა,  
თერგი ლმუის და მყინვარი შიშობს;  
თერგს არ სმენია ხმები ამგვარი,  
ქურთაულის და დავლეთის პირმშოს.

ხევიდან ხევში ხმა გავარდნილა,  
გერგეთის მთაზე ზარს ამბობს თელზე,  
რომ ჩვენი ქვეყნის კორ-ცენტრი დნება  
წითელ ყინულებს დაადგეს ფეხი.



ლელის პირებზე ბნელი შამბები,  
მწკრივად ჩარგული ჩანს ტირიფები;  
ალვის ხეები, ვით ჟირაფები,  
იზმორებიან ტანირიბები;

ამოშოლტილი სწორი ცაცხვები,  
რბილი ხავერდი, მწვანე მოლები,  
გული გეტყვის და თუ გსურს წაწვები.  
ბუნებას მკერდში ჩაეკონები!

ელავს ეზოში ლურჯი ბალახი  
დილაა, წუხელ მოსულა წვიმა.  
ისროლა ბანზე მან ჩაბალახი  
და გაეშურა გორაკის მიღმა.

— მე გარდამავალ დროშას ნამდვილად  
ვერც დღეს ავიღებ, არ უნდა ეჭვი.  
ეს სთქვა ლუკამ და მწვავე განცდილად  
მეტაკრულივით ასწია ბეჭი.

აეწვა ვაჟკაცს ფერმკრთალი ლოყა  
და დაემსგავსა გაცრეცილ ტილოს,  
მოლურბლა წარბი, მირბის და ოხრავს,  
მზად არის მწარე ცრემლით იტიროს.

არა! არ მინდა უგულო ვიყო,  
მე კომკავშირის გამაყობ მოდგმით.  
ბრძოლა შეტევით უნდა დავიწყო  
და არა ამგვარ წუწუნით, მოთქმით.

მოსწვი, მოწმინდე და მოვა წვიმა,  
ნოყიერ ბელტებს წვეთები ჩაშლის...  
მაღალ ქედიდან ჩანჩქერი ცვივა,  
როგორც შერხეულ ტოტიდან ვაშლი!!

ჩანჩქერი ცამდე აბჯენილ კლდიდან  
გავს გაღმოფენილ ატლასის ქათქათს.  
ამომავალ მზის ელვარე სხივთა  
მოვარდისფერო სიწითლე გასდგამს!!

აეწვა ვაჟკაცს ფერმკრთალი ლოყა  
და დაემსგავსა გაცრეცილ ფურცელს.  
— გესმის, ლუარსაბ, ბრიგადა შომყავს,  
თუ ხარ ვაჟკაცი, სცადე გაუძელ!!

შეირჩა მინდვრის ველური პანტა,  
მზე სხივს რომ აყრის მოოქრილ ძაფად.  
გრუზა თმა შუბლზე შემოიფანტა  
და ჩაამწყრივა ბრიგადა სწრაფად!

ხერხემლის ძვალი შეკუმშა ბუღამ,  
ჩადგა კვალში და წახარა ქედი,  
რეინის გუთანი ნიაღავს ბურღავს,  
ბელტიდან შავი მოჟონავს წვეთი.

ვით დახოცილი ყორნების ეუნდი  
ყრია ბელტები შავი და მსუყე;  
სიმღერის ტალღავ შენც აწყარუნდი,  
წინ მიგჷავს ჯგუფი და თვალებს უხელ!

აჰა, ლუარსაბს გადაჰყავს რაზმი,  
შემოუტია ლუკას მარცხნიდან.  
მობრუნდა ლუკა და ერთი გასმით,  
თითქოს დაბანილ თავს ივარცხნიდა,—

გაყო სისწრაფით ბრძოლის ფართობი  
და მონაკვეთი აილო ნარდად.  
აჩქროლდა მკლავში რკინა ნალნობი  
და ბრძოლა მწვავე კვლავ გაიმართა!

აყვირდა მთაზე ირემი ფური  
და გაშტერებით გადმოდგა ქიმთან.  
მზე ჩაღის უკვე, აშალა ბური  
კოკისპირულად წამოსულ სხვითა.

ჩანჩქერი ცამდე აბჯენილ კლდიდან  
გავს გადმოფენილ ატლასის ქათქათს,  
და ჩამავალ მზის ელვარე სხვითა  
მოვარდისფერო სიწითლე გასდგამს!!

ჩალისფერ ბარში ელავს ბუნება  
ლივლივებს ლურჯი ფოთლების ფარჩა,  
ორი ჯგუფიდან ერთს აქეს უფლება...  
გარდამავალი მხოლოდ ერთს დარჩა!!

მოჭრილ ბელტების ცოცხალმა ფეთქამ  
მოსტაცა თვალი უცქირა დიღხანს.  
ვინ იცის, ლუკას რა სურდა ეთქვა,  
როცა აშკარად ამოიკითხა:

შენც ნებისყოფას მკლავებში სძაგრავ,  
შმაგი ლომივით იბრძვი მთელი დღე.  
კარგი, ლუარსაბ. ეს კარგი, მაგრამ  
ხნულის ხარისხი რათ დაივიწყე?  
1935 წელი.





(ნაწყვეტი პოემიდან „სტრეკოპიტოველი“)


ეს უამრავი სალდათი  
სარდალთ უფროსის კარებთან  
გარბის, ავსილა ბალები,  
მალლა—კიბე და დარბაზი.  
გლოვით დადიან ლამაზი  
მუნდირში შტაბ-ოფიცირები:  
ადიუტანტები, ლეგთავი,  
თავალი — გენერალები.  
არავის არ ებრალება  
ყრმა თუ მოხუცი უფროსი.  
ფრონტში სწორებით არვინ სდგას,  
გლეხივით იზლაზნებიან.  
გავს მაგილოვი ავზნიან  
ჰიანჭელების საბუღარს.  
სალდათი სალდათს აწვება  
და ჯარი თავის მეთაურს,  
მეფის გახელნილ ბედაურთ  
ჩამოუყრიათ ყურები.  
ვაგონს მიჰყავდა ტყვე მეფე  
მაგილოვიდან ურვებით.  
სდუმდა ტაძართა სამრეკლო  
პეტროგრადამდე უკლებლივ.  
„განელილ ტანჯვისთვის არ კმარა  
მტარვალს არგუნო სამარე!“  
ყვიროდა ასი ათასი  
მუშა და გლეხი ტანჯული,  
მაგრამ ფრონტებზე არ იქნა,  
არ შეწყდა სისხლის კამარა.  
და ჩამოვიდა კერენსკი  
ინგლისურ ფრენჩით, ქამარით,  
გარს შემოერტყენ ერთგული  
რუსეთის მეფის დამქაში  
ხმლით, ორდენებით, ქარქაშით  
მხედართა მხედართ მთავარნი:


ალექსევი, დენიკინ,  
 კორნილოვ ოხერნავარი.  
 „ — უნდა გადიქცეს სამარედ  
 ეს მაგილოვი, სასახლე!“ —  
 საე ფიქრობდენ სალდათნი  
 განაწამები დღედალამ,  
 როცა სანგრებში ეყარნენ  
 და თავზე ტყვია ათოვდათ,  
 როცა დაგლევილ მკერდიდან  
 სისხლის ნაკადი დიოდათ,  
 როს ვერ იხილეს პატარა  
 ჩრდილიც თავისი მიწაზე,  
 მთვარეშ რომ უბით ატარა  
 და თვის არსებად იწამეს,  
 როცა ცდილობდა იოლად  
 კაცი ჩიორა, არიფი  
 კვლავ გაერექა ფრონტებზე  
 მუშა, გლეხი და ლარიბი,  
 სად უზარმაზარ ყალიბის  
 იდგა ზარბაზნის გრიალი,  
 სადაც როსკიპი ქალივით  
 ვაჭრობს ანტანტა ტიალი.  
 სადაც ბორბლები მფრინავი,  
 მორბის ორბივით ფრთამარდი,  
 ცეცხლში ნაწრთობი რკინანი,  
 გრდემლი და ურო წარმართი.  
 მაგრამ ავარდა, ზუზუნებს  
 ოქტომბრის ქარი ეწერით.  
 გარბის მდიდარი ბუზლუნით —  
 წინ წყალი უკან მეწყერი!  
 მერე ჩიოდა მრეწველი  
 და მემამულე წუწუნით:  
 „უკვე დამშრალან მეწველი  
 მშობელ რუსეთის ძეძუნი!“

აღმოსავლეთით დაიმსხვრა კერპი,  
 ჩანს მშობლიური სახე და ხელი:  
 ჩაქუჩი-ნამგალის გასჭედა ლერბი  
 და გამოჰყარა მან ქუჩებზე მახვილთა ლხენა.  
 ვლიდნენ ჯარები  
 ფარაჯებით ოქტომბრის ბუქში,

გზა — სადგურები  
 და ხუნძულან ეშელონებით.  
 ბუხრის ქუდებით  
 დაგლეჯილი ჩექმებით და ქურქით  
 ჩელიაბინსკამდე  
 გარაზმულან ლეგიონები.  
 არ უჩანს ურალს  
 ურაგანით გზა და გამზირი.  
 ავარდა ბოლი,  
 ხმა, ამბორი და ყაზახების  
 დადგა თქარუნი  
 გაქაფული ხმალ-მათრახებით.  
 წინ — ბიტიუგივით  
 ურაცხენზე უზით რაზინი.  
 ისმის: „საომრად მოემზადე!“  
 ვაზნები ჩადვეს.  
 თოფის სარაზი მყის გადარაზეს.  
 რაზმს დაეწია ნაწილობი ტყვია —  
 კრაზინასავით,  
 საწელკავე, მწარე ავყია.  
 ისმის: „შემიკარი,  
 ამხანაგო, იარა, ი...არ...“  
 „ნაბიჯით იარ —  
 წინ!“  
 წინა ხაზზე, წინა ხაზზე  
 გარბოდა ჯარი.  
 უკვე გამართეს  
 მოქნეული ხმალი და შუბი  
 მოღუშულ შუბლით.  
 ჯარის სიმკაცრე ბრძოლის ველს შვენის.  
 შორს ფრიალებდა მხედართა ღროშა,  
 ღროშა მაღალი, წითელი ჩვენი  
 და მაღე თეთრი დაეცა ორშაც.

ჭ. გომელი 1935 წ.





ნაწყვეტი მეორე წიგნიდან

სოფლიდან გაქცეული დახუნდარა გოჩა-ჯირაძეში აპირებდა გამოხამორებას. რთველი თავდებოდა. დახუნდარა კარგახანს უტრიალებდა ელიმ-მჭედლის კარმიდმოს, ათვალიერებდა მოუკრეფავ ვენახს, აკვირდებოდა ფარლალა ბე-ლექში კბილებდაკრეჭილ ტაროებს. იგი ალტაცებული იყო. იგი თანდათან რწმუნ-დებოდა, რომ ერთხ ზედმეტი კაცის შენაბეგა დიდათ არაფრიად გაუქირდებოდა ამდენი ლვინისა და სიმინდის ჰატრონს.

შეჯირითდა მჭედლის ეზოში. ორი დღე ვენახში წაუტორა ხელი, მერე ყურ-შნის დასაწურავად შესთავაზა. ზაფი. ელიბო გაბრიყვდა: საპონი და ცხელი-წყალი გამოუტანა

— უმ, შე ოხერო, აქმსიგრძე ბალანი გქონია! — შეწუბდა მჭედლის ცოლი-კესარია, როცა დახუნდარამ შარვალი დაიყოტავა და მამუნის კანკები გამოაჩინა.

— ტანე უფრო მეტი მაქვა! ჟელიერების ნიშანია. უტელურ კაცს ფრჩხილი-ეზრდება, ბეღნიერს ბალანი. — განმარტა დახუნდარამ მჭედლის ცოლის ტასამშვი-დებლად, თურცა ფერით და სიგრძით არც მისი ფრჩხილები იყო უკეთესი.

წყალსა და საპონის დახუნდარა სულმუდამ ცალკალკე ხმარობდა. ცხელი-წყალი გაქვავებულ მაზოლების მასშექნელად სკირდებოდა. საპონი — მესტების: ჩასაცმელად, ამიტომ ორი თუნგი წყალი ცოტა გამოტა, ჩრდილოების წვე-ვებს შუნებლივი ფერი ზაბრუნებოდა. არა და მასაც მობზრდა ამდენი ხეხვა და მესამე თუნგის ლოდინი. თანაც მასპინძლები ეცოლებოდა. ისინი გულ-უბრკვილო ხალხი იყო. ბისინი ვერ შედებოდენ, რომ ამ ძეირფას მამლიან საპონი-ყოვლად შეუძლებელ საჭმეს აღუშდენ.

— თევენ, ბოში, ჩაგარც გატყობთ დამდუღროს გინდათ და მეტი არაფე-რო, — ჯვრერობდა, კანკებზე ხელებს იპარტყუნებდა: — აგი; ბოშო, წვირე კი არაა, შუნებით დამყვა ამისთანა ფერი. ახლა თქვენი გულისთვის ბუნების წინააღმდეგ ხომ ვერ წავალ!

იმდენი დრიჩინა: ორივე ცოლექმარს, რომ მესამე თუნგი ზედმეტად ჩათვალეს და ქოშები მოუტანეს. ჩავიდა საწნახელში

ელიბო ჭურებს რეცხდა. კესარია თხილის ანცმებს ამზადებდა ტკბილში ამო-სავლებად. შარაგზაზე ზენაქარი ბულრაობდა. ჭრიალებდა დახუნდული ვაშლის ხე. იყრებოდა ლაშლავა ვაშლები. ისინი აბილად ეცემოდენ მოლზე. მათი დაცემის ადგილას სულწასული ღლურუნით მიგლიჯინობდენ ღორები. დახუნდარა წნეხავდა ქარებისფერ ცოლიკოურის მტევნებს, ფუხფუხებდა სქელი და მლვრიე ტებილი.

მოშუადლდა. კესარიამ სუფრა გაშალა, კაცებს დაუძახა. ვერ მოასწრო და-  
ხუნდარამ საწნახლიდან ამოსვლა, რომ უცებ კესარიამ შეიცხადა. იგი ლომს არი-  
გებდა გობზე. ჩოგანი ქვაბში ჩაკრა და გაფოფრილი წამოვარდა.

— უი, უი, შეხედე, კაცო, შეხედე! რა თეთრი ყოფილა მაგ სამიწე, მაგი  
ჩავაწვინე უზიარებლად დედამიწაში. შეხედე, კაცო, რავა გვატყუებდა ამისთანა  
ფერი მაქსო! — მოსთქვამდა ქალი და გამშრალი მიჩერებოდა დახუნდარას გა-  
თეთრებულ ფეხებს

საპნის დაწყებული საქმე საწნახელში დასრულებულიყო. თავად დახუნდა-  
რასაც უკვირდა:

— მართლა რა თეთრი ყოფილვარ, სულაც არ მახსოვდა! — პურტყუნებდა  
თავისთვის და სწრაფად უშვებდა შარვლის ტოტებს.

კესარია მალე დაშოშმინდა. ალარ ილანძლებოდა. მაგრამ დახუნდარას მიწა  
გახეთქოდა ერჩია. საღაც არ უნდა ყოფილიყო კესარია — ოთახში, ბოსელში, თა-  
ვანზე, მისი გამგელებული მზერა მაინც არ შორდებოდა დახუნდარას კანჭებს.  
ყოველი ჭუჭრუტანა ამ აშარი დედაკაცის თვალებით იყო გაჭერილი. თვალებით  
კი არა, მძულვარებით ანთებული ნაკვერჩელებით. სულმუდამ წვივებზე მიჩერებოდა.  
მუხლებს ზევით დახუნდარა ალარ არსებობდა მისთვის. მოსპონ ეს ამხელა კაცი კე-  
სარიას თვალებმა. გაჭირვებით ხმარობდა ფეხებს, თითქო ისინი ხისგან ჭიონდა  
გაკეთებული. ნასაღილევს წამოწვა. ძილი გაუქრა. გამაგლებენო, შიშობდა. ეგდო  
ასე გატრუნული, რომ უცებ ცოლქმარის გაცხარებული პუტუნი შემოესმა. და-  
ხუნდარა დაძინებული ეგონათ. მოურიდებლად ჩურჩულებდენ. ისინი ჭილოფზე  
იჯდენ. კესარია თავებს უხილავდა მუთაქას.

იგი ლაპარაკობდა:

— არ დევინახო დღეიდან ჩემს სახლში! ოი, მაგის კუბო გეიტანეს თავუკუ-  
ლმა ჭიშკრიდან, რავა წამიწყმიდა ოჯახი!

— ანგარიშის საქმეა, დედაკაცო, — ედავებოდა ელიბო — ფეხები ქე ჩეიბა-  
ნა და ბარელამ მოათავოს ეს ორი საწნახელი!

.. ჭკვიანი კაცი ყოფილა — გაიფიქრა დახუნდარამ, იგი დამშვიდდა. აწი  
ძილიც შეიძლებოდა.

ძვირად დაუჯდა ელიბოს იმ ორი საწნახელი ყურძნის დაწურვა. დახუნდა-  
რა მოუშორებელ ჭირად გადაიქცა მისი ოჯახისთვის. მისი შიშით ორივე ცოლ-  
ქმარს ჩამწარებული ჭიონდა საღილვაზშამი. ყოველ უბრალო ხმაურზე ჭამას თავს  
ანებებდენ და სუფრის ალაგებას იწყებდენ. გამწარებული ელიბო ყოველდღე  
სხვადასხვა ღროს ჯდებოდა საღილად. არაფერი ეშველა. დახუნდარა დაბარებუ-  
ლივით გაჩნდებოდა ყოველთვის.

— სიმამრიც მყოლია და სიდედრიც, სიდედრიც და სიმამრიც! — ჭიხვინობ-  
და იგი და ვაწყობილ სუფრას მუჭისხელა თვალებით გმირავდა.

დღეში ერთხელ აკითხავდა ელიბოს. ამ ერთხელზეც ისე მოპირავდა თავის  
სტომაქს, რომ ვახშმის ხსენებაზე გული ერეოდა.

გასულ კვირას სამზარიც მოინდომა. მჭედილს სახე აემლორა. ქლოშინიშ  
წამოვარდა.

— ნუ ამიშალე ძარღვები, შე ხვადაგო! თავლა ხომ არ გვინია ჩემი ოჯახი რომ ააღერ თავს და მოჭიხვინობ! ჩამომშორდი, მე შენ გეუბნები, თვარა ნაობახში ჩავჯდები შენი გულისთვის!

შეშინებულმა დახუნდარამ მობრუნება ველარ გაბედა, ზურგში არ მომაყოლოს რამეო. კიბოსავით იხევდა უკანუკან.

დილით თავის მიტოვებულ ფიცრულს ესტუმრა. ფართოდ გამოალო კარტანჯ-რები. შემოუშვა რაც შეიძლებოდა მეტი სინათლე. ბნელი კუნცულების შესწავლა უწლოდა. დიდხანს ფათურობდა. მისი ბინა ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე თავათ ფიქრობდა. ჩაქერი, ორი ბარი, თოხი, რკინის ლომი... სადღაც ძველმანებში უტარო ნაჯახი იპოვა. ყველაზე უფრო წალკატის ნახვა ესიამოვნა. წალებული ეგონა. იმ უტარო ნაჯახის გარდა ყველაფერი სხვისი იყო, ნათხოვარი ჰქონდა. მაგრამ დახუნდარას საუცხოვოდ ახსოვდა, რომ ნივთი, თუნდაც სხვისი ყოფილიყო, მაინც არ კარგავდა თავის შესანიშნავ თვისებას: მუდამ იქცეოდა ფულად. სუყველა გაწმინდა, ზოგს მიმხმარი მიწა ჩამოფხიკა, ზოგის მორყეული ტარი ლურსმით გაჭექა, ზოგსაც ისე გადახედა, რა ელირებაო — და მერე ასეთი გულაჩუებული სიტყვით მიმართა მჩერე ალაპლაპებულ რინებს.

— ეხ, მარგველაძის ლომო და წალკატო! რა ძალა ჰქონია შეჩვევას! აგერ ჩემი ნაჯახი და აგერ თქვენ. გიყურებთ და ერთმანეთში ვერ გარჩევთ, ყველა ჩემი მგონიხარო, გეფიცებით თქვენს გამჭედველს.

გაყიდა ისინი. მერე ფიცრულიც მიაყოლა. მას ახლა არაფერი გააჩნდა ამ ჭვეუნალ, გარდა იმ ერცახე მიწა-აღვილისა, რაზედაც დამსკდარი ფეხისგულები ედგა. სოფლისგან მოძულებულს, ხელს არავინ უმართავდა. ყველგან აწბილებდენ. ერთხელ კვერნაძესთან მიჩინებიქდა. კვერნაძეს ყურებდაჭრილი ნაგაზი ჰყავდა. მურზას ეძახდენ. მთელი ეს კვირა მოწყენილი იყო, ვერავის დევნილა, ვერავის კბენდა. განკულაკებულ ერემოს ეზოდან ოთხფეხის ლანდიც არ გადმოდიოდა კვერნაძის ბაღსა და ენახში. ველარ აჭყვირებდა ნაგაზი მესრებში გაკვეთებულ ულლიან ღორებს, ველარც ცხვრებს ახევდა ბათმანიან დუმებს. ცარიელი იყო ყურის მეზობლის კარმიდამო. ორად-ორი ოთხფეხი, რომელიც ერემოს დაუტოვეს, ეზოს ძალილი და უშნოდ აწოწილი წევარი იყო. უსაქმობით გამწარებულ მურზას ეს ორიც ეყოფოდა თავშესაქცევალ, მაგრამ ისინი ლაჩრები გამოდგენ. რთველის გამო სტუმრობაც შესწყდა. მისდღეში არ ყოფილა მურზა ასე მომცდარი და მოწყენილი. ამ დილით უგუნებოდ ხრავდა ძვალს. ბოგირთან დახუნდარა შენიშნა. სიხარულით ვერცყი დაყეფა. ერთი შეცმულა და მოწყდა აღვილს. კვერნაძე გარეთ იყო. ლაფაროში დოლაბს კოდავდა. სხვა დროს, სტუმრის დანახვაზე, იგი და მურზა ერთად გავარდებოდენ ხოლმე ბოგირისკენ. თუ სტუმარი პატივისაცემი კაცი იყო, კვერნაძე უმალვე გაუსწრებდა ნაგაზს, ახლა წელიც არ წამოილო. მარტო მურზა გაუშვა, — და რომ შეხედა მესაფლავემ, — კბილებდაკრეჭილ ნაგაზს, უკან არავინ მოსდევდა; ცივად გატრიალდა ქუჩისკენ. ყველაფერი ნათელი იყო. კვერნაძე კაცისმკვლელს უფრო შემოუშვებდა ეზოში, ვიდრე იმისთანა მავნე მუქთახორას.

— კაცო, პატიოსან შრომას მოკიდე ხელი. ერთხელ მაინც დაგინახოს სოფელში თოხით ხელში. გამოსწორდაო, იტყვიან, შეგითვისებენ, — ურჩია ნაფეტვარიძემ.

თოშის გახსენებაზე დახუნდარას წინდაწინვე წყლებოდა მკლავები. ოფლის სუნს ვერ იტანდა. დაღოღავდა ხომსა და მაღლაქს შორის, და შურით გაყურებდა ეტლების კოფოზე გამოჯგიმულ პავლიკა შეარღნეს. პავლიკა ნამეტანი ჭადილ-კაცდა ამ ბოლო დროს. უეტლოდ არცერთ მოქეიფეს აღარ მიყვებოდა.

— ესეც დოხტურია, რალ! სულ ფაიტონი აკერია ენაზე. ცხოვრებაც აშას ჰქვია. არღანს ვინ ჩივის, ერთი შნოზე მაინც ჩამაცვა. ცოტა პატივი დამეცება, მოქებათრებიან, — ფიტრობდა მესაფლავე და ნატვრით შეხურებულ გონებას უცებ გაძლიდრების წყაროს ატებნინებდა

შემოდგომის ნაში და მსუბუქი დილა ჩყო. ჰაცვარულ ქვეყნის სურნელებით გაუქნილი. მზე მაღლა იწევდა. იგი თაფლივით ადნებოდა ყველაფერს, რაც მისქვეშ იზრდებოდა. მოთმინება არ ყოფნიდა მისი შარბათით. შეხურებულ ნაყოფს: წაბლი ხეოქვავდა ბუქებს, სკდებოდა ლელვი, და უითოში სიმღერას. აპირებენო, პირს აბჩენდენ, აღისფერი ბროწეულები.

მაღლაკის აღმასკომთან ქალაქის ეტლი გაჩერდა. ეტლში ხრი ხანშესული ქალი და სათვალებიანი მამაკაცი იჯდა, მამაკაცი. აღმასკომში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ათისთავი კინწურაშვილი დახუნდარას მოსაძებნად აფრინეს.

დახუნდარა ნარდს თამაშობდა აფთიაქში.

აფთიაქის გამგე, ტიტე ქაბჭინაძე დამწვარი მონარდე რყო. მტელმა სოფელ-მა იცილდა მისი ახირებული ჩვეულება. არავინ საყველურობდა. პირიქით, სწყინდათ ქიდეც, როცა აფთიაქიდან კამათლების ჭახუნი არ ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აფთიაქი დაკეტილი რყო. ტიტე მხოლოდ მაშინ აღებდა აფთიაქს როცა ამფსონს მონახავდა.

მდიდრულად ჩატულ ქალაქელების დანახვაზე დახუნდარა დაფეხრდა. არაფერში გაბრიყელება, არიგებდა თავისთავს და განგებ ილენჩებდა. პირსახეს:

— ბიჭო, ხომ გახსოვს, შენ რომ შერძენი დამარხე გზისპირას? — უითხა აღმასკომის თავჯდომარებ.

— ვინ ბერძენი, ბატონო?

— ყაჩილებში რომ მოკლეს. აბა გეიშენე!

დახუნდარა სიერცეს მიაშტერდა, ვითომ ინტენებდა. განა არ ახსოვდა, მაგრამ ჯერჯერობით ენის დამოკლება და მეხსიერების დაჩილუნგება ამჯობინა.

...1920 წელს სოფლის განაპირას ყაჩილებში მოპკლეს და გაძარცვეს ბურძენი გაჭარი, ხომში მიმავალი აბრეშუმის პარკის საყიდლად. მოკლულს არავინ გამოუჩნდა კირისუფალი. დახუნდარამ უპატრიონა. იქვე დამარხა გზისპირას.

დახუნდარას გამორჩენის სუნი სცემდა. რაღაც ირკვევოდა. თვითონ დაიწყო გზმოკითხვა.

— ესენი ვიზ არიან?

— პირისუფლებია.

— შურქ სად იყვენ ჰმდენხანს!

— მთელი ქვეყანა შესძრეს თურმე, გაზეთებში აცხადებული, მჩელისტის შოთვენებას არ აძლევდენ; მარა წყალმა წაიღო, თუმიწამ ჩაყლაპა. ვერაფერი გაიგეს. ამასწინად ჩვენებული კაცი შეხვედრიათ ქუთაისში. იმას შოუსწავლებია უჭით. აბა, ახლა შენ იცი, დატრიალდი.

— რა ვქნა, ბატონო, ვერ გევიხსენე და... სად წევიყვანლ! მამაჩემის საფლავზე ხომ ვერ წავიყვან მაგ უბედურებს. სხვა მე არ ვიცი.

და ასე გამოზოგილი პასუხებით იმდენი იჯანჯლა და იფორხილა დახუნდარამ, ვიდრე ჭირისუფლებმა ცისა და მიწის წყალობა არ აღუთქვეს საჩუქრად. ეტლი რახრახით დაეშეა ფონის დალმართზე.

— ახლოა? — იკითხა სათვალებიანმა.

— ფეხითაც ქე მიეკიდოდით.

გაცილდენ სოფელს, ჭალას, შორიდან გუბისწყლის თეთრი ზოლი გამოკრთა. კოფოზე დასუბჰებულ დახუნდარას თხასავით წაუგრძელებია კისერი. დაფეხებული აცეცებს თვალებს. არამც თუ საფლავი, მგონი ისიც არ ასოვს, შარაგზის რომელ მხარეს დააბიხა ბერძნი. უზომოდ ეცოდებოდა ეს დალონებული ჭირისუფლები. ისინი ორიოდე დაგვიანებული ცრემლის დასაპურებლად მოისწრაფოდენ უცნობრად დაკარგულ საფლავისკენ, მაგრამ დავიწყებია, მართლა დავიწყებია დახუნდარას, სად წაყარა ჩვენი სოფლის მიწა სახელოვან ელინთა შთამომავალს.

სიმწრის იფლში იწურება. საჩუქრარი ეკარგება. რა იცოდა თუ ჭირისუფლები მოკითხავდენ, თორემ ჯვარს მაინც დაუსობდა, ქვას მაინც დაადებდა საფლავს. თვალებით ბურლავს 'შარას გადალმა ტალლებით გაფენილ' მინდვრებს, ასე უზამუსოდ რომ სდუმან და გზაკვალს ურევენ მესაფლავეს.

ეტლი მირახრახებს.

— ქვა მაინც დამედო, ქვა დაედო ჩემს გულს! — ნაცემივით ლულლულებს, შეძრწუნებული უმზერს გუბისწყლის ხიდს. რა უნდა ამ სიშორებულ სათვალებიანის მუჯლუგუნმა გამოჭრკვია.

— არ მივიდით?

დახუნდარას კენესა ამოხდა. წყალგაღმა რამდენიმე მუხა მოსჩანდა. რომელიც ყველაზე შორს იყო, მისკენ აძგერა თითი,

— იმ ხეებთან ბატონო!..

მანამდე რამეს მოისაზრებს, გამოსავალს მონახავს, ბედნიერება კარზე მოადგა და კარი ვერ გაულოს! ზიზლით გადახედა მეეტლეს. ქსეც ჯიბრში უდგას ზითქოს. გამალებით მირეკავს ცხენებს, რა აჩქარებს მოფიქრება მაინც აცალოს. უცებ სუნთქვა შესწყვიტა.

— უნდა წაასვენოთ? — ჩაკითხა სათვალებიანს.

— სუროს ძმას ველით, არ ვიცით როგორ გადასწყვეტს. მოიწერა, გაისამდე ვერ ჩამოვალო. მანამდე საფლავს მშვედლავთ, რკინის მესერს გავუკეთებთ.

კიდევ რაღაც უთქრა სათვალებიანმა, მაგრამ დახუნდარას არაფერი გაუგონია, მაგრა თავის გულს ბაგაბუგი ესმოდა მხოლოდ გაისამდე, გაისამდე... კაპუნობდა თავში. გაისამდე ან ის ბერძნი გაცოცხლდება და თვითონ მონახავს ჭირისუფალს, ან თვითონ დახუნდარა მიეწევა მშს. რაღაც უკეთურს აპირებდა ეს მაკვარანცხი.

ეტლი აღთქმულ მუხას გაუსწორდა, დაჭუნდარა თოფმკრავივით წამოვარდა.

— დააცე, ბიჭო, დააყე! მიგედით, აგერ ბატონო, თქვენი მკედარი,

და ვიდრე თავზარდაცემული ჭირისუფლები გონს მოვიდოდენ, მესაფლავემ კალიასევათ ისეუბა მიწაზე და ისე ბეჭიოზად დატედა რომელილაც ბექობს, თითქო თვალწინ მართლა ესვენა მიცვალებული.

მანდილოსნებმა მომუქულ ხელმანდილებში ცხვირი ჩარგეს და წივილ-კივილით დააცხრენ ბეჭობს. მამაკაცი შორითამა გაჩერდა. წარამარა იხსნიდა სათვალეს. იწმენდდა თვალებს. დახუნდარა თავის მიცვალებულებს იგონებდა, ეგება. ჭირისუფლების გასაგონად ქვითინი წამსკდესო. კურცხალიც ვერ გამოწურა თვალებს. გაჯავრებულმა თავი დახარა და თავისთავი წარმოიდგინა ვარდებიან კუბოში. მაინც ვერ ატირდა.

— აქ არავინ მარხია და ვინ ეშმაკი ვიტირო! ძაან მოტირალია ჩვენი დესპინე ვაშაკიძე, მარა ამ ცარიელ კოლბოხებზე ვერც ის გასკდებოდა ცრემლად, და ამ ნუგეშით დაბრუნდა ეტლთან.

ბერძნის ჭირისუფლებმა ასი მანეთი აჩუქეს. ხონის თერძებმა და ხარაზებმა სიძე-ბიჭივით მოკაზმეს. ნიავივით მსუმბუქი მესტები, გალიბანდური შარგალი, დარაიას ხალათი, ერთ კაცად მარტო მისი ლილები ლირდა, თეთრი აბრეშუმის ყაითნით გამოსკვნილი და მძივებივით ჩაჭიჭიკებული მარცხენა მქერდზე. თავზე წაბლის ფერი ბოხოხი ეხურა, მართალია კრაველის არ იყო, მაგრამ მტერს მაინც მოუკლავდა გულს. ფრენით წამოვიდა სოფლისკენ.

გამოჩნდა ბონდი. ერემოს დუქანი. შეყვითლებული ცაცხვეხი — საჯარო მინდორს რომ აშვენებდენ. მერე ბარნაბა საგანელიძის კრამიტიანი სახურავიც გამობრწყინდა კაკლის ტოტებში. დახუნდარას გაუხარდა რომ ისინი, როგორც ყოველთვის, პირველი გამოჩნდენ შორიდან. დახუნდარას ამხნევებდა მათი დანახვა. ქვეყანა უცვლელი ეჩვენებოდა.

პატივმოყვარე ფიქრებით დამთვრალს, ჭირის ოფლი ასხამდა. ნახევარი გზა სულ იმას არჩევდა. რომელი ქუჩით შესულიყო სოფელში. ცაცხვისუბანი ამჯობინა ყველას. იქაურ მოსახლეებს უშობლისხელა ქოფაკები ჰყავთ. ისინი ყეფით აყრუებდენ სოფელს, როცა შარაზე უცხო ვინმე ჩაივლიდა. ისინი მეფურ შეხვედრას მოუწყობდენ დახუნდარას. ვერ იცნობენ ასე გამოპრანჭულს, ასტეხენ ღრიანცელს, დიდსა და პატარას გარეთ გამოყრიან! მთელი სოფელი შეიტყობს მისი დაბრუნების ამბაეს. დახუნდარა ძმასავით დაპერცნის იმ ქოფაქს, რომელიც ყველაზე მეტად გაცხარდება მისი დანახვით, იგი ზეიმობდა. იგი უკვე ჭვრეტდა გონების თვალით მესრებთან კისრისტებით მოცვენილ ქალიშვილებს. ესმოდა მათი წამოძახილი: შეხეთ, ეს ჩვენი გლახა რავა გაკეთებულა და დამშვენებულა.

მაგრამ მესაფლავეს ბედმა უმტყუნა. ვერ უშველა ახალმა ტანისამოსმა. იცვენს ძალლებმა ოდესალაც მათი ეზოების ამატალახებელი დახუნდარა. შეიარული წკმუტუნით შემოეხვივნენ გარშემო. ზოგი ფეხში გაუგორდა, ზოგმა ხელი მოულოკა, ზოგიც ზურგზე შეახტა-და ამ ძალლური სიხარულის შედეგად დახუნდარა მტევრში ამოგორებულს დაემგვანა.

— თქვენ მიაკვდით თქვენ პატრონს, რამ გადაგაჩვიათ ყეფას! — იყვირა მესაფლავემ, წიხლი დაუშინა ალერსიან ცხოველებს.

— შე ვირო-მამაძალლო, ხომ ხელავ გეფერებიან. რას ერჩი! — შესძახა ვიღაცაშ. ღობეზე ოსია ნაფეტვარიძე გაღმოხტა. მისმა შეძახებამ სულერთავად მოსპოდ მოდრიკა თავმომწონე დახუნდარა. ისევ დასაწყლდა, გალაქუცდა, წახდა, თითქო ეს დიდებული გალიბანდური შარგალი და ნიავივით მსუბუქი მესტები ერთბაშად გახადეს და ისევ ძველი კონკები მიუგდესო.




ჩაეღიმება სიმინდს ულვაშში,  
ოქროს ტაროებს ცისკენ აიშვერს.  
და ზენა ქარი ბამბის ქულად შლილს  
მიათამაშებს ორუბლის ბალიშებს.

მაჭარის სუნი ბიჭებს დაათრობს  
ყურძნის მარცვალი ზიმზიმებს მზეში.  
მოსავლის ხვავი მხარეს დაათოვს  
მზით გალალებულ ღვინობისთვეში.

შრომა მღერის და შრომა ლალადებს,  
კოლმეურნესთან გახლავთ თითონ მზეც.  
გუდიაშვილის ვხედავ ნახატებს  
ამ ჩემს სამშობლოს გაშლილ მინდორზე.



## ვალერიან გაფრინდაშვილი



აქ სულმა ფრთების გაშლა გაბედა,  
შემოიბერტყა სევდის ნაცარი.  
თითქოს ვიპოვე ზღვა უცაბედად,  
როგორც რომ ხვითო უზარმაზარი.

მე ზღვას გავსქცერი. ასე მგონია,  
რომ ვარ მფლობელი ურიცხვ ქონების.  
თითქოს ტალღათა ეს ჰარმონია  
იყოს ქმნილება ჩემ შთაგონების.

ზღვა თითქოს არის ჩემი მამული,  
თვალუწვდენელი ტალღების ბალით.  
ვნახე მზის ჩასვლა აქ მეწამული,  
ზღვის ხეტიალი — მარადის ლალი.

ვით ოიდიპოს ქიმერა ძველი —  
ტალღა გვწოდებკ ბევრ გამოცანას.  
ფაფარაყრილი, მძიმე და სველი  
ტალღა გუგუნებს თავის ოსანას.

ზღვა არის ჩემი ოცნების განძი,  
სხვა მარგალიტი მე ალარ მინდა.  
დარჩა წარსული ცხოვრება განზე  
და ტალღა ჩემს წინ კვლავ აბიბინდა.

დღემდე მირაუებს ამაოდ ვქმნიდი,  
ტყვილად ვეძებდი ზურმუხტებს, ლალებს.  
სანახაობა ამაზე დიდი  
არ ლირსებია ჩემ საწყალ თვალებს.

ტალღა მე ისეთ განძეს მაჩუქებს,  
და დამანახვებს ისეთ ფერიას,  
ისეთ დაისით მზე გამაშუქებს,  
რომ მე ვიხილავ ძველ ქიმერიას.

უინ ამოსწუროს ზღვის სილრმეები,  
შიგ ჩაძირული ვინ ჰპოვოს თასი,  
ჯერ არ ნახული ორხიდეები  
და სასწაული ათი ათასი?

შორს ზღაპარივით დგას ციხის-ძირი,  
ვით ამოსული ზღვიდან მშვენება.  
მესმის ტალღების ლაშქრობა ხშირი  
და თავი სარდლად კვლავ მეჩვენება.

პა, პორიზონტზე გამოწილა გემი,  
მაღალ აფრების თეორი შტოებით,  
ისეთ სინაზის, შეების მომცემი,  
რომ დავიკვნესე მე ყასოებით,  
მთვრალი ტალღების უსაზღვროებით.

1935 წ. ქობულეთი. სექტემბერი.





ტბაზე ჩრდილი დაცუება ყანჩის,  
ფრთას დაჰკრავს და გადაბზარავს სარქეს.  
ფრთას დაჰკრავს და დაეშვება ფშანში,  
საცა ქარი აშრიალებს არყებს.

მახსოვს ხეო, მოლეჭილი ლამის  
ცაში როგორ შეეგებე მეხსა,  
მერე გაშლილ ჩრდილოეთის ღამეს,  
უოლის ფერი ვარსკვლავები ესხა.

ხეო, მახსოვს შენი რხევა ეშხით,  
აქაფებულ ბერეზინას თავზე,  
იდექი და ბელორუსულ ტყეში,  
შრიალებდი სიხარულით სავსე.

იდექი და სუსხიანი ქარი,  
ჩამოგხსნიდა გაციებულ მთვარეს  
და ტყის თავზე შევერცხლილი ტარით,  
გააღებდი განთიაღის ქარებს.


იქ მიამბე პარტიზანი ქალი,  
ლამით როგორ შეეფეთა იჩემს,  
ეხლაც მისდევს სისხლიანი კვალი,  
მოდუდუნე ბერეზინას პირებს.

ეხლაც, შამბში, როგორც იცის ვეფხმა  
ლეკვებს გეშავს ნაომარი დედა,  
შენს ტოტებში, შენს ტევრებში ეხლაც,  
საბჭოეთის არწივები სწედან.

ცაში მიტომ აგისვრია ტანი  
და ამაყად ასე მიტომ მიმზერ,  
ამართულხარ, როგორც დროშის ტარი,  
ომგადახდილ ბერეზინას ქიმზე.

ხეო, შეგვხდი როგორც ნაცნობ იმედს. —  
თუ იმედით უმღერია ვისმე,  
შენს ფოთლებში აულერებულ სიმებს,  
საქართველოს სივრცეებშიც ვისმენ.

1935—24. 9.



## მუსიკა

ყველა ფოთლიანს და წიწვებიანს—  
შენ ამჯობინე ჩრდილი კაპარის,  
ყველა სიმართლე დაგვიწყებია  
და ერთადერთი იცი ზღაპარი!

სადაურია,

რა ზღაპარია,  
რად ამბობ აგრე დარდის გაღამდება—  
ქოსა ტყუილა და თხაპარია  
გუდებს ბერავენ განთიაღამდე!

თითო ზღაპარი ოცტომიანი!—  
სად გისწავლია ან მესამედი?!

ალარ თავდება როსტომიანი  
და სურნელება დგას კვესაბედის!

მიმობნეულა ჯამები მინდის  
და ფხები ყრია ხმელი თაველის,  
დგას ხვიმირები სავსე სიმინდით,  
როგორც ბაგაზე ცხენის თავები.

ძილს არ იყარებს ღამით თვალებზე,  
ბრუნავს ბორბალი დაუსვენებლივ,  
ბაჯალლო სიმინდს აჩხრიალებენ  
კოლექტიველი ასფურცელები!

რექს სარეკელა, ბრუნავს ბორბალი,  
არის მტვერი და ალიაქოთი,  
შენ მართლა გჯერა: უბრალო თვალი  
ხედავს წყლიდან რომ ალი ამოდის.

შენ მართლა გჯერა: ალქაჯებს რქიანს  
ხვდებიან მგზავრნი ბინდში, გვიანნი,  
და როგორც ბუხარს ნაცარქექია,  
აღარ შორდები წისქვილს მტვრიანი!

შუალამემდე აჩრდილებს მისდევ  
და გვიან ხუჭავ თვალებს ჟინიანს...  
ღამით დგებიან თაგვნი მემინდედ,  
შენი თაგვებსაც არ ეშინიათ!

თურმე... წასულა დრო როსტლმების,  
არ სჯერათ ქვეყნად დევი რა იყო,  
ღილით მოდიან ოქროს ტომრებით,  
რომ სალამომდე ვერცხლი წაილონ!

ბავშვაც არ სჯერა შენი ქაჯების,  
გტოვებენ ზრუნვით და მოფერებით—  
გულით ტყუილი მიაქვთ და ჯიბით—  
შენი კაპარის სათოფელები!

### მარანები

შემპარავი, ხმის ოდნავი კანკალით,  
ტკბილი ენით, თითქო სულში მიძერება,  
თვალს გაუყრის თვალში ვაუკაცს ისრებად  
და რომ ჩუმად გადმოაგდოს ჩანგალი,

ამბავს იწყებს შორიდან მაჭანკალი:  
ოცი წლის ხარ, სწორედ შენთვის იქნება  
გომართელის წამალივით მისწრება—  
აგირჩიე ქალი, მაგრამ რა ქალი!

სილამაზეს ნელარ იტყვი, ყმაწველო,  
მოწყვეტილი ვარსკვლავია ნამდვილი!  
შენც კარგი ხარ, ღმერთმა ნუ აგაცილო—

არც გართული, არც ბიჭების მდევარი,  
ჰქეიანია, დედის ერთად გაზრდილი,  
ორასამდე დღეც აქვს ნამუშევარი!



## უკუჩმაშინის

წვიმიან დარში თავმომწონე გამოჰყვა შარას,  
 ტანს ეცვა თეთრი ტანსაცმელი ახალთახალი,  
 ჩადგა გლეხებში, უცებ შეწყდა აყალმაყალი—  
 ახელ-დახედეს ამპარტავანს და მეტიჩარას.

ახლის ჩვენების სურვილი რომ ველარ დაფარა,  
 ბატივით იდგა მედიდური და ტანმაღალი,  
 სიცივემ სახე გაუწითლა, როგორც ჭარხალი—  
 ესეც იღბალი, რაღა დღეს არ გამოიდარა!

წაშალა შარვლის ზოლი, ზრუნვით გადაკეცილი,  
 წვიმა და ქარი აშხეფებდა ტალასს ჭრელ წინდას;  
 უეცრად წასკდათ თავჩაღუნულ ბიჭებს სიცილი.

ქოჩორზე ხელებში იუმრებდა ქუდის მაგივრად,  
 შერცხვა, შეხედა ჯოჯოხეთურ ავდარს, შეშინდა  
 და ხალხში ჩუმად გაიპარა უკეირ-მაკვირა.



## ՑԱԽԵ ՑՎԱՏԱԼՈՅ



(Հասանրությունու \*)

ԿաՇուրուճան Ցեսტագոռնամքյ, 63 կոլոմետրներ լուտոռնու անցեծից մշյակագ զանաբաժնությունու սամու ամերուկյունու սածարցու զագոռնու դա ոտես ծայանու յրտման ներքու ցագայամտ դա ամ յուղապահությունու ֆեմագցենունուսատցու յրտու լոնույրու որութլիմայալու մուսինուատ. ծայանու ցողուալունունուս մացտուլեցիու սիզուլեցելու ցոցորեցի ավազու, եռոլու դաշուրությունու զագոռնեցի սամրաց օնուլաթորեցիուտա դա սեուլենուս դրէւալեցիուտա զամույնու ցուլունու.

Եղլա մուսից զագոռնեցի բուն հաՇուրուսայեն, յրտ սաստի մեռուու յրտ կոլոմետրու ցացուուա.

Համշլելուտա ծրուցա անցեցի նահյարեցատ ցողուալունուս մացտուլու կուլություն. մատրարեցելու կալաւայալ մուսւցություն դամոնքայեցելու, հոմլեցիու տազունտ դաշուղրումել լուսությունու բարեցա ցամարտուլ մացտուլու ասթորեցյուն, օնուլաթորեցիուտ ամացրեցյուն դա յլեցի բարեցա ցամունուսատցու ամիսացյուն. օնուլաթորեցի, ցողուալուս բրասեցի դա սեուլենուս ցամուրեցի ուղնաց օրմանու ցուլունու դա լուսակացյուն.

Համսունաց յարչու, հոմելուու մատ անցեցիուն համուեցերուս սպուրեցյուն, մատրարեցլեցիուս ցագասամենու բունությունու սատրուտուս յայտնի, դամոնքայեցելու մուսից զանույր յամրեցիուտ դա հյունուս նամցլուսեցյուրու տեսուլամցրեցիուտ ցանցուցյունու անցեցի մումուլունու, ան սայոնքայտու յևունուս թլարտեցի դայությունու. լամյ օնունցըցյուն սածարցու զագոռնու, միջուրաց քրայսուս սոնատլեցի արհեցա սկյուլյանուն նուցնեցի դա սացուլուսեմու ցնուցեցի ցամուրուլ հայուլեցի օվարդյուն.

Այս ցամուարյուս մատ սեմելուսու սայուլելությունու ցիս.

Ցայուրած մուսաթլուցություն, պէտք ուժորու սանուցատու սամումաս սենդա Շեյսրությունուատ. ցայուրածու անցեցի առ ուցու դա ցողուալունուս մացտուլու սամացուրուու

\*) օ. սիցեն տառեա Ն. 2.

\*\*) լուսություն— մոժրացու կոծք, լուսացու ցամարտուլու.

მაღლა ქვის კედელზე უნდა მიეჭედათ. გვირაბში ბნელოდა. მას დღემდე მთელი ნაევარი საუკუნე ხუთი ნავთის მბეჭტავი ლამფით ანათებდენ, რომელიც ყოველი ახალი კილომეტრის დასაწყისში იყო დადგმული. ქვის ჭერიდან ეონავდა წყალი. ორთქლმავლები ტოვებდენ მოშხამულ ჰაერს, რომელიც უმეტესად მაღალ თაღს ეკვროდა, სადაც სატეხი და ადამიანის ხელი უნდა დატრანსპორტულიყო.

ბაბუციძემ თავის „გამოცდილებიდან“ თქვა: „გვირაბში მონტაჟის წარმოება შეუძლებელია, თუ მატარებლის მოძრაობა მთლიანად არ შეწყდა, აგრეთვე საჭიროა განსაკუთრებული პლევმატური სატეხი, იზოლატორების მისამაგრებლად, რაც გამოწერილი უნდა იქნას, ისევე უნდა შევიძინოთ ძლიერი პროექტორები“.

ლობუანიძემ კი ასეთი გამოსავალი იპოვა: მატარებლების მოძრაობის შეჩერება მილიონ თვეურის მანეთს გვაზარალებს, პლევმატურ სატეხს და პროექტორის ერთ წელიწადს ვერ მივიღებთ, მარტო ჩვენი საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს და საქმეც დაქჩარებით გავაკეთოთო.

ლია ვაგონზე, ფოლადალუმინის კოჭების გვერდით, ხაშურში დამზადებული, სუსტი ნათურები დადგეს. ზედ მჭედლიძე, ხაბეიშვილი, ინუენერი ჩიქოვანი მოკალათდენ, და ბესარიონმა პირველმა, პლევმატური სახერეტის მაგიერ, უბრალო სატეხი და ჩაქუჩი აიღო ხელში...

ხაშურში დამზადებული ოციათასანთლიანი პროექტორი რამდენიმე ნაბიჯზე ისე მოჩანდა, თითქოს ისიც ნავთის მბეჭტავი ლამფა ყოფილიყოს.

ქვის ტომარაში გამომწყვდებულ მჭედლიძეს ძალიან ეშინოდა, ჯერ უკან გამოიქცა, შემდეგ, როგორც იყო, მიეჩია, მაგრამ დაფეთებული ყოველ ნაბიჯზე მატარებლის გამოჩენას ელოდა.

— ნუ შეშინდი, ბიჭო! — არიგებდა ლობუანიძე, მაგრამ არც თვითონ იყო მამაცად.

მაშინ მემანქანედ იყო, ნავთის გრძელი მატარებელი მოჰყავდათ. — გვირაბში შევდივართ, მიეცი ნიშანი, — უთხრა ლობუანიძემ თავის თანაშემწეს. საყირი აუშვეს, ორთქლმავალში სანთლები აანთეს. გვირაბში შევიდენ, ახლა ზემოდან გვირაბის თავზე მთაა, ხეებითა და თოვლით დაფარული. ქვის ალმაცერად დაწყობილ ფენებში მატარებელი მიიწევს წინ, გუგუნებენ მანქანები, ჩაღამებული კედლები იმეორებენ ოხრას, თითფითს, კაკუნს. ბოლი ჩამოწვა დაბლა, სულ დაბლა, თითქოს გვირაბის კედლები ჩაიზინება. მემანქანებმა ხელი მოიფარეს სახეზე და კარები მაგრა დაგმანეს. გაიბრძოლა წინ ლობუანიძის თრთქლმავალმა, ბუფერის თეთვები ერთმანეთს საყოჩაოდ დაერაჯგუნენ, და მთელი შემადგენლობა ისე არაზრაზდა, თითქოს გვირაბის კედლები გაიბზარა და ქვები დასცვიდაო.

ამ რაზრაზზე ლობუანიძის ორთქლმავალში თაღი თოხად გაიბზარა, იმავე წუთს აშევავდა და დაირღვა.

მატარებელი გაჩერდა და მაშინვე, თვალსა და ხელს შუა, სუნთქვა შეუძლებელი გახდა.

შეშინებულმა ლობუანიძემ აუშვა საყვირი, შემადგენლობიდან მემუხრუჭეთა ბრიგადა გადმოცვიდა. ვიღაცა კოდა: — „გავიქცეთ წინ“, დედას იგინებოდა,

გაირბინა ცოტა და ფორხილით წაიქცა, — ორივე ხელი წინ გაშართული დაურჩა, და კვამლში გაეხვია.

ორთქლმავალში სპინთლები ჩაქრა, ჰაერში იწამლებოდა, მბეუტავი ნაციის ლამფის ალი, რომელიც გვირაბში ანათებდა, ცერზე შედგა, ძაფივით დაწვრილდა და გაგრძელდა, შემდეგ ისიც ჩაქრა.

ახლა ყველაფერი ისე მიწყარდა, ხმაურობა თითქოს იქიდან მოდიოდა, სადაც წუთის წინათ გემი ჩაიძირა. გვირაბის ტყეები, ქვეყანას მოწყვეტილნი თვალებამოსეყიტულნი და ფეხებშებორკილნი, სიკვდილმა ჩააჩუმა, და ახლა გარეტიანებულ ლობუანიძეს მოუვიდა აზრად მთელი შემადგენლობა დაეძრა უკან თავდალმართზე, საიდლანაც ძალა შეემატა, ხელები გაშალა და დაიძახა, — დაჯეჭით!..—და დაუსრულებელი ბულა აუტყდა, თითქოს ფილტვები გავარვარებულ რეინაზე ელავა. ორთქლმავალში აფოთხდა და ხელი საყვირამდე ააწვდინა, შემდეგ მუხრუჭები აუშვა, ორთქლს გზა გაუხსნა და თჭრთონ ლონემიხდილზ ჩაიკეტა ლუმელის წინ.

ისინი მოასულიერეს დამშარე ჭაგონში უანგბალით. გონს შესულები გამხარ ტუჩებს ილოკავდენ და გაოცებული უყურებდენ უაგრძის ზღვისფერ კედლებს.

ამ შოგონებამ ლობუანიძე ახლა წუთით დაკინა; ელექტროწევის დროს ეს განუწყვეტელი ჯანღიც გაშორდებოდა გვირაბს, არც შემანქანები მოიწიმდებოდენ, არც გვირაბის დარაჯები. ლობუანიძე მჭედლიძეს ამხნევებდა და თვითონ კი ხითათ შეემთხვა, დილას გვირაბში რომ შევიდა, მუხლები ჩაეკეცა, ლობუანიძეს ეგონა ქვას მოზღვით ფეხი, მაგრამ ნელნელა ხერეშში ჩაჯდა. ერთხელ დეპოში მოუვიდა ასე, შაშინ შემანქანედ იყო, ამხანავს გადაეკიდა. ეს „ამხანავი“ მისი ორთქლმავლილზ ჭანუთს იპარავდა, შემდეგ ტენდერს გაბუჯგნიდა და იქიდან პაკლი და კბილანები მიჰქონდა. იმ დღეს ორთქლმავლის გასარეცხავი საენიანი რეზინის მილი უნდა მოეპარა, მაგრამ ლობუანიძემ ზედ წაუსწრო და მაგრად „მითეოჭვა“, არც „ამხანავი“ დააყარა უკეთესი დღე, ლიანდაგიდან გასვრილი და მტევრიანი წამოხტა, იქვე ქვების გაძაცხელებელი რეინის მილები ეყარა, წამოუპორუინა ხელი და ბესარიონს თავში დაათხლოს. ლობუანიძეს მუხლი ჩაეკეცა, თანცათან დაეჭვა და, როგორც შეტდეგ ამხანავება უთხრეს, თურმებულიც წაუვიდა... „აღმართ ანლუ ასე მომდის“ — განთქიქრა ბესარიონში და მიწაზე გაწვე. ფოლადალუმინის მავთულებით დატვირთული მჭედლიძე უკან მოდიოდა. და თავის ოსტატს ას ყოფაში რომ წააწყდა, ერთი სამჯერ ისეთი დაიწვრო, გვირაბის მეორე გაიგონებდენ, შემდეგ მივარდა და ოსტატს პირისახე. რაც ძალიდალონე ჰქონდა დაუზილა (ვაი ისეთ დაზელას). ლობუანიძეს შემდეგ ერთი კვირა, სახის დაუეფილი კანი სტკიოდა).

სამონტაჟო სამუშაოებიდან მუშები დაბლა ჩამოცვივდენ, ლობუანიძე გვირაბიდან სუთა ჰაერზე გამოიყანეს. ჩქარა ქსენონიდან ექიმი მოვარდა და ნემისი გაუკეთა. ბესარიონი ისე დააწვინეს, რომ თავი დაბლა მოუქციეს. ამას რომ შეედლის შეხედა, კინაღამ გადაირია და ექიმს ცრემლმორეული ექითხებოდა:

— რას შობი კაცო, როგორ შეიძლება ასე!

— არაფერია, ასე უნდა; — დააწყნარა ექიმია, — უსაზღვროზ დაწლილა, ამის გვირაბში დარჩენა აღარ შეიძლება...»

ლობჟანიძემ ვაგონში გაახილა თვალები და ამასიქით ბევრი ხანი არ გასულა მარჯვენა ხელით კაბაწეულმა, თავზე თავშალშემოხვეულმა, მეზობლის ქალის თანხლებით, დარუმ ფერდობიდან თავი ამოყო და სირბილით ვაგონში შემოგორდა, ხერხმოდა, ოცლი და ცრემლი სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა, ყელს და პირისახეს იკაწრავდა, დაშინებულ თვალებს აბრიალებდა და გულდამდულრული მოსთქვამდა:

— დედა, დედა, დედაა...

რამდენიმე დღის შინ სადგურ მოლითში ინუნერში გეგეშიძემ, რომელიც მშენებლობაზე საუკეთესო მომუშავედ ითვლებოდა, ლიანდაგზე ფიქრში წასულმა გადმოიარა. დაღლილი გეგეშიძე ფიქრობდა თავის ბრიგადაზე, ამდროს დაწია საფოსტო მატარებელი და ქიაჭიად აქცია. საწყალი ცოლი სადგურზე ვარეტიანებული მოვარდა. გეგეშიძე ოცი დღე არ ყოფილა სახლში და ცოლშვილთან პაემანი დანიშნული ჰქონდა გადამცემი ხაზის ფინალის დღისათვის. ახლა ასეთ პაემნის ვამზ ცოლს პატიებას სთხოვდა და სულთმობრძანი კარგად მყოფს აიმედებდა. ამასწინათ მჭედლიძე მონტაჟის საქმეში გართული და აფოფრილი მოაგორებდა ლეიტერს, ზედ თვალშინ ნავთის გრძელი მატარებელი გამოუჩნდა. აუცილებელი იყო დამსხრევა, მაგრამ მჭედლიძემ ლეიტერი ისე გააქანა წინ, მატარებლის სიჩქარეს გაუსწორდა. მირბოდა მჭედლიძე, მირახრახებდა ლეიტერი, ხოლო მატარებელი ფეხზაფე მისდევდა. შემდეგ, მატარებელი რომ გააჩერეს, მჭედლიძე ძლივს აგლიჯეს ლეიტერიდან, გაფიტრებული და სასომიხდილი...

დარუმ ეს ამბავი იცოდა და ეგონა მის თავზე უარესი ამბავი დატრიალდა.

ხაშურის, მოლითის და ზესტაფონის ღია და დახურულ ქვესალგურებში სააღმშენებლო სამუშაოები დასასრულს უახლოებოდა, ოჩოფებაზე შემდგარი მხერგაშლილი ლითონის კონსტრუქციები, ჩრავალი ფორმის იზოლატორებით დაყურსულნი, დღე-დღეზე ზაჰესის მაღალი ჭინვის დენს ელოდებოდენ.

იოსებ ბაბუციძე მოელი დღე დაფორთხავდა მარტო, სამონტაჟო სამუშაოებს გალინას სიახლოესსაც არ იყარებდა. ვიღაცებთან ჩურჩულებდა. ფულს ჰპირდებოდა, ქაქანით დარბოდა ორსართულიან ქვესალგურის კიბეზე და ღამე, როდესაც ბრუნდებოდა შინ, აწვალებდა უცნაური წინაგრძნობა, რომ ის ჩქარა, სულ ჩქარა მოკვდება. ერთ საღამოს წერილიც დაწერა და ამდენი ხნის უსაშელო გადასაწყვეტიც გადაწყვეტა, მაგრამ შემდეგ მოფექტებულ გეგმაზე ისევ ხელი აიღო და ჯერ ქვესალგურის მონტაჟის საქმების დამთავრება ამჯობინა.

ამ ქვეყნად იოსებისათვის ყველაზე დიდი მაფრთხოებელი ვალინა იყო. რა უნდა მოხერხებია ამ ქალისათვის იოსებს... დღეს ან ხვალ გალინა წავიდოდა და წერილობით მოხსენებას ჩააბარებდა ბესარიონს...

არა, ჯერ გალინას უნდა მოუაროს იოსებმა?

...და მაღე უკანასკნელად იჩეუბეს მათ. იოსებმა კარები ჩატეტა, არაჩეულებრივად ფაცურობდა, გალინა განუწყვეტლად ადევნებდა. თვალს და ბაგების კუთხეში ღიმილის ნაოჭები ეკერა:

— აი, აქამდე ყოველთვის შენ მეხვეწებოდი, გალინა, მოვილაპარაკოთო, ახლა მე გაძლევ წინადაღებას, გავათავოთ ყველაფერი!

— გავათავოთ, — უპასუხა გალინამ და სმაც აუკანკალდა. მაშინ იოსებმა განაგრძო:

— ახლა მე სრულებით არ ვარ ნორმალურ ხასიათზე, იმიტომ ბევრის მიკიბიჭვია აღარ შემიძლია,

— ეს არც საჭიროა...

— მართალი არის, ეს არც საჭიროა. ბევრი ხანია მე და შენ ვიცნობთ ერთმანეთს, ოდესის უნივერსიტეტიდან, ხოლო უკანასკნელი ზეთი წელი სელ ერთად ვწუშაობდით, სანამ ამ ჭაობში ამოვყობდით თავს, სადაც ყოველდღე უფრო და უფრო ღრმად ვიძირებით...

— არა, მე ჯერ ახალგაზრდა ვარ! შემიძლიან ახალი ცხოვრება მოვაწყო, და მე მინდა როგორმე გამოვიდე ამ ტალაზიდან.

— გამოდი, პატიოსანი, მეც მანდა ვარ. ორ წელიწადზე მეტია შენ მაგას იძახი, და სწორებ დღეს ყველაფერი გავათავოთ. წადი, მაგრამ ერთ რამეს გულ-ცივად გეტყვი, გეტყვი და შენ იცი, მე უადგილოდ ლაპარაკი არ მიყვარს... ჩვენი ქვესადგური მაღალი ჭინვის დენს ღებულობს, შესაძლებელია ეს დენი შემთხვევით მოხვდეს იმ ქსელში, სადაც შენ საშუალოდ იქნები მიბმული, ან სხვა საშუალებას მონახავს კაცი, ხომ იცი, ათასნაირი საშუალებაა...

იოსებმა მარჯვენა ხელი ჰაერში შეათამაშა.

— დახუ, მოკვლითაც მეუქმრებით... — მიუგო გაოცებულმა გალინამ, აკან-კალებული ხელი შუბლზე გადასვა და მხოლოდ შემდეგ დაგვიანებით დაუმატა: — ხომ შესაძლებელია, იოსებ, მანამდე თქვენი პიროვნებით დაინტერესდეს ვინმე?

— სრულებითაც არა, შე ქალო, დასამუქრებელი მე რა მაქვს, პირიქით, შენ ხარ ყველაზე დიდი მუქარა ჩემთვის, და თუ ვინმე ჩემი პიროვნებით დაინტერესდა, ჩემი წარსული მუშაობის სურათის აღსაღვენაა საჭირო იქნება თქვენი წარსულის გაშუქრებაც! ხა-ხა-ხა! და თუ შემთხვევით გამოგიშვეს, ან რომელიმე ნიშანი გულზე დაგაბნიეს, მაღლობის ნიშანად, როგორც მახეზლარს, მაშინ, აკი გითხარი, ათასნაირი საშუალებაა, ჩემო კარგო!..

იოსები ლაპარაკობდა სრულიად გულცივად, და როდესაც ქალი ყველაფერ ამას ისმენდა, ის პირდაპირ შეპყურებდა თავის ნაცნობს და გაფითრებული, უმწეო, თავის სკამზე წრიალებდა, შუბლს ისრესდა, თითებს იმტვრევდა.

— ლიახ, იოსებ, მე ამაზე მითვიქრია, — ამოიკვნესა ბოლოს ქალმა, — მე ბევრჯერ ეს წინასწარ გამიზომავს, აქამდისაც ველოდი ყოველივე ამას. მე აჩახადაც არ შემიძლია განვაცხადო რაიმე თქვენს შესახებ, ეს კარგად იცით, ამიტომ ვემუდარებოდით ორი წელიწადი, მაგრამ მე გეტყვი და შენ იცი! მე გულწრფელი ვარ, მე მართალს გეტყვი... მე ჩემთვის მინდა ვიყო, შენ თუკინდ ქვეყანა დააქციე, რა ვქნა, არც ავში, არც კარგში მე არ შემოგერევი.

— შენ ვინდა თქვა: შენ შენთვის, მე ჩემთვის! მაგრამ მე თუ ქვეყანა დავაქციე ერთხელაც იქნება კოკა წყალს ველარ წაიღებს, მე ჩემს ცოდვებს მომკითხავენ და მაშინ, სულერთია, შენც ჩემ გვერდით მოხვდები...

გალინა ისევ აწრიალდა, თმა უადგილოდ გადაივარცხნა, ამოიკვნესა და რომ მლელვარება დაეფარა, ნაძალადევად გაცინება სცადა.

— დამშვიდდი, ამზანგო გალინა! ხა-ხა-ხა! თქენ, უპირველესად ყოვლისა, ქალი ხართ და ყოველგვარ საკითხებს მსუბუქად უდგებით. მე არ ვამბობ ეს აუცილებელი იყოს. შენ გაქვს მეორე გზაც, ვიქორწინებთ, ვიქნებით ცოლქმარი და...

— ხმა. ხმა, არ გამაგონო! — წამოსტა სკამიღან გამწარებული გალინა, — არ გამაგონო, შენ ხუთი წელიწადი ჩემთან ლორულად ცხოვრობ და მაგ სიტყვებით ჭიჭა შემიშალე! ათასი საშუალება იყოს, აიღე რაიმე და დამარტყი, გაათავე, აჰა, დამარტყი! მე არ შემიძლია, არ შემიძლია, არა...

და გალინა ასე გამწარებული რომ ყვიროდა, თვალიდან ცეცხლს ჰყრიდა, კისერს იღელავდა, იოსები ვეღარ მიმხვდარიყო როგორ მოქცეულიყო, ამიტომ სკამზე ჩამოჯდომა ამჟამინა.

ქალი შეტრიალდა, დაავლო ხელი თავის პალტოს, პირტფელს და კარებისაკენ გაემართა. იოსებმა წინააღმდეგობა არ გაუწია, გალინამ კიბე ჩაირბინა და ჭიშკარს მიაშურა.

წავიდა, მაგრამ რეტრასტმული იოსები დიდხანს, დიდხანს იჯდა სკამზე. ღია კარებიდან შემოღიოდა სიცივე, მაგრამ ამას ის არაფრად აგდებდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეღამდა, ფეხისკერით მიხურა კარები, ტანგაუხდელად დაწვა ლოგინზე, თვალები ჭერს მიაბჯინა და ათასნაირი მოგონება, ათასნაირი სურათი მოსვენებას აღარ აძლევდა. ყველაზე ძლიერად ახლა იოსებმა იგრძნო სიმარტოვე და ოჯახში შემოსული სიცივე. თითქოს ვიღაც ყელზე ხელს უჭირდაო, ისე ტრიალება და იოსები ლოგინზე და უცნაურ ლანდებს იგერიებდა.



მან ადრე გამოიღვიძა და თავის სახლის დერეფანში გავიდა. შავი შალის წამოსასხამი გულთან საში ზონარით ჰქონდა შეკრული, ვერცხლშესხმული თმა სახეზე ჩამოშლოდა და ცალ თვალწარბს უფარავდა. თეთრ, ფერმკთალ, სუფთად გაპარსულ სახეზე სიწითლე შემოპარვიდა. ხელის კერით თმა აისწორა და სადგურიდან მომავალ გზას გახედა. ზებო და გალინა არ მოდიოდენ, არც ლობენიძე ჩანდა. სადღაც მინდვრის მოსახვევთან კვამლი აღმართულიყო და პირუტყვი ბალაშობდა.

— ისევ სურამი! — ამოიკვნესა იოსებმა, — ისევ სურამი, ისევ ფიქრები და ლანდები! ვეღარასოდეს მოიშორებ მათ, როგორც სულის მლრღნელ ჭიებს და მატლებს.

ეს ველები, ქართლის ტრამალები და მასზე გაწოლილი უზარმაშარი რკინის-გზის კიბე, მზის სხივებით განათებული, შორს, სადღაც ლრუბლებთან არის მიბჯენილი, და იოსებს თითქოს მთელი ტანი ასტკივდა, მაგრამ არა, ეს სხივები არ არის, ეს ცისარტყელას ფერად-ფერადი ზოლებია, ან, ალბათ, უზარმაშარი ელექტროპროექტორები გაუმართავთ ხაშურის გარეუბანში, ფანჯრებგამონათებული თეთრი სახლები აღმართულა, თეთრი, როგორც ახლადალესილი კირი... „ალბათ ზეიმია“... გაიფიქრა იოსებმა.

მაგრამ უცებ, როდესაც იოსები აქ დერეფანში იდგა, ჩაქრენ პროექტორები, ქვეყანაზე დაბნელდა, გაიბზარა თეთრი სახლის კედელი და სახურავები ჩამოწვენ. გრიალით დაეშვენ ქვემოთ ნათალი ქვები. შემდეგ ნაცრისფერი მტვერი აფარდა

ჰერში, რომელიც გაიზარდა და თოფისწამლის ბოლივით გაშავდა, დაზეულობა და გრუზა.

გუგუნით იმსხვერეოდა რაღაც, თითქოს ქვემეხები გრუზუნებდენ.

და ასე გამწარებული იოსები რომ იდგა, ის მიხვდა, რომ ყოველივე ეს მოჩვენებაა, გაიბრძოლა, მაგრამ თავი მაინც ვერ დაახწია სიზმარს.

საიდანლაც უღარესი გარკვევით იმსის და თანდათან ახლოვდება, შემდეგ ზედ თავთან ჩამორქეა. იოსებმა მოიშველა სვეტი, მიყყრდნო და მკლავებით მოხხვია. რაჯგუნით, რეკვით და ზრიალით წამოყიდა ჯაჭვი, ქერის ფიცარზე შეწყდა მისი ტანის უკანასკნელი სრიალი. იოსები ვერსად გაიქცა, ფეხები მოუდუნდა და წელი ველარ გაათრია. ამიტომ თავი მკლავში ჩარგო და ზურგი აიშვირა, გაუყუჩდა და ყოველი სახსარი წინასწარ საშინელ ტკივილებს გრძნობდა. ის ამ წესის არც სუნთქვავდა, არც თვალს ახამხამებდა და თავს უფრო გამალებით რვავდა მკლავში. აპა, საცაა დაეცემა ჯაჭვი, უცნაური სიმძიმე რაჯგუნით დაატყდება და შემდეგ იოსებმა არ იცის რა იქნება...

ლოგინშე შეხტა, შემდეგ ფეხზე წამოვარდა და დაიბლავლა:

— მამაჩემო, გალინა!

სიბნელეში რაღაცას წაერაჯვუნა და დაეცა.

ზებო ანთებული ლამფით შემოვარდა და იატაზე გაშალართულ იოსები მოხხვია.

— იოსებ, იოსებ!..

იქავდა გულში და ვერ გამოერკვია რა მოხდა.

— იოსებ, ერთი შემომხედე, კაცო, გამეცი ხმა, ხმა გამეცი-მეთქი იოსებ,—ანგარიშმიუცემლად უსრესდა ხელებს, შუბლს და მკერდს. შემდეგ დარეტიანებული მიგარდა დუნიაშასთან, ექიმი გვერდით ცხოვრობდა, დუნიაში ფეხზე ჩაცმა ვერ მოასწრო და წინდებისამარა გაიქცა.

ზებომ იოსებს ცივი წყალი გადასხა, სახე მოუბანა, წიმოზიდა და ლოგინი გადაწვინა.

— იოსებ, იოსებ-მეთქი!

შეინარებ თვალები გაახილა.

— საღა ვარ?...

— აქა ხარ, აქ, ჩემთან. აქა ხარ, რა მოგივიდა, შე ადამიანო, რა დაგამართა?! — იოსებმა ისევ დახუჭა თვალები და ზებოს სახე მოარიდა..

ექიმი მოვიდა. იოსები შეიშმუშნა. ექიმის მოპატიუება სცადა, უადგილო გადაფურთხა, გაფითრებული ისევ ბალიშებზე გასწორდა და ქუთუთოები და ზუტა, მალე ისევ წამოიწია და ტანისამოსი მოითხოვა.

ექიმმა ზებო დაარიგა:

— ახლა მოასვენეთ, სრულებით არაფერია, გული კენჭივით მაგარი აქ და ფილტვები ხელუხლებელი, ალბათ დალლილობის ბრალია...

— რა უნდოდა? — ჰეითხა იოსებმა ზებოს, როდესაც ის: ოთახში დაბრუდა. — ექიმს რა უნდოდა?

— არაფერი, ისე შემოიარა, მე რაღაც სამსახური ვთბოვე, ჩვენი მშენებლის ქსენონში, მეზობლისას ყოფილიყო, ჯერ თერთმეტიც არ დაურეკია!

- ზებო, მოლი აქ, უფრო ახლოს!..
- რა იყო? — გაშტერდა ზებო.
- რა უნდოდა იმ კაცს აქ, არ დამიმალო, მე ხომ შენი იოსები ვარ, რა უნდოდა მეთქი?
- არავერი, სრულებით არაფერი, მეზობლისას იყო და შემოიარა, ქსენონ-ში სამსახურს ვთხოვდი!.. — ჩურჩულითვე უპასუხა ზებომ.
- მატყუებ!.. — წამოიძახა იოსებმა, — მატყუებ, შენ მე მატყუებ!
- საოცარია, რად უნდა გატყუებდე! — აუწია ხმა ზებომაც.
- მატყუებ, შენ ამ უსინიდისობას არ გაძატიებ-მეთქი! შენ ზებო არა ხარ, შენ მტერი ხარ ჩემი! შენ გინდა მე დამღუპო, დავიკარგო, შენ მტერი ხარ! ჩურჩულებდა ცრემლმორეული იოსები.
- შვილო, ვერაფერი გამიგია, გამოგიტყდები! შენ ცუდად შეიქენი, მე გამოვუძახე ექიმს, შენ ალბათ, ცუდად, გეძინა!
- მოლი აქ, მამაჩემო!
- ზებო რომ მოვიდა, იოსებმა სულ ჩაუწია ხმას და ისე იკითხა:
- მაშ მე არავინ მექებდა, არავის უკითხივარ?
- ვინ უნდა გექებდეს, დამშვიდდი, აი ლოგინი!
- და ზებომ ბალიშის ქვეშ ჩუმად დანა ჩაუდო, ძილვატეხილობის უებარი წამალი.
- გალინა სად არის? — იკითხა იოსებმა. ზებომ არაფერი უპასუხა, შხოლოდ ვაოცებით შემოხედა. მაშინ იოსებმა განაგრძო: — ვიცი, ის წავიდა, ისე გკითხე. ოჟ! — ამისხვნეშა იოსებმა და მერე დიღხანს არაფერი უთქვამს, შემდეგ მისუს-ტებული სმით ალაპარაკდა:
- მე დავიღალე, მე დავიღალე, მე ვითომ ადრე გამომელვიძა და ფოსტ-ლებში ფეხჩადგმულმა დერეფანში გავიხედე. შავი შალის წამოსასხმი მეცვა, სმი ზონარით შექრული და ვუყურებდი უცნაურ რკინის კიბეს, ლრუბელზე მიბჯენილს. და ახლაც ვერ ვისვენებ, რა ვქნა, ზებო, მითხარი, შე კაცო, რა ვქნა, ვერ ვისვენებ, ვერა!..



დილას ქართლის ველებიდან და ხოდაბუნებიდან წამოვიდა ნისლი და სურამის ქედის მწვერვალები დაფარა. ზებოს სამსახურში წასელა ეჩქარებოდა და ადრე წამოდგა, ღუნიაშა საუზმეზე გააგზავნა, იოსების ოთახის კარებს თრჯერ შემოუტრიალა, მაგრამ ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ამიტომ შესვლაც ვერ ვაბედა. მას ეგონა დაღლილ იოსებს ეძინა და ეკრალებოდა არ გამოეღვიძებია. სინამდვილეში იოსები, გამთენისას ფეხზე წამომდგარი, სავარძელში იჯდა და ლია ფანჯრებისკენ იხედებოდა. ფანჯარასთან პაწია ჩიტები სახურავს ჯამბაზურად აფრინდებოდენ.

იოსებს ისევ სტკიოდა თავი და უძილობისგან თვალების ქუთუთოები ეწოდა, ამიტომ მოისურვა ჯერ პირი დაებანა.

— მამაჩემო, ახალი წყალი! — დაიძახა მან, და ზებომ, კარებთან რომ იცდიდა, ახლა გაიგო იოსებს არ ეძინა, მაშინვე კარი შემოალო და პასუხი

გასცა:—აქა ვარ!—გამოიქცა და იოსებს, უპირველესად ყოვლისა, სახეზე შეხედა, იმავე წუთს გულზე რაღაცამ გაჰკაწრა: შეილს საამქეეყნო ფერი არ ედო, ნიკაპზე და ცხვირზე წუხანდელი უფერულება არ მოშორებოდა... ისევ ის დაღლისლი თვალები და გამოხვდეა... ზებოს შეეშინდა.

— შენ ავად ხარ, იოსებ!..

ინუენერმა ეგ სიტყვები არაფრად ჩააგდო, ძლიერ გვიან შეხედა ზებო ინა-იჩს და დატუქსა:

— სისულელებს დაანებე თავი, რაც გითხარი მომიტანე და აქედან დამე-კარგე.

ზებო გაიძცა, ჭიდან ცივი წყალი ამოიტანა და სიტყვა შეუბრუნებლად ვაკიდა რთახილან, იოსებმა კი შებლი გაიგრილა, სავარელზე უფრო საფუძ-ვლიანად მოკალაზდა და თვალები ლია ფანჯრილან ისევ გააპარა შორს, თოვლით დაფარულ ბეჭობებისა და სერებისაკენ, რომელთაც მზე ალმაცერად დაჰყურებდა.

და როდესაც შორილან ნაწყვეტი საუბარი მოისმა, შემღეგ ჭიშკარი გაიღო და ოდის კიბეზე ნაბიჯები ერთმანეთში აირია, იოსები მიხვდა, რომ ლობეანიძე, გურაჯიშვილი და „უჯრედის ბიჭები“ უნდა ყოფილიყვნენ და თავის რთახი-მიათვალიერა, მავიდაზე დაწყობილი ხელთნაწერები დაკეცა და უჯრაში შეინახა

„უჯრედის ბიჭები“ კიბეზე ამოვიდენ, რაჯგუნით გააღეს თავიანთი ოთახი და შევიდენ. მძიმე ნაბიჯით დაისარებოდენ იატაკზე, თითქოს ფეხებზე რკინის ჭალამნები ცმოდეთ.

ერთი ფეხის ხმა გამოეყო და ბაბუციძის რთახისკენ გამოემართა. ეს ალ-ბად ბესარიონია, — გაიფიქრა იოსებმა და სწორეთ ამ ღროს ლობეანიძემაც კარები შემოაღო.

— დილა მშვიდობისა, ამხანავ იოსებ, არ გასვენებთ, ა? შენ რა ამბავში ხარ, იოსებ, გალინას წაჩხუბებიხარ, საწყალი ქალი ტიროდა!

— დილა მშვიდობისა, მაგ უჯრედის ბიჭებს უთხარი, როდესაც ამ სახლში შემოდიან, ცოტა საკუთარ თავს პატივი სცენ და ხმაღაბლა ილაპარაკონ და დაბიჯონ... — ააგდო სიტყვა ბანზე შემფოთებულმა იოსებმა.

ამ ღროს ოთახში ზებოც შემოვიდა, ბაბუციძემ ეს მაშინვე შეამჩნია;

— რა ღროს ნეტავ! — იკითხა იოსებმა, — წუხელი საათი მაჯაზე შემრ-ჩა და მივამტვრიყ, ხომ არ დავაგვიანე, ახლავე გაღავიცვამ. დუნიაშა, ჩემი გამა-შები და ფეხსაცმელები...

ბესარიონ ლობეანიძეს კისერგადალუნული, ლითონისწვერებიანი ჯოხი ეკავა, ცალი ხელით დახვეულ გრძელ სახაზავ ქალალდს ძლიერ იმაგრებდა, სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი. საკუთარ ტანზე შეკერილი მეთაურის ფარავა ეცვა-და როდესაც გადააღვამდა ნაბიჯს, ახალთახალი ჩექმები გამოუჩნდებოდა. თავზე, სამხედრო ქუდი ეხურა, რომელზედაც დიდი ვარსკვლავი იყო გაკრული. ყველა-ფერი ეს ბესარიონს იოსების თვალში ჯიქურობას ჰმატებდა.

— წუხელის ცუდათ მეძინა! — ჩაილაპარაკა ბაბუციძემ თავისთვის.

— ცუდათ გეძინათ? ცხადია, იძინებთ მარტო და ვერ მოისვენებთ, ისტუ-რიკა, ბატონო, ეს საშინელი ავაღმყოფობაა, — შეაგება ბასუხი ბესარიონმა.

— გალინამ გამაჯავრა. რაო, რა თქვა? ხა-ხა-ხა, თქვენთან მიჩივლა?!

— ჰო, გიჩივლათ. მოვიდა, ტიროლა, მიზეზი კი ვერაფერი ვათქმევინებ, რატომ იჩუბეთ, ესღა თქვა, ჩევულებრივი საოჯახო ღრამის მსხვერპლი ვარო. მივუჩინე თავისი ბინა საერთო სახლებში. განა ასე უნდა მოიჭეოთ?!

— ჩემი ბრალია, არ შემირიგდება ვიცი და გასალახიც ვარ ამაზე!..

ზებომ ნაძალადევი გაცინება სცადა და ისევ თავი შეიკავა, ცუდი არაფერი წამოსცდენოდა.

— თავი საშინლად მტკიოდა, სიცხეც მქონდა, ექიმისაც გამოვუძახეთ...

— რა მოგიყიდათ? — მზრუნველობით და გაოცებით აღმოხდა ბესარიონს და იოსებს დაყვავებით ურჩია:

— თუ ასეა, იქნება სჯობდეს თქვენი სამუშაოს გადადება... თავს მოუარეთ, ღამე ნუ კითხულობთ და წერთ, დაღლა ყველაფერის დამღუპველია, მით უფრო აწლა თქვენი ავაღმყოფობა...

ეს უკანასკნელი სიტყვა ბესარიონმა ზომაზე მეტად გააგრძელა და თითები ნერვიულად აათამაშა.

იოსებს ჩაქუჩიერით სცემდა ბესარიონის მზრუნველობა. აკვირვებდა, ნუთუ აშას ეუბნებოდენ მას? მერე ვინ, ბესარიონი? აფასებდენ და უფრთხილდებოდენ?

— საოცარია, — ფიქრობდა იოსები... — საოცარია, როგორი უნარი აქვთ შენი ჭირიმე მათ...

— რა მოგიყიდათ? თუ ასეა, დღეს მოისვენეთ, მეც გვირაბში აგრე დამემართა, ექიმმა დაღლის მიზეზიაო, დავისვენე, კაჟივით გაეხდი! — წარმოთქვა ხელმეორედ ბესარიონმა, რაკი პირველ სიტყვაზე პასუხი ვერ მიიღო და მზრუნველობით დააკვირდა იოსების სახეს. ბაბუციძე ყველაფერს თავჩაღუნული უსმენდა. როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— ისეთი არაფერი, ძილი გამიტყდა, ცუდმა სიზმრებმა არ მომასვენე!

შოიბარა და მარჯვენა ფეხზე გამაშები ჩაიცვა, მუხლების მსხვილი კუნთცბი დალეულიყო და მკაფიოდ აღარ ჩანდა.

რახან ბესარიონი არ მოეშვა, იოსები იძულებული იყო მოჰყოლოდა სიზმარს. იოსებს ეშინოდა ნამდვილად მოლანდებული გაემზილა. ეს ისევ საიდუმლო იყო, როგორც ის სხვა სინამდვილე, რომელიც მარტო მის სულიერ ქვეყანაში ამდენი ტანჯენის ფასად ინახებოდა. ამიტომ რაღაც საშინელი ამბები შეთხა, ვითომ გაცხარებით ეომებოდა ურჩებულებს ხმალამოწვდილი და კივილით ცაში გარსკვლავებს წყვეტდა.

ბესარიონმა მოუსმინა, თუ როგორ აჯობა გველეშაპმა ინკუნერს, ჰევე მოიქცია და თავისი სამართებელივით ალესილი ბრჭყალები სახეზე დაადო! ბესარიონმა შენიშვა:

— შენ, თუ ძმა ხარ, თავი გაანებე ხმალს და გველაშაპებთან ბრძოლას, მათთან ამით ვერაფერს გააწყობ. ყველაფერს სჯობია მათ შორისაც მოძებნო აღგილი. არის ერთი თქმულება: ამ ცველეშაპის კუდზე ყოფილა დაყრდნობილი ეს მძიმე ქვეყანა. მიუხედავათ ამისა, ძევლ ლეგენდებში, ყველა ვიგინდარამას თავს ჭრიდა. ეს ამ მუშკეტერების მიერ მოჭრილი ლეგენდებია.

იოსები წელში გასწორდა, შუბლზე ხელი იტაცა. ეს ოთვორ, მის გულში დაცინ-  
ვთ ლაპარაკობდენ და ხითხითობდენ. ბესრიონმა სომ არაფერი იცოდა რა ეწყო იქ  
ზელუხლებელ კუნცულებში? ხომ არ გასცა გალინამ, რომელიც დაემუქრა კიდეც?  
გალინა ამ უკანასკნელ დღეებში რაღაც საეჭვოდ იქცეოდა ბესარიონთან... დიახ,  
ალბათ სწორედ ასეა და გრძელი დამენის ქაღალდი წარლგენილია... ეს  
ქაღალდი წაკითხული აქვს ბესარიონს და წელანდელი მზრუნველობაც მოგონილი  
იყო, თავისი სასახელო გამარჯვება იოსების სრული განადგურებით სურს  
დააგვირგვინოს... რა სასტიკათ და შეუბრალებლად გამოიყურება ახლა მისი  
ბრინჯაოს ფერი პირისახე სამხედრო ტანსაცმელში და რა მკაფიოა ახლა ეს  
გარსკვლადი, პატარა, წითელკიდურებიანი ვარსკვლავი ახალთახალ ქუდიზე...

— დიახ, არის თქმულება, მანე ყოფილა დაყრდნობილი ეს მძიმე ქვეყანა...

გაიმეორა დაბნეულმა და შეშფოთებულმა იოსებმა და საკინძები შეიძნია,  
მაგრამ მათ ყელზე წაუჭირეს და იოსებმა უკანასკნელი ორი ღილი კანსნა.

— არის ერთი თქმულება, — გაიმეორა დაფანტულმა იოსებმა, შემდეგ ჩა-  
ფიქრდა და გამოცოცხლდა, წარბი შეიკრა და თავი იმართლა:

— მე ხომ არ ვებრძოდი მათ, ისინი მოიწევდენ ჩემზე და თავის ტორქეშ  
ჩემი დაგდევა სურდათ... ისინა მე დამდევდენ თავიანთი საჭართებელივით აღე-  
სილი ბრწყალებით.. ისინი მოიწევდენ... გესმით თუ არა... ისინი მოიწევდენ  
მეთვი... თქვენ იქნებ არ გესმით ეს?

ეს ხმამაღალი ლაპარაკი და იოსების სახის უფერულობა ლობეანიძეს ძა-  
ლიან გაუკვირდა და იხუმრა.

— იოსებ, თქვენ თავი ისევ სიზმარში ხომ არ გვინიათ? — და ცნობის-  
მოყვარეობით წივნი გადაშალა. ყველამ გაიცინა.

იოსები მზად იყო წასასელელად, საჭმლის მოთხოვნილება მას დღეს სრუ-  
ლებით დაჭკარებდა, გული რაღაცნაირად ერეოდა და თავი სტკიოდა. ნახევარი  
ჭიქა წყალი დალია, შემდეგ ბაგები კბილებით მეტშრალა და თავისთვის დაცე-  
მული ხმით ჩაილაპარაკა, ისე, რომ ბესარიონისათვის სახეში არ შეუხედავს.

— წავიდეთ! — გაალო ოთახის კარები და კიბე ჩაირპინა.

## II

წინათ ბევრჯერ ზამთარი ისე გაივლიდა, რომ იმ გლეხების უმრავლესობა,  
რომელიც ახლა სურამში მუშაობდა, ამას ვერც კი გაიგებდა.

ისხდენ ბუხრის წინ, კერიასთან, შეშას ჩეხავდენ, ქალამწებს კერავ-  
დენ, ნაღირობდენ, შოჯამიგირეობდენ და თითქოს ახლა ნახეს მათ სუსტი.  
ულელტეხილი მაინც უზარმაზარ საყინულეს ჰეგვადა, ვარშეტო თოვლით  
დახუნდული მთები ყოველ წუთს გრუბუნით აზვავებდენ მეწყერს. თოვ-  
ლის სიმძიმით წელგატეხილი ნაძვები, თეთრად შეფერებული, დაბორიგილნი,  
აღარც კი ჩანდენ მიწაზე. მთის პაწია ჩიტები ზამთარმა ჩერიმელას ნაპი-  
რებამდე ჩამორეცა, მთელი დღე ღიანდაგის პირად საკენკს დაეძებდენ და ურია-  
მულით იქლებდენ ხეობას. მურამ ნისლში გახვეული მთები მარტო ხანდახან  
გამოაჩინდენ ყინვებით გალაბლაპებულ თავებს, და მოელვარე მზე მაშინ რომ

დააჭირდა ამ სითეთრეს, ჩუხჩუხით აიშლებოდენ ნამქერის ნაკადულები კლდეებზე, ჩხერიმელა ხუილს უმატებდა, ყელამდე გაზიზინებულ კალაპოტიდან წყალი ნაპირზე გადმოდიოდა... ლიანდაგის ჭირად ჩამოხერგილი ქვები, თოფის წამალიგით შავი ქვიშა და ძირიანად მოთხრილი ბები ნაეთის მატარებლებს აბრკლებდენ.

შემდეგ იმავე ღამეს ერთბაშად ყინვა ღაისისინებდა, ნაძვის ხეები შეიჭირსლებოდა, ნაკადულები ქვავდებოდენ, ჩხერიმელა მიიძინებდა, თითქოს ამოილეოდა კიდევც, საიღლანაც მოფოფებდებოდენ თოვლიანი ღრუბლები, მშვერვალები ნისლ-ჯანმში გაეხვეოდენ, დაიკილებდა ქარი და ცილან ყრუ ფიჩუნით ცვივოდა ეს თეთრი მომაღუნებელი სუსტი. ქარი ათამაშებდა თოვლის თეთრ ჰეპლებს, დააჭროლებდა მათ სან ალმა, ხან დალმა, შემდეგ მოუსვენარი სისინით მოფარებულ ადგილებში ლექავდა. ნაძვის ხეები ისევ გაუჩინარდებოდენ მიწაზე, მთის პაწია ჩიტები ისევ ჩამოიშლებოდენ ხეობაში, ახალი თოვლი მეწყერებს აზვავებდა და გრუსუნით წამოსული ლიანდაგს გლეჯდა.

მოუსვენარი გზისმწმენდავი მატარებლები გადასარტენზე თოვლში იფლებოდენ და დამხმარე ორთქლმავლებით მოათრევდენ მათ უკან. ულელტეხილის სადგურები თოვლში ჩაიჩუმექრა. იქ დღეობით იდგენ გათოშილი ნაეთის მარაჟრუტები და გამგზავრების რიგს უცდიდენ, ეს რიგი აღარ მოდიოდა და ლუმელში ცეცხლმინელებული ორთქლმავლები ლიანდაგებზე იძინებდენ.

ბესარიონ ლობჟანიძე თავისი ლითონის წვეტიანი ჯოხით დააბოტებდა სურამის მთებზე. მარებიდან ავარდნილ ანაორთქლში ნიადაგგახვეული და სიცივისაგან ფერშეცვლილი.

— მაგრად, ბიჭებო, საცაა თებერვლის მზე გამოანთებს! — ყოველ ბრიგადაში, ყოველ სამუშაოზე გუგუნებდა მისი ვაჟაუცური მოწოდება, და ბიჭებიც მზად იყვნენ თვევინდ წყალში ჩაკვენილიყვნენ და ისე ემუშავათ.

ხან თხლად, მაგრამ ლელვის ნაქურჩელას სიფარისის ფიცქებით ბარდნიდა, ხან ლერლილებით წერილად ცრიდა, ხან ფრჩხილის ოდენა ჩეჩქივით მოქონდა ქარს ფათქუნით, სისინით და ერთბაშად მოვარდნილ გამძაფრებულ ქარბუქების ზათქით ათოვდა ლიანდაგს, რკინისგზის სადგურებს, გზის ისტატების ქოხებს, ტელეგრაფის ბოძებს, იზოლატორებს, გამტარებს, ხეობას, მთასა და ღრეს და ასე რძესავით დუღდა და ქათქათებდა ცა და მიწა, წყალი და ჰაერი.

ქარი ხან აღმოსავლეთიდან დაიქროლებდა, წამოშლიდა მთებიდან უკვე ჩამოთვლილ ფიფქს, ჰაერში კორიანტელს დაუყენებდა და რკინისგზის სადგურებს თავზე გადმოაყრიდა, სუნთქვას გააჩერებდა და თუ ამ ღროს დასავლეთიდან შემზევდი ზღვაური შეექილებოდა, ჰაერში რისხვა ტრიალებდა, ებრძოდა ერთმანეთს ორი მიმართულების ქარტეხილ, თოვლი კი მაღალი, დაგრეხილი სვეტივით აღიმართებოდა ჰაერში და ციბრუტივით ბრუნავდა.

ერთხანს გამოიდარებდა, თითქოს გაზაფხულიც დადგებოდა, ლობჟანიძის ბიჭები მზეზე თბებოდენ, თოვლჭყაბიც მიიღეოდა, სურამში ეგონებოდათ ეს არის გადავრჩითო, მაგრამ ისევ აიშლებოდა ავდარი...

1905 წელს აჯანყებულები იყნენ ულელტეხილზე ასეთ ყინვებში, ახლა კი სურამის მშენებლები იჩენდენ ვაჟაუცურის და გმირობას. სტიქია და აღმიანი

დაკიღნენ ერთმანეთს, არც ერთი მხარე არ თმობდა და ასეთ ხიტათიან და შეფოთვარე ბრძოლაში უგემური ზლაზნით, ზმორებით და გამთოშავი სისინით გადიოდა იანვრის თითოეული დღე, საათი, თითოეული წუთი.

ამ ცეცხლოვან, ოფლ და სისხლნარევ საათებისაგან შედგა დღეები, კვირე-ები, ჰყაულები; აფუვდა ეს საათები, ვაჟაპური შრომით, მოთმენით და თავ-დადებით ნაზარდი. თანდათან ჩალაგდენ უკან ყინვიანი ლამების გრძლად ვა-ბაწრული რიგები და შეუმჩნევლად, თვალსა და ხელს შუა, ჩიტებშა სასიხარულო გალობა მორთეს, შეემ აყარა სუსხი და ყინვა, ჩხერიმელამ ხუილით ჩარეცხა ის ზღვამტე, კვირტებმა თვალი გაახილეს, ალბურმა იამ ქაშანური ფრთები გაშალა, ძერებმა ჰავრში დაიწყეს ნავარდი, და როდესაც მთების თავზე ღრუბლები შე-გროვდა, თოჯულის მაგიერ შხაპუნა წვიმით დაასხა.

ზამთარი გავიდა მინდვრებიდან, ეზოებიდან, ისევ მთების მწვერვალებზე აბობლდა. ხეში წყალი ჩადგა და მიწის ქვეშ ჩაძინებულმა ბაყაყებ-მა კრუალი და ყიყინი გააბეს. ისინი ყიყინებდენ შეღმებისას ყოველ ეზოში, ყოველი სახლის წინ და გასახარელ გამოლეიძებას უწყებოდენ. მწვერვალებიდან უგანასკნელად შემოუტია გამხვრეტავმა ქარმა, მოაყარა მუშტის ოდენი კოში და ხოშკავალა. გამთბარი შეე ლონივრად შეიჭრა ცაში და მთელი დღე დიდებით მაღალ ლაჟვარდზე სუფევდა.

პაწია გოგირდისუერა ბუჩქებმაც გაშალეს ფერადი ფარჩები და გაზაფხული-დაშვენეს. მაინც აქა-იქ ლრმა ძაბრებში ჩარჩინილი თეთრი თოვლი კიანთობდა და ქვეყანას ახლადგასტუმრებულ ზამთარს აგონებდა.

## თავი მიოთხვ

### 1

ზაშურის ლია ქვესადგურში ჩამწკრივებულია ზეთის ამომრაველები, ტრანს-ფორმატორები, ვეებერთელა მშჩინავი იზოლატორები. დახურულ ქვესადგურში მოტორებერატორი დადგეს, უშველებელი საკისურები გამართეს, განმანაწილე-ბელი მარმარილოს დაფის მონტაჟი დამთავრეს, სარდაფები ასფუთიანი ბატა-რებით და აგუმულატორებით გამოჭედეს. ბაქოდან ჩამოსულმა ბრიგადამ ჭერზე უშველებელი ამწევი ონჯანი დაკიდა, მთელი მოწყობილობა საოცარი წესწყობით გრიალებდა. მაღალი ჭინვის დენი წიოდა ტრანსფორმატორებში და ღამით მთელს უბანში უზარმაზარი ელექტროსანათურები ბრძლევიალებდენ. დახურულ ქვესადგურს მნაბველები ბუზივით ეხვევა, ეს მეხუთეჯერ ჩამსხვრიეს ფაჯურის მინები, მცველი ილანძლება და ხალს ხელის-კერით ერეკება. სამუშაოების უკანასკნელ რიგს ამთავრებენ, სახელოსნოში მაგრად სცემენ უროს, ვიღაცა ჩაქუჩის კაჟუნს აყო-ლებს, და დაუღრღომელი რიტმი ირხევა. სადღაც მორებს ხერხავენ, მანქანა წი-ვის და ხრიალებს, საალლუმო ორთქლმავალი ჰეივის, ქალები ტკრციალებენ და დარუს ხმა ყველასას აჭარბებს. თითქოს ეს მსუყე მარილიანი ოფლი აო-რთქლებულა, იწევს მაღლა და მზის სხივებით დეღმიწიდან ამოწყვილი ოხში-ვარივით ქათქათებს. ხაშურის დახურულ ქვესადგურებში ოცზე შეტი ოთახია და ყველა გამოვსებულია რთული ელექტრომოწყობით, ისე რომ მოსაბრუნე-

ბელი ადგილიც არაა დარჩენილი. ათასზე მეტი ვოლტმეტრი, ამპერმეტრი და რეგულატორია დამონტაჟებული, დღედაღამე ცის ქვეშ ზუზუნებს ლია ქვესადგური გამტარებით, უმსხვილესი კაბელებით, რკინის კონსტრუქციებით, ანძებით.

გადახულული დეპოს შენობა ერთი შეხედვით პატარა გეჩვენება, მაგრამ რამდენ შრომად და წვალებად დაჯდა ის!!! მუშათა სახლები დამთავრებულია. ხაშურის გარეუბნის მეორე ქალაქი ლიანდაგის გაშვრივ გაწოლილა და მარტო რებელს ოსიაურის ხიდამდის მოსდევს. კანტორის, საწყობის, სახელოსნოების თეთრი შენობები აქა-იქ გაბნეულან მინდვრებს. ხაშურის ლიანდაგებში ვებერთელა ანძა-კუშკები ამართულა, და მოელი ღამე პროექტორები სურამის მთებამდე ანათებენ.

ოსახებ ბაბუციძის ნაოთლარიც ბეჭჩია აქ. მან თავის ხელით დადგა გენერატორის საკისურები... მაგრამ მისი მუშაობა ჰეგუდა ჭიდილის უკანასკნელ წუთებს. როდესაც ფალავანი მოპირდაპირის მკლავებში მოიქანცავს კისერს და წაქცევის პირად მიდგება, მაშინ შას ერთი სიტყვის ამოლება არ შეუძლია და მოელი არ სებობა იქითვენაა მიმართული, კუნთები გაკაუდენ, გაისკენან და გაიკიმონ, რათა მეორე ფალავანის მოძალება მოტყდეს. სისხლი წივილით დაქრის ძარღვებში და თვალები ამოცვენას აპირობენ მაშინ, ამ წუთს შეიძლება ჩარჩი შეტრიალდეს და გამარჯვებული ისე დაეცეს, ზედ ტვინიც და სისხლიც მიანთხიოს...

მოლითში, ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე, ტყეში აღმართულია ლია და დახურული ქვესადგური, აქაც ბრდლებიალებენ ელექტროსანათურები და ღამით მოსვენება არ არის, გარშემო ხეებზე შეგროვილი ფრინველები ჩამოიქროლებენ, მიუჯდებიან სინათლეს და ყიაუ-ყიავით იკლებენ იქაურობას.

მჭედლიძე სულვანაბული უდარაჯებს მათ, და მოელი ღამე ისმის „გეკოს“ შეუწყვეტილი ტკაცუნი.

ტრანსფორმატორი წივის, ამპერმეტრების და ვოლტმეტრების ისრები განუწყვეტილივ კანკალებენ.

ეს გენერატორი აქ, ამ კლდეში, ლობეანიძის კონსტრუქციის უზარმაზარი რკინის ოწონარით ამოათრის.

ზესტაფონშიც ამთავრებენ ქვესადგურების მონტაჟს, იტალიიდან უკანასკნელი გენერატორი მიიღეს. მაგრამ ახლა ეს სამუშაო თუნდაც რომ არ დამთავრდეს, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ულელტეხილზე რამდენიმე მატარებლის ჩაშვება ისედაც შესაძლებელია, მოლითის ქვესადგურის დატვირთვით.

და ყოველ ბოძზე, ყოველს დანადგარზე, მოწყობილობაზე, თითქოს საითაც არ უნდა მობრუნდე, ყველაფერზე გაკრულია თუნუქის დაფა, დაფაზე გამოსახულია ადამიანის თავის ქალა და გადაჯვარედინებული მუხლის ქვები, ქვეშ კი წარწერაა: „ნუ შეეხებით, სასიკვდილოა“.

— დიახ, სინამდვილეშიც მართლა სასიკვდილოა, ტყუილად კი არაა წარწერილი!

აფრთხილებს საექსურსიოდ მისულ ხალხს მჭედლიძე, ის ღადის ამ უცნაურობის ქვეყანაში და თვითეულ დეტალს სწავლობს, ხაზავს. წიგნები, ჩასაწერი ქალალდი და ფანქარი, სახაზავი, გონიო და ფარგალი დაქვეს, ღადის თმა უცანგადაგარცხნილი და სუფთად პირმოპარსული.

საკონტაქტო ქსელი ხაშურიდან ზესტაფონამდე მზად არის. ლითონის საფეხურიან კონსტრუქციებს შორის მრავალგვარი გამტარია დაქსოვილი და ასე გრძლად ერთმანეთზე გადაბაწრული ანძები დაულიერ სიშორემდე ჩამწერივებულან, და ეს ფოლადალუმინის, რკინის, თუჯის და ფაიფურის ხეივანი მიჰყება ღიანდაგის ნაპირს სურამის ციცაბოზე, გადასავარღნებზე, მოსახვევებზე, ვიალუკებზე და მოლითას დალმართზე.

ზაჰეს-რიონქესის სისტემის შემაერთებელი გადამცემი ხაზი, კასპიდან ხაშურამდე, დამთავრდა, ახლა ბრიგადა ზესტაფონიდან რიონქესს უახლოვდება.

და ოდესლაც მზის მცუნვარების ქვეშ მთვლემარე ხაშური, ეს ქვეყნის ახალი ინდუსტრიალური გული, დღედღეზე ამერიკიდან მოელის საოცარ, ჯერ უნახავ მანქანას, ელექტრომავალს. ბესარიონი გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა, ყოველ წუთს რეკავდენ ტელეფონით ადგილებ დან და ამათუიმ წვრილმანი ჭამუშაოს დამთავრებას იუწყებოდენ. ლობუანიძეც კარგად იშვენებდა საზეიმო განწყობილებას, ბიჭებს ამხნევებდა, აწინაურებდა, აჯილდოებდა და უკანასკნელი თავდადებული შრომისათვის აქეზებდა.

მავრამ ეს კიდევ ცოტა იყო. გარდა შენებისა, რაც მთავარია, სურამშა გამოზარდა ცოცხალი აღამიანები...

ბესარიონ ლობუანიძეს ელექტროფიკაციის მშენებლობის საწარმოებლად არავითარი პრაქტიკა არ ჰქონდა, ის მოდიოდა პირდაპირ ხაშურის საორთქლმავლო დეპოდან და უმაღლესი სასწავლებლის კედლებიდან, მაგრამ არამცთუ თვითონ შეიძინა ძეირფასი გამოცდილება, თვის გარშემოც დარაზმა ახალგაზრდა მონტიორების მოელი არმია. და ახლა მეორე სურამი რომ ყოფილიყო ქვეყანაზე ელექტროწევაზე გადასაყვანი, ნახევარი შრომაც არ დაეხარჯებოდათ, ამ მონტიორებს ახლა ელექტროსაქმე ისე ესმოდათ, როგორც თესვის, მკისა და ლეწვის საქმე ორიოდე წინათ.

ყოველ კვირას ლობუანიძე ტექნიკურ კონფერენციებს მართავდა, სადაც მონტიორებს ოსტატისათვის თავიანთი ახალ-ახალი ცოდნის ანგარიში უნდა ჩაებარებიათ. მჭედლიძე იჯდა და, როგორც წინათ ვერიას წერილებს, ქექვდა, პროფესიონალ იარკოვის წიგნიდან ამოწერილ კონსპექტს... სალამოს კონფერენციაზე დასცებდენ ერთმანეთს, სეირი გაიმართებოდა, აბა, ჰაა, ვინ ვის აჯობებდა!!

— დედა, რა დაუწერია ამ კაცს?! — ფიქრობდა მჭედლიძე იარკოვზე, ქაჟანით კითხულობდა, შემდეგ ლობუანიძესთან მირბოდა და რაღაცას ეკითხებოდა, თჲ, რა ნელა ღამდებოდა, რა ნელა! მზის ჩაელას საშველი არ დაადგებოდა! ჩაიფლიდა 8 საათის საფოსტო მატარებლები, შემდეგ ცისტერნების შემადგენლობა წარაჯგუნდებოდა, პატარა ოთახი ბიჭებით გაივსებოდა, და ლობუანიძეც კითხებს ამზადებდა, წერდა. და ვეიან ღამემდე მოხუცი დარაჯი, კარებთან, სიცილისაგან ოთხად ინასკვებოდა, როდესაც ბესარიონი მჭედლიძეს გამოიყანდა გამოცდაზე და ეკითხებოდა სინქრონული და ასინქრონული მოტორების ურთულების ნაწილების მოქმედების თაობაზე, ან სხვა ასეთზე, მჭედლიძე პროფესიონალკოვის ენით ღალადებდა, და განცვიფრებული ლობუანიძეც ქუჩდა:

— სწორია!!!

მაგრამ თუკი ალექსი ზოგიერთ პასუხს ვერ მოახერხებდა:  
— ვაი, დედა... უ... უი...  
კვლება სიცილით მოხუცი დარჩვი.

II

იოსებ ბაბუკიძემ საკისლორები დადგა... სად არის ქვესაღვურების ნგრევის, მუშაობის შეფერხების, პიღროცენტრალებას დაზიანების დიდი გეგმა! ნაფოტი-ვით მჩატე და უცწაურად მიუწვდომელი შეიგნა ნაოცენტრარი, მაგრამ მან საკისლ-რები ხომ მაინც დადგა?.. და თითქოს ამან ოდნავი სულიერი სიმშეიდე აგრძნო-ბინა. იოსები თამამად დაღიოდა ალექსი მჭედლიძის ბინაში, თავდავიწყებაში წასული უსმენდა ფანდურის სმას, და როდესაც ალექსი სრულიად შემთხვევით განეპირებული ლექსს მღეროდა:

ეს ჩემი გული ორია,  
ერთში წვიმს, ერთში დარია,  
ეს ერთი გული მეტყოდა:  
— მოკვდი, რათა ხარ მთელია!  
მეორეც ამას ამბობდა,  
— იყან, აჯავრე მტერია...

სახეზე წამოწითლებული იოსები თვალებს გადმოკაკლავდა, თავისი სწორი მაღალი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბანს ძალაუნებურად ააყოლებდა და შემდეგ ხველებისაგან სული ქცუთებოდა... ეს ხველებაც იოსებს უკანასკნელ ხანებში აუტყდა და ყველაფერს ზამთარში მუშაობას აბრალებდა.

ეს ჩემი გული ორია,  
ერთში წვიმს, ერთში დარია...

ლილინებდა ისესებ ბაბუციძე და თავდავიშვებაში წასულს თითქოს ცრემ-ლები ადგებოდა თვალებზე.

გალინა ხმას არ სცემდა იოსებს, არც ავში ერეოდა, არც კარგში. ორი თვეის წინათ გურჯიშვილმა ზებო ინაიჩი სამსახურიდან მოხსნა, და ეს ბეხრევი უმუშევარი ათი წლის მკვდარივით დილიდან მეორე დილამდე ლოგინზე ესვენა. გაჯავრებული იოსებ ბაბუციძე არც მას, საკუთარ მამას სცემდა ხმას და ასე გამოლენჩებული და დარღისაგან შექმული რომ დაღიოდა, თვალსა და ხელს შუა იღეოდები საღალაც უკან ღრმად ჩასხდენ. მკერდი ჩაუგარდა და შეეუმშა, და, თვალები საღალაც უკან ღრმად ჩასხდენ. მკერდი ჩაუგარდა და შეეუმშა, მკლავები და თითები დაუწერილდა, ხმა გაუნაზდა და დაუძაბუნდა, თმამ ხელ-აღებით ჩამოცვენა დაუწყო, საფეხქელთან ჭალარა თითქოს მომრავლდა, და შეი- აღებით ჩამოცვენა დაუწყო, საფეხქელთან ჭალარა თითქოს მომრავლდა, და შეი-

— დამეკარგეთ აქედან და საშუალება მომეცით შოვისებო, აძლიკვეზეციდან ნაგვემი იოსები. მაგრამ ის ვერ ისვენებდა, ოხრავდა. უსაშველო ფიქრი თავიდან

ვერ ამოეკცეთა, ის ან სხვაგან უნდა გადასულიყო სამუშაოდ, ან საზღვარი, აზალ-  
ცინის გზით, ბოლოს სდაბოლოს გადაელახა, ან, რადგანაც ჯანმრთელობამ ასე  
საოცრად უმტყუნა, რალაც მოქერხებია თავისითვის...

— შაურად ლირს ის, რასაც სიცოცხლე შევწირე, საკისურებილა?.. — ფიქ-  
რობდა სასომიხდილი იოსები... — ხედავთ, ბესარიონ ლობენიძე უფრო ქლიერი  
გამოდგა, გურჯაიშვილს ახლა პარტიულების არმია ჰყავდა... ისინი, უკვე ჰქუ-  
ანასწავლი იყენენ და აქ განა უფრო მეტს გააკეთებდა კაცი, ვინემ იოსებმა გაა-  
კეთა? არა. რაც მოხერხდა, ესეც იოსებ ბაბუციძის ვაჟაცობით... მაგრამ „რაც  
მოხდა“, ის უბადრუკობად, სასაცილო წვრილმანად, უაზრობად თუ ჩაითვ-  
ლებოდა, და მაშინ იოსებს ცოფი ერეოდა და გალინას დაუსრულებელ შიშით  
მოქანცული აქედან ხელალებით წასვლას აპირებდა.

უნუგეშო, გულგატეჭილი და ჩაქოლვილი, ცოტა რამეზე ფიცხობდა და ემ-  
დუროდა ყველაფერს, სიცოცხლეს, თავის ბერს, გაჩენის დღეს და ხაშურში მშე-  
ნებლობაზე ჩამოსვლის საათს.

— კაცი რომ ისეთ ფეხზე დაიბადება, ცხოვრების გზა ყოველმხრივ რომ  
შეუკვრება, შემდევ მისი საშველი არ არის და არ არის! — ჩიოდა იოსები.

და რამდენადაც აქ ერთი მხრივ იოსები ილეოდა და ჭირვეულობდა, მეორე  
მხრივ ბესარიონ ლობენიძე, გამარჯვებული და ქედმალალი, უფრო ზევით და  
ზევით ადიოდა, სულ ახალახალ საფეხურზე.

— ეს ცხოვრების უცნაური დაცინვაა!.. — მოთქვამდა ბაბუციძე.

ცხოვრებას ჩვენ თვითონ ვემნით!.. — ქუხდა ბესარიონი, და ასეთ ყო-  
ფაში, ამ უჩინარ ჭიდილში ახლოვებოდა ის დღე, როდესაც ბესარიონს საბო-  
ლოოდ უნდა გაეტანა ლელო. და იოსები შეეპყრო უკრაურ წინაგრძნობას, რომ  
ის სულ ჩქარა, სულ ჩქარა მოკვდება...

ამ ყოფაში ხანდახან იოსებს დაეუფლებოდა სიხარბის გამოუცნობი გრძნობა,  
მას უცნაურად შეშურდა გალინას ულაზიდელი ბედი, რომელმაც ცხოვრების დაწ-  
ყება ხელმეორედ თავიდან მოახერხა. იოსები უბედურადაც რაცხდა თავისთვის,  
რადგან საქმები ისე წარიმართა, გალინას გზა მისთვის გამორიცხული იყო.

— ხედავ შენ მაგ ქალს, აფერომ, გვარიანად გამოიჩარხა! — გაცხარებით  
მსჯელობდა მარტოდ დარჩენილი ინუნერი.

— უყურებ შენ, ბედნიერება პპოვა, ყავისფრად გაშავდა, გავა გაისქელა და  
მთელი დღე ბორბოტი ატარებს. აფერუმ, გალინა!.. ქალიც ასეთი უნდა, ამყოლს  
აჲყვა, ჩათრევის მაგიერ თავის ფეხით ჩაბრძანდა და იმ ქვეყნის ქუდი საუკე-  
თესოდ მოაჩინ, საღაც მივიდა. რომ ვუკვირდები, მთელი საიდუმლოება ადამია-  
ნის სიცოცხლისა ეგა ყოფილა. მე კი ნაპირზე გავირიყე მოტყუებული და მტკრად  
ქცეული. ვაჭ, რა მურტლად გავიფუჭე თავი, მაგრამ აწ სინაულიც გვიანაა და  
მობრუნებაუ! — გამოჰქონდა სასტიკი მსჯავრი საფუთარ თავზე.

რამდენადაც სამუშაოები დასასრულს უახლოვდებოდა, იოსებს სურამში გა-  
ჩერება უკირდა.

ის გრძნობდა საშინელ გულციობას და ამაზრზენ სიძულვილს იმისაღმი,  
რასაც ხედავდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, ამიტომ ხშირად სახლიდან გარეთ

აღარ გამოდიოდა, ცოტა რამეზე ზებოს ან დუნიაშის ჩეუბს აუტებდა და დიდ ამბავს დაატრიალებდა.

— მომშორდით, გამცილდით, წადით აქედან! — უყვიროდა ის დაფრენილ ჯალაბობას და ხანდახან, ასეთ შემთხვევის შემდეგ მარტოდ რომ დარჩებოდა, უნებლიერ აჯამებდა თავის წარსულ ცხოვრებას. როგორ მოხდა, რომ იოსებ ბაბუციქე, ინჯენერ-ელექტრიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სურამის სახელოვანი მშენებელი, დუნიაშასთან უთანასწორო ჩეუბში ირთობდა თავს! და იოსები რომ გაჰყებოდა მოგონების ძაფს, ძალა-უნებლივ ტულისში გადასახლდებოდა.

აი, გააღო საშაქარლომის კარები, გაშალა გაზეთი და შეკრთა.. იოსები გრძნობდა, რომ აქედან დაიწყო მისი უსაშველო გასაჭირი, აქედან ჩატყდა მისი ზურგი და შემდეგ ხომ ორი წელიშადი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა. ბევრი რამ გადასხვაფერდა, მაგრამ ბაბუციქეს ერთხელაც არ გაუხარია.

— ეგეც არაფერი, უნდა მცოდნოდა, რას მივიღებდი! — ებრძოდა საკუთარ ნაოცნებარს ინჯენერი და ამ გამწარებულ ჭიდილში დღე არ ღამდებოდა, ერთ-საღამიავე ალაგას ტრიალებდა მზე ცაში, მხოლოდ გვიან, როგორც იყო, ელიო-სებოდა სურამის გორების იქეთა მხარეს მოფარებას, მაშინ სამაგიეროდ დაიწყი-ბოდა ღამე და ახლა ეს აღარ აპირებდა გასვლას იოსების ბინიდან.



— იოსებ, იოსებ, შინ ბრძანდებით? ეგეც თქვენი საქმე მოეწყო!! — მხია-რული ყიუინით, მეტაურიას სიფართის პირისახით შემოვარდა ეზოში ბესარიონ ლობუანიძე, რომელსაც არამდენიმე წუთით სამუშაოდან აეწყვიტა, რათა ბაბუციქე გაებელნიერებინა.

იოსები თავის სავარძელში იჯდა და გამოთაყვანებული გაჰყურებდა მშე-ნებლობის უბანს. დაძახილზე წამოდგა და თავის უფროსს მიეგება. იმ დღეს ავად-მყოფობის გამო სამუშაოდ არ გამოსულა და ახლა თავისი უნაზესი მიხვრა-მოხვრით ბესარიონისათვის უნდობდა ცუდად ყოფნა დაედასტურებია, ამიტომ ერ-თის გაჭირებით ჩამოვიდა კიბეზე. და კეცივით გაცხელებული ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— გამარჯობა! თქვენ სიცხე გაქვთ, იოსებ, ბრძანებულიყავით, რაღათ შეწუხდით?! — შეაგება მეტაურებობა ბესარიონ ლობუანიძემ და სახარობელი ამბის გადაცემაც არ დააგვიანა:

— მე მოგიწყეთ საქმე, ხვალვე წაბრძანდებით წყალტუბოში დასასვენებლად, მომჯობინდებით და ჩამოხვალთ!..

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, — შეაგება ბაბუციქემ და ახალმოსულს სახლ-ში შეუძლვა.

— ახლა თქვენ წყალტუბო უეჭველად მოგიხდებათ, აი ნახეთ თუ არა, ზამთარში რევმატიზმების შესახებ რომ შემომჩივლეთ, ნუ გეგონებათ მე ის და-შავიწყდა ან უბის წიგნაკში უსაგნოდ ჩავიწერე...

— ჰო, ზამთარში მუშაობამაა, რომ დამღვაპა, ქვესალგურში რომ გაეცავდი, მას შემდეგ ერთხელაც არ ვყოფილვარ კარგად... — გაიძიგრა თავისი შტკიცე მდგომარეობა იოსებმა.

— მაშ ხვალ მიბრძანდებით!..

— მეტი რა ჯანია, თუმცა სული და გული აქ მრჩება, ელექტრომავლები უნდა მიიღოთ...

— ეგეც არაფერი, დაისვენებთ, ჩამოხვალთ, ყველაოური დამზადებული და-გიხვდებათ!

— ახლაც უკვე ყველაფერი მზადაა, ბესარიონ, მაგრამ მე შევეწირე ამ საქ-შეს! — თქვა დანაწებით ინჯენერმა, ამ სიტყვების შემდეგ ბესარიონი თავჩაღუნული ხანგრძლივად ათვალიერებდა ბაბუციძის გამხდარ ავადმყოფურ აღნავობას.

— წყალტუბოდან დაბრუნების შემდეგ რომელიმე სხვა აგარაკზე მოგაწ-ობთ, იოსებ, და სანამ საესებით არ ვამოჯანსაღდებით, მე სამუშაოს არ მიგა-კარებთ!

— მაღლობელი ვარ ესოდენ ამხანაგური მზრუნველობისათვის. სხვა, რა-ამბავია ქვესალგურებში?

— ვამთავრებ უკანასკნელ წვრილმანებს, მაგრამ მჭედლიძემ ვამიჭვირა საქმე უბრალო ნაწილებს ჩაეკირკიტება, ყველაფერი უნდა ისწავლოს, ამიტომ რვეულში დასამახსოვრებლად ჩაიწერს ხოლმე, ამასობაშა საქმე მიგვიანდება...

— უყურე შენ მაგ ბიჭს, აფერუშმ!

ტელეფონის ზარმა დარეკა, ბესარიონს უხმობდენ სამუშაოებიდან...

— დიდად სასიამოვნოა, შენთან საუბარი, მაგრამ ხომ ხედავ; ბიჭები უჩე-მოდ ხელს არ ანძრევენ, ამ წუთს ისევ უკან უნდა გავიქცე, შენ კი ახლავე და-იწყე სამზადისი გასამგზავრებლად!

ბესარიონმა კიბე ჩაირბინა, ეზოდან მშევიდობა დაიბარა და ვაიქცა.

იოსებ ბაბუციძე მთელი ლამე დავიდარაბობდა. გადახალისების და სიცოცხ-ლის ზარმა ერთბაშად დაკვრა... ის უნდა წასულიყო სადღაც ტყეში, იქ არ იქ-ნებოდა სურამი, არ იქნებოდა ბესარიონ ლობუანიძე, გურჯიშვილი, გალინა, ზე-ბო ინაიჩი, არ იქნებოდა მშენობლობის უბნები, სამაგიეროდ ფრინველები თავი-ანთ უცწაურ უივილხივილით დაატკბობდნ ინუენერს, ტყის გაუტეხავი დუმილი მოსვენებას მისცემდა, მღინარების დაუდეგარი ჩხრიალი სიცოცხლის ფეთქვას. ვალვიძებდა გასში, ცხოველმყოფელი შზე ძალას და ღონეს მიანიჭებდა.

ამ, როვორც იქნა, ელისა ბაბუციძეს ამ ტალახიდან ამოსვლა, სადაც საბედისწეროდ ჩაეკეცა მუხლი და ყოველდღე უფრო ღრმად და ღრმად იძირე-ბოდა.

ყურებს შეუილი გაპქონდა, გული განუწყვეტლივ ძეგრდა. აპა, წავა ახლა ბაბუციძე დასასვენებლად, შემდეგ მეორე აგარაკს ამოიჩინეს, მესამეს, ბოლოს ისე მოახერხებს, მთლიანად დაახწეს თავს სურამს, საკისური კი აქ დარჩება.

— არა უშავს, — ფიქრობდა ბაბუციძე, — გვარიანად მოეწყო საქმე! მეტი რა უნდა?!

გაფაციუტებით გაავსო სამიოდე ხელის ჩემოდანი. გაქათქათებული საცლე-ბი, ხალათები, ჰალსტუკები, ცხვირსახოცები, საზაფხულო ფეხსაცმელი და ასეთი

წვრილმანი ორ ჩემოდანში ჩაეტია. იოსებს ერთი ცალი წიგნიც არ მიჰქონდა, არც საწერი ქალალდით მომარაგებულა. გულისჯიბეზე დაბნეულ მუდმივმენიან კალმისტარსაც მოუნდომა შინ დატოვება, სათვალეები განზრახ ბაგშურთ ალტაცებით დაამსხვრია, რომ ხანგრძლივად წერაკითხვა არ შეძლებოდა, და ასე ყველაფერი რომ მოამზადა, მაშინ შეიძყრო საშინელმა წინაგრძნობამ, რომ ის უკანასკნელად, უკანასკნელად ეთხოვებოდა თავის საცხოვრებელ სახლს. კარმილამოს, ზებო ინაის... სკამზე ჩამოჭდა და დალონებით გადახედა თავის აწრიალებულ ოთახს...

მატარებელზე მთელმა სურამმა ვააცილა იოსები. აქ იყვნენ ლობუანიძე, ლადუა გურჯიშვილი, დარუ, ღოდო, გალინა, მჭედლიძე, ხაბეიშვილი, ზებო ინაიჩი...

— რა ლამაზია, — ფიქრობდა იოსები ბაბუციძე, — რა ლამაზია მატარებლის შემოსვლა სადგურში! ჯერ ნიშანსვეტან დაიბლავლებს, შემდეგ შემოსავ-ლელ ისართან, დაიგრიალებს სადგურის წინ და გაჩერდება, მწვანე ბაირალებს აფრიალებენ, შემდეგ დარეკავენ ზარს, ნიშანს მისცემენ, შემაღვენლობა ნელა კასცილდება ბაქანს, ზოგს ჩამოიყენს და დატოვებს, ზოგს წაიყვანს... ძალიან ლამაზია! — და იოსები ასე გამგზავრების ფიქრში რომ იყო გართული და სახე-შეპულრული, საზეიმო კოსტუმში გამოჯგიმული, საზაფხულო პალტო, მხარზე წა-მოვდებული ამაყად იღვა, მოდიოდენ და მოდიოდენ გამცილებლები თაგულე-ბით, იების კონებით... ერთმა საკუთარი ხელით გამოთლილი ქვესადგურის პაწია მოდელიც მოუტანა. გალინა შეპურებდა ამ გამცილებლებს და სახეზე საამქვეყ-ნო ფერი არ ედო. ბესარიონმა სამიზავრო პურმარილით, სუკეთესო ღვინოე-ბით, ნაზუქებით, შემწევარი წიწილებით დახუნძული კალათა დოდოს ხელით მი-ართვა იოსებს.

გაზაფხულის მშვენიერი სალამო იყო. ხაშურის იქით ყრუდ იღვა ულელტეხილი მსუბუქ ნისლში გახვეული; იოსები აკვირდებოდა ანძების გრძელ მწერივს, ლი-ანდაგთან ერთად ზედ რომ ემსხვრეოდა სურამის პირველ ფერდობს. შემდეგ ხანდახან ისე შემოხედავდა გალინას, თითქოს ეს ქალი პირველად გაიცნოო. ორ-ჯერ სცადა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ გალინამ ცივად აარიდა თავი. ეს ბესა-რიონმა შეამჩნა, სახელდახელოდ დამზარები იშოვნა, აქეთ იოსებს მოავლეს ხელი, იქით გალინას მკლავი მკლავში გაუყარეს და წასლის წინ თრთავეს შე-რიგება სთხოვეს, მაგრამ ქალმა მთელი ტანით კანკალი დაიწყო და გაფო-ცებულმა ძლივს დააღწია ბესარიონს თავი.

— იოსები წავა გულნატკენი და ეს მე არ მინდა!.. — მზრუნველობდა ლობ-უანიძე. ამ ღროს გალინამ ყველასათვის სრულიად მოულოდნელად მდუღარე ცრემლი გადმოყარა და დერეფანში განაპირდა.

— შეხედეთ, უყვარს სწყალ ქალს!! — ამოიოხრა დარუმ. გალინას კი აღელვებდა არა სიყვარული, არამედ ის გულწრფელი მზრუნველობა, ბაბუციძის მიმართ რომ იჩენდენ.

— შე გთხოვთ, პატივცემულო ბესარიონ, თავი დაანებოთ გალინა დავი-თის ასულს. მერე შევრიგდებით ჩვენ, უფრო სხვანაირ საზოგადოებაში და სხვა-

გვარი განწყობილებების პირობებში — ფაზუაჟირა მათრახი იოსებშია თავის ტურ  
თანამებრძოლს.

ეს იყო და ეს... იოსებს მეტი არაფერო უთქვაშს გამგზავრებაშიც.

როდესაც მატარებლის კიბეზე ადიოდა, მაშინდა გაეცსნა კრიჭა.

— ბედნიერი ვარ, — წამოიძახა მან გალინას გასაგონად, — ბედნიერი ვარ.  
ვივდივარ აქედან და თქვენ სუყველანი მაცილებთ, მშეიღობთ!.. — შეტრისალდა  
ვაგონის კარებთან ლანდივით მიიმალა და სადგურზე დარჩენილი სრულიად  
ამაოდ აფრიალებდენ ცხვირსახოცებს, ქუდებს, ხელთათმანებს.

### III

გალინას მთელი ღამე არ დაუშინია. ბინაში რომ ბრუნდებოდა, გზაზუ  
გურჯიშვილს წააწყდა და რატომლაც შეეშინდა. ვერაფერი ვადაეწყვიტა, ისე  
გრძნობდა თავს, თითქოს თვალებაზეული უუსკრულის წინაშე მდგარიყო.. ნა-  
ბიჯის გადადგმა წინ, მისი აზრით, ხრამში გადავარდნას ნიშნავდა. უკან ნაბიჯის  
გადმოდგმაც უარეს ცეცხლში მოაქცევდა. ხანგრძლივი წამებით ვამოლენჩებული.  
შეორე დილით ლოგინიდან წამოდგა თუ არა, მაშინვე ქვესადგურში გამოემართა:  
აქ მას კარგახანია მშედლიძე უცდიდა. უკანასკნელ ხანებში ინუენერი ქალი მას  
ამეცადინებდა.

— გამარჯობა, ალექსი.

— გალინა დავითის ასულს ვახლავარ!

ქვესადგურის კიბე ამოიარეს. გალინა განმანაწილებელი დაფის უკანასკნელ  
ამშერმეტრს ამონტაჟებდა. მშედლიძე კი მესამე დღეა მოტორგენერატრის დაბე-  
ტონებულ საძირკვლებს თარაზოთი ამოწმებდა. ისინი თავიანთ საქმეს შეუღენ.

გალინამ ორიოდე ჭანჭიკი მოარგო მარმარილოს ფიცარს. შემდეგ ისევ  
გუშინდელი სალამო გაასხენდა, თავი იდაყვნებოდა და და უსაშეველო ფიტჩებს  
მიეცა.

— რათ ხარ დაღონებული, გალინა დავითის ასულო, — ამოიძახა დაბ-  
ლიდან მშედლიძემ და სიცილით დაუმატა, — იოსები ისევ ჩამოვა და მაშინ  
შეგარიგებთ კიდეც!..

— არა, მაგაზე არ მიფიქრია, — უპასუხა ქალმა ძალიან დაგვიანებით და  
ბაგებზე ზიზღი გამოესახა.

— მაშ აფად ხომ არა ხარ? — გამოიჩინა ოსტატისაგან გადმოღებული  
შზრუნველობა ალექსიმ.

გალინა ხანგრძლივად დურდა. გუშინდელმა სალამომ ის გადაჭრით და-  
ახლოვა ბესარიონ ლობჟანიძესთან, მაგრამ მას მაინც ჯერ არაფრის თქმა არ  
შეეძლო. იოსებ ბაზუციძეს ის ჯადოსნურად ჰყავდა შებორკილი.

— ალექსი, — უთხრა გალინამ თავის შეგირდს, — იოსები ჯერ იქნება.  
ჩასული აგარაკში?

ალექსიმ რვეულში რაღაც ციფრები გადამრავლა, საათები მოუმატა და  
კითხვაც გამოარვეთა.

— არა, ჯერ არ იქნება!

გალინამ თავისი საქმის გაგრძელება სცადა, მაგრამ უერც ახლა დაუდო დიდიხნით გული.

— გახსოვს, უღელტეხილზე ნიველირს რომ დაათრევდი, ალექსი! ახ, რა კარგი იყო მაშინ... კარაგში რომ ვიძინებდით. მე რომ დავეცი... ლმერთო ჩემო, როგორ მეტკინა მაშინ ფეხი!.. როგორ მეტკინა!..

— მაბსოვს, გალინა დავითის ასულო, ასე ჩემარა რად დამავიწყდებოდა. — უბასუხა შპედლიძემ და თარაზო სხვა ადგილას გადაიტანა. ამის შემდეგ ხან-გრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ რომ იოსებმა ცარიელი შუშები გაჩუქა? — წამოიძახა გალინამ.

— ხა-ხა-ხა!.. — ვაიცინა ალექსიმ და თარაზო ისევ პირველ ადგილს მოარვო.

— გალინა დავითის ასულო, — განაგრძო ცოტახნის შემდეგ მჭედლიძემ, — არა გამიგია: ეს დანადგარი მგონია შეამოწმეს, ლობჟანიძემაც ნახა, მე კი თარაზო მესამე დღეა ამ საკისურებში უცნაურ ციფრებს მაჩვენებს. აი, ნახე თუ არა, ეგრემც გაიხარებ, ჩამოდი და ამისენ, რად ხდება ასე?

— ააა, ლმერთო! — შეპკივლა გალინამ და სანამ შეგირდი განმანაწილებელ დაფამდის ამოვიდოდა, გულიც შეუწუბდა.

მუშები მოცვივდენ, ბესარიონი და ლადუაც მოიჭრენ.

— რა მოუვიდა? — ჰესარიონმა მჭედლიძეს.

— არა ფერი მესმის, ოსტატო, რაღაც შევეკითხე, ამან კიდევ დაიკიცა და გულიც წაუვიდა. — იმართლა თავი მჭედლიძემ.

— ხომ არა ფერი დაეცა? — შეეჭვდა ლობჟანიძე.

— არა, რა უნდა დასცემოდა? — კანკალებდა ალექსი.

ხალხი რომ შეგროვდა და გალინა მოასულიერეს, მან ჯერ დაუეთებული თვალი გაახილა, შემდეგ სულმოუთქმელი ტირილი აუტყდა, იმდენი ათვალიერა შეკრებილნი, სანამ ბესარიონი არ მოძებნა.

— რა მოგივიდათ, გალინა, ასე რამ შეგაწუხათ? — შეეკითხა შაშინ ლობჟანიძე.

— ლმერთო... თქვენა ხართ მოწამე... მე ამას არ ვიტყოდი... მე ამას არ გავამხელდი... მე იოსებთან მართალი გარ, მე ვიქნებოდი ჩემთვის ჩუმად, ის კი თავისითვის იქნებოდა, რა ვქნა მე ეხლა... აპა-პა-პა... — ტიროდა ინუენერი ქალი, რომელიც შეკრებილ ხალხს სრულებით ანგარიშს არ უწევდა. როდესაც და-შშვიდეს და მოასულიერეს, მან ბესარიონი, გურჯიშვილი და მჭედლიძე მიიწვია ცალკე ოთახში, ჩაიკეტენ.

იმავე დღეს დააპატიმრეს ზებო ინაიჩი, გაჩერიკეს სახლის სარდაფი და ფართლეულის აუარებელი, ხელუხლებელი კიბები იპოვეს. აი, საიდან გებუ-ლობდენ, თურმე, გასატეხ ვაგონების ნომრებს.

— ამას ყველაფერს მე ვხელმძღვანელობდი, იოსები არა ფერ შუაშია, — გა-ნაცხადა ქალალდივით გათეთრებულმა ზებომ.

— აი, თურმე როგორი ყოფილხარ შენ! — განუწყვეტლივ ყვიროდა მჭედლიძე, და ზებოსკენ საცემად მიიწევდა. შემდეგ წინ გაიგდო... უკანასკნელად ზებომ ამოიოხრა და თვალები მოისრისა.

ბესარიონ ლობეანიძე უსაშველო სასოწარკვეთას შეეპყრო... როგორ მოხდა, რომ სურამში ასეთი ამბები დატრიალდა... ჩანს, მასზე მეტს სხვები მუშაობდენ, ის კი, თურმე, ლრმა ჭურში იჯდა და მარტო საინის სიფართის ცას ხედავდა მაღლა, საკუთარი თავის ზემოთ, ხოლო რაც მის გარშემო ნამდვილად ბდებოდა, დაფარული იყო.

— აფერუმ იოსებ... უყურებ რამდენი შესძლებია?!

მხოლოდ აბლა გახსნა ბესარიონმა მეორე ლიანდაგის გაყვანის ვერსიის, აგრეთვე ორმოების დაქცევის, გაჭელილი ანძების, უვარვისი იზოლატორების, რკინის როსტოვში გაგზავნის, და სხვა ასეთი წვრილმანების სათავე.

— აა... თურმე!! — აბოდებდა ცეცხლწაკიდებულ ბესარიონს და ასე ამ ფიქრებს რომ გაპყვებოდა, ისეთი ჯავრი მოსდიოდა, თითებს იკვენდა, ოვალებს უმწეოდ აბრიალებდა და სახეზე მოწოლილი სისხლი სუნთქვას უშლიდა.

— უყურებ შენ რა გამიკეთეს!!

გმინავდა ბესარიონი, ფიქრში წასული ბრაზით მოილუშებოდა, ძალა უნებურად მუშტი ენასკვებოდა და კიდევ კარგი იმ საათებში იოსები ხაშურში არ იყო, თორემ გულგახეთქილი პირისპირ მოითხოვდა ანგარიშს.

— უყურებ შენ მაგ უმაღურ ქოფაკს... როგორ შეიშვენა ჩვენი შზრუნველობა და ზურგს უკან კი ამოფატებული ქვა დაჰქონდა, დღესალამე კეფაში გვიმიზნებდა და ყოველ წაფერხებას მოელოდა... ისე დაუდგამს საკისურები, ეხლა ხომ მშვენივრად მუშაობს, საში წლის შემდეგ მოტორგენერატორი დადგებოდა „გამოურკვეველი მიზეზების გამო“, ეს გამოურკვეველი მიზეზები მარტო შისთვის იქნებოდა მისახევდრი... და ასე გაცხარებით რომ მსჯელობდა ბესარიონი, მის თვალწინ ალექსი მშედლიდის უცნაური მოჩევნება იყო დარკობილი, და ინუნერს, სიამაყით და კმაყოფილებით სავსეს, მრავალმნიშვნელოვნად ეცინებოდა.

არა, ბესარიონმა ვერ გაამართლა პარტიის იმედი და დაგალება, ძალიან ბევრს ენდობოდა უცნობ პირებს, მაინც საკისურს როგორ არ მიაქცია ყურადღება, ამდენი საქმე ებარა, ბატონო, და გამორჩა, უეჭველად შემთხვევით გამოქარა მხედველობიდან, რამდენ ერთისოფის უნდა გაეძლო...

— მე კი რა აღმოვჩნდი, ქალაჩუნა და ხელის სათამაშო, უველას დასაპრიყვებელი და მოსახმარი!!.

— ხვდება, ბატონო, სუყველაფერი ხვდება ბესარიონს, პარტიიდანაც რომ გამორიცხონ, ახი არის მისთვის. განა ჩვენ ისეთ დროში ცცხოვრობთ, რომ ყველა აღამიანს შეიძლება სინიდისზე ენდო, განა ასე გვასწავლის ჩვენ პარტია. არა, ამ შეცლომის ბესარიონი ვერ გამოისყიდის, ვერც ქვეყანა აპატივებს.

განა მოსკოვის ქარხნის „დინამოს“ უბრალო, რიგიანი მუშა არ სჯობია ახლა ინუნერ ბესარიონ ლობეანიძეს, განა ეს ქარხანა ახლა უფრო წინ არ წაჟალა, ვინემ სურამი?! უღელტეხილზე უცხოეთილან შემოტანილი მოტორგენერატორი დადგეს, ელექტრომაზალიც ამერიკიდან გამოიწერეს, ხოლო ქარხანა „დინამო“ რამდენიმე დღეში ისე ითვისა უცხოეთის ტექნიკა, ახლა ამერიკულზე უფრო მძლავრ ელექტრომაზალს უშევებენ, გენერატორსაც ამზადებენ. განა „დინამო“ არ გაუსწრო სურამს? ბესარიონმა არა თურაიმე ტექნიკური გაუ-

მჯობესების შეტანა, უცხოეთიდან გამოწერილ გენერატორის წესიერად დადგმაც ვერ მოახერხა. მაშ რისთვის გაგზავნეს ის სასწავლებელში ხაშურის საორთქმა-კალო დეპოდან. დარჩენილიყო მემანქანედ და ეკეთებია ის საქმე, რასაც მოქმე-და. მაშ რისთვის დაიხარჯა ამდენი ათასი მანეთი ბესარიონის სწავლაზე? სი-აკცენტი, განა სირცევილი არ არის ესა?!.

გამოქმნდა საკუთარ თავზე მკაცრი სასჯელი სურამის მშენებელს.

— ვგრძნობდი შე ამას, ბატონო, ვგრძნობდი, — იძახოდა ერთსაღამავეს გაცეცლებული გურჯიშვილი. ამიტომაც მოვხსენი ზებო. არაფერი მასალა არ ჰქონია, მაგრამ ისე ვგრძნობდი!

ალექსი მჭედლიძე და ლალუა გურჯიშვილი ეახლენ ბესარიონს.

— ბაბუციძე ჩამოუყვანიათ! — დაიწყო ფრთხილად გურჯიშვილმა და ლო-შეუანიძეს პასუხის გაცემა დააცალა.

— მერე? — იკითხა ბესარიონმა

— ხომ არ მოისურვებ ნახო პირადად?

— არა, ტფილიში გააგზავნონ!. — თქვა უკეთად ბესარიონმა, ხოლო შე-ზდეგ დაგვიანებით დაუმატა, — სად იყავით თქვენ, ამხანაგებო, ალექსი მჭედლი-ძევ, გურჯიშვილო, როდესაც ჩვენ ასეთ საქმეს გვიმზადებდენ!!

ახლადმოსულნი ხმას არ იღებდენ. შენ თვითონ სად იყავიო, — უნდა ეთ-ქვა გურჯიშვილს, მაგრამ ვერ შეუბედა. რაკი ისინი ხმას არ იღებდენ, ლობუ-ნიძემ განაგრძო:

— გვიან არის, ჩემო კარგებო!..

მჭედლიძემ ოსტატის დამშვიდება სცადა:

— ეს მართალია, მაგრამ იოსებს, ალბათ, უფრო მეტის გაკეთებაც ენდო-ვებილია, ჩანს, არც სალახანები ვყოფილებოთ. ხომ სწორია!!

— როდის ჩამოიყვანეს? — იკითხა ბესარიონმა გულციფად და ცალი თვა-ლი დაწეურა, შემდეგ გაეცინა.

— ახლახან. ისე იქცევა თურმე, გრიგორი გეგონებათ, ძალიან აჩქარდაო, გა-რმომცეს. ხა-ხა-ხა! — ჭიხვინებდა მჭედლიძე,

ბესარიონ ლობუნიძემ იმ რამდენიმე დღეში მთელი წარსული მუშაობა გადააფასა, გულნატკენს ყველაფერი არარაობად ეჩვენებოდა, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ აღამიანები, რომლებიც მის გვერდით მუშაობდენ, აწყობდენ ასეთ მუტანათობას... და ბესარიონი რომ გაჰყევა ფიქრს, ამ გარემოების ახსნაც ადვილად მოახერხა:

— აქ სურამის საქმე არ წყდებოდა, ძველთაგანვე ერთმანეთისაღმი დაპირ-დაპირებული ძალების ჭიდილი იყო, და ბესარიონს სწორედ ამიტომ ვერ ეპა-ტივებია საკუთარი თავისათვის, რომ ამ ჭიდილში ხანდახან წასთვლემდა და ტევებია გამოუშვა. ხომ წვრილმანი იყო გენერატორის საკი-პევრი რამ მხედველობიდან გამოუშვა. ხომ წვრილმანი იყო გენერატორის სური, ხომ მეორე დღესვე აყარეს საძირკველი, ბეტონი აანგრიეს და შეასწორეს, სური, ხომ მეორე დღესვე აყარეს საძირკველი, ბეტონი აანგრიეს და შეასწორეს, სური მუდამ მხნე, ენერგიული, გამბედავი ჯიქური ბესარიონი, საცოლავ მოწყე-მაინც მუდამ მხნე, ენერგიული, გამბედავი ჯიქური ბესარიონი, საცოლავ მოწყე-

ნას და სასოწარკვეთას დანებდა. ახლა მისთვის ყოველგვარი ლაპათი დაეკარგა. ულელტეხილზე დახარჯულ შრომას.

— უკეთესი არ იყო ისეთ ვინმეს მოექიდა ხელი სურამისათვის, რომელიც საქმეს თამამად მოერეოდა? კი, უკეთესი იყო, მაშ რად გაეჩირა აქ ბესარიონ ლობდანიძე?

— სულელო ჩემო თავო, არ მიჯობდა საქაომეები მეშენებია და ასეთი სირცხვილი კი არ მეჭამა?.. კი უჯობდა ბესარიონ ლობდანიძეს, მაგრამ ახლა რომ გვიან არის? რომ გვიან არის ახლა?

ყოველდღე თითო წვრილმანი სამუშაო მაინც თავდებოდა, მაგრამ ახლა ეს ლობდანიძეს არ ახარებდა. ხაშურის ლიანდაგებში საკონტაქტო ქსელის მონტაჟი რამდენიმე დღით ადრე მოისტუმრეს და მიღწეული ეკონომიით სურამის რკინისგზის შტო გადაიყვანეს ელექტროწევაზე, ეს უზრუნველის ინიციატივა იყო. ის მოვარდა ბესარიონთან და საქმის ვითარება ახარა, ლობდანიძეს კი ერთიც არ გაუყინია. გადამცემა ხაზმა რიონჭესამდე მიაღწია. წესტაფონში გენერატორი გამართეს, ეს კოტენჯოს და მიქაბერიძის ვაუკაციობა იყო, — არც ეს ახალისებდა ინუნერს. ახალი გეგმა მიიღო ბესარიონმა, სურამზე განთავისუფლებული მუშები ხაშურ-ტტილისის ხაზის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე უნდა გადაეყვანა, რამდენიმე ხანში ელექტრომაგალი ხაშურიდან ტფილისში უნდა შესულიყო, ხოლო შემდეგ წლებში კიდევ წინ წაიწევდა ბაქოს მიმართულებით, სადგურ აქსტაფამდე, ხოლო ბათუმის მიმართულებით სადგურ სამტრედიამდე... ლობდანიძე არც ამაზე ფიქრობდა. ხაშურის საორთქლმავლო დეპოს მისი არსებობის სამოცი წლის თავზე საძირკველი ეთხრებოდა, გაბეჭდინიერებული და სიცოცხლის უფლებამინიჭებული ულელტეხილის მემანქანები ტოვებდენ შშობლიურ დეპოს, ზოგი ლენინაკანის, სამტრედიის, ტფილისის და ბაქოს დეპოებში გადაყვდათ, ზოგიც ელექტრომავლის მართვას სწავლობდა. ისინი უხვლებოდენ ლობდანიძეს გზაზე, აგონებდენ შატარებლების დამსხვრევის და დაღმართზე გაქცევის ამბებს და სურამზე გამარჯვებას ულოცავდენ, მაგრამ არც ეს ალტროთოვანებდა ხაშურის დეპოს ყოფილ მემანქანეს. ბესარიონი ოცნებობდა სამუშაოებილან განთავისუფლებულიყო და დაესვენა.

ოსტატს ასეთ ყოფაში რომ ხედავდა, თავის მხრივ მჭედლიძეც წუხდა, ამხანგებში მოქალათებული სულ მუდამ ერთსადამიავეს ჩიოდა:

— ამდენი წელიწადი ჩემს თვალზინ ერთგულად იმუშავა იმ კაცმა, დღედალამე ოცნებობდა, თუ როდის იხილავდა ელექტრომაგალს, თავისი თფლით შეადგინა პროექტი, თვითონ გვასწავლიდა ჩვენ მონტიორის ხელობას, ალფროთოვანებული, ბენიერი ორი წელიწადი ელოდა, ელოდა, და აი ბოლოს კვლაფერი ჩაუშხამდა და გაუუგემურდა!

დადიოდა ასე სასოწარკვეთილი ბესარიონი და მხოლოდ ერთმა ჯარემოებამ რამდენიმე ხნით დაუბრუნა მას სიცოცხლის ძალუმი ფეთქვა. ბათომის ნავთადგურიდან ორთქლმავლებმა ორი ამერიკული ელექტრომაგალი ამოიყვანეს „უნერალ ელექტრიკის“ ფირმისა. იმ დღეს სადგურ ხაშურში ლიანდაგებზე საღლუმო მუშაობა დროებით შესწყდა. სამივე მხარის ნიშანსვეტებამდე მოაწყდა ბალხი. ყველას უნდოდა ხელით შეხებოდა უცნაურ მანქანას. ელექტრომაგალს

ჩამოყვენ ამერიკელი და იტალიელი ოსტატები. ხაშურის დეპოს ორთქლმავლები ვანგაშებდენ, სასულე ორკესტრი გრიალებდა, ზურნა ჭიჭყინებდა, ვილაცეები ცხენს დაპენებდენ. სადღაც არლანს ატირებდენ... ბესარიონსაც დაეტყო გამოცოცხლება, მაგრამ ისევ მოილუშა.

ამ საერთო ორომტრიალში ხელაწყვეტილი ორატორები პათეტიურად შლიდენ ხელებს და ოფლში გაზუნზულნი საზეიმო სიტყვებს წარმოსთქვამდენ.

ბესარიონ ლობჟანიძე მთელი ამ ხნის განმავლობაში წყნარად ილიმებოდა და ალმაცერად ათვალიერებდა შეგროვილ ხალხს... ეს ხალხი მშათ იყო თუგინდ ჩელზე აეყვანა მწვანედ შეღებილი, მაღალ ბორბლებზე შემდგარი ტანძორჩილი მანქანა და ქუჩებში პლაკატივით ეტარებია.

უცხოელებმა ქართულად ჯერჯერობით ორი სიტყვა იცოდენ: პო და არა... ამ ლექსიკონითაც საუცხოვოდ გაძვინდათ თავი და განუწყვეტლივ ელაპარაკე-პოდენ ბესარიონს.

#### IV

მოვიდა ის დღეც: პირველი სახალხო მატარებელი უნდა ჩაეყვანათ სურამის თავდალმართზე. მშენებლობის უბანი საზეიმოდ იყო მორთული, გალინას გაუნელებელი სიცხე ჰქონდა, ამდეს უკეთესად იყო, ფეხზე დგომა შეეძლო, მაგრამ როგორ მიეღო ზეიმში მონაწილეობა? სასულე ორკესტრის გრიალმა ლოგინიდან წამოახტუნა. ფანჯრიდან მორიდებით გადაიხედა. გვერდით ჩაიარეს, წავიდენ. ვალინა დაემზო ლოგინზე, ღრმად ჩარგო საბანში თავი და ატირდა. და ასე თავდალმა რომ იყო დამხობილი მხრები საცოდავად უქრთოდა... როგორ უნდა ვამოესყიდა მას თავისი უაზრო დუმილი? იტანჯებოდა ამაზე ფიქრით. რეინის-გზის სადგურზე და ქალაქშიც ყოველი დარაბის წინ წითელი დროშები ჩამოეკიდათ. საორთქლმავლო დეპოს კედელზე უშესებელი პლაკატი იყო გაკრული. ქალაქის მოსახლეობა სადღესასწაულოდ ემზადებოდა. ქალები დილიდანვე მაღალ-ქუსლიანი და საგარეო კაბებით გამოვიდენ ბაზარში. სრულ თერთმეტ საათზე მოსწავლე ახალგაზრდობის კოლონები ერთი ქრიამულით გაემართა ბესარიონიათ კარებისკენ, ამათ მიჰყენ ფიზკულტუროსნები, ბოლოს დეპოს მუშების კანიერი რიგებიც გამოჩნდა.

გამართული ელექტრომავლები პანტოგრაფაშეულნი მაღალი ძაბუის ქვეშ იდგენ და განუწყვეტლივ გრიალებდენ, თითქოს ზაჟესის კაშხალთან განზებული წყალი ხულდა და გმინავდა.

— ეს კომპრესორის ხეა არის!.. — უბსნიდა ალექსი შეედლიძე საზოგადოებას. — თქვენ გინახავთ როგორ სუნთქვას ორთქლმავალი, ის მაშინ საკვამლე მილიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ, წვრილად უშეებს ორთქლსა და მუხრუჭებისათვის ქვაბში ჰაერს ტენის. ელექტრომავლი კი ჰაერს კომპრესორით იხაზირებს. ხედავთ, რამდენი განსხვავებაა? ამიტომაცა რომ ის თავდალმართზე ორიათას ტონას ჩატარებს და ნაბიჯსაც არ აუჩქარებს...

უცხოელები მანქანაზე ტრიალებდენ, და ხალხს ისეთი შთაბეჭდილება აჩებოდა, თითქოს ისინი მჭედლიძეს ებაასებოდენ და პირიქით მისგან სწავლობდენ

— აქ კიდევ მოტორია მოთავსებული, — განაგრძობდა თხინარელი. უმიწა-  
ზელო და უსახლვარო.

ხაშურის დეპოს მემანქანეები პირდაღებული უსმენდენ, უველას უნდოდა  
ახლოს მოსვლა და მჭედლიძის სიტყვების გაგონება. ამიტომ ჯიკაობით ერთმა-  
ნეთს გვერდს უნგრევდენ, ტანსაცმელს ახვდენ, და მჭედლიძეც იძულებულ  
იყო დროდადრო საუბარი შეეწყვიტა.

ტფილისიღან მოელოდენ სახალხო მატარებელს, ის დღის 12 საათზე, ზედ-  
მიწვინით დანიშნულ დროს მოვიდა კიდეც, ჩვეულებრივზე გრძელი, გირლინ-  
დებით, ნაძვის ტოტებით და ბაირალებით მორთული: გაზეთებმა დილით დაბე-  
ჭდილი სადღესასწაულო ფურცლები გამოიტანეს და კა და ქვეყანას მოდვეს.

მიტინგი რომ გაისხნა, ბესარიონ ლობჟანიძემ მშენებლობის დამთავრების  
თაობაზე სტუმრებს პატაკით მიმართა.

გრიალებდა ტფილისელების სასულე ორკესტრი.

— ვაშა... ვაშა... შააა!!.

ირხეოდა ჰაერში. ელექტრომავალის ბაქანზე შემდგარმა ლობჟანიძემ, ერ-  
თანად გაფითორებულმა და საზეიმოდ მორთულმა, სიტყვა წარმოთქვა:

— ამხანაგებო! რაც გავაშენეთ, თქვენ ამას ხედავთ, თუმცა ბევრია შიგა-  
დაშივ პირადად ჩემთვის ღრმად საწყენი, ეს ჩემი თავისთვის მე ვერ მიპატივე-  
ბია, მაგრამ ამ თქვენ სიხარულს რომ განვიცდი, ერთის იმედი მებადება: ჩენ  
სუკელანი სერთო ბრძოლით ხელიხლაკიდებულნი წავალთ უფრო წინ...

ბევრი მუშაობაა, ამხანაგებო, ჩატარებული, ახლა მე ამას თქვენ ევრ ჩამო-  
გითვლით, მაგრამ მარტო ტრანსფორმატორების, გენერატორების, ზეთეს ამო-  
მრთველების, ვოლტმეტრების დადგმით, ორასორმოცდაათ კილომეტრზე უდიდეს  
ჰიდროენერგეტიკულების გამაერთიანებელი ხაზის და სამოცდასამ კილომეტრზე სა-  
კონტაქტო ქსელის მონტაჟით არ ამოწურულა საჭმე. სურამშა აღზარდა აღმია-  
ნები, რომლებიც შემდეგ უცხოეთის პრაქტიკის ზოგიერთ ინჟინრებს უბორეავდენ  
ხელფეხს დამნგრეველ მუშაობაში.

აქ შენებლობის დაწყების წლებში მოვიდა ხალხი, რომელთაც ეცვათ ქვეშ-  
მოხუკული ჩოხის ძიები, ქალამნები. ისინი მოვიდენ ქართლის მიყრუებულ სოფ-  
ლებიდან, რომელთა სახელები რუისი, ადეისი, წრომი, ბრეთი. ახლაც გვესმის რო-  
ვორც გათხრების დროს აღმოჩენილ ბრინჯაოს რეკვა, ისინი მოვიდენ და მთე-  
ლი დღე ყაყანებდენ მოსავალზე, ჭარხალზე, გვალვაზე, ანეულებზე.

შემდეგ სურამში მათ შეითვისეს ურთულეს ელექტრომოწყობილობათ  
მონტაჟის ტექნიკა, რომელიც აქამდე ჩვენს ქვეყანაში არავინ იცოდა. ქვის ვია-  
ლუებზე ბაწრით ჩამოკიდებამ, ულელტეხილის გამხვრეტავებამ, ქარებმა, ჩეინის  
კონსტრუქციებზე დღედაღამ განუწყვეტელმა „ჯამბაზობამ“, გაყინული ნიადაგის  
ანძების ქვაბებისათვის ლალუმით აფეთქებამ და ლამით საფელვ საღვურების ბა-  
ქნენ ან მორიგის გრძელ სკამზე წოლამ მიაღებინა მათ მონტიორის კვალიფი-  
კაცია. გაუმარჯოს ამ ახალ აღამიანებს, ამხანაგებო!

— ვაშა... ვაშა... შააა...

გუგუნებდა მილეთის ხალხი.

გრიალით და შეუიღით წამოვიდა ელექტრომავალი. ბუფერის თეტშებზე  
ოდნავი შეხებით შეიტყო სახალხო მატარებელს...

ელექტრომავლის ბაქანზე იდგენ ბესარიონ ლობერიძის, ალექსი მჭედლიძე,  
ლალუა გურჯაშვილი, ხაბეიშვილი, კოტჩენჯო, მიქაბერიძე, გაზეთის მუშაკები და  
ტრილისის სტუმრები.

დეპოს საყირის, ორთქლმავლების სალუტის, ზემის მონაწილეების ურიამუ-  
ლის საერთო განგაშიდან ელექტრომავლის სირენის დახვეწილი ხმა მკვეთრად  
უამოირჩა. მატარებელი დაიძრა. ჩანარები რონები აიმართენ, ბორბლები აქაფა-  
ზენ და შემადგენლობამ ერთბაშად, ისრებიდან გასვლამდე სრული სიჩქარე გა-  
შავითარა.

ლობერიძე იყურებოდა წინ ულელტეხილის კალთებისაკენ, სადაც ნელნელ-  
მოცურავდა ნისლი. შემადგენლობა ისე მიქროდა, თითქოს ცისკენ მიემართებოდა,  
ოკინის პატარა ხიდებზე ხმაურობდა და როდესაც გვერდით ოქროს ყანებს ჩა-  
უქროლებდა, დაყურსული მძიმე თავთავები ამღვრებულ ტალღებივით შრიალებ-  
ზენ, გორაკები ირყეოდენ, მატარებელს გარშემო უვლიდენ და შემდეგ უკან  
აჩებოდენ ჩამწერივებულნი. ველარ გაარკვევდით მატარებელი მიდიოდა იქით,  
თუ ულელტეხილი მოცურავდა მატარებლისაკენ. გვირაბში შეიქრენ... დაბნელდა.  
მაშინ გირლიანდები ათასურად აენთო და აზიმზიდა. შუა გვირაბიდან დალმართ-  
ზე მოტორმა დაიწყო მუშაობა, როგორც დინამომ, და ხაშურის დახურულ ქვე-  
სადგურში განმანაწილებელ დაფასთან მჯდომში მიიღო პირველი უფასო დენი,  
რომელსაც ელექტრომავალი იძლეოდა...

წითელ, ცისფერ და ყვითელ ლამფებით აზიმზიშებული საზეიმო მატარე-  
ბელი მიქროდა წიფის გვირაბში, ლობერიძე გაპყურებულ უშველებელი ელექ-  
ტროლამფებით გამოიჩინალდნებულ გირლანდებით მრავალფერად განათებულ  
ქვის კედლებს და გაფითრებული მჭედლიდეს ეკვროდა ზედ. დროდადრო მღელ-  
ვარებისაგან თავს ვერ იკავებდა და ალექსის მკლავზე წაუჭერდა ხელს:

— ხედავ, ალექსი!!.

— კი ვხედავ, თხტატო!! — შემდეგ მჭედლიდე თავის მხრივ გურჯაშვილს  
ეკითხებოდა, ლალუაც პასუხობდა:

— ვხედავ და ვერ რაღაც უცრაურობა მგონია!

---

სუფთაად გაკრიალებულ ნიკელის ლოგინზე წევს ალექსი მჭედლიდე, ოთახის  
უანჯრები ღიაა და ულელტეხილის ნიავი საწერ მაგიდაზე დაყრილ ქალალის  
უურცლებს აფორიაქებს. შუა ოთახში სასადილო მაგიდის გარშემო სკამები ლამზად  
არის დალაგებული. მეორე კუთხესთან პატეფონი უკრავს. ალექსიმ სქელტანიანი  
წიგნის კითხვა დაამთავრა, კედლისაკენ გადაბრუნდა და ფიქრებს მიეცა:

— ჩა არის ახლა, მაინცამაინც, ელექტროწევა? — ფიქრობდა ის, სურა-  
მით უკაყოფილო, — ცოტა ხანში ელექტრომავალი ჩამორჩენილ ტექნიკად თუ  
ჩაითვლება! — ალექსის ამ სქელტანიანი წიგნიდან ამოკითხული ახალი ამბები  
იზიდავდა, სურამელებს, თურმე თავი რომ ასე ამაყად მოპქონდათ, ჩვენმა ცხოვ-  
რებამ უფრო წინ გაუსწრო. ავიომატარებელი დაემონტაჟებიათ მოსკოვში, რო-

შელიც ბოძზე ჩატოვდა რონებზე სწორედ ელვის სისწრაფით ისრიალებს.. ამერიკაში კი ამას წინათ ექსპლოტაციაში გაეშვათ „ზეფირ ექსპრესი“, რომელიც წუთში სამ კილომეტრს გადიოდა, ესე იგი საათში 180 კილომეტრის. ჩვენებსაც დაემონტაჟებიათ ამავე ტიპის მატარებელი 300 კილომეტრის სისწრაფით. საათში... და ალექსის ალექრა უსაშეელო სურვილი, როვორმე ამ მოწინავე ტექ-ნიკაში გაერია ხელი, მაგრამ ეს ახლა ისე მიუწდომლად ეჩვენებოდა, როგორც თრიიოდე წლის წინათ მონტიორის ხელობა. დალლილი და სასოწარკვეთილი, უფრო ტანზე ბუსუსების მომგვრელ ფიქრებისაგან დალლილი უცნაურ მოწყენას მიეცა. და რომ ამ თავბრუდახვევისაგან გამორჩეულიყო, გულის ჯიბიდან ვერიას წერილი. ამოილო და შეეცადა მეათედ წაეკითხა: „ალექსი—სწერდა ვერია,—თხინარა ის ათარის, რაც შენ გინახავს და გახსოვს, ეს კარგა ხანია მთელმა ქვეყანამ და შენმა კულმაც იცის. შარშან მე მარტო ორასი დღე გამოვიმუშავე. მიხომ სამას ორ-მოცდაათი, თითო დღეზე 16 კილოგრამი პური, საქმაო კარტოფილი; მუხუდო, ლობიო და ვაშლი მივიღეთ. მიხომ კარგი სახლი დაიდგა. ვინც ვანზრახ საქმეს ურევდა მათ მოუარეს. შილაკიძეს ალარაფერი დარჩა. ეს იმოდენა ფართაშ დაჩვეული ოჯახი ერთ ოთახში იძინებს. ნუ, ჩიმო ალექსი, მე ნუ მტოვებ ასე... ჩამოდი. ჩამოდი...“ და ასე ლოგინზე წამოწოლილ, ტანდასუსხულ ალექსის გულმა, უგრძნო, რომ ჯერ კიდევ მისთვის თითქოს ვერია არც იყო დაკარგული, ხოლო ძველი თხინარა წაცურდა სადღაც უკან, თავისი ვაბზარული კოშეით, ქოხ-მახებით და ცხვრის ნაონრალით, შილაკიძის ოჯახით და ეფრემის ნამოსახლა-რით.

1931 — 34 წელი  
სურამი—ტფილისი.



მშვიდობით! — მესმის სიმღერა მთების  
მთების ჩონგური, მთების ნაღარა.  
მზეს ოომ გაუცქერი, თან მეც ვინთები,  
თითქოს სხივები გულს დამეყარა.

ვეღარ მოვისმენ ფოთლების შრიალს;  
მინდიავ! მომდევს შენსე ფიქრებიც.  
ჩემო გმირებო, ნუ გეშინიათ,  
თქვენი ვარ, მკვდარიც თქვენი ვიქნები.

...ჩამავალი მზე თვალებს ნაბავდა,  
შეწყდა შრიალიც ჩარგალში წამით.  
მთებს დაეხურა დამე ნაბადა,  
ჩოგორც ფშაველას წამოსასხამი.

და ჩარგაულას მოთქმა, დილის ჰჩა  
დაფარა თარის მტირალ ძაფებმა.  
ჩამალა საღლაც დაბლა ტფილისმა  
იაუას გრიგალი და გამძაფრება.


გავიდენ წლები... ოოიგ პყვავიახ  
ლვია და დეკაც ახლა მთა-ველად-  
გმირებს ზეიმით აუყვანიათ  
მთაზე მყვირალი ვაუა-ფშაველაც.



## მწევულის კონკონები

არ გიცნობდი მე შენ გუშინ,  
არც მენახა ეს გზა დიდი;  
უცებ შემხვდი, ამ საღვურში  
გამოსულხარ და რძეს ყიდი.  
წუ გაუკირვებს, ხსოვნას დარჩეს,  
რომ გარემოს კუმშერ ხარბალ;  
მე მგზავრი ვარ, აქ ვერ ვამჩნევ  
ვაზის ლერწით მორთულ ხარდანს.  
ვერსად ვნახე ლელე ურჩი,  
ქვების წყობა კლდეთა მსგავსი;  
მარად მწვენე ჩაის ბუჩქი  
აქ მიწაზე არსალ არ ზის.  
სხვა მხარეა... ცუდი განა?!  
მინდვრებზე ძევს თითქოს მთვარე:  
ბზინავს მწიფე პურის ყანა  
და აჩერებს მგზავრის თვალებს.  
ფერი მისი მიესებს ვაგონს,  
მკას დაიწყებთ ალბათ მალე.  
ამ მხარეში, რომ არ გაქო,  
გყვარებიათ შრომა ქალებს.  
ვნახე ბევრგან ცელით ბელში  
კოგოები შენი კბილა,  
თივას სჭრიდენ... მათი ეში  
მაგონებდა სოფლის დილას.  
მოვსდევ მინდვრებს, გზა წინ მიდის,  
არ მივადექ ქვეყნის კარებს...  
რა ვრცელია და რა დიდი  
მაღლიანი თქვენი მხარე.  
შორს მივდივარ... დღეა ცხელი,  
დონს დავხედავ, ვიცი, აღრე.  
თუმცა მორცხვად რომ მიცქერი,  
აქ დარჩენაც მომანატრე.  
სად იღამებ, ან ვინ გშველის?  
სოფელი გაქვს ალბათ ახლო.  
ვიცოცხლოთ და ეზო შენი  
მეც ოდესმე იქნებ ვნახო!

1935 წ.



მთა ვაწმილებულ მუნჯივით ვიცქერს.  
 სცილდება სივრცეს გროვა ნისლების...  
 მერცხლებმა ლაფვარის  
 სიმღერა მისცეს...  
 შე სხივებს ქსრის ბორანის ფიცრებს,  
 და ალაზანში სხედან კლდის მხრები...  
 დამწვარა ღამე როგორც ნახშირი,—  
 ღამე—გაშლილი ყამირ მიწაზე,  
 ცის დასავალზე  
 ნაჭერ ვაშლივით  
 ჰკიდია მთვარის ოეთრი აჩრდილი,—  
 და ფერდობების მუქი სიმწვანე...  
 ბორანზე დგეხარ,—  
 და სუნთქვა ხარბად.  
 შენ ახლა ალბად ოცნებობ ისევ...  
 მოარხევს ჭავლებს მსუბუქი ტალღა;  
 შხუილი გარბის ალაზან გაღმა,—  
 და ტირიფების ლაშქარი ისმენს...  
 როცა ჯერ კიდევ ბინდების რიგი  
 ბუდობდა ირგვლივ, მხრებგიშრიანი,  
 როცა მარტოდენ მთის წვერებს ლიბრი  
 მოშორდა ზანტად...  
 და მერე იგი  
 იკარგებოდა ფრთების შრიალით,—  
 ადგა სოფელი... და როგორც ჯარი  
 ბუმბერაზ ჯანით მოადგა ბორანს;  
 არ იყო შულლი,  
 არ იყო ჯავრი,  
 არ ეკრათ გულზე სიმწუხრის ჯანლი  
 და ხანჯალივით პირბასრი მტრობა!..  
 ღასძარ ბორანი,  
 გავიდა ცველა...  
 და უკვე ხედავ გმირების გარჯას...  
 ამდგარა ცაში წერაქვთა ულერა,—  
 გალხენს ჯავშნიან ყამირის რლვევა.  
 და უცნაურად გერხევა მაჯა!...

... სამოცმა წელმა განვლო ქარულად.  
 დროთა მარულამ ვერ მოგსპო კაცი!  
 სიცოცხლე ვინდა,—  
 რომ სიხარულმა  
 გაინავარდოს ალამდარულად,  
 და გიმზეროდეს მხარე წარმტაცი...  
 მოხუცო, წუხელ მითხარი მშეიღათ:  
 „მღალატობს ხშირად ტიალი მუხლი“...  
 ნიავი პქროდა,—  
 ტყე შრიალს შლიდა...  
 მთვარე გვიმჟერდა ღრუბლის კოშკიდან,  
 და ნაპრალებში დიოდა მწუხრი!..  
 დიოდა მწუხრი...  
 ისმოდა ჩქამი.  
 სხივები ჩქარი—უვლიდა დაგლურს.  
 არ გედებოდა ფიქრების ჩვარი,—  
 ახალგაზრდული იერით სჩანლი  
 და აქლერებდი მოსირმულ უანდურს!..  
 სიცოცხლე გინდა?  
 იცოცხლებ ისევ!—  
 რომ შეეთვისე მხარეს მთებიანს.  
 თუ თვალებიდან მრდენი ისრებს  
 და გაშოძრავებს ზღვა სიხალისე,—  
 მაშინ მუხლებიც ვამაგრდებიან!..  
 ჯანმაგარ ბიჭებს ბეჯითად შველი,  
 გარუჯულ ხელით  
 საჭეს აბრუნებ...  
 მოკვეთილ შუბლზე ლიმილი გშვენის.  
 იმხიარულე, ჭირიმე შენი,—  
 შენ ვერაფერი გაგანადგურებს!  
 ჭალარა ლარბი!—  
 თამამად გეტყვი:—  
 ახალი ქვეყნის ლეიილი ხარ მართლა!..  
 თუმცა გაზაფხულს სიბერით შეხვდი,—  
 ირჯები მაინც... სამშობლოს ეტრფი;  
 და მღერი ლექსებს გრძნობებით გამობარს!..



## წაბაზუბის ტე

არ მიძებნია მე ნამდვილი დღე,  
 ნამდვილი წელი  
 ჩემი გაჩენის,  
 შემდეგ ვავიგე,  
 რომ ითალღითეს  
 და პურმარილით  
 მოპირეს მღვდელი...  
 ბევრი არ მანსონს,  
 ვიყავ პატარა,  
 და მეშინოდა თეთრწვერა კაცის,  
 სისხამ დილაზე  
 ფეხზე ამდგარმა  
 დავიმსახურე მოპყრობა მკაცრი.  
 ბოლოს შემიპყრეს  
 უბნის ქალებმა,  
 ვინაც შიშს მგვრიდა  
 იმ კაცს მიმგვარეს,  
 დამაშოშინეს ბევრმა თვალებმა  
 და ოთახები შემომატარეს...  
 ...ნათლობის შემდეგ  
 ალარ ვტიროდი,  
 იყო სუფრაზე სიმხიარულე-  
 ლაქლავა შუბლზე  
 მეცხო მირონი,  
 ვთვლიდი ნაჩუქარ  
 ბრძევიალა ფულებს.  
 ამ დროს მახლობლად  
 ატყდა წივილი.  
 წამოიშალა ხალხი ერთბაშად,  
 ფრონტზე მოეკლათ.  
 მეზობლის შეილი,  
 და სიხარულის ნაკადი დაშრა.  
 იმავე ღამით თურმე ბაასი  
 ჰქონდათ მულეტავი  
 ომის შესახებ,  
 მოუფიქრნია ბაბუა ვასილს,

— ჩქარა მოუსწრებს  
მშვიდობა ხალხებს.  
ამ გზით,  
ამ ფიქრით,  
ხუთი წლის ნაცვლად  
დაწერინა მლვდელს ორი წელი  
შემდეგ დღეები ისე გამჭრალან,  
ვით ნაწვიმარზე თოვლის ფანტული,  
და წელიწადი, მეოცდაერთე  
ჩემში ცისკარად შემოანათებს,  
მიხმობს;  
ცხოვრებას, მიღი, ექვეოვ,  
სამშობლოსათვის გმირობა ნახე!..

— ალარ სწყეველიან  
ვაჟთა გაჩენას.  
არ ეკუთვნიან ეშმაკის კერძებს,  
სიხარულია და ოლმაფრენა,  
იქ სიჭაბუჟე  
გმირობას ეძებს.  
ხვალ ჩემი სწორი,  
(არა მოწმობის)  
წითელი ჯარის რიგში ჩადგება,  
არ გვინდა სისხლი,  
მულეტავი ომი,  
ხალხის ღოვლათის გაჩანაგება,  
მაგრამ იქ, შორით,  
მოხუც მხეცების  
გაცხოველებით  
არის მზადება,  
აფთარივით თავს დაგვეცემიან,  
დრო თუ იხელთეს მუხანათებბა,  
მიტომ ვეჩქარი, ის რაც მომპარეს,  
ალმიდგინონ და გადმომცენ სრულად,  
ტოლებთან ერთად ვიცავდე მხარეს,  
მხარეს, კრიალა. ზეცა რომ ჰერავს,  
ვიცავდე დიად წითელ სამშობლოს,  
მე მის ტკივილებს ვგრძნობდე ტკივილად.  
სადაც ცოცხალი კაცი არ ობლობს  
და ეგებება მსოფლიო ღილას;  
სადაც მებრძოლი ბეღნიერება  
ყოველდღიურად მართავს  
სასწაულს,  
სადაც ყოველი დღის ძლიერებას.  
ჩემი თაობის გმირობაც ახლავს..



1.

სოფელში უცხო კაცის გამოჩენას ყველა შეამჩნევს და როდესაც დიტომ ქვედურის მთავარი ქუჩა გადაიარა, ყველამ გულმოდგინეთ დაათვალიერა ეს უცხო ყმაწვილი. გოგოებმა მაშინვე დაიწყეს გაკითხვა-გამოკითხვა.

— ვინაა ნეტავი?

— ჩვენი კოლას ცოლის ძმა ხომ არაა?

— რომელი? ინჯენერი? არა, ის მინახავს. ეგ ვიღაცა სხვაა.

— ღმერთო ჩვმო, რა კარგი ვაჟია!

— ვისთან მოდის?

ქვეყნის ამბავის მცოდნე თიკო დატრიალდა, საღლაც გაძვრა და ერთი საათის შემდეგ სულ სხვა პასუხებით უამბობდა გოგოებს საკუთრად მოქორილ ამბავს და შემდეგ სუსელა აიყოლა, რომ სოფლის მოედანზე წასულიყვნენ, სა- დაც კვირადლეობით დიდი კაკლების ქვეშ მთელი სოფელი იკრიბებოდა.

სოფლის მოედნის თავში იდგა სოფლის საბჭოს შენობა, საღაც კოლმეურ- ნეობის გამგეობაც იყო მოთავსებული და ახლა თავმჯდომარეს, ჭალარა თედოს, გაცხარებული საუბარი ჰქონდა ამ უცნაურ სტუმართან.

— ეგ ყველაფერი კარგია, რა ვქნა, მაგრამა რო არ ვიცი, შვილო, რა კაცი ხარ, საიდანა ხარ, ნასწავლი ხარ, რა ვქნა, თუ უსწავლელი? აგრე სად ვაგონილა, რა ვქნა, რო კაცის ამბავი არ იცოდე და აგრე ქალი გაატან. ახლა რა ვიცი შენ ვინა ხარ?

დიტომ მხიარულად დაჭრა მხარზე ხელი თედოს და სიცოცხლით აღსავს ე ხმით უთხრა:

— სწორი ხარ, მოხუცო, სწორი. გავიცნოთ ერთმანეთი და ენახოთ, ისე, როგორც მხედავ, გლახა ბიჭი-არ უნდა ვიყო.

— შესახედავად, შვილო, ამ ჩვენ სოფელში ჩვენი საყდრისთანა შენობა სულ არ დგა, მაგრამ შიგ კი არაფერი ყრია ნაგვის მეტი. კაცი მარტო შეხე- დულებით ხომ არ დაფასდება. კაცს შრომისა და გარჯის შნო უნდა ჰქონდეს, რა ვქნა.

— მაგის შნოკა მაქეს და უნარიც. ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადირი ვარ.

— თქვენში, იმერეთში, მარტო სიმინდი მოდის და ჭალით დამიხრჩობთ ქალს.

— სიმინდიც მოდის, პურიც და, ნუ გეწყინებათ ძია, და ჩვენ კოლმეურ- ნეობას ცოტა უკეთესად აქვს საქმე, ვიღრე თქვენსას. თქვენ აქ უწყლობით

იმრჩობით და აქაშდე წყალსაღენის საქმე ვერ მოგიგვარებიათ, აი თქენები ლაპა-  
რაკობდენ მოედანზე ამის შესახებ. ჩვენ კი სახლებს ვაშენებთ და წყალსაღენი  
სახლებში შეგვყავს.

თელომ კისერი მოიქექა.

— იი, წამობრძანდით ჩვენთან — განაგრძო დიტომ — მე გპატიუებთ, ვინც  
გინდოდეთ წამოიყანეთ; დავათვალიეროთ, გაგაცნოთ ჩვენი მეურნეობა, ავლა-  
დილება, ჩვენი მუშაობა...

— წამოვიდოდი, თუნდაც დღესვე წამოვიდოდი, მაგრამ ხვალ იჭრება  
ჩვენი პური. მკა ვვეწყება და რო არ მცალიან. დღეს ამის გამო თათბირი გვაქვს,  
ბრიგადირები სადაცაა მოვლენა. მოდი, იცი რა გითხრა, შეილო. აი, შენც აქა  
ზარ და მე დამიბატიუნიხარ. ხეალ სამუშაოდ გავიდეთ, ერთი შენი გარჯა ვნახო,  
მაგრამ შენ მკა რომ არ გეცოდინება, რა ვქნა...

დიტომ ჩაიცინა.

თელოს საკუთარი აზრი ძალიან მოეწონა, ზენე წამოხტია ბავშვივით აღ ჭა-  
ცებაში მოვიდა.

— შეილო, ქალსა მთხოვ და ჩემგან ყაბული გინდა, არა? ამბობ ბრიგა-  
დირი ვარო. მოუა ერთი ეგზამენია დაგინიშნო. მე გლებეკაცი ვარ, მიწის მუშა.  
ჩემ გვერდში მომუშვეს მუხლებში შევატყობ, რა შეილიცაა. საუღლე ხარსაო...  
ზო გაგივონია ქართული ანდაზა, ჰო და მოდი, ვნახოთ...

— ვნახოთ.

— შენ ეს მითხარი, მკა იცი?

დიტომ ისევ ჩაიცინა.

— ვნახოთ.

— ჰო და მაშ კარგი. ჩოფურა ნიკუას გვერდით დაგაყენებ, ის იქნება  
მეთაური და ოცი ნაბიჯით ჩამორჩენის ნებას მოგცემ, იცოდე. თუ მეტით ჩამ-  
რჩი, უარს გეტყვი, ჩემია ქალმა შენი გულისთვის თავიც რო ჩამოიხრჩის.

— კარგად იცის მკა?

— იმის ბადალი მთელ საქართველოში არ იქნება. ერთი მუხრანში მეგუ-  
ლება იმისთანა. აა! ნიკუაც მოვიდა. მოდი, აქ მო, აი ეს ყმაწვილი გაიცანი...

დარბაზში სხვებიც შემოვიდნენ და როდესაც დიტო გაიცნეს, მოსვლის  
მიზეზი გაიგეს, ისეთი მხიარული მასლაათი გაიმართა, რომ მოედანზე შეკრე-  
ბილმა ხალხმაც კი ყურადღება მიაქცია.

ერთი საათის შემდეგ ბრიგადირები ერთმანეთს ეცილებოდენ დიტოს მას-  
პინძლობაში და ბოლოს ყველას უჯრედის მდივანმა აჯობა.

— თელო, შენთან ბოდიში, — მოუბრუნდა უჯრედის მდივანი თელოს —  
მაგრამ ისევ ჩემთან ჯობია ამის სტუმრობა. ჯერ საქმე არ გადაგვიწყვეტია და  
ხომ იცი. ელიკოც ახლა შინა გვყავს და განა გაგონილა ცეცხლის და ნავთის  
ერთად მოთავსება. ამხანაგი დიტო ჩემი სტუმარია, მორჩა.

მკლავი მკლავში გაუყარა და მოედანზე გამოვიდნენ.

თიკომ გოგოების გუნდი მიატოვა და მაშინვე უჯრედის მდივნისაკენ  
გაედანა.

— სანდრო, სანდრო, აქმო. საქმე მაქვს. თამრობ დამაბარა, რომაო... —  
და როდესაც სანდრო თიკოსთან ახლო მიგიღა, უცბაღ ხმას დაუშია და ჰყოთ-  
ხა — ეინ არის ეგ ვაერ?

— რა დაგაბარა თამრომ?

— არაფერი არ დაუბარებია. ეგ ვაუ ვინ არის-მეტჭი მინდოდა გამეგო.

— არავინაც არ არი.

— კარგი ერთი! მითხარი, რა!

— ცოლიანია, ხუთი შვილი პყავს.

თიკო ვითომ გაიბუტა და გულმისულად თვალი გააყოლა ორთავეს. ვო-  
გოები ყოველ კუთხიდან, შემოედვენ, მაგრამ გულდაწყვეტილი დარჩენ. ვერა-  
ფერი ვერ გაიგეს.

სალამოს უკვე ყველამ იცოდა საქმის ნამდვილი შინაარსი და არასოდეს  
ასე დაინტერესებული არ ყოფილა სოფელი ქვედური, როგორც ახლა.

ბიჭები სულ აწრიალდენ. ილო „რიუკა“ ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა  
და ხელების ქნევით ქაქანობდა.

— რა ოინი უყვაა თედოს, დახე, დახე! ჩოფურა ნიკუას დაუყენა გვერდ-  
ში, ვაი თუ ნიკუამ ელიკო არ დაანება. გაგონილა, კაცო, მას მიპყვე მეტში?  
მაგრამ ის ბიჭიც ზორბა რამე სჩანს, აი ბიჭებო! წამოთ, ნიკუას მოველაპარა-  
კოთ. არ შევრცხვეთ ხალხში.

ნიკუასთან წავიდენ, სულ ჯიგლიგით შეცვიდენ დარბაზში და ყველაშ  
ერთად დაიწყო ლაპარაკი.

— ნიკუა, აბა შენ იცი...

— ნიკუა, იცი? დღეს იმას მკლავები გაუსინჯე და სულ რეინასვით აქვს,  
აი. არ გაჯობოს.

— მერე როგორი გოგო უნდა წაგვართვას! თვალია, რალა, ამ ჩვენი სო-  
ფლისა.

— მერე ხო იცი შეცვარებული კაცი ლომდება. ჩემმა მზემ. ნიკუა შენი  
ფალავნობა არ ჩავითვლაოს.

ჩოფურა ნიკუა ჩუმად ილიმებოდა. ვისთან დასჭირდათ ეს ლაპარაკი. მას-  
თან დაბადებიდან ნამგალი ხელში უჭირავს. და განა ტყვილა ეუბნებოდა აგრო-  
ინსტრუქტორი, რომ ნამდვილი არტისტი ხარ ნამგლის ხმარებაშიო. მერე ნიკუამ  
ხომ დაღლა არ იცის. რაც უფრო ხურდება მუშაობის დროს, მით უფრო ემა-  
ტება ძალა.

მაგრამ ბიჭები ვერ ისვენებდენ, ეზოდან ეზოში დარბოდენ, ერთმანეთს  
ეხეთქებოდენ და დაღამების შემდევ კიდევ დიღხანს ისმოდა სოფლის ჩაბნელე-  
ბულ ქუჩებში მხიარული ურიამული.

თანდათან მიყუჩდა სოფელი. ყველამ დაიძინა. ხანდახან სადღაც სოფლის  
ბოლოში თუ დაიყეუცხდა ძალლი.

მხოლოდ ერთი ფანჯარა ანათებდა ოდნავაღ, ამ ფანჯარასთან იჯდა ელიკო  
და მთელი დღის ამბებით გაბრუებული, ფიქრებში გართული შესცემოდა  
ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

გარსკვლავები სოფლის თავზე ციმციმებდენ.

2.

განთიადმა იელვა, აღმოსავლეთით ცა თეთრად შეჰურა და ცივმა სიონში დაუბერა.

სოფელი აიშალა

ყველაზე ადრე თელო აღგა და პირი დაიბანა თუ არა, მაშინვე გაიქცა ვამგეობაში განკარგულების გასაცემად. ქიტესას გაუარა, რომ თავის დროზე დაეცენებია სამხარეულო საქმეებზე, მაგრამ მას უკვე დაესწრო თედოსათვის. თორმეტფუთიანი ძროხა წუხელვე დაეკლა და ახლა ქვაბების თავდარიგში იყო.

ყველგან ხმამალალი ლაპარაკი ისმოდა, მეზობლები ერთმანეთს გასძახოდენ და ჩქარობდენ. სოფლის შარაზე გამოჩდენ მოედნისაკენ ვაჩქარებული მკლავზე ნამგალ გადადებული ბიჭები.

მოედანზე ერთი გუგუნი და ქრისტული იყო, ყველა ცდილობდა დიტო შეეთვალიერებინა და შეეფასებინა.

— ამხანაგებო! — გადმოსძახა კოლმეურნებს უჯრედის მდივანმა სან-დრომ — დღეს მეს მეთაურობს ჩვენი ნიკუა. ხვალ კი მკის მეთაური იქნება ამ-ხანაგი თაბაგარი.

ბიჭების აღტაცებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ყველას გულიდან აღ-მოხდო.

— ვაშა!..

— ყოჩალ, სანდრო, ეგ კარგად მოიფიქრე...

ილო „რიუიკა“ ქარგა ხანს რაღაცას ყვიროდა, ხალხს აჩუმებდა და ბო-ლოს, როგორც იქნა, როდესაც გუგუნი ცოტაოდნათ მიწყდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა იყვირა:

— ხალხო, დამაცათ, ქრთი რაღაც მინდა ვიქითხო.

მხიარულად შეაქების.

— აბა, ილო, თქვი.

— მოდი, რიყიკ.

— ჰაა, მწყერები არ გააურინო, ბიჭო.

— აიგანზე ადი, აიგანზე.

— დააცათ, კაცო! რეჩის ამბობს, ვერა ხედავთ?

ილო აიგანზე ავიდა. სიჩუმის ჩამოსაგდებად ხელი ასწია და შემდეგ სან-დროს მიუბრუნდა.

— მე ის მინდოდა მეკითხა, ეგ ამხანაგი რომ ხვალ მეთაურობს, დღეს მშეშვებს თუ არა.

— იმუშავებს, მაშ! — გაელიმა სანდროს.

ბიჭები ისევ ახმაურდენ.

— ეგ იყო შენი „რეჩი“?

— ტაში ილოს.

ცა მთლად გათეთრდა, მხოლოდ აღმოსავლეთით წითელმა ფერმა დაჰკრა გავიდენ თუ არა სოფლის თავში, საიდანაც იწყებოდა გორაკებზე შეფენი-ნილი ჰურის ყანები, ნიკუამ მარჯვნივ და მარცხნივ ჯარისკაცებივით გაამწკრი-

სამოცუდა თორმეტი მომკელი. ვინაიდან ძალიან შორ მანძილზე გადაიჭიმა ჯერივი. თითონ შუაში ჩადგა და ბიჭებს გადახედა.

ისინი იდგნენ და მეთაურის ნიშანს ელოდენ.

დღლის სიო ოდნავად ქროდა და ყვითელი თავთავი ზანტად ლელავდა და შრიალებდა.

ნიკუამ დინჯად გაიკეთა ხის სათითები, ერთხელ კიდევ მოუშინჯა ნამ-გალს პირი, დაკაპიშებული სახელოები შეისწორა და...

იელვა ნიკუას ნამგალმა.

იელვეს ნამგლებმა და შეესიენ აშრიალებულ პურს.

დინჯად, აუღელვებლად, სასიამოვნო ხმით წამოიწყო ნაკუამ.

ჰერიო, ჰერიო.

ჰერიო, ჰერიო.

ჰერიო, ჰერიო, ბიჭებო...

შთელმა მწერივიმა იმავე სიღინჯით უასუსა. მხოლოდ გამოცდილი ყური თუ შეამჩნევდა, რომ სიმღერას სულ ოდნავი აჩქარება ეტყობოდა და ეს აჩქარება ისე ზუსტად იყო გამოზომილი, რომ სერელის გათავებისას ყველაზე ჩქარი უნდა ყოფილიყო.

ნამგლებმა აუჩქარეს და მხოლოდ ნიკუას სიმღერა აყენებდა მათ თავის ღონეზე. რადგან ბიჭები ცდილობდენ, რაც შეიძლება ღრმად შეკრილიყვენ პურმი, ერთმანეთისთვის, და განსაკუთრებით დიტოსთვის გაესწროთ.

— გაუსვი, გაუსვი, ნამგალი...

— გაუსვი, გაუსვი ბიჭებოოო...

გლგუნებდა მწერივი და შეხურებული ბიჭები ხის წვეტიან სათითურებს კასტანეტებივით ატკაცუნებდენ.

— გაუსვი, გაუსვი, გაუსვიი...

— გაუსვი, გაუსვი ნამგალი...

ერთი საათის შემდეგ მოვიდენ ხელაურები. კალათებით დილის საუზმე მოიტანეს და მხიარული ურიამულით შეესიენ შესაკრავ ნამჯას. ჩოფურა ნიკუა უკვე მოციოდე ნაბიჯით იყო ყველაზე წინ წაწეული და მის მიერ მომკილ პურს სამი ხელაური დაჭირდა.

თიკომ მაშივე დაირჩინა მწერივი და დიტოსთან გაჩნდა. უნდოდა კარგად დაეთვალიერებინა და შემდეგ ელიკოსათვის პირველს ეამბნა თავისი შთაბეჭდილებანი.

კარგად მკიდა დიტო. არაფრით არ განირჩეოდა სხვებისაგან. სანდროს თან ერთად თანაბრად მიღიოდა, არც უსწრებდა და არც უკან რჩებოდა. მწერივიდან ბიჭები ხშირად იცქირებოდენ დიტოსეკენ.

საუზმის შემდეგ ჩოფურა ნიკუამ მუშაობას უმატა. მძლავრად გაიწია წინ. და მთელი მწერივი ისე აითრია, თითქო თოკზე ჰყავდა ყველა ასწმული.

— გაიწია ნიკუამ.

— აბა, ბიჭებო, არ შერცხვეთ.

— ტა, ტა, ტა! შენი ჭირიმე, ბიჭო. ნიკუას შეხედე, როგორ მიღის.

ტრახტორია, რაღა, — გადასძახოდენ ერთმანეთს ბიჭები და უფრო მძლავრად გუგუნებდა სიმღერა.

- ნამგალი, ნამგალი, ნამგალი...
- გაუსვი, გაუსვი, ბიჭებოო...

ხელაურები მარდად ტრიალებდენ, სხივებზე აბზინებული ოქროსფერ თავ-თავს ძნებად კრავდენ და მთელი ყანა მოიფინა გრჩელკაბიან დედაკაცების მსგავს ჩნებით. ყველანი დიტოს უთვალთვალებდენ, მაგრამ ის მუშაობდა დინჯად. აუ-ლელებლად, არც არავის უსწრებდა წინ და არც უკან რჩებოდა.

ილო რიუკა იმდენს ეცადა, რომ დიტოს გვერდით მოექცა, რათა უფრო გულდასმით გაეშინჯა დიტოს მუშაობა. ბევრჯერ სკადა დიტოსათვის გაესწრო, რომ სალამოს წაეტრაბახნა, მაგრამ ვერაფრით ვერ შესძლო. სადილობამდე წე-ლი მოიწყვარა, თავს მთელი ძალლონე დაატანა და ბოლოს ისე ამუშავდა, კაცს ბზრიალა ეგონებოდა. ხანდახან დიტოს გადახელავდა ხოლმე, მაგრამ ის ისევ ძველებურად დინჯად მუშაობდა და მაინც ილოს გვერდით იყო. დალლაც კი არ ეტყობოდა.

სადილობამდე მომკელებმა ორჯელ შეისვენეს, ბოლო პირველ საათზე ყანის თავში გასულმა ნიკუამ ნამგალი მკლავზე გადაიდო, ჭრელი ცხვირსაბოცით ოფ-ლით დაცვარული სახე მოიწინდა და გადასძახა:

— შაბაააშ!

მომკელები აიშალენ, შეისვენეს და აუჩქარებლად გაემართენ აკაკებისაკენ, სადაც ჩრდილში აბიბინებულ მოლზე სუფრა იყო გაშლილი.

წყაროზე ხელები დაიბანეს, სახეებიც გაიგრილეს და ბარაქიან სუფრას მოუსხდენ. ჩაციებული ღვინით სავსე ხელადები ჩამწკრივეს და მაღიანად შე-უდგენ ჭამას.

სადილობის დროს ბიჭები ერთმანეთს ჩურჩულით უკითხებოდენ დიტოს მუშაობის შესახებ და ხმამალდა აქებდენ ნიკუას. განსაკუთრებით ილოს ეტყო-ბოდა მოუსვენრობა. სადილი ყველაზე ადრე დაამთავრა, ნიკუას რაღაც ჰქითხა, შემდეგ ქიტესასთან გაიძეს, იმასაც ჩურჩულით რალაც გამოჰქითხა და სოფლ-საკენ მოუსვა.

ისადილეს თუ არა, ყველა დასასვენებლად მოლზე მიწვა. ზოგიერთები ჯუფ-ჯუფად წამოწვენ ჩრდილში და მუსაიფში გაერთენ.

შუადლის სიცემ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ხუთმეტი წუთის შემდეგ შევი ყველას ეძინა. მხოლოდ გოგოებს არ ეძინათ. სუფრას ალაგებდენ. ყოველ სიტყვაზე კისკისებდენ და რამდენჯერაც არ ჩაუარეს მოლზე წამოწოლილ და გაფურჩებულ დიტოს, იმდენჯერვე ხუმრიბით ხელს ჰკრავდნ;ნ ხოლმე ერთმანეთს.

ნაშუადლევს, როდესაც მთებიდან გრილმა სიომ ჩამოიქროლა, კოლმეურ-წები ისევ აიშალენ, ნამგლებს პირი აუწყეს და ის იყო წასასვლელად გაემართენ, როდესაც სოფლიდან გამოჩქარებული ილო დაინახეს, რომელსაც ზურგზე რა-ღაც უცნაური ტვირთი ეკიდა და ურთის ქაქანით მათვენ მიიჩქაროდა. მოვიდა თუ არა, ზურგიდან ტვირთი მოიხსნა და ალტაცებულად შესძახა:

— ჟი მოვიტანე.

ნიკუამ გადაშალა წუხანდელი დაკლული ძროხის ტყავი რომელშიაც თავ-თვეზე ეწყო.

— ამა, თაბაგარს დაუძახეთ, თაბაგარს! — გადასძახა ილოშ:

— თისუონ ნაბოს თითონ, დაუკახეთ — აჩოჩქოლდენ ყველანი.  
დიტო მივიღა და დაინახა, რომ ნიკუაშ მოხდენილად შეახვია ძრობის თავ-  
ფეხი ნედლ ტყავში, კოხტად შეპრა, ზურგჩანთასავით ხელების გასაყრელი გა-  
უცეთა და ზურგზე აიკიდა.

— რად უნდა ეს ზურგზე? — წყნარად ჭკითხა სანდროს დიტომ.

— ი ჩენები ფალავანმა მეთაურებმა ასე იკიან: რაც კი დაიკვლება სა-  
ლილისათვის, იმის თავ-ფეხს ასე შეერავენ, ზურგზე დაიკრავენ და ამგვარად  
მუშაობენ სალმომდე. მეთაურიც იმას ჰქვია, ვინც ამგვარად შესძლებს მუშაო-  
ბას, ჩენთან ეს მარტო ჩოფურას შეუძლია, მცტს არავის. ეხლა შენც იმიტომ  
განგებ გიჩვენებენ.

— ჰო.

— მაშ! მართლა ძნელი კია, ჩემმა მჩემ — განაგრძნობდა სანდრო — ერთ-  
ხელ ვცადე და ათი წუთის შემდეგ სულ მუხლებში ჩამკეცა სატიალომ. ათ ფუთ-  
ზე უფრთ მძიმედ მეჩვენა.

შიჭები თვალს უშვებოდენ ერთმანეთს და დიტოს მიშართ ირონიულად  
იღიმებოდენ. შუალდემდე ფრთხილად მუშაობდა, ვითომ თავს ინახავდა, მაგრამ  
რამდენიც არ უნდა ინახოს თავი, ხვალ რომ ნიკა-ხარის თავ-ფეხს დაკრავენ  
ზურგზე, აბა ერთი მაშინ ვნახოთ, რა ბიჭიც გამოდგება.

ზურგზე ტეირთაკილებული ნიკუა ისევ თავში ჩადგა და წავიდა, მაგრამ  
როგორ წავიდა! ზურგზე თითქო არაფერი არ ეკრა. ხელები თითქო რეინისა  
ჰქონდა. ელვის სისწრაფით პარსავდა აშრიალებულ ყანას და დასტებად აწყობდა  
ნამჯებს.

— ეჭე! გაუსვა ჩოფურამ.

ისეთი აღტაცებით მიაყებოდენ ბიჭები, რომ სუნთქვაც კი ეკვროდათ.  
სასიამოვნო საცქერი იყო აშრიალებულ მწერივის მუშაობა.

საღამოს სითოთი აშრიალებული ყანა ღელავდა და ტალღები ხან ალმაცე-  
რად გაღაირბენდენ, ხან მომკელებისაკენ გამოირბენდენ.

სოფელში ყველამ, ვინც მოათავა საოჯახო საქმეები, ამ შეჯიბრების საც-  
ქერად გამოიქცა. მთელი გარშემო მდებარე გორაკები და სერები მოიფინა ქა-  
ლიშვილებით, ბავშვებით, მოხუცებით. გაფაციცებით ადევნებდენ თვალს იმ სა-  
ინტერესო შეს და ყველანი დიტოს გამოცნობას ცდილობდენ.

გოგოებმა ელიკოც წამოიყვანეს. ერთის გაი-ვაგლახით გამოათრიეს სახ-  
ლიდან, ყველაზე მოხერხებულ აღგილას დადგენ და თვალთვალი დაუწეს. ხმა-  
ზალლა გამოსთქვამდენ თავიანთ მოსაზრებებს.

— შეხე, ჩოფურა როგორ წინ მიდის.

— ეს მეორე ვიღლაა? ი ის იმერელი ხომ არაა?

— არაა. ის, აი, იქ სანდროს გვერდით რო მუშაობს, ისაა. ეს თებროიანთ  
გაბრიელა.

— მართლა! ისაა.

— ჩოფურა როგორ წინ მიდის. ასი საჟენით მაინც იქნება წინა.

— ასი კი არა, ის არ ვინდა! ერთი ათი მეტრით თუ იქნა, ისიც კარგია.

— იქ, რა ვუთხრა მაგას. რა იქნება, რო ცოტა ნელა იმუშაოს. ხომ იცის,

ოოშ ის ვაუი ელიკოსათვის დნება. ახლა დაჭირდა თავის ოსტატობის გამოჩენა?!

— აბა, რას ლაპარაკობ, ქალო. ნიკუას მაგისთანებით ვერ შაარბილებ. ის თავის ოსტატობას ფასს არ დაუკარგავს, განა არ იცი.

ელიკო ჩუმად ისმენდა გოგოების ქაქანს და დაღვრემილი გასცეუროდა ტალღებად ქუეულ ყანას.

სიმღერა ისევ იგუგუნდა. ნიკუამ სისწრაფეს უმატა და დაატრიალა ბიჭები.

— აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, ჰა!

ჰერიო, ჰერიო, ნამგალიი...

ჰერიო, ჰერიო, ბიჭებო...

ამ რიტმიულ სიმღერაზე ყველას რაღაც სასიამოენო ფრიამული უცლიდა ტანში და ისინიც ჯიგრიანად აყოლებდენ ხმას.

— ჰერიო, ჰერიო, გაუსვით...

— გაუსვი, გაუსვი ნამგალი...

ნიკუა ორმოცი ნაბიჯით აღრე ძავიდა თავში, ჯერ მარჯვნიუ გაღმოშრო პური, წინ შეხვდა მომკელს და შემდეგ მარცხნივ გადავიდა. ელვის სისწრაფით აიტანა ის სვერელიც, შემდეგ თავში დაღგა, ნამგალი. წინ დაიდო, ოფლი მოიშინდა და სანამ სუსკელამ არ დაამთავრა მეა, სიმღერა არ შეუწყვეტს. ერთი კი შესაბამა.

— ჰოო! ჰო! ჰო!.. ჰეეე!

და ყველამ ნამგლები მელავზე გადაიწყვეს.

ნიკუამ ზურგიდან ტვირთი მოიხსნა და ხელაურებს გადასძახა.

— აბაა! თქვენ რაღა მოვივიდათ! ჩქარა!

სიამოვნებით გადახედეს ბიჭებმა ერთმანეთს; შემდეგ დიტო შეათვალიერეს და საიდუმლო ლიმილით ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს.

— ჰაა! შეგვიშინდა მგონი ჩვენი სტუმარი.

— მაგას, ალბათ, ინტლიკანტური მეა ეგონა და...

— აბა ხვალ იქნება სეირი, აი. მაგას თუ ნიკუა დაუდგა გვერდით, ფაშვზე გახეთქავს ჩემმა მხემ.

— თვალებს კი არ მოსთხოის!

— თქვენ დაიცათ. მაგ მე მგონია, თავს უვლიდა, აი. აბა ხოშ არავის ჩამორჩა. არც არავის გაუსწრო.

— ეს, კარგი ერთი. ხვალაც შორს აოაა. ვნახოთ და!

### 3.

მოელ საღამოს არ შეწყვეტილა ამგვარი საუბარი, მაგრამ ყველაზე გაგი-კებული „რიეიკა“ იყო. დიტოს და პატარა რეზოს, სანდროს უმცროს ძმას, მოჲ-ქრია თვალი. საიდუმლოდ თათბირობდენ და დიტო გულმორგინეთ უსმენდა რეზოს რაღაცას. „რიეიკა“ მთლად ყურადღებათ იქცა და ყურები, რაც შეეძლო. წაიგოძელა, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგონა. ხებს აეფარა, ფრთხილად მიეპარა, მაგრამ მესაიდუმლებმა შენიშნეს და გაიპარენ. „რიეიკა“ მთლად გაგიედა. ცოტა ხნის შემდეგ რეზო მონახა და რა ხერხს არ მიმართა, რომ საიდუმლო-ება გაეგო.

რეზო კლდესავით ურყევი გამოდგა და თუმცა „რიუკას“ თოფის გულის-  
ავის თავის მოშინაურებულ მელიასაც კი არ დაინანებდა, მაგრამ საიდუმლო  
მაინც არ გასტეხა. „რიუკას“ ორივე ხელით დიდი ცხვირი უჩვენა და გაიქცა.

— კარგი და გახახსენებ მაგასაც, თუ ბიჭი ვყოფილვარ. კიდე შემეხვეწები  
სანადიროდ წამიყვანეო. — მისძახა გაგულისებულმა „რიუკამ“.

დიღხანს ისმოდა სოფლის შარაზე მხიარული ქრიამული, დალლილ მამა-  
კაცებს უკვე კარგა ხანია ეძინათ. მხოლოდ ქალები დაულალვად შექმაქანებდენ  
ერთმანეთს და ბნელში აშრიალებულ ხეებს.

ინათლა თუ არა მთელი სოფელი წამოიშალა ფეხზე და მომკელები სულ  
სირბილით გაიქცენ მოედნისაკენ. ყველას სასიამოვნო აღელვება ეტყობოდა. ბი-  
კები ნამგლებს პირებს უშინჯავდენ და „რიუკა“ პაერში ასროლილ ქალალი  
წრიდა ნამგლით.

— აბა, ამას შექმედეთ. — მხიარულად გაჭკოთდა „რიუკას“.

შეგროვდენ თუ არა, სანდრომ ერთი წუთით სიჩუმე დაამყარა და ბიჭებს  
გასძახა.

— აბა, ბიჭებო! დღეს ამხანაგი თაბაგარი მეთაურობს. ვინც ამხანაგ თა  
ბაგარს გაუსწრებს, სანადირო თოფით დავაჯილდოვებთ.

მხიარულმა ყიუინამ გადაირბინა შეჯგუფებულებზე და ყველანი გაემართ  
სამუშაოდ.

— თედო, დღეს კარგი სადილი დაგვაზვედოე, — მიუბრუნდა სანდრო სახ-  
გახსნილ თედოს.

— თვეენ მაგის დარდი ნუ გაქვთ. მეთაურთან საუზმე დღეს ელიკოს მოაწეს.

— ოპო! თუ ჩამორჩა მეთაური?

— გაშინ შენ დაიწვიე საუზმეზე.

— ხა! ხა! ხა! — გულიანად გაღიტარხარა სანდრომ და მომკელებს გი-  
მოუდგა.

დიტომ დინჯად ჩაამწერიეთ მომკელები. ზოგიერთებს ადგილი შეუნაცვლ  
ჟველას ნამგლები დაუშინჯა, შემდეგ ჩადგა შუაში.

ნამგალი აიქნია და გასძახა:

— დაიწყეთ.

თითონ კი ისევ იდგა ადგილზე,

მომკელები ყიუინით შეესინ პურს, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ დი-  
ტო ერთ ადგილას იდგა, შეჩერდენ და გაკვირვებულად შეხედეს ერთმანეთს.

— რა მოხდა, კაცო?

— ეგ რატო არა მეის?

— გვამასხარავებს თუ რა არის, კაცო?

დიტომ სიცილით შეარხია ნამგალი და მხიარულად გასძახა გაკვირვებულ  
მოძებულებს.

— გაუსვით ნამგალი, გირჩევნიათ. სულ ერთია, დაგეწევით მქაში. აბა.  
ნულარ ცდებით — და თითონაც გაუსვა ნამგალი.

ბიჭები უცბად გამოერკვენ და ეკვეთენ პურს.

— ჰე! მკი! ჰე, მკი!  
ჰე, მკი, ჰე მკი!

გავლესოთ, ძმებო ნამგალი,  
პური შეგვექნა სამკალი,  
ჯერ „პოპუნ“ დავაგუგუნოთ  
და შერე „არი-ჰარალი“.

წამოიწყო აქაკის ცნობილი ლექსი დიტობი.  
ეს ლექსი მარტო სანდრომ იცოდა ზეპირად და მაშინვე მიაძახა შესაბამის  
ტაქტი:

— მეთაურო, თაბაგარო,  
ნუ გვომხია რომ დაგვჩაგრო,  
ნახავ მკაში, რომ შენ ჩვენთან  
ბევრი ოფლი გადმოლვარო,  
მომკლები ვართ ჩვენცა სრული,  
არ ცყოფილვართ დაჩაგრული,  
თაბაგრები თუმც არა ვართ  
მკა კი ვიცით თაბაგრული.

— ოჟო! ჰო! ჰო!  
— ჰოპ! ჰოპ! ჰერი! ჰერი!  
ჩუ გამოხტა ავჭრ მწყერი...  
ნამგლები უფრო აელვარდა, ბიჭები გახურდენ და ჯარასავით დატრიალლენ.  
თაბაგარი წავიდა წინ, მაგრამ როგორ წავიდა! კალოსოდენა სვრელი გა-  
დრიანა და გიაურებში შექრილ მამელუკივით დატრიალდა.  
— ეძე! აბა, შეხე იმერელსა... — გადაულპარაკეს ბიჭებმა ერთმანეთს და  
ჩოფურის გადახედეს.

ნიკუამ თავიდანვე კარგად დაიწყო. განიერი სვრელი დაიჭირა და აუჩქა-  
რებლად შეუდგა მუშაობას. შემდეგ ნელნელა ააჩქარა ტემპი. მაგრამ ახლა ათი  
ნაბოლოთ მაინც უკან იყო დიტოსთან შედარებით.

— აბა, ნიკუა! ეგ რა მოგდის?  
— რაო, ჩამორჩა?  
— ჰაა! ბიჭებო, მასახელეთ, თქვენი ჭირიმეთ.  
„რიუკია“ მთლად გაიგუდა. სახეზე ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ იხტიბარს  
მარც ამ იტეხდა და ნიკუას თითქმის გაუსწორდა.

— ვა! კაცო, ხედავ, „რიუკია“ რაებს ჩადის!  
— ჰა, ყოჩალ, რიუკი!  
— აბა, რიუკი, გაუსვი, ჰაა.  
— ბიჭო, — „პარი“ არ დაგაკლდეს.  
„რიუკია“-მ ერთი გადაუბლვირა მხიარულად აყიყინებულ ბიჭებს და მწყრა-  
ლად შეუტია:  
— დაიკარგეთ, თქვენ ჩატლახებო, თქვენა. თუ ბიჭები ხართ, მეთაურს ჭა-  
რა დაუკიდებით. მე დამეტიეთ, აი!

— შენ ემანდ ფრთხილად იმუშავე ნამგლით, არაფერი მაიჭრა. — გასძახა ნანიკიანთ ტიტომ - - თორე, შვილოსა, შეთაურს შენ ვერ გაასწრებ, ტაუილია. დახვე, როგორ მუშაობს, ი დალოცვილი. რკინის ხელები აქვს თუ არა, კაცო. შეხვე სად გაუსწრო ნიკუა!

— დაიცა და ნასადილევს რომ ლვინის ტყავით და თავფეხით „დავა-ტორმუხებო, — მერე ვნახოთ — ცარედ შეეკამათა „რიუიკა“. ახლა ცოტა გა-ინავარდოს, არა უშავს რა.

ელიკომ კალათით ხელში მორცხვად გადაიარა მომკილი ყანა და სანდროს-თან მიყიდა.

— ოო, ელო, მობრძანდი. საუზმე მოიტანე? აგე, აი შენი სტუმარი სადაა, ხედივ? წადი, წაუღე. ჩემი სახლობა სადლაა?

— თქვენი საუზმეა აქა!

— ჩემიი? მაში იმის საუზმე სადლაა? — დიტოზე ანრშნა სანდროშ.

— იმისიც აქა.

— ი! კარგი ერთი! წადი, წაუღე, ნუ გრცხვენიან.

— რისა მრცხვენიან. კი არა მრცხვენია, მაგრამ...

— ჰო, ვიცი, არ გრცხვენიან, მაგრამ გერიდება. მეთაურო, ხელაური მოგვიდა, გესმის! — გასძახა დიტოს სანდრომ და შემდეგ ისევ ელიკოს მიუბრუნდა — წადი, საუზმე წაიღე, მეც ეხლავე მოვალ. შაბაშს მეთაური იძახის, მე ნება არა. მაქვე მუშაობას თავი ვანებო.

ელიკო თუმცა აღტაცებული იყო შით, რომ დიტო ორმოცი ნაბიჯით წინ იყო სხვებზე, მაგრამ ეხლა ყველაზე უფრო აწუხებდა ეს ორმოცი ნაბიჯი. მომკელებს მშერივს უნდა გასცილებოდა და ყველა დაიხახვდა, რომ ელიკოს მოაქვს საუზმე დიტოსთვინ. არ უნდოდა საუზმის წამოლება, მაგრამ რო არ დაყენეს! რა ხალხია!

— მართლაც, ვასცდა თუ არა მშერივს და დაიძახა თუ არა დიტოშ:

— შაბაშ!!

ბიჭებმა მაშინვე შეამჩნიეს ელიკო და აღტაცებით შატი დასძახეს.

— ვაშაა!

— ელიკო, მოვეილოცნია!

— აი, საინტერესო ნიშნობა!

— ვაშაა!..

ელიკო ჯერ დაიძნა, მაგრამ შემდეგ ძალა მოიყრიბა, ბიჭებს ღიმილით გადახედა და გაბუტულივით წამოიძახა:

— კარგია, ერთი და! რა მოგიყიდათ!

კველანი ელიკოსკენ გამოიქცენ. ხელს ართმევდენ და ულოცავდენ.

— ელიკო, მოგვილოცავს.

— დიტო! დიტო! მოგვილოცავს ძმა!

— ბელნიერი გამყოფოთ.

მხოლოდ ილო „რიუიკა“ სსევ ჭირვეულობდა და ქაქანობდა.

— ჯერ დაიცათ, ხალხო. ნასადილევს ვნახოთ, როგორ იმუშავებს. ტყავი და თავ-ფეხი ხო არ დაუკრავს ზურგზე. მერე ვნახოთ.

მაგრამ ილოს უკვე აღარავინ არ უსმენდა და აღტაცებული ყიუინა ფასული არემარეს.

სუზმის შემდეგ ელიკო ძნებს ჰკრავდა და მხოლოდ რეზო ესმარებოდა, ჟეტი არავინ.

დიტო ისე წინ იყო და, მართალია, ჩოფურაც და „რიუიკაც“ ბევრს ეცალენ დასწეოლენ მეთაურს, მაინც ვერაფერს გახდენ.

არასოდეს ასეთი მხიარული არ ყოფილა საღილი, როგორც დღეს. ამდენა ახტნჯობა, სიცილი, სიმღერა ქორწილშიაც არ იქნებოდა.

ნასაღილეეს ყველა მილავდა დასასვენებლად, მხოლოდ „რიუიკა“ იყო ერთ ფართი-ფურთში. დაკლული ხარის თავ-ფეხი კოხტად შეახვია ტყავში, ლამაზად შეპკრა, მკლავების გასაყრელილვედები კოხტად მოუწყო და ერთი ორჯერ მაინც აწონა ხელში. ... უსაც ჭი დაუძახა და შეამოწმებინა, გუშინდელზე მსუბუკი არ იქნესო, მაგრამ როგორ უფრო მძიშედ შეამოწმა და ურჩევდა, რომ ორი ფეხი მაინც მოეკლო.

— შენ შენთვის დადექ. — გაცხარდა „რიუიკა“ — სამართალმა პური ჭამაო, ხო გაგიგონია. რისთვის დავაკლო. თუ ბიჭია, აბა ეს აიკიდოს და წინ წავიდეს.

გულის დასაჯერებლად ერთხელ კიდევ აწონა ხელით და წამოიშალენ თუ არა ყველანი სამუშაოდ, მაშინვე დიტოსკენ გაექანა და შეკრული ტყავი მიურბენინა.

— მეთაურო, აი, მზადაა თავ-ფეხი. ისე კოხტად გავაკეთე, რო სულ არ შეგაწუხებს.

დიტომ წყნარად შეათვალიერა ილოს ნაოსტატარი გუდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— არა, ძმობილო, მე მაგას არ აიკიდებ.

რიუიკამ ჯერ დიტოს შეანათა სისხლიანი თვალები და შემდეგ ბიჭებს გადასულა.

— როგორ თუ არ აიკიდებ!

ყველანი ჩუმად იდგენ და დიტოს უცქეროდენ. უხერხული სიჩუმე ჩამოკრძალო.

დიტომ სანდროს შეხედა. მიხვდა რომ ისიც უხერხულად იშმუშნებოდა და სიცილი აუტყდა.

— იცი, რა გითხრათ, ძმობილო, — მიუბრუნდა ილოს მხიარულად დიტო — მე, ქამა, სასიძო კაცი ვარ და მაგ მყრალ ტყავს ზურგზე რა ავიკიდებ და თავს არ ავიძყრალებ. რეზო, აქ მოდი, მოდი აქ...

რეზო გადმოხტა რიგებიდან და დიტოს კისერზე მოახტა.

— აი, რეზო ხომ იქნება ორი მაგდენი სიმძიმის? დავიჯენ კისერზე და ვიმუშავებ.

„რიუიკას“ გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— თანახმა ხართ, ბიჭებო?

— თანახმა ვართ, მაშ! თანახმა ვართ. — ერთხმად შესძახეს სუყველამ.

— პო და აბა შენ ეს ერთი კონა წენელი დაიჭი ხელში და რაც გასწავლე, ამა რა დაგავიწყდა? — შეეკითხა რეზოს დიტო.

— არა, ძია დიტო, წავიდეთ. ერთი ამათ ვუჩვენოთ ნოშერი.  
ისევ გაიშალენ ველზე, მაგრამ დიდხანს ვერ მოახერხეს მუშაობის დაწყება.  
ყველანი დიტოს უცქეროდენ.

არასოდეს ასეთი რამ მათ არ ენახათ.

გაუსვამდა ნამგალს დიტო, ისროდა ნამჯას ჰაერში. ელვის სისწრაფით  
იჭირდა რეზო ნამჯას, სწრაფად აძრობდა იღლიაში გაჩრილ კონიდან წნელს, შე-  
კრავდა პურის კონას და მოხდენილად ისროდა უკან.

გაუსვა დიტომ მქას და ელვის სისწრაფით დაიწყო ცვენა უკან შეკრულმა  
კონებმა.

ჩოფურა ნიკამ თავსაფარი მოიხსნა და პირდაღებული შესცქეროდა დიტოს.

— ეს რა არი, თქვენ გენაცვალეთ, ტრახტორია?

— ტრახტორი კი არა კომბაინია, ვერა ხედავ?

— აბა, ბიჭებო, მარჯვედ, მარჯვედ!

ჰომუნა! აგხე, აგხე!

ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე....

დაატრიალეს ბიჭებმა ნამგალი და მიყვენ მეთაური. მეთაური კი ისე ტრია-  
ლებდა, თითქო, რეზოს მაგივრად ბუზი ჯდომოდეს კისერზე. გაიწია წინ და  
შარტო ნიკუა ძლივს ახერხებდა დაწევს. მკის დამთავრებამდე ერთიც არ შე-  
უსვენებია, ათი ნაბიჯით ადრე გაუსწრო ჩოფურას, შემდეგ რეზო ჩამოსვა,  
უკან დაბრუნდა, ჯერ სანდროს ჩაუდგა გვერდში და სკრელი აატანინა, შემ-  
დეგ მთელი მწკრივის გასწროვ დაიჭირა სკრელი და სანამ დანარჩენები ბოლო-  
მდი გავიდოდენ, თითონაც ჩავიდა ბოლოში.

მძლავრად აგუგუნებული სიმღერა ბიჭებმა უკანასკნელ ნამგლის მოსმასთან  
ერთად „ოპო-პო!-ს შეძახილით დაამთავრეს და ნამგლები ჰაერში შეათამაშეს.

— ვაშა, ჩენს მეთაური!

— ვაშაა!..

ცაზე ვარსკლავები ციმციმებდენ.

დალლილ შეშებივით ეძინათ მინდორზე მოფანტულ ძნებს.

მხოლოდ იქ, სოფლის შუაგულში აშრიალებულ ხების ფოთლებში გამოჩნდა  
აციაგებული სინათლე. ისმოდა აგუგუნებული მძლავრი სიმღერა და ვიღაცას.  
ცამდე აწვდენილი ტენორი საამურად რეკავდა:

— მცხეთელებმა ქორწილი ქნეს,

დაკლეს დიდი ჟედილაოო...

პატარძალიც მოიყვანეს...

კარებში ვაჭედილაოო...

ცამდე ადიოდა ხმა და ვარსკლავები მხიარულად ციმციმებდენ.

ტფილისი  
1935 წელი, ივნისი.

# კლასიკური მათვადოცობა

ალექსი დანტე

## „სალწინებელი“-დან

ქვეა მეტესა.

- 1 შოს მოთავდება სამ კამათლით ზარას თაშაშა;
- 2 ზარას წამგები ქვე დარჩება გულშემოყრილი.
- 3 ისერის კამათელს ხელმეორედ ფიქრობს მწუხარე.
- 4 ხოლო მომგებელს თან გაჲყვება მოგროვილი ბრბი.
- 5 ერთი მეორეს წინ წაუსწრებს, ზოგიც თან მისდევს,
- 6 წამოეჭევა, გაახსენებს მოგებულს ამაგს.
- 7 ზარას მომგები ხან ერთს უსმენს, ხანაც შეორეს,
- 8 გისაც ხელს ართმევს იგი მყისვე ჩამოსცილდება,
- 9 ასე იშორებს ის თავიდან ხალბს მოზღვაუებულს.
- 10 ასე ვიდოდი გარშემორტყმულ სულების ბრბოში
- 11 ხან ერთს ვუმშერდი, მივჰედავდი ხანაც მეორეს,
- 12 ზოგსაც აღთქმებით, ზოგს შეხედვით ვიგერიებდი.
- 13 არეცოელი აქვე იყო, რომელიც მოპელა
- 14 გძინო და ტაკკოს ულმობელმა, მსახვრალმა ხელმა,
- 15 იგიც, ვინც ბრძოლის ველს გაექცა, წყალში დაიხრჩო,
- 16 იქ ხელგაწვდილნი მომდგომოდნენ, მეველრებოლნენ
- 17 6. ფრედერიგო და მეორე, მკვიდრი მიზასი,
- 18 ვინც ქველ მარცუკოს დიდი ძალა გამოაშედავნა.
- 19 აქ გრაფი ორსო და ის სული ვინც მოკვდინებით
- 20 გაშორდა სოფელს მეშურნეთა გესლის წყალობით,
- 21 თუმც მართებულად, როგორც თავად მომითარო სულმა;
- 22 დედა ბრონია იყო იგი, დაფიქრდეს თავათ
- 23 ბენებაზე სინხორა დიდი ბრაჟანტი

<sup>1</sup> il gioco della zara დანტეს დროს ფრიად გაჭრელებული ძვლის კამათლით თამაში.

<sup>2</sup> ა რ ე ც თ ე ლ ი—ბენიკაზი ცნობილის შჯულის მდებელი არეცოს მცხოვრები.

<sup>3</sup> დანტე: ფრედერიგო ნოველლო — სახელი და გვარი ვერ ჩაეტია ლექსის სტრიქონში და აძირომ ასე დავწერე.

<sup>4</sup> გ რ ა ფ ი თ რ ს თ — არაა ცნობილი რომელ ორსოს გულისხმობს დანტე.

- 24 რათა შემდეგში ცოდვილთა მრევლს არ მიეთვალოს  
 25 როცა საკმაოდ გავუსწარი სულთა აჩრდილებს,  
 26 რომელნიც ერთხმად მოითხოვდნენ: სხვებისგან ლოცვას,  
 27 ამ გზით ეწადათ ნეტარებას ზიარებოდნენ.  
 28 ასე დავიწყე: „როგორც მახსოვს შენ უარპყავი  
 29 „ჰო, სულმათო, ერთ შენს წიგნში თითქოს ლოცვითა  
 30 „არვის ძალუძეს რომ შესცვალოს ცის განაჩენი.  
 31 „ეს ბედშავები მხოლოდ ამას გევედრებიან  
 32 „ნუთუ ამაოც სასოება აღძრია სულებს?  
 33 „ან ეგებ თქვენი ნაბრძანები მე ვერ გამეგოს?“  
 34 მითხრა: „ნაწერი ნათელია ჩემი ამგვარი,  
 35 „არც იმა სულთა სასოება არის ამაო,  
 36 „თუ მთა გრანებას არ დააკლდა განსჯისა ნიჭი.  
 37 „ძირს არ დაიწევს ის მწვერვალი მართლშეაჯულების,  
 38 „როდესაც ცეცხლი სიყვარულის შეავსებს სწრაფად  
 39 „რასაც სასჯელი აქაური მიუწლავს სულებს.  
 40 „მხოლოდ ჩემს წიგნში სულ სხეს ვწერდი ოდესლაც მენა,  
 41 „როცა ვამზობდი ლოცვა ცოდვილს ვერ განკურნავსო  
 42 „უცემუ იგი უფლისადმი არ განკუთვნილა.  
 43 „მაგრამ არ შერჩე ამ მაღალსა წინასწარ გრძნობას.  
 44 „ვიდრე ამ საკითხს არ გადასწყვეტს კეშმარიტების  
 45 „და შენ გონების შორის ვინაც ჩადგება ერთხელ.  
 46 „მე აქ ვგულისხმობ ბეატრიჩეს, მიხვდი თუ არა?  
 47 „მაგრამ შენ იმას მთის ზეთავზე იხილავ მხოლოდ.  
 48 „მწვერვალის თხემი გაბრწყინდება ნეტარ ლიმილით.“  
 49 მე გუბასუხე: „ო, მოძლვარო ავჩქარდეთ მაშინ,  
 50 „დაქანცულობას მე აღარ ვგრძნობ კვლავინდებურად.  
 51 „ეპე, შეხედე, გაწოლილა უკვე მთის ჩრდილი.  
 52 „ვიღრემდის დღეს წინ გასწიოთ მარწი ნაბიჯით“.  
 53 მან მიპასუხა: „და ვიაროთ სანამ შევიძლოთ,  
 54 „სულ სხვანაირად ეს მოზღება, ვიდრე ვგონია  
 55 „ვიდრე შენ მწვერვალს მიაღწევდე, უაუქცეული,  
 56 „მნათობი მთების გაღმოლმიღან გამოანათებს,  
 57 „ასე რომ შენში სხივი მისი ვერ გაღატყდება.  
 58 „წინ გაიხედე, ეგირ სული და გვითვალთვალებს,  
 59 „იქ სდგას მარტოკა გვაშტერდება მომწუხველ მზერით,  
 60 „იგი გვასწავლის ჩენ აქედან შარას უმოკლესს“.  
 61 ჩენც მას მიემართეთ: „ჰო, სულო ლომბარდიულო,  
 62 „რა ქედმალად და ამაყად გეჭირა თავი,  
 63 დარბაისლურად მოგვაბყრობდი თვალთაგან მზერას“.  
 64 მან არა გვითხრა, არ დაუძრავს არც ერთი სიტყვა,  
 65 ელოდებოდა ჩვენგან მისვლას, გვითვალთვალებდა,

66 როგორაც ლომი გაწოლილი განსასვენებლად.  
 67 ვიწვილი თავათ მას ეახლა, თბოვა კიდევაც  
 68 ეჩვენებინა ჩენთვის გზად აქ უმარჯვესი.  
 69 მაგრამ ვედრებას არ ათხოვა ამ სულმა ყური.  
 70 თავათ ჰკითხავდა ცხოვრების და სამშობლის ამბავს.  
 71 ტკბილმა მეგზურმა მყის დაიწყო: „მანტუადანო...“  
 72 და ჩრდილი იგი მოლუშული, ფიქრში წასული  
 73 მიეჭრა ოსტატს, გადიცვალა მყისეუ ადგილი  
 74 წამოიყვირა: „მანტუელო, მე ვარ სორდელო,  
 75 შენი ქუენიდან...“ შემოეკვდნენ ურთიერთს ყელზე.  
 76 ოპ, იტალიავ, შე მხევალო, ტანჯვის დილეგო,  
 77 უიალქანო ხომალდი ხარ გრიგალის პირში,  
 78 ოდესალაც ხალხთა მბრძანებელი ან საროსქიპო.  
 79 ეს დიდი სული აათროთოლა ისე იჩქითად  
 80 თავის მამულის სახსენებლის გაგონებამაც,  
 81 ნათესავს თვისისას მიესალმა და ესალბურა.  
 82 შენს მკერდზე მცხოვრებთ უომებოო ვერ გაუძლიათ,  
 83 ცოცხლად შთენილნი დღენიადაგ სჭამენ ურთიერთს,  
 84 თავათ ისინიც ვინც საერთო ციხეში ცხოვრობს.  
 85 თვალი მოავლე უბედურო, შენსა ქვეყანას,  
 86 შენი ხმელეთი, შენი ზლვები მიმოიხილე,  
 87 თუ საღმე იყოს ერთი კუთხე მშვიდობიანი.  
 88 ჯუსტინიანებმ თუმცა ერთხელ მოგდო აღვირი,  
 89 მაგრამ რას გშველის უნაგირი აწ უპატრონო!  
 90 შენი სირცხვილი უმისოდაც შემცირდებოდა.  
 91 ჰომ, ქვეყანავ, თავმოდრეკა გმართებს უთუოდ,  
 92 რათა კეიისარს დაანებო ცხენზე შეჯდომა,  
 93 თუ ყურადილებ სათნოებით სიტყვას უფლისას.  
 94 აპა, გაშმავდა, გაზულუქდა აწ მხეცი იგი,  
 95 რადგან დეზებით ჯერაც არვის დაუოკნია.  
 96 მას შემდევ რაც შენ ხელი იპყარი სადავე მისი,  
 97 შენაც ო. ალბერტ გერმანელო, ვინაც დაავდე  
 98 იგი ულაყი, გაუხედნი, მოუთრგუნავი,  
 99 როცა სადავე ხელში მტკიცელ უნდა გჟეროდა.  
 100 დე, დაუშინოს მართებული სასჯელი ზეცამ  
 101 ან სისხლსა შენსას, თვალსაჩინოდ განცხადებული.  
 102 რათა ათროთოლდეს რისხეისაგან მემკვიდრეც შენი,  
 103 რადგან შენის და მიმის შენის გამოისმბით,

<sup>97</sup> დანტე: O, Alberto te deseo.

<sup>98</sup> Arcioni — უნაგირი.

ფიორენტინო ახსენებს ავუანდს, კ. ი. ამ ცხემზე უნდა შემჯდარიყავიო. ქართულ ექვივალენტში იგივეა ნათქვამი, ოლონდ ოდნავ გზამოელით



ပြည်ထောင်စုရွှေမြို့၏ လူတွေ။

ရှာဖွေရေး ပုဂ္ဂန်တော် — ဦး အောင်ချော်။

- 104 გაუმაძლრობით და სიხარბით სულწაძლეულნი,  
 105 საკეისროის ბალი იგი დაფარა უვერმა.  
 106 მოვედ იხილე კაპელლეტტი, გინა მონტეკა.  
 107 ფილიპესკები და მონალდი, ო, უდარდელო,  
 108 ნახე რა-რიგად დაზაფრულან, დაშინებულან.  
 109 მოვედ სასტიკო. და იხილე დაცემა ზნეთა  
 110 შენ აზნაურთა და ჭწამლე დასნეულებულთ,  
 111 და ნახავ თავათ რა დღეშია სანტაფიორე.  
 112 საკუთარ თვალით ნახე რომი ცრემლთა მთხეველი,  
 113 თუ როგორ მოსთქვამს უსასოლდ დაქვრივებული.  
 114 რისთვის დამზადე კეისარო, რისთვის დამტოვე?  
 115 ნახე რა-რიგად ერთმანეთი შევგძულებია,  
 116 ჩვენ აღარ ველით შეწყნარებას და შევედრებას,  
 117 მოვედ სახელის საკუთარის პატივსადებად.  
 118 და ვით შეგვადრო იუპიტერს, ღვთისგან ხელდასხმულს,  
 119 ჩვენი გულისთვის გოლგოთაზე ჯვარზე გასულო,  
 120 მართალნი თვალნი უცხოდ ხომ არ მიგიქცევია,  
 121 ვინ იცის ეგებ გვიმზადებდეს ზრახვად უფსკრულში,  
 122 თათბირი შენი გამომლები ნაყოფთა დილთა,  
 123 რაღვანაც მთელი იტალია დარჩა ტირანებს  
 124 და ან მარჩელოს თავს უწოდებს ყველა ყაჩალი,  
 125 ან და თავკაცი რომელიმე ჯგუფის — პარტის.  
 126 ო, ფლორენციავ, იამაყე ასეთ განდგომით,  
 127 რადგანაც იგი შენს ზღუდეებს ვერ შეეხება,  
 128 ხალხისა შენის გულბმიერი სიბრძნის წყალობით  
 129 მრავალს უნთია სამართლისა ლამპარი გულში,  
 130 მაგრამ არ ჩქარობს მოისარი ბრძენი არასდროს.  
 131 შენს მოქალაქეთ ენის წევრზე უძევთ სიმართლე.  
 132 მრავალი გარბის სახელმწიფო სამსახურიდან,  
 133 შენი ხალხი კი უკითხავად აღრიალდება  
 134 აპა, დამტვირთეთ ჩემი ზურგი იმსახურეთო.  
 135 მაშ იხეიმე, არ გაკლია ლხინის მიზეზიც,  
 136 შენ მორქშული ხარ ხვავიანი და ზავიანი;  
 137 სიტყვანი ჩემნი სინამდვილემ ვერ გააწილოს.  
 138 შენ ვერც ათინა შეგედრება და ველარც სპარტა,  
 139 სჯულისდებანი უძველესნი ვინც შეჰქმნა ერთხელ.  
 140 მათ არ მიუძღვით შენოდენი დამსახურება,  
 141 რადგან კანონებს ისე ბრძნულად აწესებ შენსას,  
 142

<sup>106</sup> საშუალო საუკ. იტ. წარჩინებულთა გვარებია. უფრო გვიან შექსპირი აპსენებს. მათ.

<sup>107</sup> გიბელინელ წარჩინებულთა გვარებია.

<sup>127</sup> ტექსტში: *digresione* — განდგომა.

- 143 რომ ნოემბერში უკვე აღარ გამოვადგება  
 144 რაც ოქტომბერში მაჯაგანით მოვიქსოვა.  
 145 და რამდენი გზის აღამიანთ მახსოვრებაში  
 146 კანონი, ზნენი, მართველობა, ფული და ზომა,  
 147 მოქალაქენი და წესრიგი შენ შეგიცვლია;  
 148 ჰოდ, ნეტავი რომ შეგეძლოს, გონის მოხვილოდე  
 149 და მიხვდებოდე როგორ პგავხარ შენ იმ ავადმყოფს,  
 150 რომელიც მშვიდად ვერ ისვენებს თვის სარეცელზე  
 151 გულშემოყრილი ბრუნავს ასე სენთან მებრძოლი.

თარგმანი

პოლისტიკის გამსაზრდისა.

<sup>143</sup> დანტე: à mezzo novebre — წითელის შუაში, მე არ ჩავთვალე საჭიროდ ასეთი დაზუსტება.

<sup>151</sup> დანტე: d'ottobre firli, fillare — ქოვა, დართვა, ქრის კეთვბა და სხვა.

## ა. 3. ჩ ე ხ ი ვ ი

ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი დაიბადა 1860 წელს ქ. ტაგანროგში წვრილ-შურუჟაზიულ წრეში. განათლება მიიღო ჩეხოვმა ტაგანროგის გიმნაზიაში (1869—1879), რომლის დასრულების შემდეგ ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში შედიცინურ ფაკულტეტზე. უკანასკნელი დასრულა ჩეხოვმა 1884 წელს და რამდენიმე წლის ვანმავლობაში მუშაობდა ექიმის თანამდებობაზე. 1892—1893 წლებში ჩეხოვი განაგებდა სერპუხოვის მაზრაში საექიმო პუნქტს, რომელიც დარსებული იყო ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად.

ლიტერატურული მოღვაწეობა ჩეხოვმა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის უროს: 1880 წლიდან ჩეხოვი თავსებდა ანტოშა ჩეხონტეს ფსევდონიმით სხვადასხვა პუმორისტულ უურნალებში („Стрекоза“, „Будильник“, „Осколки“) თავის სახუმარო პატარ-პატარა მოთხრობებს, რომლებსაც მკითხველები დიდი სიამოვნებით ხვდებოდენ. თავის შემოქმედებაში ჩეხოვი ამჟღავნებდა ამ დროს საფრანგეთის მწერლის ზოლას ნატურალიზმის გავლენას, რომლისთვისაც ის მომზადებული იყო უკვე მედიცინური განათლებით. ზოლას მსგავსად, ჩეხოვიც იზიარებდა იმ აზრს, რომ ზელოვანი თავის საგანს ისე უნდა ეკიდებოდეს, როგორც ეკიდება მას ბუნებისმეტყველი, და, მაშასადამე, მწერალიც თავის შემოქმედებაზი რეალური ცხოვრების ზუსტ აღწერას უნდა იძლეოდეს. კიდევ უფრო ახლო იდგა ჩეხოვი საფრანგეთის მეორე მწერალთან, გიუ-დე მოპასანთან, რომლის შემოქმედებას ახალგაზრდა ჩეხოვი განსაკუთრებულ ყურადღებით აღვნებდა თვალყურს.

ლიტერატურისათვის ახალი ფორმის ძიების საქმეში ჩეხოვი ცდილობდა მოპასანის მსგავსად რაც შეიძლება მეტი სიზუსტითა და ობიექტურობით დაეჭირა მინიატურულ მოთხრობაში რთული და უზარმაზარი სინამდვილის ერთი რომელიმე კუთხე, მაგრამ გაეკეთებია ეს ისე, რომ მკითხველის წინაშე არ დაბნელებულიყო ამ კუთხის კავშირი მთელს სინამდვილესთან. ამიტომ, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ჩეხოვმა პირველად მიმართა რუსულ ლიტერატურაში მინიატურულ მოთხრობათა უანრს, მაგრამ მოპასანის დახმარებით ჩეხოვმა მიაღწია ამ დარღვები ისეთ სისრულეს, რომელიც მანამდე უცნობი იყო რუსული ლიტერატურისათვის. მოსახსენებელია აგრეთვე ფრანგი რომანისტის ფლობენის გავლენაც ჩეხოვზე: უკიდურესი ობიექტივიზმი, აღწერათა სიცხოველე და თვით ზოგიერთი სახეები (განსაკუთრებით ქალის სახეები) ჩეხოვს საერთო აქვს ფლობერთან. ფლობერის მსგავსად ჩეხოვი იცავდა იმ პრინციპს, რომ მხატვრული ნაწარმოები მით უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რაც უფრო ობიექტურია იგი, რაც უფრო ზუსტად ასწერს ცხოვრებას და რაც უფრო ნაკლებად არის დამძიმებული მწერლის მიერ შემოტანილ სუბიექტურ ელემენტებით.

ამასთან იყო დაკავშირებული ჩეხოვის იმპრესიონისტული მანერა წერისა: რუსული ლიტერატურისათვის ტრადიციული მხატვრული რეალიზმი აქ გადაღაოდა ნატურალიზმი და აძლევდა ჩეხოვის კრიტიკოსებს (მაგალითად, მახაილოვსკის), საბაბს ესაყველურებიათ ჩეხოვისათვის, რომ მისი მოთხოვობები წარმოადგენენ სწრაფი ფოტოგრაფიული აპარატით სინამდვილისაგან გადაღებულ სურაობს და არ აშუქებენ ამ სინამდვილის სოციალ-პოლიტიკურ აზრს. მართლაც, ჩეხოვის პოეზია თავისუფალი იყო იმისაგან, რასაც რუსები ეძახიან „აჟარავენ-ეს“ და რითაც დამძიმებული იყო 70-იან წლების ლიტერატურა (გლებ უსახენსკი, ნეკრასოვი). „თუ კაცი არ გრძნობს თავს თავისუფლად, ის გალიაში დამწყვდეულ ჩიტსავით ჩუმლება“, იტყოდა ხოლმე ჩეხოვი, რომელიც მხატვრული შემოქმედების პირობად სთვლიდა „პირადი თავისუფლების გრძნობას“.

მოთხოვობების პატარა მოცულობა აყენებდა ჩეხოვს ვიწრო ფარგლებში და არ აძლევდა მას საშუალებას ვრცლად შეხებოდა გამოყვანილ გმირს და დაწვრილებით გაეცნო მკითხველისათვის ამ გმირის წარსული: ჩეხოვი ასწერს თავისი გმირის ცხოვრების მხოლოდ ერთ მომენტს, იძლევა მისი პიროვნების მხოლოდ მთავარ ხაზებს და ამ გზით აღწევს იშვიათ გარკვეულობას, რადგან მთავარი არ არის აქ დაბნელებული მეორეხარისხოვანი დეტალებით. მოძრაობა ჩეხოვის მოთხოვობებს აკლიათ, ამბავს (ე. ი. მოქმედების განვითარების აღწერას) ის არ იძლევა: მისი მოთხოვობა ჩეულებრივ სივრცეშია გაშლილი და არა დროში, და ამ მოთხოვობის ნაწილებიც გაერთიანებული არიან არა მიზე-ზობრივობის, არამედ უბრალო მეზობლობის კავშირით. გამონაკლისს არ შეადგენს აქედან ჩეხოვის მოზრდილი მოთხოვობებიც („გლეხბი“, „ველი“, „დიაკოსა სამეფო“, „ჩემი ცხოვრება“ და სხვ.): მკითხველს იყენობს აქ არა ინტრიგის განვითარება, არა სიუჟეტი, რომლის გაშლა ჩეხოვს ჩვეულებრივ არ ეხერხებოდა, არამედ გარკვეული სულისკვეთების პროგრესიული ზრდა. ამ სულისკვეთების აღძერაში ჩეხოვი დიდი ოსტატი იყო, და მისი მოთხოვობები ლირიზმით არიან გაულენთილი („სალამური“, „ბელნიერება“, „სტუდენტი“, „წმინდა ლამეს“ და სხვ.). მომეტებულ შემთხვევაში ეს არის წყნარი სევდის სულისკვეთება, რომელიც ზშირად რთულდება ნაზი და ფაქტიზი ჰუმორით. ჩეხოვს არ უყვარს თვეისი მოთხოვობის დამძიმება მრავალი მომქმედი პირით: ის ცდილობს მინიმუმად დაიყვანოს თითოეულ მოთხოვობაში გამოყვანილ პირთა რიცხვი („ხილურ-გია“, „საღალაქოში“, „მაბათი ტომარში“, „რეპეტიტორი“ და სხვ.). აღსანიშნავია აგრეთვე ჩეხოვის პეიზაჟიც, რომელიც ვიწროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ყოფის აღწერასთან. საერთოდ კი ჩეხოვის თითოეული მოთხოვობა ჰქმნის მხატვრული სისრულის შთაბეჭილებას: ის საესეა მაგრად შეკუმშულ შინაარსით, საღაც მოცემულია ადამიანის ფსიქოლოგიისა და მისი ყოფის იშვიათი ცოდნა. თუ ტოლსტოი ცხოვრების ასასახვად სწერდა ვეებერთელა ეპო-პეის და სარგებლობდა უზარმაზარი სარკით, ჩეხოვი იმავე მიზნით სარგებლობს სარკის პატარია ნატექებით. მაგრამ ისე ოსტატურად ათამაშებს ის სარკის ამ ნატექებს, რომ ახერხებს კარგად ასახოს მთელი რუსეთის ყოფა-ცხოვრება. საშუალო ინტელიგენტი, მეცნიერი, ხელოსანი, გლეხი, ოფიცერი, ლაქია, მოვლენი, პოლიციელი, მასწავლებელი, გიმნაზიელი, სტუდენტი და ათასი სხვა პროფესიისა და წრის ადამიანები პოულობები ჩეხოვის თხზულებებში თავის აღვილს.

ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ჩეხოვის შემოქმედებისა არის ლრმა თანაგრძნობა თავისი გმირების მიმართ: ჩეხოვი დიდი ჰუმანისტია, და მისი თხულებები ავრცელებენ თავის გარშემო ადამიანურობის გრძნობას. ცივი და შშრალი გაკიცხვა ადამიანისა ჩეხოვისათვის უცხოა, და სატირას მისი კალამი გაურბის. ცუდი ადამიანებიც კი ჩეხოვის თხულებებში ისე არიან წარმოდგენილი, რომ ისინი აღვიძებენ მყითხველში სიბრალულის გრძნობას, როგორც ბედის უდანაშაულო მსხვერპლები. ჩეხოვი არ ასამართლებს თავის გმირებს, არამედ მხოლოდ აგვიწერს მათ ყოფას. 1886 წ. ჩეხოვმა შეაგროვა თავისი მოთხრობები და დაბეჭდი ისინი ცალკე კრებულად, რომელსაც მისცა სათაურად „კრელი მოთხრობები“ („Пестрые рассказы“); შემდეგ წელს გამოვიდა ჩეხოვის მოთხრობათა მეორე კრებული „შებინდებისას“ („В суперках“), ხოლო 1894 წელს დაიბეჭდი ჩეხოვის მესამე კრებული — „ნოველები და მოთხრობები“. სამივე კრებული დიდი აღფრთოვანებით იქნა მიღებული საზოგადოებაში; ჩეხოვის სახელი გაიზარდა, და ის იწყებს თანამშრომლობას დიდს უურნალებში („Северный Вестник“ „Русская мысль“, „Мицви“).

1890 წელს ციმბირში გადასახლებულთა ყოფა-ცხოვრების დასათვალიერებლად ჩეხოვი მიემგზავრება სახალინში და თავის შთაბეჭდილებებს აღწერს 1895 წელს დაბეჭდილს წიგნში „კუნძული სახალინი“. 1892 წელს იწერება მოთხრობა „პალატა № 6“, რომელიც საღერმაჟაციო ხაზად ითვლება ჩეხოვის შემოქმედების განვითარებაში.

80-იანი წლების მიწურულიდან ჩეხოვი იწყებს ახალი დრამატიული ფორმის ძიებას: 1888 წელს დაიბეჭდა პიესა „Иванов“, 1896 წელს — პიესა „Чайка“, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უმრავლესობამ დაიწუნა პიესა, მაგრამ ზოგიერთმა (კონიმ, ურუსოვმა) სცადა დაეცვა იგი. 1901 წელს ჩეხოვმა დაასრულა პიესა „Садко და“, რომელსაც მოჰყვა 1904 წელს დაბეჭდილი დრამა „ალუბალის ბალი“. ლევ ტოლსტიო მალლა აყენებდა ჩეხოვის მოთხრობებს, მაგრამ არ მოსწონდა მისი დრამატიული პიესები. სამაგიეროდ, ეს პიესები მოაქცია თავის რეპერტუარის ცენტრში ნემიროვიჩ-დანჩენკოს თაოსნობით შექმნილმა „მოსკოვის მხატვრულმა თეატრმა“. ჩეხოვის პიესების ფორმალურ თავისებურობას შეადგენს ის, რომ აქ ინტერესი გადატანილია ცალკეული მომქმედი პირისაგან ანსამბლზე. „მთავარი გმირი“ ჩეხოვის პიესებს არ ყავთ, რადგან ყველა გმირები თანასწორად მთავარი და თანასწორად მეორეხარისხოვანი არიან, რამდენადაც ყველანი ერთნაირად საჭირო არიან იმ სულიერი განწყობილების შესაქმნელად, რომელიც პიესის მთავარ მიზანს შეადგენს. მსახიობის ინდივიდუალობაც ჩაყენებულია ანსამბლის მოთხოვნილებათა ჩარჩოებში და ამის შესაფერისად ჩეხოვის თეატრში რეჟისორის ფუნქცია გაზრდილია აქტიორის ხარჯზე. დინამიკა ჩეხოვის პიესებს განზრახ აკლიათ: ისინი არიან არა მოქმედების, არამედ სულისკვეთების დრამები და თავის წინამორბედს პოულობენ არა გოგოლის ან თსტროვსკის, არამედ ტურგენევის დრამატურგიაში. ჩეხოვი გაურბის თავის პიესებში საეფექტო სცენებს და მყვირალა ფერადებს, მისი პიესები დაწერილია მკრთალი საღებავებით და ძლიერ ვნებათა ნაცვლად იძლევიან ლონგმითდილ გრძნობათა ნიუანსებს. გრძელი მონოლოგები ჩეხოვის პიესებიდან განდევნილია

და მომქმედი პირები ხასიათდებინ ძლივს-ლა შესამჩნევი ხაზებით, რომელთა განვითარება და დასრულება ეკისრება ერთის მარით რეჟისორს, ხოლო მეორეს მხრით მაყურებელთა წარმოსახვის უნარს. სწორედ ამით უახლოვდება ჩეხოვს დრამა სიმბოლიზმს, რომელიც თავის გამოსათქმელს შინაარსს როდი გამოსთქმა არა არამედ შემოლოდ ანიშნებდა. საჭირო სულისკვეთების შესაქმნელად მაყურებელთა შინაის ჩეხოვს შეაქვს თავის პიესებში მუსიკა და ყველა მის დრამებს მუსიკალური აკომპანიმენტი სდევს თან. გამონაკლის შეადგენენ ჩეხოვის აღრინდელი პიესები („დათვი“, „შინადადება“, „ქორწილი“), რომლებიც არსებითად განსხვადებიან ბოლოს დაწერილ დრამებისაგან. უკანასკნელთა სუსტი დინამიკა, მოქმედების შენელებული ტემპი და უფერული გრირები კარგად შეესატყვისებოდენ 80-იანი და 90-იანი წლების უმოქმედო ხანას. ჩვენი რევოლუციონური ეპოქისათვეს კი ისინი შეუფერებელი გამოდგენ, და ჩეხოვის პიესებიც თითქმის სრულიად ამოგარდენ თანამედროვე თეატრის რეპერტუარიდან.

1900 წელს ჩეხოვი აირჩიეს შეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად შეატვრულ სიტყვიერების დარგში, მაგრამ როდესაც აკადემიამ გამორიცხა თავისი შემაღებელობიდან მაქსიმ გორკი, ჩეხოვმა საჭიროდ დაინახა შეეტანა აკადემიაში განცხადება, რომ მას არ სურს აკადემიის წევრად დარჩენა. გარდაიცვალა ჩეხოვი 1904 წელს საზღვარგარეთ (ბადენვეილერში) ფილტვების კლექსიგან, რომელიც მას ახალგაზრდობაში შეეყარა, და დასაფლავებულია მოსკოვში.

ჩეხოვის ობზულებათა მთავარ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ის გარემოება, რომ ამ თბზულებებში, მოცემულია მეშჩანური ყოფის კომიუნისტური სურათები. თვითონ ჩეხოვმა საუკეთესოდ დაახასიათა თავისი დამოკიდებულება მეშჩანური ყოფისადმი: „მთელი რუსთი“, ეუბნებოდა ერთხელ ჩეხოვი მაქსიმ გორკის: „არის რაღაც მსუნავ და ზარმაც ადამიანების ქვეყანა. აქ ჭამენ და სვამენ საშინალ ბლობად და უშნოდ; უყვართ დღისით ძილი და ძილში ხვრინავენ. ცოლს ირთავენ შხოლოდ ოჯახის წესრიგისათვის, საყვარელს კი იჩენენ პრესტიუს მოსაპოვებლად საზოგადოებაში. ადამიანებს აქ ძალის ფსიქოლოგია აქვთ: თუ მათ სცემენ, ისინი ნელა წკმუტუნებენ და იძალებიან თავის ბუნაგებში; თუ კი მათ ეფერებიან, ისინი წვებიან ზურგზე და აქნევენ კულებს“. ძალადობა და აღამიანის ლიტებიადმი უპარივცემლობა, მექრთამეობა და წვრილმანი გაიძვერობა, ძლიერთა წინაშე მონური თავმდაბლობა და უძლურო მიმართ აუტანელი ქედმაღლობა, უბადრუკი ჭორიკანობა, საშინელი უკულტურობა და მაღალ მისწრაფებათა სრული უქონლობა, — ასეთია მეშჩანური რუსთი ჩეხოვის წარმოდგენაში.

ჰუმორისტულ ფერადებით აგვიწერს ჩეხოვი იმ მორიდებასა და შიშა, რომელიც წვრილმან აღამიანებს აქვთ რუსეთში დიდი ჩინით შემოსილ და გავლენიან პირთა წინაშე („მსხვილი და წვრილი“, „ჩინოვნიკის სიკვდილი“, „ქამელორნი“, „მასკა“, „გაკვირვების ნიშანი“). ავტორმა კარგად იცის, რომ ეს შიშა დასაბუთებულია რუსეთის პოლიტიკური წესწყობილებით, რომელიც არ ითქმის მოქალაქეთა თავისუფლების უუსუსტეს ნიშანაც კი და ჭირივით ეზარება აღაშიანის დამოკიდებლობა არა მარტო ქცევაში, არამედ აზროვნებაშიც („ჩერია-შე უშის“). პროტესტის ყოველგვარი შესაძლებლობა დაბზულია ამ პოლიტიკური წესწყობილებით, და საერთო დამონების ატმოსფერა რყვნის აღამიანს, ხელს



ა. 3. ჩიხოვი

ნამ. ს. კეცხოველის.

უწყობს ანტისოციალურ ჩვევათა ზრდას. ერთგულება მთავრობის მიმართ იღებს აქ ზოგჯერ უგნური დამბეჭლაობის სახეს. ამის მაგალითია უნტერ-ოფიცერი პრიშიბეგი, რომლიც დაასრულებს სამსახურის ვალის და დაბრუნდება თავის სოფელში; მაგრამ არ ივიწყებს ყაზარმის წესებს და ცდილობს ეს წესები მოახვიოს თავზე სოფლელებს, თუმცა არავინ არ ავალებდა მას ამ საქმის გაკეთების („უნტერი პრიშიბეგი“).

ასეთი ანტისოციალური ტიპი გამოყვანილია აგრეთვე მოთხრობაში „ადა-არც ჰქონაში“, რომლის მთავარი გმირია გიმნაზიის მასწავლებელი ბელიკოვი. არც ჰქონა, არც მოხერხება ბელიკოვს არ გააჩნია, მაგრამ მას დაშინებული ყავს მთელი გიმნაზია, ვინაიდან თვითონ ბელიკოვს ეშინია ყველაფრის. რაც კი კანონით არ არის გათვალისწინებული, ბელიკოვს სახიფათო საქმედ მიაჩნია, და ის გაურბის ასეთ რამეს, როგორც აკრძალულს. ბელიკოვს, მაგალითად, ეშინია, როდესაც გიმნაზიელები თავის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მიღიან სასეირნოდ ქალაქ გარედ: ეშინია, რომ ცუდი რა-მე არ გამოვიდეს აქედან, რადგან გიმნაზიის წესდებაში არაფერი ეწერა იმის შესახებ, რომ მასწავლებლები ვალდებული არიან მოწაფეები სასეირნოდ ატარონ. ბელიკოვს სახიფათოდ მიაჩნია აგრეთვე, თუ გიმნაზიის მასწავლებელი შეჯდა ველოსიპედზე, რადგან წესდებაში არ იყო გათვალისწინებული, რომ გიმნაზიის მასწავლებელი ველოსიპედზე შეჯდეს. ასე გამოდიოდა თითქო წესდების შემდგე-ნელი ყოფილიყო ღმერთი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ყველაფერი, რაც კი შეიძლება ოდესმე მოხდეს, და არა ჩემსავით გონება შეზღუდული აღამიანი. რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს ყველაფერი, რასაც შემომქმედი სინამდვილე შექმნის მომავალში. ამრიგად, რაც კანონით კრებულით არ არის გათვალისწინებული, ის ბელიკოვის აზრით აკრძალულია, და, მაშასადამე, კაცს შეუძლია მხოლოდ ის აკეთოს, რაც მას კანონით აქვს დავალებული. როგორც ვთელავთ, ბელიკოვი არის სულით ბრუნვრატი, რომელსაც ცხოვრების მრავალ-ფეროვანება წესდების მუხლებით აქვს შეცვლილი და რომელიც ამ წესდების დარღვევის შიშით ზურგს აქცევს ცხოვრებას, სპობს თავის თავში ყოველგვარ სურვილს და გულმოდგინედ ეთიშება ცოცხალი სინამდვილის ყოველს სიონს. ზამთარ-ზაფხულში ბელიკოვს პალტო და კალმშები აცვია, რომ არ გაციცდეს, ხელში კი მუდამ ქოლგა უჭირავს, რომ წვიმიმ მოულოდნელად არ მოუსწროს, ხოლო ყურები ბამბით აქვს დაცობილი, რათა ქარი არ მოხვდეს: ეს არის მკვდარ-ცოცხალი ყოფა და არა სიცოცხლე, არავითარი უნარი წინააღმდეგობისა ბელიკოვს არ მოეპოვება. ასეთ აღამიანებს ბლობად წარმოშობს ხოლმე ბიუროკრატიული სახელმწიფო.

ადვილად შესამჩნევი ძაფები აკავშირებენ ჩეხოვის ბელიკოვს დოსტოევსკის შიგალევთან და სალტიკოვის უგრიუშ-ბურჩევთან. ოლონდ ის, რაც დასტოევსკის ტრაგიკულ ფერებში აქვს მოცამული, ჩეხოვის კალმის ქვეშ იღებს კომიკურ გარეგნულობას, თუმცა ამ გარეგნულობის ქვეშ მაინც დიდი ტრაგედია დაფარული. თელორე სოლოგუბი განავითარებს შემდევ თავის რომანში „პატარა კინკა“ ბელიკოვის ტიპს, რომლის ვარიანტს წარმოადგენს, არსებითად რომ ითქვას, პერედონოვი. ბელიკოვის ტიპის შექმნით, ჩეხოვმა ვამოიჩინა უკუკილად მხატვრული სინთეზის დიდი ნიჭი.

უწყობს ანტისოციალურ ჩვევათა ზრდას. ერთგულება მთავრობის მიმართ იღებს აქ ჰოგვერ უნიტი დამბეჭდაობის სახეს. ამის მაგალითია უნტერ-ოფიცერი პრიშიბევი, რომლიც დაასრულებს სამსახურის ვადას და დაბრუნდება თავის სოფელში, მაგრამ არ ივიწყებს ყაზარმის წესებს და ცდილობს ეს წესები მთავრობის თავზე სოფულელებს, თუმცა არავინ არ ავალებდა მას ამ საქმის გაკეთების („უნტერი პრიშიბევი“).

ასეთი ანტისოციალური ტიპი გამოყვანილია აგრეთვე მოთხრობაში „ადამიანი ბოლჩაში“, რომლის მთავარი გმირია გიმნაზიის მასწავლებელი ბელიკოვი. არც ჰქუა, არც მოხერხება ბელიკოვს არ გააჩნია, მაგრამ მას დაშინებული ყავს მთელი გიმნაზია, ვინაიდან თვითონ ბელიკოვს ეშინია ყველაფრის. რაც კი კაის გაურბის ასეთ რამეს, როგორც აქრძალულს. ბელიკოვს, მაგალითად, ეშინია, როდესაც გიმნაზიელები თავის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით გასაფარებლის ერთ მშენიერ დღეს მიღიან სასეირნოდ ქალაქ გარედ: ეშინია, რომ ცუდი რამე არ გამოვიდეს აქედან, რადგან გიმნაზიის წესდებაში არაფრი ეწერა იმის შესახებ, რომ მასწავლებლები ვალდებული არიან მოწაფეები სასეირნოდ ატარონ. ბელიკოვს სახიფათოდ მიაჩნია აგრეთვე, თუ გიმნაზიის მასწავლებელი შეჯდა ველოსიპედზე, რადგან წესდებაში არ იყო გათვალისწინებული, რომ გიმნაზიის მასწავლებელი ველოსიპედზე შეჯდეს. ასე გამოდიოდა თითქო წესდების შემდგენელი ყოფილიყო ღმერთი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ყველაფრი, რაც კი შეიძლება ოდესმე მოხდეს, და არა ჩევნასაკით გონება შეზღუდული აღამიანი, რომელსაც არ შეუძლია წინასწარ იცოდეს ყველაფრი, რასაც შემომქმედი სინამდვილე შექმნის მომავალში. ამრიგად, რაც კანონთა კრეპულით არ არის გათვალისწინებული, ის ბელიკოვის აზრით აკრძალულია, და, მაშასადამე, კაცს შეუძლია მხოლოდ ის აკეთოს, რაც მას კანონით აქვს დავალებული. როგორც გხერდათ, ბელიკოვი არის სულით ბრუნოკრატი, რომელსაც ცხოვრების მრავალფრენვანება წესდების მუხლებით აქვს შეცვლილი და რომელიც ამ წესდების დარღვევის შიშით ზურგს აქცევს ცხოვრებას, საობს თავის თავში ყოველგვარ სურვილს და გულმოდგინედ ეთიშება ცოცხალი სინამდევილის ყოველს სიონს. ზამთარ-ზაფხულში ბელიკოვს პალტო და კალოშები აცვია, რომ არ გაცივდეს, ხელში კი მუდამ ქოლგა უჭირავს, რომ წიგნი მოულოდნელად არ მოუსწროს, ხოლო ყურები ბამბით აქვს დაკობილი, რათა ქარი არ მოხვდეს: ეს არის მკვდარ-ცოცხალი ყოფა და არა სიცოცხლე, არავითარი უნარი წინააღმდეგობისა ბელიკოვს არ მოეპოვება. ასეთ აღამიანებს ბლომად წარმოშობს ხოლმე ბიუროკრატიული სახელმწიფო.

აღვილად შესამჩნევი ძაფები აეკშირებენ ჩეხოვის ბელიკოვს დოსტოევსკის შიგალევთან და სალტიკოვის უგრიუმ-ბურჩევთან. ოლონდ ის, რაც დასტოევსკის ტრაგიკულ ფერებში აქვს მოცემული, ჩეხოვის კალმის ქვეშ იღებს კომიკურ გარეგნულობას, თუმცა ამ გარეგნულობის ქვეშ მაინც დიდი ტრაგედია დაფარული. თელორე სოლოგუბი განავითარებს შემდეგ თავის რომანში „პატარა ჭინკა“ ბელიკოვის ტიპს, რომლის ვარიანტს წარმოაღენს, არსებითად რომ ჭინკა ბელიკოვის ტიპს, რომლის ვარიანტს წარმოაღენს, არსებითად რომ ითქვას, პერედონოვი. ბელიკოვის ტიპის შექმნით, ჩეხოვმა გამოიჩინა უკაველად მხატვრული სინთეზის დიდი ნიჭი.

გამსაკუთრებული ყურადღების ლირსია ჩვენი დროისათვის ჩეხოვის მოთხორბები „პრაგტიკაზე“, „გლეხები“ და „ხრამში“. პირველ მოთხორბაში აღწერილია ჭარხანა, საღაც ათასი მუშა ეწევა წელ-გაუმართავ შრომას და საშინელ სიღარიბისათვის მაინც ვერ დაუღწევია თავი. მოთხორბის ავტორი აშეარა სიმპათიით ეყრდნობა ამ გაუბედურებულ ადამიანებს, მაგრამ ეს არის მხოლოდ სიმბათია, რაღაც ჩეხოვი არ გვიჩვენებს აქ იმ სწორ გზას, რომლის საშუალებით შესაძლებელია მოისპოს ადამიანის ექსპლოატაცია. ნაკლები თანაგრძნობით ეკიდება ჩეხოვი გლეხებს, რამდენადაც შეიძლება ამის შესახებ მსჯელობა 1897 წელს დაწერილ ერთი მისი მოთხორბის („გლეხები“) მიხედვით. ბალზაკისა და ემილ ზოლის მსგავსად, ჩეხოვი ამჩნევს გლეხობაში მხოლოდ უარყოფითს თვისებებს და აბათილებს გლეხობის იმ იდეალიზაციის, რომელსაც ეწეოდენ ხალხოსნები. მოთხორბაში წარმოდგენილია გლეხობის სიღარიბე, სიბინძურე, გაუნათლებლობა, ლოთობა, უკულტურობა, ურთიერთის მტრობა. თითქმის ერც ერთი დადებითი თვისება ქალაქში აღზრდილმა ჩეხოვმა სოფელში ვერ დაინახა. მას გამოეპარა მხედველობიდან ის კლასობრივი ბრძოლაც, რომელიც წარმოებდა სოფელში კულაკებსა და ლარიბ გლეხთა შორის და რომელიც სოფლის უკეთესი მომავლის საწინაარი იყო. ამიტომ მთელი შთაბეჭდილებაც ამ მოთხორბიდან მეტის მეტად მძინავიდა. როდესაც ხალხოსნობის იდეოლოგმა ნ. მიხაილოვსკიმ დაიწუნა ჩეხოვის ეს მოთხორბა, ავტორმა სკადა თავისი მოთხორბის მეორე გამოცემაში შევესო იგი და ეჩვენებია სოფლის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, რომელიც გამოიყვანდა გლეხობას უმწეო მდგომარეობიდან. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკის ცოდნა, რომელიც ჩეხოვს აკლდა.

ჩეხოვი კარგად ხედავდა სოფლის ცხოვრების გარეგნულ მხარეს, ამჩნევდა, რომ გლეხებისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ მათ შორის მეტი ნდობა და ურთიერთი სიყვარული ყოფილიყო. მაგრამ ჩეხოვმა ვერ უჩვენა მკითხველს, როგორ შეიძლებოდა ეს ნდობა და სიყვარული გაჩენილიყო სოფელში, საღაც ერთი ნაწილი უმოწყალოდ ყვლეფს მეორე ნაწილს. ამიტომ ჩეხოვის მიერ მითითებული გზაც გლეხთა მდგომარეობისა უბრალო მორალის ფარგლებს ვდლარ გასცდა.

უკეთეს შედეგს ვერ აღწევს ჩეხოვი თავის მოთხორბაშიც „ხრამში“. აქ კარგად არის დახასიათებული კულაკების მოლვაწეობა სოფლად, მაგრამ როგორ შეიძლება ამ მავნებელ მოლვაწეობას ბოლო მოეროს და სოფელი გამოჯანსაღდეს, ეს ჩეხოვის მოთხორბაში არ არის კარგად ნაჩვენები.

ჩეხოვს სტულდა რუსეთის შეშჩანური ყოფა, ის ხედავდა მის უბადრუკობას და ცდილობდა გვთვანა იქიდან გამოსავალი („ძია განო“, „სამი და“, „ალუბალის ბალი“). მაგრამ ერთის შერით მისმა საკუთარმა წვრილ-ბურუჟაზიულმა სოციალურმა წრემ, ხოლო მეორეს შერით მის მიერ მიღებულმა ბუნებისმეტყველურმა განათლებამ ვერ მისუეს ჩეხოვს საშუალება მოენახა ასეთი გამოსავალი, და მთელი მისი შემოქმედებაც დარჩა იმ წვრილ-ბურუჟაზიულ იდეოლოგიის ფარგლებში, რომლის სიმწირე თვითონ ჩეხოვსაც კარგად ჰქონდა შენიშვნული. ამიტომ არის, რომ ჩეხოვის შემოქმედებას ლრმა პესიმიზმი და ფატალიზმი ახასიათებენ. ეს არის იმ წვრილი ბურუჟას პესიმიზმი და ფატალიზმი, რომელიც გონებრივად საკმარის განვითარებულია იმისათვის, რათა შეამჩნიოს თავისი წრის ნაკლულებაზანი, მაგრამ მოქლებულია ძალას გაარღვიოს ამ წრის ვიწრო საზღვრები და ჩადგეს ახალი სოციალური კლასის რიგებში, რათა ამ კლასთან ერთად აწარმოოს ბრძოლა კაცობრიობის უკეთესი მომავალისათვის.

# ს.ს.მ.პ. ხალხთა დიგისაჭურა

ა. სელივანოვსკი

## მ ი კ ი ლ ა ბ ა ჟ ა ნ ი

შეთქმული ამ გზაზე ფიქრს ნასათუთავს,  
შესაბამის მიზნები ჰქონია მზოღოვნები.

1.

უკრაინელ პოეტ მ. ბაუანის პოეზია, როგორადაც ჩეენ მას ვიცნობდით უკანასკნელ ხანებამდე, პირველი შეხედვით ძირითად ხაზებში თანმოვანი იყო მ. პასტერნაკის პოეზიასთან. ორთავე პოეტის შემოქმედებას ახასიათებს იდე-ალისტური შეხედულება ცხოვრებაზე, დედაბირის გაბუნლოვანებისაკენ მიმართული ტენდენცია, საკუთარი ლირიკული „მე“-ს გახსნა ნივთთა და საგანთა საშუალებით, რომლებიც პირობით სიმბოლოებად და ნიშნებად იქცევიან და, ბოლოს ისეთი პოეტები ასოციაციები, რომელთა ათვისება გულისხმობდა მეტის-მეტად დახვეწილ, სპეციფიურ-ინტელიგენტურ კულტურულობას. მაგ რამ ამასთან ერთად დაკვირვებულ მყითხველს არც განსხვავდის გამონახვა გაუჭირდება. თუ სამყარო, რომელიც გვევლინება პასტერნაკის პოეზიაში, არის სამყარო ქაოტურ უწესრიგობით მიმობნეულ, დაფანტულ, მოძრაობაში შეიფა და გარეგან კანონზომირებას მოკლებულ აზრთა, გრძნობათა და განცდათა, სამიგიეროდ ბაუანის შემოქმედებით სამყაროში, პირიქით, გარეგნულად ყველაფერი მწყობრი და მოწესრიგებულია. ბაუანის ლექსები გონივრული ხასიათისაა, თუმცა მათში მრავლადა ბოდვისებური, ექსტრატიური, ვიზიონერული სახეები, ჩეენებები და მოჩენებები. ბაუანისათვის პოეზია, რომელშიაც, შეგვესად ივნე კარამაზოვის საუბრისა ეშმაკიან ანდა შესატყვის სიტუაციებთან ბელის „პეტერბურგი“-დან, ადგილი აქვს საუბარს მოჩენებასთან, სხვა არაფერია, როგორც „ტრიუკ“, უბრალო „ხერხი“. მიმოატარებს რა მკითხველს ავადმყოფ და ანთებულ შევნების ხეეულებში, ავტორი ააშეარავებს მისტიფიკაციას და გვატყიცობინებს, რომ „მოჩენებების ხილვა ჩეენს დროში ნიშნავს სიმტკიცის უქონლობას და მასთან სამარტინოცაა“ („გულთა საუბარი“). დაკარიცვებულ მყითხველს შეცდომაში ვერ შეიყვანს „ძოფმანის ლამის“ მოჩენებითი ფანტასტიურობა, სადაც თითოეული ხერხი ზედმიწევნით აწონილ-დაწონილია, სადაც გროტესქული „შევნების ჩავარღნები“ და „სიტყვა-მოჩენებები“ შეუბრალებლად დამორჩილებულია ნაწარმოების ძირითად იდეიისადმი, რომლის რაობას ჩეენ ქვემოლ შევხებით.

ნამდვილად არსებული, ობიექტური, მატერიალური სამყარო არაა უარყოფილი ბაუანის პოეზიაში. მაგრამ იგი—როგორც კანტის სისტემაში — წარმო-

ადგენს მთლილ პასურ მასალის, რომელშიაც ჰარმონია და კანონზომიერება შეუქეთ გონების გარეგორიებს. ბაჟანის პოეზიის ეს მსგავსება კანტიანურ მიშაბორებებთან შით უფრო გარკვეული ხდება, რამდენადაც „აუცილებლობის სამყაროს“ თავზე აქ აღმართულია აბსტრაქტულ მოვალეობის კატევორიული იმპერატივები და წვინდა სილამაზის სამყარო. ბაჟანის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ვაორებით, და სწორედ მასში, ამ გაორებაში იმალება მისი შემოქმედების შინაგანი პათოსი და აქედანვე აღმოცენდებიან მისი შეგნების გადაუჭრელი კონფლიქტები.

ბაჟანი გადადის ერთი სტილიდან შეორებე — პოემანის ფანტასტიკიდან შის მიერ აღორძინებულ კლასიკიზმხე. მაგრამ არ შესწევს რა ძალა საკუთარი სტილის შექმნისათვის, იმავე დროს იგი არა ეპიკონი და უპრინციპო მიჩნაველი. იგი დაეხეტება საუკუნეებში, სადაც მიკერძოებით არჩევს გამოსახვის იმ საშუალებებს, რომლებიც მას ესაკიროება მეოცე ბაუკუნის მხატვრული გამოვლინებისათვის, — იგი არა თუ „სესხულობს“ სიძეველებს, არამედ აგუშებს. მათ თავის შიზნებს, ასხვაფერებს, სახეს უცვლის. მასში ბევრია პოფილისაგან, მაგრამ არა ნაკლებია გერანისაგან, ამასთან სახეთა სკულპტურული გამოკვეთილობა, სიერცობრივ ასოციაციებისაკენ მიიმართება და კერძოდ კლასიციზმისაკენ მიზიულობა სივრცობრივ ხელოვნებათა გარკვეულ მიმღინარეობებთან აახლოებენ მის პოეზიას. ასე მაგ., მისი ლექსების წითელარმიელები წააგავან საფრანგეთის დიდი რევოლუციის მხატვრის დავიდის სურათების ფიგურებს. ვერპარნის, პოფმანის, დავიდის მოტივები ბაჟანის ბოეზიაზი ან წარმოადგენენ შინაგანად დაცარიებულ და უიდეო სტილიზაციას, მავრაც ამავე დროს ბაჟანი არ შეიძლება დავსახოთ თავის დიდ წინამორბედთა განეზრობა და მოწაფედ. იგი თავისუფლად, როგორც საკუთარ რამეს, განაგებს შეთ შემცვიდრეობას, მაგრამ ეს არ წააგავს მემკვიდრეობის იმ კრიტიკულ გადამუშავებას, რომელსაც აწარმოებს პროლეტარული მწერლობა გვერდს უკრ ჩაუვლის პოფმანს, რომლის ფანტასტიკა და რომანტიკა ლიტერატურული გამოსახვა იყო პოლიტიკურ და სამეურნეო ჩამონახენილობის და უუფლებობის პირობებში მცხოვრებ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანულ ბიურგერთა ჯერ კიდევ ულონო წინსწრაფვისა. მით უფრო პროლეტარული უკრწერის ხელოვნება გვერდს ვერ ჩაუვლის დავიდს, რომელმაც კონვენციის და საკონიცელების ეპოქა გადმოგვცა ანტიურ ხელოვნებიდან ნასესხებ სახეებში. მაგრამ მემკვიდრეობის მიღება-ათვისება ბექრნაირია. აქ მთავარი ისაა, თუ მეცნიერეობის რომელ ელემენტებს იღებ და რომელ იდვების კონტექსტის ქვეშ მოკუცევაა ისინი. ისტორიულად პროგრესული და კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში შემოქმედებით ხაზი პოემანის და დავიდისა მე-20 საუკუნეში შეიძლება გადაიქცეს... ბურეუაზიულ დეკადანსად ან ურეაქციონურეს უკრაინულ-ნეო-კლასიკად“, ბოლოს, იგი შესაძლებელია, დეფორმირებულ იქნას... ბაჟანის პოეზიადაც.

## 2.

თუ სოციალისტური რევოლუციის წლებში მცხოვრები მწერალი ორგანიზაციად შედარებულია მასთან, — იგი მთელ მის შემოქმედებაში შედის, მითი იწ-

სპეცალება მთელი არსება იგი ხმაურობს ყველა მის ნაწარმოებში, რაზედაც არ უნდა იყოს დაწერილი ისინი და რა გინდ რა თემასაც არ ეხებოდენ. ბაჟანი კი ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაში სოკიალისტური რევოლუცია ს დუმს მაშინაც კი, როდესაც იგი თემის სრული ბატონბატჩონი უნდა ყოფილიყო. რევოლუციაზე დაწერილი ბაჟანის შეიძლება უკეთები მიძღვნილია სამოქალაქო ომისაღმი. მაგრამ მხოლოდ ნაწერის დათარიღება და ესა თუ ის ტერმინები (მაგალითად, „პოლიტკომი“) მოწმობენ მათი დაბადების ჩანაწერს: შე-20 საუკუნე, ოქტომბრის შემდეგი პერიოდი. და კიდევ უფრო ზუსტად: მოწმობენ არა რევოლუციას, არამედ წინსვლას, განყენებულ ბრძოლას, განკუნებულ ნებისყოფას გამარჯვებისათვის. გრიალებს სროლის ხმა, იღვრება სისხლი, ილუბებიან მეომრები, მათ სცვლიან ახალი რაზმები — რისთვის, რისი გულისათვის? გმირული სიკედილი გამართლუბულია თავისთავად. ვინაა ამბოხებული? რომელი რევოლუციის შესახებაა ეს ყველაფერი? რაშია პროლეტარული ბრძოლის განსხვავება, მაგალითად, პუგაჩოვისა, რომაელ მონათა აჯანყებასა ანდა კულაკურ პარტიზანელობისაგან? მიზანი, რომელსაც პროლეტარიატი ისახავს სოკიალისტურ რევოლუციიში, არაფრით არა გამოსახული ბაჟანის მიერ. ისევე როგორც ვერა აქეს მას გამოხატული რევოლუციის შემქმნელ, ცოცხალ მეომართა მართი და გრძნობები. ყველაფრის თავზე მაღლა აღმართულა კატეგორიული იმპერატივი, აბსოლუტური კანონი. შენ მოვალე ხარ! შენ ვალდებული ხარ! — ეუბნება ბაჟანი მეომრებს. ამ მეომრებთ მიჭინობენ, მათ „ხელის ძალვებშიაც კი შესულა თოფის წამლის სუნი“, „ისინი ყნოსავენ გადასიცხულ ველთა ძელგ სურნელს“, ერთი მათგანი მისცემია „პატია შვილებზე და დიაცის სიამეზე“ ოცნებას, მაგრამ რა დროს ოცნებაა.

თუ გუშაგი ხარ, დაღვრების ნისლი  
არ შეიძლება, ნუმც გებურება.  
ნუ სთვლებ, იფესსლე —  
ჩვენ ვიცით, ვიცით  
შენებრ მებრძოლის ლარებულება.  
ნაფლეთ — ნაწამებ დების,  
ძმებისთვის,  
შურისძიების შენ ხარ ნაჯახი.

„ყველა თავისიანზე შურის მაძიებლები“... ეს ფორმულა ყველა ომს უდებდა და სწორედ ამიტომ არ უდვება არც ერთს. იგივე ფორმულა „შესაძლოა მივუყენოთ უელეზნიაქსაც, მე-18 საუკუნის უქრაინელ აჯანყებულთა ერთ-ერთ მეთაურს (ლექსი „უელეზნიაქს ლამე“). თვით „აირწინალშიაც“, საღაც აირწინალის არმქონ წითელარმიელები ათასობით ილუბებინ ლეგიონის დროშის დაცვის დროს, რომელიც მათ კომკავშირმა გადასცა, — „აირწინალშიაც“ მოცემულია სიკედილის განყენებული გმირობა. და კანონი: „შენ ვალდებული ხარ!“ შეცდეგნაირად ზუსტდება: „შენ გმირულად უნდა დაილუპო განყენებული იდეის გამარჯვებისათვის“. მაგრამ ასე ხომ სამხელო დისციპლინის მექანიკის საშუალებით მოძრაობაში მოყვანილი იმპერიალისტური ომის ჯარისკაცებიც ილუბებრდენ მარნაზე, იპრზე, გალიციაში... პო, სწორედ ასე! და ეს არ აჩირ ბაჟანისადმი მიკერძოება. ამას თითონ ბაჟანი აღიარებს ლექსში „სიტყვა ლეგიონზე“, რომ-

ლითაც ისსნება მისი „ლექსთა კრებული“. არსებობს სხვადასხვა ეპოქათა ომების შორის უშუალო მემკვიდრეობა, რაღაც მათ ამოძრავებს იგივე წებისყოფა გამარჯვებისათვის:

ზარხოში ცხენები, კლტისტანა ცხენები.  
ბაგირებს, ცაშუვეს რომ ჰელენედენ ურჩები,  
მიქშენტენ დაწყვევლილ გადასარბენებით,  
ბატარების წამორვილ ტუჩებით,  
და განადგურებულ კოლონას ფენებით,  
შლეიფად გაძლევდა სიბრძლე უჩვევი.

ასე მიღიოდენ ჯარისკაცები გალიციის ველებზე იპერიალისტურ ომის დროს, — და იღუპებოდნენ;

საზაც ბაბუა მჩნევდ ჭავცა, იმ ველზე ქარად  
წასულან წლები, შვილისშეიღნი მოსულან შემდეგ.  
ხელში ალექსით აიღებდენ გაყვითლულ ქალას  
და ღრუჟ თვალებით გარიერაჟის შუქარში სდებდენ.  
ეს ძლარ ახსოვსთ, კვლავ მინდორ-ველებს  
მხიარულ ლაშქრად ასკდება ხალხი.

მაგრამ შეჩერება, ხარვეზი წამიერია:

და ცნობილია თუ საით უტევთ,  
ამ ჯავანარებსაც მოულებთ ბოლოს.  
ნუ თუ ამ გზაზე ფიქრს ნასათუთევეს,  
სულ ეს შიზნები ჰქონია მხოლოდ?

ბაჟანის შიერ სოციალისტური რევოლუციის დედაპირის გაგების განყენებულობა და არაისტორიულობა განსაკუთრ ებული სიცხადით ვლინდება. მისი შემოქმედებითი ევოლუციის ანალიზის დროს. სამოქალაქო ომმა მას მრიდარი მასალა მისცა განყენებული გმირობის, განყენებული თავდადების, მეომრის დაღუპვის სახეების პლასტიურ პოზაში ესთეტიზირებულად მოცემისათვის. უკვე აქ არსებითად წაიშალა განსხვავება, რომელიც არსებობს თერმოპილებს, თოთხმეტი წლის გალიციის მინდვრებსა და სამოქალაქო ომის ხანის წითელი არმთის ფრონტის შორის. შემდეგ, ბაჟანს მოუვიდა ივივე, რაც შეემთხვა მრავალ პოეტს, რომლებმაც სამოქალაქო ომი მიიღეს განყენებულად, ისე რომ არ მიუღიათ მისი კლასობრივი დედაპირი: შემდეგ მომდევნო წლებმა, რომელთაც მოაქციეს რევოლუციას გარეგანი ბრწყინვალება და მოამზადეს დღევანდელი გაშლილი სოციალისტური შეტევა, იგი პროლეტარიატისა განზენებულება მთელ ჩივ სპეციალისტი. მაგრამ ბაჟანის განდგომა განსხვავდება მთელ ჩივ სპეციალისტი თავისებურებით, რომელთაც გააშიშვლეს მისი შემოქმედების ძირითადი ფილოსოფიური კონფლიქტი. ცხოვრება სულ სხვა გზით წავიდა, ვიდრე მას ეძახოდენ ბაჟანის კანტიანური კატეგორიები და იმპერატივები. ამაზე მეტიც: იდეალიზმის შეუვალ კუნძულზე მეტი ყოფნა შეუძლებელი შეიქნა. სხვათა რიცხვში ბაჟანსაც მოუხდა იმ გზაზე შედგომა, რომელიც განსაზღვრა რევოლუციის ობიექტურმა ლოგიკამ. ბაჟანისათვის ეს შეიქნა მცირე საქმეთა გზა — ყოველდღიურობის და დაწინების უსახო გზა. და აქ ბაჟანმა, რომელმაც ვერ გამოიცნო კლასის მიზ-

ნები, დაიწყო ფიქრი სუბიექტური მიზნის და ცხოვრების სუბიექტური გააზრების პრობლემაზე.

გზა მიიმართება „არეულ ბორცვებზე, საღაც გაცოფებულ კომეტის ბოლო— სავით შემშლელ საღამოთა ცეცხლი იწვის“. რა მძიმეა მაზე სკლა! როგორ უმძიმს თვით გზას, რომ წვეპა „მაგარ ქვებზე!“! რა მარტოობა გზაში! მაგრამ რისგანაა ასეთი სიმძიმე?

აქვე უკვე შემზადებულია ბაჟანის კანტიანობის დამსხერევა. აღაშიანის გონებას არ ძალუს თავისი. სურვილების მიხედვით დავეგმოს ობიექტური სინამდვილე. იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მის კანონომიერებას. რეკოლუციის გზებზე იგი ვერ ხედავს „მიზნებს“. და თუ ამ მიზნების გამოძებნა ზეუძღვებელი ხდება ბურუჟაზიულ რესტაურატორობის გზებზე; მაშინ გამოსავალი ასეთია: არა დამორჩილება სინამდვილისადმი, არა მისი გამართლება, არამედ მისი უარყოფა: კლასიკიზმის ესთეტიკა იცვლება სიმაბინჯეთა ესთეტიკით — ბაჟანი გადმოატრიალებს ცხოვრების უკულმა მხარეს, მის სიმახინჯეს, სიღამპლეს, მის დახუთულ და მოწამლულ მხარეს, სევდას, გაიძერობას, — და მოიქმედებს რა ამას, კვლავ ცდილობს გამართლოს ცხოვრება, თუნდაც ესოდენ მახინჯი და საჭიროა.

### 3.

ტყუილად დავუწყებდით ლექსების ამ ციკლი დღევანდელი დღის მოტივების უშუალო გამოხატულების ძებნას. ისინი, ეს მოტივები, არსებობენ ან არ ე-კლის სახით, როგორც გროტესკის, ფანტასტიკის, სიმბოლიკის ენაზე ვაღა- თარგმნილი რამ. წინათ ბაჟანი მაღალ პათოსს ეძებდა წითელარმიელის გმირობაში. ახლა კი მასვე დაეძებს იგი მხატვრის შემოქმედების შთაგონებაში, მის „პათეტიურ ხომალდში“, „მაღალ მღერათა ხომალდში“, „მომაკვდინვებელ გან- გაშის საათებში“, „კალმის მაღალ ტემპერატურაში“, მარტოობის და მას- რჩობელ ა-ქალაქის მოტივები მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ისე თავის უფლებებში შედის „საღამოების“, „პალუცინირებულ სოფლების“ და „მახრინბელა-ქალაქების“ პერიოდის ვერპარნი. ქალაქი-მახრინბელი, ქალაქი — მაჯლაჯუნა, ქალაქი გარყვნილების თავშესაფარი, — ასეთია (ერთი თავისი მხარით) ვერპარნის კაპიტალის ტური ქალაქი, ასეთივე ბაჟანის საბჭოთა ქალაქი.

სანთურნი ტებას ზღაპრულ ბებრის თათისტურებად  
ჩაბზრიალებენ ბნელ ტალღებში იქროს ფორმებით,  
და მეზღვაურთა ლანწდნი, ცეცხლით პარიალებულ  
წვიმის გუბებს ჩაბზრებან ჩახრიბილივით.

ესაა ვერპარნის ლონდონი.

რომ საიდუმლო შეუნაშორ იდუმალ ხროვას,  
ეს ხან ქალაქის ჩრდილებია, ხან დაბრუნებით  
მოფოფხავს. დამე... და ჭაობის ცეცხლივით ტრიოლავს  
ცვალებად შუქით მოტარფატე სანათურები.

ესაა ბაჟანის ქალაქი, — ქალაქი, საღაც აღორძინებულა ქაპიტალისტურ  
მსოფლიოს გარყვნილება, ლუდხანების, პროსტიტუციის და ფოქსტროტების ქა-  
ლაქი, — ის ქალაქი, საღაც

ამ შოედანხე, ამ სახლების სართულებს შორის,  
შე გვათრიე სიცოცხლე და ფეხით გავთელე.

კველა ფერი გულატიურებულია და ყველა ფერი იყიდება, ადგილი  
არა აქვს სიყვარულს, პატიოსნებას, — „ლამეა ბნელი და ღრმა“:

და საიდუმლო შანტანინ წინ სანთურნი უდერენ,  
ადგება სახლი საშინელი ბნელში და ფეოქაცს  
მაჯა ქალისა, რომ უპყრიათ მთვრალ გაცოა ხელებს:  
— ერთად ჩავლილი, პეტ, კახავ, წამოლი ჩემთან...

ატრაქციონების გაელვება, მათი „გიური ფეიერვერკი“, ფოქსტროტის  
„საჯარო მრუშება“, „ონანიზმის კოშმარი“, — ასეთია დღეს სიყვარული და  
თვით ცხოვრება:

ხალხთ სიყვარული. ხალხთ სიყვარული,  
ათრთოლებს ტუკელს...  
მუცელს, თერებს და ბაგებს ბორო-კუდივით.  
თითქოს შორრაობს მჩრებში ნაჭრებად  
ბაგე და უცებ,  
შიძმის ნაჯღაბით, თვის წარმოდგენას, დაქნილ კუნთებით  
გადიწერს ხალხს სტენოგრაფიულად.  
და სტაკატო შიძმის ხმებში,  
და ბარძივით შიძმის ხმებში,  
შეერდებ აფლით მიღვარულო,  
აი შიძმის შარიშურში,  
აი შიძმის შარიშურში,  
როგორი წარ სიყვარულო...

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა ვითომ ამ ლექსებში ბაჟანი იძლეოდეს  
კაპიტალის ტური ქალაქის გროტესკს, არა, ის ქმის ქალაქის განყენებულ  
სახეს, რომელმაც თავისში შეისრუტა როგორც კაპიტალიზმის, ისე საბჭო-  
თა რეჟიმის ხაზები. შეცდომა იქნებოდა აგრეთვე გვეფიქრა, ვითომდა ბა-  
ჟანი უარყოფს მაგრა ქალაქს. არა, იგი — საშუალო ანგარიშით — იღებს მას.  
მისი შემოქმედების ამ ეტაპის გასაღებს იძლევა პოემა „ჰოფმანის ლაშე“.

სამიკიტოში მაღალ და ჩაფიქრებულ წყველათა“ ქვითია. აქ მეფობს  
იგი — ჰოფმანი, გვაგიერებული ამედე, უყიი-პოეტი, უფიქრო გამომგონებელი,  
დაკრძალულ და ნახევიმო-გაგიერებულ შეკრებილობათა ღამის მეფე! გარდაიქმ-  
ნება რა შისვან შექმნილ სახეებად, მეფე მის მსმენელ ლოთთა და „ღამის ფანტას-  
მაგორიების კარნავალის მომწყობის“, — იგი გადაშლის სიმაბინჯეთა ესთეტი-  
კის დეკლარაციას, და გადასწინს საფრას, როგორიც ფარავს წმინდა სიმახინჯის.  
სამყაროს, საღაც მატრინატრონი ისათ და საღაც ერთადერთი ადგილია ნამდვილ  
შემოქმედებისა და შოგრენებისათვის. აი ყველაზე უფრო საყურადღებო ნაწილი  
ღვევლარაციისა:

შხრებზე ვაბზავ შთაგონების ღამეს დარხეულს,  
როგორც ძევლისძველ ახაფორას და როგორც სირცხვილს,  
და გვაწვებ მე ჩემს სხეულს, მოწა:რულ სხეულს,  
გაუმაძღვრი, ანთებული ბოროტი რისხვით...  
ვწების, ბოდვათა, სირცხვილის და საბიზღოოების  
გარემოცვაში, მე კუბრამანებ სიტყვებს — აჩრდილებს:

დასტოკონ ქალა, შემცირების ღრმა ორმოები.

— „ობობასავით, თქვენ, სიტყვებო ფეხებს გაშლიდეთ.

ობობასავით, რომლის მხერაც არის ბედითი.

იფორთხეთ წერარაც, უშიშარად, თქვენ ამას შესძლებთ,

ამოდით მაღლა — რომ დაგაშუონ აქ მძორებიეთ

საშინელებით გაფირებულ ქალალდის გვერდზე.

ო, შეუძლოა. თრთის სარდაფი ვნებიანობით...

ქეიფის დაძაბულობა გადადის მუსიკში. რეკავს მეოთორმეტე საათი. ქეიფი დასრულებულია. მრჩეველი პოვმანი ტალახიანი გზით ბინისაკენ მიემართება. მეუღლე მისი, ამელია, ბუზლუნებს: „რას დაეთრევი, შე უვიცო“. მაგრამ პოვმანი-ამელე ეშმაკურად ჩაიცინებს. ჩვეუღლებრივი და მყარია ბოურგერული ყოფა. ეს მოხუცი მაცდერია: მას ესმის ქეშმარიტების ორმაგობა, იგი ერთდა-იმავე ღროს ორ სამყაროში ცხოვრობს: ბიურგერულ კაბინეტს გარდა, შისი ფლამანდური ღუმელით და ბლენძი მდიღით, არსებობს მის მიერ აღმოჩენილი და ბევრისათვის მიუწვდომელი წმინდა ხელოვნების, გლიუკის კონცერტის და ვალპურგიის ღამის სამყარო.

ამ სამყაროს დამტკიცება ობიექტურად იქცევა ეპოქისად მი ნას როლ გაწოდეთ, იმ ეპოქისადმი, რომელმაც თავის ფარგლებიდან გააძევა შესტიკა და ეშმაკულობა და გაბატონებულ მსოფლმხედევლობად განამტკიცა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მა ტერიიალის ტური მონიზმი.

#### 4.

ბაჟანი თითქოს პოლიტიკის გარეშეა. მაგრამ ჯერ კიდევ ბლოკს მშვენიერად ესმოდა, რომ მხატვრის პოლიტიკის გარეშე ყოფნა ნიშნავს ყოფნას მათთან, ვინც ექსპლოტაციის პოლიტიკას აკეთებს. სოციალისტურის შეტევის წლებში პოლიტიკის გარეშე ყოფნა სწორედ მათ მხარეშე ყოფნას ნიშნავს, ვინც აწარმოებს. შეტევას პროლეტარიატის წინააღმდევ. ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა, რომ შესაძლოა ბაჟანის ბურუუაზიულ მშერლობის ბანაჟისადმი მიკუთვნება (რომ გორც ამას ცდილობდენ ზოგიერთი მეტად „რევოლუციური“ კაიტეკას მიტანენდებულ ყმაწვილები). ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება ზუსტიდ გამოვა-რკვიოთ ბაჟანის „თანამგზავრობის“ დედააზრი, მისი თანამგზავრობის ძირები, მისი განვითარების ეტაპი და უკანასკნელის შესაძლებელი პროგნოზი. მისი განვითარების ეტაპი და უკანასკნელის შესაძლებელი პროგნოზი გუშინდელი „თანამგზავრი“, რომელიც წინანდელ პოზიციებზე ჩჩება, რომელსაც ცხოვრება „უვლის“ ყოველი მხრიდან, აღრეთ თუ გვიან გაიარღვევს იმ ძალებს, რომელიც მას პროლეტარიატობ აკავშირებს. მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ბაჟანი არ სტაბილიზებულია თავის წინანდელ პოზიციებზე. იგი მოძრაობა ში იყო, მაგრამ მისი მოძრაობის სვლის გეზი პოლარული იყო მოძრაობაში იყო, მაგრამ მისი მოძრაობის სვლის გეზი ისაღმი. ამიშია — საკითხის სოციალისტური რევოლუციის სვლის გეზი ისაღმი. ამიშია იყო საშიშროება, რომელიც მუქარის წარმოადგენდა ბაჟანიასი. ამიშია იყო საშიშროება, რომელიც მუქარის წარმოადგენდა ბაჟანიასი.

ბაჟანის ევოლუციის ტენდენციების სწორი გაება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ განვიხილავთ „ლიტერატურული რიგის დაწული“

სახლვრების ფარგლებში, და თუ განვსაზღვრავთ მათ, ოოგორც ქვეყნის, კერძოდ უკრაინის, კლასობრივი ბრძოლის ერთერთი ტენდენციის სპეციფიკურ გამოხატულებად. ნეპის ხანაში უკრაინის ინტელიგენციის განსაზღვრულ ნაწილზე (და მის შორის კომუნისტთა ჯგუფზედაც) ძლიერ გავლენას ახდენდა ახალბურუჟაზული იდეოლოგია. საქმარისია გავისხმოთ ეგრედწოდებული „ხვილევიზმი“. დასახელებულ ინტელიგენტურ განფენებათა იდეების კომპლექსსა და იდეათა იმ კომპლექსთა შორის, რომელიც დამახასიათებელია ბაჟანის შემოქმედებისათვის, შეიძლება საგრძნობი თანხმოვანების აღმოჩენა: შევეცადოთ ერთ კვანძში შევკრიბოთ ის მამოძრავებელი და განმსაზღვრელი მოტივები, რომელიც გამოელინდა ბაჟანის შემოქმედების ანალიზის დროს.

ჩვენს მიერ დადგენილი იყო, რომ მის განმსაზღვრელ მსოფლშედველობითს საფუძველს შეადგენდა კანტიინობის ეპიგონობისაგან წარმოშობილი იდეალისტური დუალიზმი. ამ დუალიზმს თან ახლდა მძაფრად გამოხატული ინდივიდუალიზმი და მხარდი ფორმალისტური ტენდენციები. ბაჟანი უდიტორდა „თანამედროვეობისა განა“. პროლეტარულმა რევოლუციამ, რომელიც ხანგამოშვებით (წელთა განმავლობაში სულ უფროდაუფრო იშვიათად) შეიცრებოდა მის შემოქმედებაში. მიიღო მასში მხოლოდ აბსტრაქტული, ალგებრაული, „ზეკლასიური“ და „ზეისტორიული“ გამოხატულებას სოციალისტური შეტევის კონცეპციას ბაჟანმა შემდგომ დაუპირისპირა რევოლუციის გადაგვარების კონცეპცია, რევოლუციური გმირობის ესთეტიკა შესცვალა სიმახინჯეთა ესთეტიკით, ვერპარის და პოფმანის მოტივებს რეაქციურო — ზაცემულობითი ბეგერა მისცა. მაგრამ აქაც — ოოგორც ყველგან — თავი იჩინა ბაჟანისათვის დამახასიათებელმა დუალიზმა: მის „პოფმანის ღამეებს“ და დაცემულობის სახებს თან ახლდა პიპერტონფირებულ ინდივიდუალიზმის, „ნიცშეანელობის“ ვიტყოდით ჩვენ — მოტივი, რომ არ ვერიდებოდეთ ისტორიული ანალოგიების ცუდათ გამოყენებას. ძლიერი ადამიანის, ასომთავრულით პანიშულ გმირის ინდივიდუალიზმი იხლართებოდა ბაჟანის პოეზია ნაციონალისტურ მოტივებთან, რომელიც თუმცა ვერ სძლევდენ სხვა მხარეებს, მაგრამ მაინც გარკვევით იყვნენ გამოსახული, ასეთია, მაგალითად, პოემა „გულთა საჭურარი“. უსაზღვროდ ბნელ ღამეში სწარმოებს პოეტის საუბარი. მოჩვენებასთან, ეს მოჩვენება არის ძველი რუსეთის, ძველი კულტურის, ველიკორუს ხალხის სიმბოლო. ხაუბრის ფილოსოფია მდგომარეობს ველიკორუსულ კულტურის, როგორც თავიდან ბოლომდე გამრკვნელ და ექსპლოატატორულ კულტურის დაბასითებაში. კაბაკი, სიმურდლე, ალკოჰოლიზმი, ცარიზმის წყევლა, — ასეთია „სული“ რუსეთისა, რომლის კონდენსირებულ გამოხატულებას წარმოადგენს „დოსტოევშინია“.

ბაჟანი — „ზაპარნიკია“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისთვის უცხოა ნაციონალისტური ზეველენა. იგი „ზაპარნიკია, იმიტომ რომ მისი „ზაპარნიკობა“ ეხმაურებოდა უკრაინელ „ნაციონალურ რენესანსის“ იდეათა კომპლექსს. და იგი, ერთის შეზიგ, უარყოფთა ველიკორუსულ კულტურას, როგორც რასპუტინების და მალიუტების კულტურას (ამავე დროს ივიწყებდა რა იმ კულტურას, რომელმაც რუსეთის პროლეტარიატი მოფლიო სოციალისტური რევოლუციის მწვერ-

რეალზე აიყვანა) და, მეორეს მხრივ, ანუითარებდა თავის კულტურულ-ფილო-სოფიურ პრობლემატიკას, ამტკიცებდა მებრძოლ და სკვითურ ძველებური უკრაინული ტრადიციის სახეს, რომელსაც არ განუცდია რეევა და ისტორიის გზებზე წინ მიიწევდა ომებით, თარეშით და ტუვეთა ხელში ჩაგდებით.

სიტყვები მოგვწონს, ვით დაკლაკნილ კვამლის ხვეული,  
საშინელ მსხვერპლთა, მეტყველებულ თათრის ქალების,  
ჩვენ სისხლს ვუმდერით, რომ შედედა დაღუღებული,  
და ამ ნახნავებს, გაფიცხებულს, როთქლით შემურვილს,  
მივესალმებით წრფელი გულის აცინცხალებით.

ამგვარად ახლებურ გააზრებას იღებდა აბსტრაქტულ მოვალეობის ფორმულები. ამგვარი დაბოლოვება მიიღო ბაჟანის პოეზიის შინაგანმა გაორებამ, „პოტმანის ლამეების“ და „პოლონელ ქალების სისხლის“ სინტეზმა, ლექსებმა სიყვარულზე და ლექსებმა საბჭოთა აღმშენებლობაზე:


მოდის, — მიწაზე რომ იგრიალოს,  
ამ ძეველ მიწაზე რომ იგრიალოს,  
მუსიკამ, შრომის, დაუსრულებლივ.  
კვნესის ტრამალი, გუგუნებს ბარი,  
გაშვებულია ფოლადის ლარი,  
მარადიული ელსადგურების.

მაინც საითკენ მიიმართებოდა გონივრული გაორების, წინსწრაფვის და უშიზნოდ განწყობილი ინტელექტის პოეტი ბაჟანი? მისი გაორების კრიზისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგრძლივი. თავისი გამოსაგალი მას უნდა ენახა ან იდეოლოგიურ რეაქციის ან პროლეტარიატთან დაახლოვების გზებზე. მაგრამ მაშინ აუცილებელი იყო მსოფლი მხედველობის ჩამოყალიბებულ საფუძვლების რღვევა, ფასეულთა გადაფასება პროლეტარიატის პოლიტიკის თვალსაზრისის პოზიციებიდან, აუცილებელი იყო შემოქმედებითი მეთოდის კრიზისი. იდეოლოგიზმი, ფორმალიზმი, ინდივიდუალიზმი, „ზაპადნიკობა“, როგორც ორიენტაცია ბურჟუაზიულ დასავლეთზე, არასოდეს არ შეიძლება გამოყენებული იქნან რევოლუციის მომსახურების საქმეში.

და ბაჟანმაც ვაჟკაცურად, პატიოსნად და თანამიმდევრულად მოახდინა მობრუნება პროლეტარიატისაკენ. ამ მობრუნების მოწმენი ვართ ჩვენ მის „რიცხვებში.“ კანტიდან მარქსისა და ლენინისაკენ — ასეთი გამოხატულება იპოვა ამ მობრუნებამ მის მსოფლი მედველობაში. მისთვის, რომლისთვისაც ესოდენ ძვირფასია თეორეტიული განზოგადებები, სინამდვილის სიმართლე განმტკიცებული იყოს „თეორიის სიმართლითაც“, — ასეთია მისი თავისებური გზა სოციალიზმისაკენ.

და, რა თქმა უნდა, ეს იქნება უკვე ახალი პოეტი. მაგრამ ჩვენ რომ მომვლში უკეთ გავუგოთ მას, საჭიროა გავერკვიოთ მის წარსულში ისე, როგორც იგი მოცემული იყო იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ზემოთ ჩვენ გავარჩიეთ.

აღნიშნულ წერილში მოყვანილი ლექსები თარგმნილია დ. გაჩეჩილაძის მიერ. რედ.



უდაბურ ველებს შუქი და ლანდი  
თავზე აღგება უცნაურ ფარად;  
გიუმა კომეტამ მომართა ლახტი,  
დაისმა ცეცხლის გაშალა ფარდა.

ბინდი დაეცა ყოველი მარიდან,  
დაგვთარა ლამის ბნელმა რტოებმა,  
გალმოფრენილი სხივები ციცან  
მიწაზე ნათელს ველარ ტოვებდა.

გზაზე ვიდექით... გზა ჯვარედინი  
ნელი ბარბაცით ებრძოლა ფეხებს;  
ალბათ ძნელია, რომ გზას ედინა  
სწორი ხაზებით პიტალო ფერდზე.

ძნელია ალბათ.. და ქვები მკაცრად  
ეკიდებიან გაისრულ შარას;  
უნდა გაკაფოს ხელმარჯვე კაცმა  
გზები, რომ მიღის მიზნებთან ჩქარა..

განშორების და შეავედრის გზო,  
გზავ, ადამიანს ნულარ აცდები;  
ცივი რელსების სარკეში წვალობს  
ლამის შუქი და სანთლის ლანდები.

გზავ, ნუ აგვაცდენ მიზანს ჯეროვანს,  
ჩვენი ოცნების და ფიქრის შარავ!  
და ბნელ ლამეში მუდამ მჯეროდა—  
გაგვინათებდა ვარსკვლავი ჩქარა.

გზები გავიგნეთ, სად მიღის ვიცით,  
ეკლის ბურდებიც დავგლიჯეთ უკვე...  
და სანუკვარი ოცნების ფიცით  
ჩვენ მაღალ მიზნებს ბილიკებს ეუკვლევთ.

ყველა მართალ გულს ვერ შესჭამს. მატლი,  
და არც გზებია დახშული ყველა;  
აგერ ზაფხულის მოგვადგა მადლი  
და ყვავილების იფეთქა ელვაშ!

მიქელ პატარიძის თარგმანი



ჭაობზე ფრინველთა ქარჩვნად ლაშე ჰქონდს,  
 თუკად ილვრიმებთ სახის ანარეკლი,  
 ფიქრი ლურსმანივით გაჩრილა ტვიწში:  
 „სად, როგორ შევხდებით მტერს იერიშოთ“?  
 რა, მტერი მძლავრია გასული მთა-ბარაც...  
 ღროშას, კომეავშირმა რომ გადმოაბარა,  
 ალისფერ ღროშას, სიკვდილზან შედიოს,  
 მას ვერვინ წაართმევს მეზუთე ლევიონს.  
 და ფიქრი ქალაში, ვით თუჭის ლავა,  
 ან ცის დაფიონი.— ელვარით ენთეპა...  
 ისმის: „ამხანაგო, შეიდი დღე ვდგავართ,  
 სად, როგორ შევხდებით საშინელ შეტევას?  
 ისმის, კომისარმა რომ გადასძახა  
 სანგარში — „ლევიონს რა ვუყოთ ახლა“?  
 ხიხინებს ხახა ამომშრალ გუბედ:  
 „სად, როგორ შევხდებით იირთა ღრუბელს?“  
 ღივიზიის მოხუცი უფროსი უცქერს...  
 და ხელის დაქნევით აჩერებს უცემ.  
 ის ღონეს მოიკრებს, ხმას აცახცახებით  
 ამბობს: „ჭრ ვეყოფნისო აირწინალები,  
 ათასს თუ შეემოსავთ, ექნებათ საფარი,  
 დანარჩენს რა ვუყოთ, საშველი სად არი?  
 გული რთვილმოყრილი რა ცივად ფეთქავს,  
 მკრთალი კომისარი გაჩუმდა, შედგა...  
 მაგრამ ასეულის უფროსი ამ ღროს,  
 დალვრემით წამოდგა, ქუხილით. ამბობს:  
 მიცვალებულზე ფერმკრთალი უფრო,  
 სახეს მიგრეხილი ბაგენი ქუფრობს:  
 „საბჭოთა ქვეყნისთვის წითელარმიელი,  
 სიკვდილსაც შეხვდება ბრძოლაში ძლიერი,  
 და აი, ახლა, ამჟამად ასეა: —  
 ორათასს სიკვდილი... სამიათასიდან...

უნდა განწირულმა ამ ორმა ათასშია,  
ხიშტით, კონდახებით გაფანტოს თავდასხმა...  
ქუხდეს, მოძრაობდეს სიკვდილის უარად,  
და ასე გადასჭრას — იცოცხლებს თუ არა.“

ცას კაწრავს რიერაჟი — სდის შუქის წვეთი,  
პაერში ასწია დღემ ჩონჩხის ქედი,  
მზე არც ლაუვარლზეა, არც ვილზე მოსჩანს,  
თვითონ მზეთ ელვარებს წითელი დროშა.  
აქ ასი თვალი ჰგავს ას ნაკრევს ნასისხლარს,  
აქ ასი გული სძგერს ერთ ბარაბანის ხმად.  
არვინ მოცრემლილა... მხოლოდ ძირს დახარა  
დივიზის უფროსმა თეთრ შუბლის ჭალარა...  
სერს იქით დროშაა სისხლისფერ ამინდად,  
უწინ კომისარი გასწევს სანგარიდან,  
სად ნაპრალს მწუხრი და ტრამალი ახლავს,  
იქ ორიათასი გამწკრივდა ახლა....

წინ ბნელში ბალონი აირით ახველდა,  
შედგა ლეგიონი, ბნელს თრთოლვით გახედა,  
ასეულ საფეთქლებს ურტყამენ ძარღვები —  
„პე, ჩვენ არ გვიშველის აირწინალები“...  
გული ჩაქრობის წინ ცახცახებს მხოლოდ,  
მშვიდობით, ახლოა სიცოცხლის ბოლო...

წინ რაზმი იჩქარის დაფარულ ხერელებით,  
ყუმბარის კიდურებს სწურავენ ხელები,  
თვალები ჩამჭრალი ვარსკვლავის ლანდია,  
და სისხლის შხეფებით ჰაერი ანთია.  
წინ გზა რომ გადასჭრა — მინდვრებით, ღარდებით  
მოგლინავს შხამიან ბოლების ფარდები.  
რძის კვითელ ბინდებად რომ გადმოედინოს,  
ბურუსი დაეცა მეხუთე ლეგიონს...“

ო, ასი ნაბიჯიც, სისხლში და მტვერში  
ვერავინ გადადგა... თუმც გული ერჩის...  
დალაგდენ, სახეებს სილურჯე იცავს,  
სისხლიან ფრჩხილებით მობლუჯეს მიწა...  
უეცრად სანგარი დადუმდა, შედგა  
გულიდან მოგლეჯით მოესწრო ეთქვა  
დივიზის მეთაურს: „წითელარმიელი  
საბჭოთა ქვეყნისთვის იბრძოლებს ძლიერი,  
თუმც ჩაქლავს ათასებს ბრძოლათა ნისლები,  
ცაში მზედ დარჩება დროშა ალისფერი...“  
დროშა კომუნიშტირმა რომ გადმოაბარა  
გმირმა ლეგიონენმა ერთგულად ატარა.

# • ქიბელიოგრაფია •

შიძველ პატარიძე

## „ვეფხის-ტყაოსნის“ რუსული თარგმნებისათვის<sup>\*)</sup>

ქართველი ხალხის შემოქმედების უცელაზე ბრწყინვალე გამოვლინებათ შოთას გენიალური პოემა ითვლება. რასაკვირველია, რუსულ ენაზე ამ პოემის გადათარგმნას უდიდესი კულტურული და ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს.

უდათა ისიც, პოემის კარგი თარგმანი მას მისცემს იმ რეზონანს, რომლის ლირი არის ეს ლიტერატურული მოვლენა. გასაგებია, რომ ყოველ ცდას ამ დარღვეული ასეთი ყურადღებით ეყყრობა პრესა და საბჭოთა საზოგადოებრივობა.

ამ პოემის თარგმნა რუსულად გარეშე ქართველი მწერლისა და სპეციალისტის დახმარებისა არ შეუძლია არც ერთ უცხოელს. ქართული ენის უცოდინარობა არა ქართველი მწერლის მიერ არის ის უდიდესი დაბრკოლება, რაიც აფერხებს, ჩვენი აზრით, ქართული ლიტერატურული დოკუმენტების უცხო ენებზე თარგმნასა და შეტანას მსოფლიო ლიტერატურის აქტივში.

მეორე მხრით პოემის მოცულობა, შოთას ენის ბრწყინვალება, მისი ლექსის მაღალი ლირისება და ტექნიკური უზაღობა თავიდანვე ანიარაღებს მთარგმნელს.

რუსთაველის თარგმნის ღროს მთარგმნელმა, უპირველესად ყოვლისა, უნდა გადასჭრას ამოდენიმე ტექნიკური საკითხი, ამ საკითხების სწორად გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თარგმანის ხარისხისათვის. განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს საკითხები.

რუსთაველის რიტმი მრავალფეროვანია და უმთავრესად ხორეის და დაქტილის კომბინაციებს წარმოადგენს. თუ ჩვენ რუსთაველის მუსიკალურ აღნაგობას და-ვუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ რუსული, გერმანული და საერთოდ ტონური ლექსტოფონიან ენებისათვის ასეთი რიტმი უჩვეულოა და ძნელად ასათვისებელი. ამ საკითხის გადაჭრის ღროს ზოგი მთარგმნელი ჰქონდა დედას და სურდილობს, რაც შეიძლება ახლოს მიუდგეს მას. ცნობილი რუსი პოეტი კლიმი

<sup>\*)</sup> კამათის წესით.

კონი ფორმალურად მიღვომია ამ საკითხს. მის მიერ აღებული რიტმი ძლიერ უახლოვდება რუსთველისას თავის მუსიკალური ნიშნებით, მაგრამ ლექსის კითხვა სრულებით სხვა შთაბეჭდილებას სტოკებს. ამრიგად, ერთი და იგივე ხერხი გამოყენებული სხვა ენის პრაქტიკაში იძლევა სულ სხვანაირ ეფექტს.

Даже сорнце неспорило, тускло светило рядом  
С трепетом ее улыбкой, с влажным золотом взора  
Царь созвал визирей и величавым взглядом  
Всех усадив по возрасту, так приступил к разговору.

შოუვანილი ტაები ძლიერ ძნელი ასათვისებელია რიტმის მხრივ, მაშინ, როცა რუსთაველის ლექსი მოძრავია, ხმოვანი და მოედანზე გამოსული მარდათ სცემს ჩოგანს. ის თავისუფლად მიგორავს როგორც მთის კალთებზე გადმოვარდნილი ნაკადული.

ამრიგად, როცა რუსულ ენაზე ვთარგმნით ვეფხის-ტყაოსანს უნდა მივმართოთ ისეთ რიტმს, რომელმაც სიტყვის რუსთაველისებური ღინება. და ხმაური შეჰქმნას. უნდა მივაღწიოთ, შეიძლება სხვა საშუალებით, დედნის სინარნარეს. ჩვენი დაკვირვებით ხორეთ (1-) ყველაზე უფრო მისაღებია ამ შთაბეჭდილების მისაღებად. პოეტი ბალმონტი ხორეთ თარგმნის და მისი ლექსი მართლაც დიდი სისწრაფით და ტემპერამენტით მიმდინარეობს.

ბალმონტი არ გაჲვა ბრძათ რუსთაველს. მან დაისახა მისი რუსულად გადამღერება. ბალმონტს ათვისებული აქვს რუსთაველის ლექსის ხმოვანება, შაირის აღნაგობა სურს გადმოსცეს შინაგანი რითმებით. ის აქ აღწევს ერთგვარ წარმატებას და ეფექტიანობას, მაგრამ რუსთაველს მაინც სცილდება. პოეტი ხელავს, რომ ქართული შაირი ორი ტერთისაგან შესდგება. და თვითეული სტრიქონი ბუნებრივად იყოფა ორ ნაწილად.

ეს ამბავი სპარსული, (ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლო, (ხელიხელ საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად გადავთქვი, (საქმე ვქენ საჭოჭმანები  
ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს (ლალმა და ლამაზმა ნები.

რუსულად სказки пересев их помека, в лил грузинские я строки

Ценный жемчуг был в потоке, красота глубин тиха,  
Но во имя той прекрасной, перед кем я вплыке страсти,  
Я жемчужин отсвет ясный сжал оправою стиха.

რუსთაველი ერთ რითმს იმეორებს ოთხჯერ. ოთხჯერ განმეორება განსაკუთრებულ ხმოვანებას ჰქმნის. ბალმონტმა სხვა ხერხს მიმართა: შინაგანი რითმებით დატვირთა, ნაწილობრივ გაიმარჯვა, ხმოვანება შეჰქმნა, მაგრამ რუსთაველის სიღარბაისლე დაპერარება, მასთან ძლიერ დასცილდა დედანს. რუსთაველი კი ხუსტად უნდა ითარგმნოს.

აქ დარღვეულია რუსთაველის ტაების რითმის განლაგება. რუსთაველის იღებს ერთ რითმს, უმეტეს შემთხვევაში 3 ან 2 მარცვლიანს, ბალმონტი კი მიმართავს ვაუურ და ქალურ რითმების კომბინაციას. რითმების ასეთი განლაგება არ იძლევა ხმოვანებას რუსულ ენაში. რითმა დაშორებულია ერთი მეორისაგან, 32 მარცვლით აღარ მიღის სმენამდე. ამას გრძნობს ბალმონტია და მიტომ მიმართა შინაგან რითმებს.

რუსთაველის რუსულად მთარგმნელი ცავარელი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას და თარგმნის ერთ და ორმარცვლიან რითმების თანამიმდევნობით და სრულებით ველარ გვაძლევს რუსთაველის ხმოვანებას.

Жил в Аравии правитель. Ростеван — избранник бога  
Вождь бойцов, глава вассалов, щедр, величествен и сед,  
Судия даривший милость, приговор свершал строго,  
В битвах мужественный воин, златоуст — в часы бесед.

თავი რომ დავანებოთ მთელ რიგ სადაო ტერმინებს და აზრის მეტად დაშორებას, რიტმიულად ლექსი ვერ იძლევა დედნის შთაბეჭდილებას, თარგმანი დედნის აჩრდილადაც არ გამოდგება. ხელოვნურად გაკეთებულ იაგუნდს, საფირონს და ზურმუხტს სპეციალისტიც კი ძლიერ არჩევს. კარგი ყალბი თვლის-ქმნელი განსაკუითრებელ ეფექტს აღწევს. უფრო ხშირად კი ყალბი ქვის ნამდვილის გვერდით მოთავსება ცალკეულის სიყალბეს. აქ შედარებაც არ არის საჭირო. ოდნავ დახელოვნებული თვალი შუშას, რაგინდ ოსტატობით არ იყოს დაწანაგებული, მაინც ადვილად გაარჩევს ბრილიანტისაგან. მაგრამ ჩვენ რუსთველის მარგალიტის წილ მძივებს ვერ მივაწოდებთ საბჭოთა კავშირის მკითხველს.

რაც შეხება რუსთაველის ერთ ხერხს, სახელდობრ, მაღალი შაირიდან დაბალზე და პირიქით გადასვლას, რაც ასეთ განუმეორებელ შთაბეჭდილებას სტოვებს ქართულად, რუსულად მისი გამოყენება ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. პოეტი რუმერი იცავს ამ ხერხს თავის თარგმანში, რომელიც გამოქვეყნებულია „Литературная газета“-ში. მაგრამ ის, რაც ბუნებრივია ქართულ ლექსთწყობაში, რაც იოლად ასათვისებელია ქართულ შაირში, სადაც პირველი მარცვლებიდანვე მკითხველი იღებს სწორ კამერტონს და აღვილი ხდება მაღალ შაირიდან დაბალზე გადასვლა, ეს რუსულში არ გამოდის, ეს ამძიმებს რუსულ ლექსს და ადექვატურ შთაბეჭდილებას ვერ ქმნის. ენის მხრივ რუმერის თარგმანი მაღალ დონეზე დასასვლელი, მხოლოდ საბოლოო დასკვნის საშუალებას მისი მცირე ნაწყვეტი არ იძლევა.

„ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული თარგმანი ყანჩელისა, რატომდაც ხელმოუწერელი, იგრეთვე არ იცავს დედნის რითმების განლაგებას, მხოლოდ აქ ტაქტში რითმები წყვილად მიდის, რაც უფრო მისალებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ის წესი, რომელსაც ცავარელი ადგას.

„Стар становлюсь, а старость злая болезни всякой тяжелей,  
„Уж смерть близка, близка могила,—таков удел, судьбы людей  
„Там меркнет свет дневного блеска, где мрачно двигается ночь  
„Пусть на престол взойдет царицей светило мира, наша дочь.

მკითხველმა გაიხსენოს ეს ტაქტი ქართულად და მაშინ ცხადი შეიქნება, როგორც თარგმნის მუსიკალური სისუსტე, ისე მისი ულოლიკობა და დამასინჯება აზრის. მაგრამ თვით ენის ფაქტურა ვულგალურია, რად ლირს ეს: „Уж смерть близка, близка могила“ დაბალ ხარისხის სასიმღერო ლექსებს მოაგონებს კაცს: „Пускай могила меня пакажет“. საერთოდ გადაჭრით და კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ რუსთველის ენის სიღარბაისლე, აზრის უცნაურ და მოკლე ფორმებით გამოთქმა და მისი თხრობის კილო და იქნი მოითხოვს მთარგმნელისაგან ლექსის და რუსული ენის დიდ ოსტატობას. მოსა-

ლოდნელია, რომ დიდი ოსტატიც დამარცხდეს, მაგრამ დილეტანტობა აქ უსა-  
თუოდ თავიდანვე განშირულია.

ერთრითმიანი ლექსით თარგმნის რუსთაველს პ. პეტრენკო, მას ხელი  
აულია სამ და ორმარცულიან რითმების ცვალებად განლაგებაზე. ის მთელ პოე-  
მას თარგმნის ვაჟური რითმით. ასეთი ხერხი უფრო კარგ შედეგებს იძლევა.  
მუსიკალური შთაბეჭდილება მიღებული ასეთი ლექსიდან უახლოვდება შოთას  
შაირებს.

„Ростезан был царь арабский, божай милостью храним,  
Войск бесчисленных властитель, был он щедрым и простым,  
Мудр, любезен, превосуден, прозорлив и неотрезим,  
Кроме доблести прославлен красноречием своим.

პეტრენკოს თარგმანის შესახებ ჯერ საბოლოო მსჯავრის გამოტანა ძნე-  
ლია, მაგრამ უკვე მოცემული მასალა უსათუოდ მაღალი ლირსების არის. მას ახა-  
სიათებს გაცილებით მეტი სიზუსტე, ვიდრე სხვა მთარგმნელებს. მისი ლექსი  
ხშირად შესამჩნევად უახლოვდება ორიგინალს და პეტრის ისეთ განშუობილებას,  
რაიც მეტად უახლოვდება ქართული პოემის სტილს და ელფერს. თვით ენის  
ფაქტურა მეტად მდიდარია და ფერადოვანი.

„Дева чуткая к течению поучающих речей“...

„У ручья, рыдая чуждый чудный юноша сидел“.

ცნობილია, რომ რუსთაველი ხშირად მიმართავს ალიტერაციებს, რაც მი-  
სი ენის ძირითად და ბუნებრივ თვისებას შეადგენს. ალნიშნული საკითხები ზედ-  
მიწვენით გაშუქებული და თვალსაჩინოდ აქვს დამტკიცებული თავის სპეცია-  
ლურ ნაშრომში პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძეს. რუსთაველის ეს თვისება გამო-  
მდინარეობს ერთი მხრით ქართული ენის განსაციფრებელი ცოდნიდან, და მე-  
ორე მხრით – პოეტის შემოქმედების ქვეშეცნობითი პროცესებიდან. რუსთა-  
ველის ენა მოდის როგორც სტიქია, ნიალვარი, აზავთებული მდინარე მრავალ-  
წყლიანი და ფართოდ გაშლილი. ეს მისი თვისებები დილეტანტს არ შეუძლია  
გადაიტანოს სხვა ენაზე. მხოლოდ რუსული ენის დიდ ვირტუოზს, რომელსაც  
განვლილი აქვს შემოქმედებითი დიდი პრაქტიკა, შეუძლია რუსთაველთან შეჯი-  
ბრებაში გასვლა. კ. ჭიჭინაძეს „ვეფხვის-ტყაოსნის“, უკანასკნელ გამოცემაში  
ალნიშნული აქვს, თუ რა მდიდარია შოთა სიტყვის ფორმების მხრივ, მაგრამ ის  
მდიდარია აზრის გამოთქმის ფორმებითაც, ლექსიური მასალით, რითმებით,  
რიტმის მრავალფეროვნებით. შოთას ხელი უცყვია ქართული ენის ყველა შესა-  
ძლებლობა

ის, რაც მოცემულია რუსთაველში როგორც შემოქმედებითი სტიქია, მთარგ-  
მნებამ ანალიზის შექით უნდა გამოიტანოს დღის სინათლეზე და შემდეგ  
უძვე საესებით ნათლად გარკვეულ საშუალებებით იბრძოლოს ადექვატური ლირე-  
ბულების მოცემისათვის თავის ენაზე. ამ მუშაობას შესძლებენ არაქართველი  
მწერლები მხოლოდ ქართველი მკვლევარის და პოეტების დახმარებით.

## რსთსრ

### ტოლსტოის დღეები.

ტოლსტოის გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულებას მოსკოვი აღნიშნავს მისი ნაწერების და მისი შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ გამოკვლევების გამოცემით, სპეციალურ ლექციების და რადიოგადაცვებათა ჩატარებით.

მ წ ე რ ა ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ტოლსტოის კომისია კავშირების დიდ დარბაზში აწყობს საზეიმო სხდომას, რომელზედაც ლუპოლი წაიკითხავს მოხსენებას: „ტოლსტოი და თანამედროვება.“ საღამოზე გამოვლენ მწერლები. საღამო დასრულდება კონცერტით, მოსკოვის საუკეთესო მსახიობების წაიკითხავენ ტოლსტოის ნაწერებს. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გოლ-დენვეიზერი შეასრულებს „კრეიიცეროვა სონატა“-ს.

ეწყობა მწერლების ექსკურსია იასნაია პოლიანაში, სადაც გამართულ იქნება საზეიმო სხდომა. ჩამოყალიბებულია სამი ბრიგადა, რომლებიც ტოლსტოის დღეებში საღამოების ჩასა-ტარებლად გაემგზავრებიან დონეპოვეტროვესჭი, ივანოვსა და ტულაში.

გარდა ამისა, მწერალთა კავშირს შემუშავებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებები ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების ფართო ლიტერატურულ საზოგადოებრივობის გასაცნობად.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ე ბ ი: სახელმწიფო ლიტერატორულ კრებულს 100.000 ექ. მოკლე ხანში გამოვა დიდი საიუბილეო კრებული, რომელ-შიაც მოთავსებული იქნება მსალები მწერლის შემოქმედების შესახებ. კრებული შეღგვინილია მუზეუმის თანამშრომლების მიერ.

1936 წლის განმავლობაში გამოვა აკადემიურ გამოცემის 13 ტომი. „დამწყებ მყითხველის ბიბლიოთეკის“ სერიაში განხრაზულია გამოიცეს 100.000-ანი ტირაჟით ტოლსტოის რამდენიმე თხზულება. გარდა ამისა შხადება და მოკლე ხანში გამოვა ცალკე წიგნებად „ანნა კარენინა“, „აღდგომა“ და სხვა.

გამომც. „აკადემია“ სცემს „კაზაკებ“-ს აკადემიკოს ლანსერეს ილუსტრაციებით.

გამომც. „საბჭოთა მწერალი“ ახალგაზრულ მწერალთა თეატრის სახელმძღვანელოების სერია-თა ხაზით სცემს პროფ. გუძის ნშრომის „როგორ მუშაობდა ტოლსტოი“ და სხვა.

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი: გორგის სახ. სამხატვრო თეატრი ამხადებს „ანნა კარენისას“. ინ-სცენირება ეკუთვნის ვოლკოვს. გენერალური რეპეტიცია ჩატარებულ იქნება მიმღინარე სეზონის დასასრულს.

რევოლუციის თეატრი მუშაობს „Живой театр“-ზე.

ვახტანგოვის თეატრმა დასადგმელად აარჩია მწერლის დაუმთავრებელი პიესა „Свет во тьме светит“. ეს პიესა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

არ არის კლუბი და კულტურულ-სანახაობითი დაწესებულება, რომელთაც არ ჰქონდეთ გადაწყვეტილი ტოლსტოის დღეები ჩატარონ როგორც დიდი საზეიმო ხასიათის დღესასწაული.

ასეთივე დიდი მასშტაბით ტარდება ტოლსტოის დღეები ლენინგრადში, კიევში და სამკოთა კავშირის სხვა მოწინავე ქალაქებში.

## ველიმირ ხლებნიკოვის ხსოვნის აღსანიშვალ

ველიმირ ხლებნიკოვის დაბადებიდან 50 წლის შესრულების გამო (ნოემბერი) გამოშცემლობა „საბჭოთა მწერალი“ სცემს ხლებნიკოვის რჩეულებათა ერთტომეულს. წიგნი გამოდის სტეპანოვის შესავალი წერილით და სათანადო შენიშვნებით.

გარდა ამისა ხარჯივის რედაქციით გამოვა ხლებნიკოვის ჯერ დაუბეჭდავი ნაწერების კრებული (ნაწყვეტები, ჩანაწერები). მასში მოზაფებული იქნება აგრეთვე გამოუქვეყნებელი წერილები და მოვინებები.

### 30 მილიონი ბაზურებელი

კინოფილმ „ჩაპავეის“ ეკრანზე გამოშვებიდან 5 ნოემბერს შესრულდა ერთი წელი. სახელმწიფო კინო-ფოტომრეწველობის სამართველოს ცნობების მიხედვით ამ ერთი წლის განმავლობაში „ჩაპავეი“ უნახავს 30 მილიონ მაყურებელს. „ჩაპავეი“ გამოშვებულია ჯერ არახული რაოდენობით: 236 შმოვანი და 532 მუნჯი ეკნებარი.

### მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები

გორგის ინიციატივით გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ ამზადებს გამოსაცემად შრაფლუომიან „რუსულ და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების ქრესტომატიას.“

ქრესტომატია გამოვა ახალგაზრდა მწერალთათვის სახელმძღვანელო წიგნთა სერიაში: და მიზნად ისახავს დამწყებ პროზაიკოსებსა და პოეტებს გააცნოს მსოფლიო პროზისა და პოეზის საუკეთესო თხზულებები.

1936 წელს განზრახულია გამოშვებულ იქნას ორი ტომი, მიძღვნილი რუსულ და ერთიდასაცლეთ ევროპის (საშუალო საუკუნიებისა და ადრეულ აღორძინების ეპოქა) ლიტერატურისადმი.

რუსული ლიტერატურის 1-ლი ტომი შესდგება სამი განყოფილებისაგან: 1. XI-XVII საუკუნის რუსული ლიტერატურა, 2. XVIII საუკ. ლიტერატურა პუშკინის, ლერმონტოვის და გოგოლის ჩართვით.

II ტომში წარმოდგენილია რუსული ლიტერატურა გოგოლიდან სიმბოლისტებამდე. ორივე ტომის რედაქტორობენ პროფ. ბელჩიკოვი, ფუკოვსკი, გუძი, ლენიცკი და ტომა-შევსკი.

### ჩერნიშვილის ნაშრების აკადემიური გამოცემა

სახელმწიფო ლიტერამოცემლობა შეუდგა სამზადისს ჩერნიშვილის თხზულებათა პირველ აკადემიურ გამოცემისათვის.

განზრახულია გამოიცეს 20 ტომი. თითოეულ ტომში მოთავსებულ იქნება 45 სავტორო ფურცელი.

თხზულებები დანაწილებულია ოთხ ჯგუფად: სოციალ-პოლიტიკური და ლიტერატურული სტატიები (12 ტომი), ბელეტრისტული თხზულებები (3 ტომი), დღიურები (1 ტომი) და მიწერ-მოწერა (4 ტომი).

ჩერნიშვილის ტექსტებს თანდართული ექნება ვრცელი კომერციურები. განზრახულია გამოცემას წარმდგრავოს შესავალი სტატიები: „ჩერნიშვილის ბიოგრაფია“, „ჩერნიშვილი და მისი ეპოქის რევოლუციური მოძრაობა“, „ჩერნიშვილი და საგლეხო რეფორმა“ და „ლენინი და ჩერნიშვილი“.

თხზულებები გამოცემულ იქნება სამი წლის განმავლობაში. 1936 წელს გამოვა პირველი ორი ტომი.

### „შავ-ნაშე“ ჩაგათავის ჩაზე

კაზაჭურის ცენტრალურმა მუზეუმმა შეიძინა მთელი რიგი უძვროფასესი შეელისშველი წიგნები. მათ შორის გამსაუთრებულ ყურადღებას იყენობს ფურდოუსის პოემა „შავ-ნაშე“ს აშვიათი ექვემდებარი ეს წიგნი გამოცემულია ჩაგატაიურ ენაზე.

ჩაგატაიური ენა იყო ხელოვნურად შექმნილი ენა, რომელიც შემოღებულ იქნა ირანელთა მაღალ წოდებისათვის. ეს ენა შედგენილია ირანულ, სპარსულ, თურქულ და უზბეკურ სიტყვესაგან.

ეს წიგნი მით არის საინტერესო, რომ ჩაგატაიურ ენაზე თარგმნილი „შაჰ-ნამე“ გამოცემულია უფრო სრულად.

### ლიტერატურულ ტიპების სიტყვაზი

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ ამხადებს გამოსაცემად „ლიტერატურულ ტიპების სიტყვაზი“ — ორ ტომად.

გამოცემის მიზანია საშუალო განათლების დონეზე მდგარ მკითხველს მისცეს სახელმძღვანელო მსოფლიო ლიტერატურაში არსებულ ტიპების გაცნობისა და შემდეგ მათ დამოუკიდებელი შესწავლისათვის.

სიტყვაზი მოთავსებული იქნება წერილი იჯვალვას გალეთ ევროპის, რუსეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურაში ცოტათი მაინც ცნობილ გმირების შესახებ.

თითოეული წიგნი 120 საავტორო ფურცელი იქნება.

### ლეინგლადის პოეზიის უკრაინაზი

უკრაინაში თევნახევრის მოგზაურობის შემდეგ ლენინგრადში დაბრუნდენ პოეტები: პროკოფიევი, ბრაუნი, საიანოვი, სალფიევი და კომისაროვა.

პოეტების ბრიგადის მოგზაურობის მიზანი იყო უკრაინულ სინამდვილის ახლო გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ განჩხახულ უკრაინის პოეტების თარგმნას რუსულ ენაზე. კიევში მოწყობილ იქნა ლენინგრადის პოეტების რამდენიმე საწარმოო შეხვედრა უკრაინის პოეტებთან.

პოეტებმა კიევის გარდა დაათვალიერეს თდეს, დნეპროპეტროვსკი, დნეპროპეტერი.

ლენინგრადის პოეტები უკვე შეუდგენ ტიჩინას, ბაუანის, რილსკის, პერვომაისკისა და სხვა უკრაინელ პოეტების ნაწერების თარგმნას.

ახლო ხანში განხრახულია მოწევულ იქნას უკრაინისა და რუს პოეტების საწარმოო თაბირი, რომელზედაც ვაირჩევა შემოქმედებითი საკითხები ანტოლოგიის გამოცემასთან და კაეშირებით.

## უ ც ხ ო თ ი

### აგისინის პირველი სტამბა

„მანჩესტერ გარდიენ“-ში მოთავსებულია საინტერესო მასალები აბისინის თანამედროვე ლიტერატურის შესახებ.

ნეგუსმა ათი წლის წინად, მაშინ, როცა იგი ტახტის მემკვიდრე იყო, ადის-აბებაში ჩამოაყალიბა პირველი აბისინური სტამბა. ამ სტამბაში მან გამოსცა რამდენიმე წიგნი, როგორც სასულიერო, ისე საერთო შინაარსისა. აღნიშვნული წიგნები დიდის თავდადებით არის გაფორმებული. ამ წიგნთა უმრავლესობა ახლა გამოფენილია ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში.

თევნონ ნეგუსმა დაწერა რამდენიმე წიგნი, მათ შორის მისი 1924 წელში ევროპაში მოგზაურობის აღწერა. აბისინის ერთ-ერთმა არინცმა დასწერა წიგნი მისი პალესტინაში მოგზაურობის შესახებ. ეს უკანაკენელიც გამოცემულია ამავე სტამბაში და ილუსტრირი ებული.

გარდა ზემოაღნიშნულ წიგნებისა დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი რელიგიურ ხასიათისა.

### ლოგელის პრეზიდენტი

ფრანგულ გაზეთების ფურცლებზე უკანასკნელად ხშირად გაისმის ხმა, ნობელის პრემიის კანდიტატად რონი-უფროსის, წამოყენების შესახებ. რონი გონიურების, აკადემიის, პრეზიდენტისა და მაღალ შეუსრულდება 80 წელი.

ესან რიშარ ბლოკი ფიქრობს, რომ ყველა თანამედროვე მწერალი ბევრად არის დავა-  
უებული რონისაგან. „ჩვენ მისგან შევითვისეთ—ამბობს ბლოკი — ჩვენი აზროვნების ზოგიერთი  
უფრო ცოცხალი ფორმებით.“

## არტურ ჩემბო აცრიკაში

ესან-შარი კარემ „რევიუ დე ფრანს“-ში გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ნახულ იქნა  
ადენის საფრანგეთის საკონსულოში. ყველა ეს დოკუმენტი შეეხება არტურ რემბოს აფრიკაში  
ცხოვრების პერიოდს.

აღნიშნულ ქაღალდებში აღმოჩნდა არტურ რემბოს რამდენიმე წერილი, რომლებიდა-  
ნაც. შეიძლება ვიქონით წარმოდგენა მისი ცხოვრების შესახებ ხარარში. „ნუველ რევიუ ფრან-  
შეზ“-ში (1 ოკტომბერი) დაბეჭდილია ერთ-ერთი იმ წერილთაგანი, რომელიც მიწერილა პო-  
ეტის მიერ საფრანგეფის კონსულისადმი ადენში. წერილიდან სჩანს, რომ არტურ რემბოს აუღია  
თავის თავშე ვალდებულება აბისინიის ნევუს მენელიკისათვის მიეწოდებია იარაღი.

## დერენ რომ დაიიგიშუონ სიცამდგილე

ამერიკის ცენტრილმა პოლიტიკურმა და რომანისტმა კირიად აიკენმა დასწერა სისხლის სამართ-  
ლის რომანი, რომელიც აღსავსა საშინელებით. „ნიუ მესესს“-ის რეცენზენტი სწერს: „როგორმა-  
რენა აშერაკელპა მწერლებმა საბჭოთა მწერლების დაგვარად დაიწყეს წერა მასებისათვის.  
მაგრამ აქ ჩვენ ეხვდებით პატარა განსხვავებას. საბჭოთა კაუშირში მწერლები სწერენ იმისათვის,  
რომ ადამიანებმა უკეთ გაიგონ სინამდევილე. ჩვენს ქვეყანაში კი ისინი სწერენ იმისათვის, რომ  
აუტანელ შრომის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ადამიანებმა გაიღიზიანონ ნერვები და დაივრწ-  
ყონ სინამდვილე.“

## ლუიჯი პირანდელო — ფაშიზმის აგენტი

უურნალ „ვინძორ კუარტერლიის“ რედაქტორმა ირენ მერილმა გაუგზავნა ლუიჯი პირან-  
დელის მისი ამერიკაში ყოფნის დროს შემდეგი წერილი:

„ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ სკანდალურ ფაშისტურ პროპაგანდის წინააღმდეგ, რო-  
მელსაც თქვენ აწარმოებთ ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროა ხედავდე კულტურულ ადამიანს, მწერალს-  
თუ იგი როგორ არის წაქეზებული პოლიტიკურ სადისტების ჯგუფის მიერ, რომელთა მიზან-  
ჭრათვა დამლუპეველია მასებისათვის.

ჩვენთვის ცხადია იმ გაუგონარ სიცრუის საწყისები, რომელთაც აერცელებთ თქვენ, აღარ  
გვერდი თქვენი მტკიცება, თითქოს თქვენ უნდა გაანთავისუფლოთ აბისინელი ხალხი  
მონობისაგან.

ჩვენ გვესმის ფაშისტურ დიქტატურის ტაქტიკა: იმისათვის, რომ კულტურულ ადამიანე-  
ტის აზრი მიმმდინარეობს მათი წრას წარმომადგენელს, მწერალს.

მაკრამ ეს ტაქტიკა უკვე მოძველებულია, ჩვენ აღარ მოვტყუდებით... თქვენ პროპაგან-  
დას ამერიკაში გაყლენა ექვება მხოლოდ გაბრტიაზ მიმღვარ კულსის წარმომადგენელთა შორის,  
რომლებიც ცალი ფეხით უკვე სამარტინი დგანან.

ჩვენ ლატირატურისა და ხელოკერნის წარმომადგენლები, რომელთა მუშაობას მიზანს  
შეადგენ ჩვენს ქვეყანაში კულტურას განვითარება, მოვიწოდებთ უარი სთქვათ თქვენი ფაშის  
ტური პროგრამისაგან.“

## მარკ ტევენის დაგადებიდან 100 წლის შესრულების გამო (30 სექტემბერი 1935 წელი)

მარკ ტევენის დაბადებილა 100 წლის შესრულების გამო (30 სექტემბერი 1935 წელი)  
აღბერტ ჰენმა გამოაქვეყნა ტევენის დღიურები და ჩანაწერები. ამ მასალათა საგრძნობი ნაწილი  
გამოყენებულ იქნა როვორც თვით მარკ ტევენის მიერ, ისე პეინის მიერ, რომელმაც 1912 წელს  
უამოსცა ტევენის ბიოგრაფია. მაგრამ ეს დღიურები და ჩანაწერები მთლიანად ქვეყნდება მხო-  
ლოდ ახლა. ახლა გამოცემული მასალები უდიდეს ინტერესს შეიცავს, ეინაიდან იქ გამომ-  
ულენებულია ტევენის ინტიმური აზრები.

როგორც ამ მასალებიდან ირკვევა მარკ ტვენი იყო შეურიგებელი მტერი ღფიციალურ ასტრიმიზმისა, რომელიც ამერიკულ კაპიტალიზმის „ოქროს ხანის“ დამახასიათებელ თვისებად-ითვლებოდა. მას სტანჯავდა და ალელვებდა იმ დროინდელ ბურუუაზის დამახასიათებელი მტებებლობა და რელეგიური პირმოთნეობა.

მიუხელავად იმისა, რომ მარკ ტვენი თავის ნაწერებში დასცინდა ამერიკულ ბურუუაზის, იგი მაინც იძულებული იყო დამორჩილებოდა ამ ბურუუაზის გემოვნებას. იგი სწერს დღიურებ-ში: „რა საოცარია, რომ ქვეყანა არ არის აღსავსე ისეთი წიგნებით, რომლებშიაც ყბად აღემული იქნებოდა მსოფლიო, ულმობელი და შეურაცყოფილი ადამიანთა მოდგმა, მთლიანად ეს არაფრის მაქნისი სისტემა.“

### შეცდომის გასარჩევა

დაბეჭდილია

94 გვ. თავიდან მეორე პწყარი—ალიგჰიერი დანტეს

უნდა იყოს

ალიგჰიერი დანტე

სედაპტორი—დაზით დემოტია

პ/ზ. მდივანი— ნიკოლოზ ჩაჩავა

საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის  
სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი  
„ნეინი თაობა“

# 1936 ოქტომბერი

მიმღება  
სელის მოწერა

„საიუზპეჩატის“ რწმუნებულებთან, ფო-  
სტის კანტორებში, ფაბქარხადგილკო-  
მებში და ჟურნალის რედაქციაში.

სელის მოწერის ფასი:  
შლიურად—18 მანეთი ნახევარი შლით  
10 მანეთი.

၃၁၆၀ ၂ ၂၀၆။

R  $\frac{553}{1935}$  / 3